საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.net
№30 (168)
8 – 14 აგვისტო, 2012
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

«ტილიკას» და «ზარალას» მეგობრების საფირმო ნიშანი 16

# შეეხო თუ არა პრეზიდენტი პატრიარქს ხელით? 2



# ერთი მუჭა ლარებისთვის 11


12

ნიკოლოზ ჩარაშვილი: **ვადანაშაულებ სააკაშვილს სიმხდალეში! ფრონტის ხაზზე ასეთ ლაჩრებსა და პანიკიორებს ადგილზე ვხვრეტდით!**

## ბიძინა ივანიშვილი ქართველ ხალხზე, მაჟორიტარობის კანდიდატებზე და 40 პროცენტზე 16


4

ჰამლეტ ჭიპაშვილი: **როგორც სოხუმისთვის, ისე ცხინვალისთვის მეტი თავისუფლება უნდა მივცეთ**

«დარწმუნებული ვარ, აშშ მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩატარებულ არჩევნებს მხარს დაუჭერს. რაც იმას ნიშნავს, რომ მეორე ადგილზე გასული იძულებული იქნება, დათანხმდეს, რასაც მიიღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეამბოხე დასავლეთისთვის მიუღებელი აღმოჩნდება»

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ მზად ვართ, საკუთარი სისხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, ქართულ ეკლესიას მხარში ამოვუდგეთ, რათა ეკლესიამ, მისმა უწმინდესობამ თავი შეურაცხყოფილად არ იგრძნონ. არც ისეთი ძლიერები არიან ეშმაკისთვის სულმიყიდულნი, როგორც მათ ჰგონიათ, ღვთის ძალა უფრო ძლიერია. ასე რომ, ნურავის არწმუნებენ, თითქოს ყველაფერი შეუძლიათ, ყველაფერი მხოლოდ უფალს ხელეწიფება“.**

# შეეხო თუ არა პრეზიდენტი პატრიარქს ხელით?

**საქართველოს პრეზიდენტისა და კათოლიკოს-პატრიარქის შეხვედრის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრმა www.ick.ge-მ სენსაციური ინფორმაცია გამოაქვეყნა. 22 ივლისს ალავერდში გამართულ შეხვედრაზე, რომელიც დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, პრეზიდენტმა პატრიარქი ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერაში დაადანაშაულა. „ხმამაღლა ყვიროდა, ძალიან გაბრაზებული იყო, პატრიარქს ხელიც კი მოჰკიდა, არაფერი შეგეშალოსო“, — ნათქვამია თვითმხილველის მონათხრობში, რომელსაც კახეთის საინფორმაციო ცენტრი ავრცელებს. აღნიშნულ ინფორმაციას საზოგადოებაში ვნებათაღელვა მოჰყვა. მრევლი განსაკუთრებით აღაშფოთა პატრიარქისადმი პრეზიდენტის აგდებულმა დამოკიდებულებამ.**



**საპატრიარქოსა და ხელისუფლებას შორის არსებული უკმაყოფილებისა და დაპირისპირების შესახებ აქამდეც ცნობილი იყო, მაგრამ ამჯერად მთავარი კითხვა ასე ჟღერს: შეეხო თუ არა პრეზიდენტი ხელით პატრიარქს?**

**აღშფოთებული მრევლისთვის განსაკუთრებით საეჭვოა ის გარემოება, რომ, ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირების სხვა გახმაურებული შემთხვევებისგან განსხვავებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციას ოფიციალური უარყოფა ან რაიმე სხვა სახის კომენტარი არ გაუკეთებია. მომხდარს „საქართველო და მსოფლიოსთან“ საზოგადოების წარმომადგენლები აფასებენ.**

**მამა ელიზბარი (დიაკონიძე), წმინდა სამების ტაძრის დიაკონი, ამბობს, რომ მისთვის აღნიშნულის შესახებ იმავე დღეს გახდა ცნობილი:**

„როდესაც მისი უწმინდესობა კახეთში სტიქიით დაზარალებულთა მოსანახულებლად ჩაბრძანდა, პრეზიდენტს პატრიარქის ვიზიტის შესახებ მაშინვე შეატყობინეს. სამწუხაროდ, საპატრიარქოში დღეს ბევრი ე. წ. შიკრიკია. სააკაშვილი სპეციალურად ჩავიდა კახეთში, თორემ წინა დღეებშიც იმყოფებოდა იქ და ეს ხელისუფლება არ ბრძანდება ხალხის ისეთი გულშემატკივარი, რომ ყოველ კვირა ხალხის სანახავად იაროს. **სააკაშვილი სპეციალურად ჩავიდა კახეთში, რათა ხალხს დაენახა, რომ კარგი ურთიერთობა აქვს პატრიარქთან და ამას გარდა, სურდა, მას დახურულ კარს მიღმა გასაუბრებოდა.**

ვერ ვიტყვი, რომ იქ ხელჩართული ჩხუბი გაიმართა, მაგრამ პატრიარქისთვის საყვედურის სათქმელად რომ დრო იხელთა ჩვენმა თავნება პრეზიდენტმა, ეს ცხადია და აღნიშნულ ინფორმაციას ვადასტურებ. **თავხედობით გამორჩეული რომ არ იყოს ხელისუფალი, არათუ საყვედური, მის უწმინდესობას ხმამაღალი საუბარი როგორ უნდა გაუბედოს,** თან იმის გამო, რომ პატრიარქი სამების ტაძრის ამშენებელსა და უამრავი სიკეთისა და ქველმოქმედების ჩამდენ ადამიანს უჭერს თურმე მხარს! ქართულ ეკლესიას სულ ამას ვუკიჟინებ: მეტი სიყვარულის და მხარდაჭერის გამოჩენაა საჭირო ქართული საქმის და არა რომელიმე ოპოზიციური პარტიის მიმართ.

**ჩვენ მზად ვართ, საკუთარი სისხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, ქართულ ეკლესიას მხარში ამოვუდგეთ, რათა ეკლესიამ, მისმა უწმინდესობამ თავი შეურაცხყოფილად არ იგრძნონ. არც ისეთი ძლიერები არიან ეშმაკისთვის სულმიყიდულნი, როგორც მათ ჰგონიათ, ღვთის ძალა უფრო ძლიერია. ასე რომ, ნურავის არწმუნებენ, თითქოს ყველაფერი შეუძლიათ, ყველაფერი მხოლოდ უფალს ხელეწიფება“.**

**ცნობილი ქართველი პოეტი რეზო ამაშუკელი ამბობს, რომ აღნიშნული ინფორმაცია მასმედიიდან შეიტყო, თუმცა არ გაჰკვირვებია:**

„სააკაშვილი რომ ეკლესიასთან დაპირისპირებულია, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება. რაც ხელისუფლებაში მოეთრია, სააკაშვილის მიზანი ქართული ეკლესიის დანგრევაა. პატრიარქი შემწყნარებელი კაცია და ნუ მოვთხოვთ ისეთ რამეს, რაც არ შეიძლება პატრიარქს მოვთხოვოთ.

**არც გამიკვირდება, პატრიარქს დაუპირისპირდეს, ვინაიდან სააკაშვილი, პატრიარქს კი არა, საკუთარ დედ-მამას ცოცხლად დამარხავს, ოღონდ თავისი სკამი შეინარჩუნოს. სააკაშვილი შეხტება სამების ტაძარში ამბიონზე და მიტინგს მოაწყობს ხოლმე. ჩვენ მრეველი კი არა, მოჩვენებითი მრევლი ვართ, თორემ უნდა გამოათრიო ტაძრიდან და სამების წინ თავი არტყმევინო.**

პატრიარქს ყოველ წუთს საფრთხე ემუქრება, რაც ესენი ხელისუფლებაში მოვიდნენ. ყველაფერი, რაც ხდება, მრევლის ბრალია. მრევლმა ხმა არ ამოიღო არც ერთხელ და, როცა მარტო მე ვყვიროდი სულელივით, ხან ქსენოფობი მიწოდეს და ხან ფაშისტი. ჩვენს ღირებულებებს და ჩვენს ქართველობას არ ვიცავთ. გამოვიდა პატრიარქი და თქვა, დაიცავი საქართველო შენშიო. როგორც ერთ ლექსში ვწერ, ჩვენ ქართველობით განვიცდით შიმშილს, ქართველობა გვაკლია. ეს რესპუბლიკა არ არის, ეს საროსკიპოა. შეხედეთ ტელევიზიებს, ეს არის ელიტარული მეძავებისა და გეების აღლუმი. ზუსტად ასე დაწერეთ, როგორც ვლაპარაკობ, კორექტურა არ უნდა ამას, კორექტულად უნდა ელაპარაკო კორექტულ და ვაჟკაც ადამიანს. ამათთან არ შეიძლება კორექტული საუბარი. რადგან ხალხი ჩუმადაა, ჰგონიათ, ყველაფერი შერჩებათ. პირდაპირ ვაცხადებ, მიმიფურთხებია იმ ერისთვის, რომელიც ამ ყველაფერს მოითმენს.

4 წელი გავიდა ომიდან და კოვზებითა და ჩანგლებით ასხმული სამხედრო სტრატეგი, მექანიკური თოჯინა დავით ბაქრაძე რომ დაბრძანდება რეგიონებში, ნუ ავიწყდება, როგორ მოხდა ყველაფერი. თავისთავად ცხადია, მწუხარებას გამოვთქვამ და თანავუგრძნობ დაღუპული ბიჭების ოჯახებს, რომლებიც თავისი სისულელეების გამო დახოცა ხელისუფლებამ, მაგრამ **სირცხვილია, როცა ომში დაღუპული შვილის დედა, რომელმაც კარგად იცის, რომ ამ ხელისუფლების დადგმულია ეს ომი, გამოდის და კიდევ ამ ხელისუფლებას აწერინებს ქულებს თავისი საუბრით. ან კიდევ, ახლა ეს ყაყაჩოიანი ყეყეჩები რომ გამოდიან უსირცხვილოდ, ეს არის ფარისევლური ცრემლები. კარგად იციან, რა და როგორ მოხდა. პირდაპირ ვადებ ხელს — ამ შრეკის დაწყებულია ომი. მახსოვს, როგორ ყელყელაობდა ტელევიზორში და თავის გამარჯვებას გვამცნობდა...“**

**ქართველი ემიგრანტი ბექა გოგოსაშვილი ამბობს, რომ ჯალალედინიდან მოყოლებული, საქართველოს არც ერთ დამპყრობელს ასეთი სისასტიკე არ გამოუჩენია:**

„მე არ მიკვირს, რომ სააკაშვილი პატრიარქს ასე ესაუბრება, ვინაიდან მისი მოძღვარი არის ეშმაკი. მას არანაირი შეხება არ აქვს და არც ჰქონია საქართველოს დედაეკლესიასთან. მაგრამ რაც დღეს ხდება, არსებული სიტუაციის მიზეზი, „ცოდვა გამხელილი სჯობს“ და ვაღიაროთ, ის არის, რომ **ხელისუფლებას ძალიან ბევრ მეუფესა და სასულიერო პირზე აქვს კომპრომატები და სწორედ ამიტომ ისინი ხმას ვერ იღებენ.**

რამდენიმე ხნის წინათ იტალიაში იმყოფებოდა პაპუნა დავითაია, რომელიც მივარდა ფლორენციის ქართულ ეკლესიაში, გადაიღო იქ ფოტოები და შემდეგ დიასპორის ვებგვერდზე გამოფინეს. ამ ფოტოებით ისე წარმოაჩინეს ყველაფერი, თითქოს მეუფე აბრაამ გარმელია ხელისუფლების მხურვალე მხარდამჭერია. პაპუნა დავითაიამ ამ საქციელით ძალიან ცუდ სიტუაციაში ჩააყენა მამაო. ის უაღრესად კარგი ადამიანია, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლებამ გამოიყენა.

ხელისუფლება „ამისტებად“ და „იმისტებად“ მიზანმიმართულად ყოფს ხალხს. აქ არ არის საუბარი ხელისუფლებასა და ოპოზიციაზე, საუბარია ქართულ ეკლესიაზეა, რომელიც ხალხსა და ხელისუფლებას შორის, ყოველთვის მედიატორის როლს ასრულებდა. მეტიც, ეკლესია ყოველთვის ერეოდა საქართველოს სახელმწიფოს საქმიანობაში და თავის სათქმელს ყოველთვის ამბობდა, დღეს კი ეკლესიას ამის უფლება წართმეული აქვს.

**როცა ეკლესია აცხადებს, რომ არ ერევა პოლიტიკაში, ეს ნიშნავს, რომ ეკლესია ხალხს არ აძლევს საშუალებას, კეთილი და ბოროტი გაარჩიოს ერთმანეთისგან. როდესაც ხელისუფლება ეკლესიის ნგრევით მოდის სათავეში, ამის შემდეგ ხალხს პირდაპირ ქუჩაში ხოცავს, არ უნდა უთხრას ეკლესიამ ხალხს, რომ ასეთი ხელისუფლება ბოროტია? ამ შემთხვევაში არჩარევა ნიშნავს, რომ არ გადარდებს, რაც ხდება შენს ქვეყანაში.**

როგორ არ უნდა გადარდებდეს, რას სჩადის შენი ხელისუფლება? ახლახან შევამოწმეთ საარჩევნო სიები და აღმოჩნდა, რომ ემიგრანტების 90% თურმე საქართველოშია. ტოტალურ გაყალბებასთან გვაქვს საქმე. პირადად მე გადავამოწმე 200 კაცის გვარი და პირადი ნომერი და ადამიანები, რომლებიც 5-6 წელია საქართველოში არც ყოფილან, 1 აგვისტოს მონაცემებით, თურმე საქართველოში იმყოფებიან. ერთ კაცს არ უნდა მივცეთ ამდენის უფლება!

**საქართველოს ძირძველი კუთხე — აჭარა სისხლითა და კბილებით შეინარჩუნეს ჩვენმა ეროვნულმა მოღვაწეებმა და დღეს არ უნდა ჩაერიოს ეკლესია, როცა თურმე ბათუმში სასულიერო პირს ანაფორით სიარულის უფლება აღარ აქვს? არ უნდა ჩაერიოს ეკლესია, 22 ათასი თურქი რომ დარეგისტრირდა ბათუმში იმ დროს, როცა აჭარიდან 70 ათასი ქართველი გადაიხვეწა სხვადასხვა პრობლემის გამო? სწორად გამიგეთ, ქრისტეს ქადაგებაც პოლიტიკა იყო, რადგან ხალხს მოძღვრავდა და ასწავლიდა, როგორ მოქცეულიყო.**

4 წელი გავიდა აგვისტოს ომიდან. ვიდრე სააკაშვილი სამაჩაბლოში ომს დაიწყებდა, მე 2008 წელს ვაკის ერთ-ერთ საარჩევნო შტაბში ვიყავი და ვიცი, რომ სააკაშვილი 2008 წლის 12 მაისს აფხაზეთში ომის დაწყებას აპირებდა. ძლივს გააჩერეს. ასე რომ, ეს არ იყო შემთხვევით დაწყებული ომი. მიზანმიმართულად უბეჭდავენ ადამიანს ცნობიერებაში, რომ რუსეთი საქართველოს მტერია. რუსი ერი მართლმადიდებელია და ეკლესიას შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს სიტუაციის დარეგულირებაში. თუ ამას ქართული და რუსული ეკლესია მოინდომებს, აფხაზეთშიც და სამაჩაბლოშიც ყველაფერი კარგად იქნება.

ხელისუფლება ყველაფერზეა წამსვლელი, რამდენადაც ვიცი, პატრიარქი თავს შეუძლოდ გრძნობს და ის ვეღარ მიემგზავრება მსოფლიო პატრიარქთან შეხვედრაზე. ალბათ, ინერვიულა ამ ყველაფერზე. **პატრიარქი საქართველოს სულია და მთელი ქართველი ერის ვალია, პატრიარქს დაუდგეს გვერდით და არა მიხეილ სააკაშვილს, რომლის მიზანია, ქართველები გაყაროს საქართველოდან და მათ ადგილას თურქები, ბურები და სხვა ერები ჩამოასახლოს.** სააკაშვილი ღვთისა და საქართველოს მოძულე ადამიანია, 8 წლის მანძილზე მან ეს დაამტკიცა. დაანახა ხალხს, როგორ შეუძლია აშანტაჟოს ეკლესია, დააშინოს ხალხი, ჭეშმარიტ ქართველებს მოქალაქეობა წაართვას და ახალგაზრდა ბიჭები ქუჩაში დახოცოს. ღვთის შიში უნდა გვქონდეს და არა სააკაშვილის ან იმ ჯგუფის, რომელიც დღეს საქართველოს მართავს.

მოამზადა **შორენა ცივქარაშვილმა**



ერთნი სამშობლოსთვის თავს სწირავენ, მეორენი ორიოდე დღით აჩერებენ წინასაარჩევნო კამპანიას. თუმცა „ნაციონალებიც“ მათთვის ყველაზე ძვირფასს სწირავენ: არჩევნების შედეგები და ხელისუფლებაში დარჩენა მათთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის მძიმე შედეგები, რომლებიც 2008 წლის ხანმოკლე ომმა მოუტანა საქართველოს!

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ოთხი წლის შემდეგ

**2008 წლის ომის შესახებ ნებისმიერ საყვედურზე ნაციონალურ ხელისუფლებას სრულიად ისტერიული რეაქცია აქვს. „ბობოხიძიზმი“ არა მარტო პარლამენტის სხდომათა დარბაზში, არამედ საინფორმაციო სივრცეშიც ყვავის და იფურჩქნება. კამათი იმის თაობაზე, თუ ვინ დაიწყო ომი, უმთავრეს საკითხად რჩება. მისი განსჯისას ყურადღების მიღმა რჩება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი — რა მოუტანა ამ ომმა საქართველოს.**



**უშუალოდ სამხედრო მოქმედებებს არ გამოუწვევია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება რუსეთის მხრიდან. ეს ოდენ საქართველოს მოქმედი ხელისუფლების პოლიტიკურმა სიბეცემ ან რაღაც ბევრად უფრო უარესმა გამოიწვია**

ტერიტორიების მეხუთედი სააკაშვილისთვის მხოლოდ ქვების გროვაა. ასე უფრო იოლია დანაკარგის ატანა. თუ როგორ მივედით ამ დანაკარგამდე, ხელისუფლების მეხოტბეებს ამაზე ლაპარაკი არ ხიბლავთ. პარადოქსია, მაგრამ **უშუალოდ სამხედრო მოქმედებებს არ გამოუწვევია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება რუსეთის მხრიდან. ეს ოდენ საქართველოს მოქმედი ხელისუფლების პოლიტიკურმა სიბეცემ ან რაღაც ბევრად უფრო უარესმა გამოიწვია.**

საკუთარი ტერიტორიების დათმობის ქრონიკა კი ასე გამოიყურება: 2008 წლის 14 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილებები, რომელთა თანახმად, საქართველოს მიმართ შეწყვიტა მოქმედება „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ“ 1991 წლის 8 დეკემბრის შეთანხმებამ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს 1993 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით დამტკიცებულმა „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდებამ“ და „ეკონომიკური კავშირის შექმნის შესახებ“ 1993 წლის 24 სექტემბრის ხელშეკრულებამ.

**2008 წლის 18 აგვისტოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნოტით აცნობა დსთ-ს აღმასრულებელ კომიტეტს საქართველოს პარლამენტის აღნიშნული დადგენილებებისა და დსთ-დან საქართველოს გამოსვლის შესახებ.**

**შესაბამისად, 2008 წლის 18 აგვისტოდან საქართველომ თავიდან მოიხსნა დსთ-ში წევრობასთან დაკავშირებული ყველა ვალდებულება.** ამავე დროს, სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის თანახმად, საქართველოსთვის ძალაში რჩება დსთ-ს ფარგლებში დადებული ყველა საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულება და დსთ-ს შესაბამის ორგანოთა მიერ მიღებული ის გადაწყვეტილებები, რომელთა სავალდებულოდ აღიარებაზეც თანხმობა განაცხადა საქართველომ.

ეს უკანასკნელი დათქმა ნურავის მოატყუებს, რადგან **სწორედ დსთ-ს სადამფუძნებლო დოკუმენტებში** (რომელთაც გაემიჯნა საქართველო) იყო **დადასტურებული, რომ წევრი სახელმწიფოები აღიარებულ საზღვრებში ცნობდნენ ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობას და არ შეიძლებოდა ჰქონოდათ ერთმანეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები. იმ წუთიდან, როცა საქართველომ „თავიდან მოიხსნა დსთ-ში წევრობასთან დაკავშირებული ყველა ვალდებულება“, რუსეთს ხელ-ფეხი გაეხსნა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებისთვის.** 2008 წლის 26 აგვისტოს მედვედევმა საგანგებო პრესკონფერენციაზე გააკეთა განცხადება მათი აღიარების შესახებ.

**ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე** ასე აფასებს შექმნილ ვითარებას: **„პრეზიდენტ მედვედევის გამოსვლაში ერთი ფრაზა იყო გაჟღერებული, რომ რუსეთს ეს გადაწყვეტილება, ანუ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება, იოლად არ მიუღია. რუსეთის პრეზიდენტის განცხადება მიგვანიშნებს, რომ კრემლი იძულებული იყო, ეს ნაბიჯი გადაედგა, და რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება სულაც არ ყოფილა რუსების სანუკვარი ოცნება“.**

კითხვაზე — **რატომ არ აძლევდა ხელს რუსეთს ჩვენი ტერიტორიების დამოუკიდებლად აღიარება?** — ექსპერტი ასეთ პასუხს სცემს: **„ეს სიტუაცია შეიძლება მოსწონდეთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებულ ელიტებს, რადგან რუსული ცხოვრების პირობები უკეთესია, მაგრამ ჩვენი მეზობლისთვის არის თავის ტკივილი, რადგან რუსეთმა ეს სახელმწიფოები უნდა უზრუნველყოს. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არა დამოუკიდებელი, არამედ რუსეთზე დამოკიდებული ქვეყნებია. მოსკოვი ისედაც დიდ დახმარებას უწევს ჩრდილოკავკასიურ ავტონომიურ რესპუბლიკებს, რომლებისთვისაც უზარმაზარი თანხები იხარჯება. აქედან გამომდინარე, მას დამატებითი ტერიტორიების შენახვა ხელს არ აძლევდა.**

**ამ შემთხვევაში ეკონომიკაზე და ზოგად პოლიტიკურ მიზნებზე მაღლა კონკრეტული გარემოება იდგა: რუსეთს რომ არ ეღიარებინა ეს ორი რესპუბლიკა დამოუკიდებლად, მაშინ მას კონტროლი უნდა დაეკარგა სიტუაციაზე, მოსკოვს აღარ ექნებოდა იურიდიული უფლება, ჯარები დაეტოვებინა ამ ტერიტორიებზე. სწორედ ამგვარი პროვოკაცია მოუწყვეს სააკაშვილის ხელით ამერიკელებმა რუსეთს, ფაქტობრივად, აიძულეს იგი, რომ მიეღო ნაკლებადმომგებიანი გადაწყვეტილება. რუსეთს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი „შეტენეს“, თან ისე, როგორც „დამოუკიდებელი სახელმწიფოები“ და პარალელურად რუსეთსა და საქართველოს შორის საბოლოოდ გააფუჭეს ურთიერთობა. ეს კი ამერიკას აძლევს ხელს, ამ ფონზე იგი აძლიერებს თავის პოზიციებს საქართველოს დარჩენილ ტერიტორიებზე. დააკვირდით, ამერიკას არასოდეს გამოუხატავს ინტერესი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიმართ, ამერიკას საქართველო აინტერესებს მხოლოდ წითელი ხიდიდან ფოთამდე, როგორც „კორიდორი“. ამ „კორიდორის“ ფუნქციონირებას კი აფხაზები და ოსები ხელს ვერ და არ უშლიან. სამაგიეროდ, „კორიდორად“ ქცეული საქართველო ამერიკის მორჩილი ყმაა, არადა, რუსეთთან რომ დაბალანსებული ურთიერთობა გვქონდეს, აქ არც ამერიკის ტოტალური გავლენა იქნებოდა და არც სააკაშვილის რეჟიმი. მეტიც, ქვეყანას გაერთიანების მეტი პერსპექტივა ექნებოდა“.**

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება სათავისოდ განმარტავს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2008 წლის ოქტომბრის 1633-ე რეზოლუციას, მასში ნათქვამია: **„2008 წლის 7 აგვისტოს საქართველოს სამხედრო ძალების მიერ ცხინვალის წინააღმდეგ გაუფრთხილებლად საარტილერიო ცეცხლის გახსნამ მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა და სრულმასშტაბიან ომად გადააქცია. მძიმე არტილერია და კასეტური ბომბები, რომლებიც მოქალაქეებს სერიოზულ რისკს უქმნიდა, მართალია მისივე ტერიტორიაზე, მაგრამ მაინც საქართველოს მიერ შეუსაბამო ძალის გამოყენებას ნიშნავდა. ეს კი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და საქართველოს მიერ მშვიდობიანად კონფლიქტის მოგვარების ვალდებულების დარღვევა იყო“.**

ჩვენი ნეტარი ხელისუფლება თავს იმით იწყნარებს, რომ იმავე რეზოლუციაში საპარლამენტო ასამბლეა რუსეთსაც აძლევს შენიშვნას, მაგრამ გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, საქართველოს რომ საკუთარი იურისდიქციის აღდგენა მოეხერხებინა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, ევროსაბჭოს ათას შენიშვნასაც აიტანდა! ამის შემდეგ ნებისმიერი პასუხი კითხვაზე — ვინ დარჩა მოგებული? — აზრს კარგავს.

**ომის შეწყვეტით პროცესი არ დამთავრებულა. ამ თვალსაზრისით, სააკაშვილი არ ტყუის; უბრალოდ, ჩვენთვის „დაუსრულებელი ომი“ სულ სხვა დატვირთვას ატარებს.** სააკაშვილი კი რუსეთის „ჩამოშლის“ იმედზეა, რის შემდეგაც ტერიტორიების დაბრუნების იმედი აქვს. ამასობაში დასავლურ ინტელექტუალურ წრეებსა და მედიაში ერთობ შემაშფოთებელი სიგნალები ჩნდება.

ავტორიტეტულ გამოცემა open demokrasi-ში ჩვენთვის კარგად ცნობილი **ჯორჯ ჰიუიტი** ვრცლად მიმოიხილავს კონფლიქტს აფხაზეთში და ასეთ დასკვნას აკეთებს: **„მრავალი წლის განმავლობაში დომინირებდა აზრი, თითქოს სამხრეთ ოსეთის პრობლემა უფრო ადვილად გადასაჭრელი იყო. და მაინც, ეს იყო ხუთდღიანი ომი სამხრეთ ოსეთისა და მის გარშემო 2008 წლის აგვისტოში, რამაც მიგვიყვანა ე. წ. გაყინული აფხაზური და სამხრეთოსური კონფლიქტების „გალღობამდე“, როდესაც რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ორივე რეგიონი აღიარა. მას შემდეგ ორი ახალგაზრდა სახელმწიფო, როგორც წესი, ერთად მოიხსენიება და, როგორც წყვილი, ისე განიხილება. თუმცა დამკვირვებელთა უმრავლესობა აღნიშნავს აშკარა ფაქტს, რომ აფხაზეთს დამოუკიდებლობის სიცოცხლისუნარიანობის გამოვლინებისთვის გაცილებით ფართო შესაძლებლობები გააჩნია. დიახ, აფხაზეთს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გამოიყენოს თავისი პოტენციალი საერთაშორისო საზოგადოებრიობის სრული მხარდაჭერით, რაც დღემდე მხოლოდ აგრესორისადმი თანაგრძნობის გამოხატვის შემაშფოთებელ ტენდენციაში ვლინდება“.**

**რუსეთს რომ არ ეღიარებინა ეს ორი რესპუბლიკა დამოუკიდებლად, მაშინ მას კონტროლი უნდა დაეკარგა სიტუაციაზე, მოსკოვს აღარ ექნებოდა იურიდიული უფლება, ჯარები დაეტოვებინა ამ ტერიტორიებზე. სწორედ ამგვარი პროვოკაცია მოუწყვეს სააკაშვილის ხელით ამერიკელებმა რუსეთს**

აფხაზეთის აღიარებისკენ ეს ღია მოწოდება არ არის ერთი ადამიანის, თუნდაც მიკერძოებულის, აზრი. ამ აზრს სხვა აპოლოგეტებიც ჰყავს. მათი არგუმენტები სრულიად საპირისპიროა, თუმცა აქ მთავარი ის არის, რომ „ქვების გროვად“ წოდებული ტერიტორიების საქართველოსთვის ჩამოჭრა ცივილიზებული ლექსიკით უნდა შეიფუთოს, ხოლო საქართველომ ეს საკითხი უნდა დაივიწყოს. ვერც ერთი ხელისუფლება ამაზე ღიად საუბარს ვერ გაბედავს; ამისთვის უცხოელი ექსპერტები და შინაური „უცხოელები“ გამოდგებიან.

სააკაშვილის ხელისუფლების ხბოს აღტყინება ტერიტორიული მთლიანობის მორიგი სიტყვიერი მხარდაჭერის გამო იმავე პუბლიკაციაში თითქმის დაცინვის სახეს იღებს: **„დასავლეთის ნებისმიერი წარმომადგენლის მიერ ფრაზის „ოკუპირებული ტერიტორიები“ ნებისმიერი გამოყენება თბილისში ატაცებულია და ტრაბახის საგანია. როდესაც აშშ-ის სენატმა (2011 წლის 29 ივლისს) და ევროპის პარლამენტმა (2011 წლის 17 ნოემბერს) მიიღეს რეზოლუციები, რომლებშიც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი სწორედ ამ ტერმინებით განისაზღვრა, სააკაშვილმა ისინი „ისტორიულ დოკუმენტებად“ გამოაცხადა, რომელთაც საფუძველი დაუდეს საქართველოს კონტროლის (ხელმეორედ) დაწესებას, თუმცა უცნობია, ამას რა პრაქტიკული მართებულობა (თუკი იგი საერთოდ არსებობს) ადასტურებს, რადგან საკითხი ღიად რჩება. ევროკავშირის რეზოლუციის შემომტანი კშიშტოფ ლისეკი ამ ნაბიჯის შემდეგ თბილისს გაემგზავრა, სადაც იგი წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვეს“.**

ჩინ-მენდლების დარიგება სააკაშვილის დაკვეთების შემსრულებელთათვის ნათლად მეტყველებს, რომ იგი გაცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გასაპიარებელ გამონათქვამებს, ვიდრე რეალურ ვითარებას. ომის შემდეგ ოთხი წელი გავიდა, საქართველო კი კვლავაც იქ არის, ოღონდ იმ სხვაობით, რომ იმავე დასავლეთში აფხაზეთის (სავარაუდოდ, საკუთარი ჰიუიტი სამხრეთ ოსეთსაც გამოუჩნდება) აღიარების შესაძლებლობაზე ღიად იწყება მსჯელობა...

**ერთნი სამშობლოსთვის თავს სწირავენ, მეორენი ორიოდე დღით აჩერებენ წინასაარჩევნო კამპანიას. თუმცა „ნაციონალებიც“ მათთვის ყველაზე ძვირფასს სწირავენ: არჩევნების შედეგები და ხელისუფლებაში დარჩენა მათთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის მძიმე შედეგები, რომლებიც 2008 წლის ხანმოკლე ომმა მოუტანა საქართველოს!**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**08.08.08**

**„მართალია, დასავლეთი ყასიდად მაინც აცხადებს, რომ საქართველო უნდა გამთლიანდეს და რუსეთმა უნდა დაგვიბრუნოს ოკუპირებული ტერიტორიები, მაგრამ თავადაც იცის, რომ ეს ცარიელი სიტყვებია და რუსეთი ამ ტერიტორიებს არ დააბრუნებს. ჯერ ერთი, ისინი უკვე დამოუკიდებელი ქვეყნებია, ისინი რუსეთის ქოლგის ქვეშ არიან გაერთიანებულები და თავსაც მშვენივრად გრძნობენ, ყოველ შემთხვევაში, მათი უსაფრთხოება გარანტირებულია."**



# ჰამლეტ ჭიპაშვილი: როგორც აფხაზეთის, ისე «სამხრეთ ოსეთისთვის» მეტი თავისუფლება უნდა მივცეთ

**რუსეთ-საქართველოს ომიდან ოთხი წელი გავიდა. რა შეიცვალა ამ დროის მანძილზე საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში, ომის შედეგებსა და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი გვესაუბრება:**

— 2008 წლის ომში ყველა მოგებული აღმოჩნდა. ეს ომი როგორც სააკაშვილისთვის, ასევე დასავლეთისა და რუსეთისთვისაც კარგად დასრულდა. წააგო მხოლოდ საქართველომ. ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა ისედაც მცირე ტერიტორიის 20%. სამაგიეროდ, სააკაშვილმა მიიღო 4 მილიარდ-ნახევარი აშშ დოლარის დახმარება დასავლეთისგან და მსოფლიო აღიარება მოიპოვა, ვინაიდან ომის შემდეგაც აქტიურად გაგრძელდა დიდი პროპაგანდისტული მუშაობა. დასავლური პრესა მუდმივად წიხლავდა რუსეთს, რადგან მას რუსეთის კრიტიკის საბაბი მიეცა და შედეგად, სააკაშვილის ხელისუფლება უმანკო კრავის როლში, რუსეთი კი დიდი, ბრჭყალებიანი დათვის როლში გამოჰყავდა. ომამდე საქართველოს ნაკლებად თუ იცნობდნენ მსოფლიო არენაზე, მაგრამ ეს ომი დაემთხვა პეკინში ოლიმპიური თამაშების გახსნის დღეს და შედეგად საქართველო მსოფლიოს ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა.

**— თქვენ ამბობთ, რომ მოიგო სააკაშვილმა, მაგრამ ის ხომ ისტორიაში შევა როგორც ხელისუფალი, რომელმაც დაკარგა ტერიტორია?**

— სააკაშვილისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. მან მიიღო დასავლეთის აღიარება, როგორც „მტარვალი რუსეთის" წინააღმდეგ მებრძოლმა პატრიოტმა და „დემოკრატიის შუქურამ". დასავლეთის პრესამ მსოფლიოს ისეთი სურათი დაუხატა, თითქოს სააკაშვილმა რუსეთის თავდასხმისგან მთელი კავკასია გადაარჩინა. **რაც შეეხება დასავლეთს, მას „კოზირები" მიეცა რუსეთთან საჭიდაოდ და სერიოზული ანტირუსული კამპანია წამოიწყო. დასავლეთისთვის რუსეთი იყო და არის ძალიან სერიოზული მეტოქე. ისინი საერთო ენას ვერასდროს გამონახავენ ისეთ საკითხებში, როგორიცაა ტერიტორიული მთლიანობა, გავლენის სფეროები და ა. შ. რუსეთი უზარმაზარი ქვეყანაა და მას სერიოზული ამბიციები აქვს მსოფლიოში.**

**— რაც შეეხება რუსეთს: რუსეთიც მოგებული დარჩაო, განაცხადეთ, მაგრამ მის იმიჯზეც ხომ უარყოფითად აისახა ეს ომი?**

— რუსეთმა მოიგო ის, რომ მან დააბრკოლა „დასავლეთის ჩექმა" საქართველოში, შეაფერხა საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესი, ნატოს წევრი ქვეყნები დარწმუნდნენ, რომ საქართველო არც ისე სანდო პარტნიორია. ამას გარდა, რუსეთმა მიიღო ორი ბუფერული სახელმწიფო, აღიარა მათი დამოუკიდებლობა და იქ თავისი სამხედრო ბაზები განალაგა.

**— აქედან გამომდინარე, შესაძლებელი იყო თუ არა ომის თავიდან აცილება?**

— **ამ ომის აცილება იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ საქართველოს ნორმალური ხელისუფალი ეყოლებოდა, ხელისუფალი, რომელიც არ აჰყვებოდა დასავლეთის გარკვეული წრეების სურვილებს. მაკკეინი სააკაშვილის ჭკუის დამრიგებელი და მხარდამჭერია და სააკაშვილმა გადადგა ის ნაბიჯი, რომელიც სურდა მაკკეინის გუნდს.** ეს კი მისცემდა მაკკეინს შესაძლებლობას, გაეკრიტიკებინა რუსეთი და ობამაზე ძლიერ კანდიდატად წარმოეჩინა თავი.

**— კვლავ დაიწყო საუბარი კონფლიქტის განახლების საფრთხეზე. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცხინვალიდან ქალებისა და ბავშვების გახიზვნა დაიწყეს. რამდენად რეალური შეიძლება იყოს საფრთხე?**



**«ფაქტობრივად, გამზადებული იყო ტრიბუნა, რათა ომის შემდეგ სააკაშვილი დამდგარიყო ტრიბუნასთან და საქართველოს ბედნიერი მოსახლეობისთვის ეცნობებინა, როგორ გაათავისუფლა და დაიბრუნა «სამხრეთ ოსეთი»**

— 4 წლის წინაც ზუსტად იგივე რიტორიკა ისმოდა, თუმცა ეს რიტორიკა ომის შემდგომ პერიოდს მოჰყვა. გავიხსენოთ, რა ხდებოდა ომამდე. სააკაშვილმა ჯერ ოსებს შეახსენა, თუ როგორი ისტორიული ძმები ვართ, რომ ერთად უნდა ვიცხოვროთ, რაც იყო ფანდი და ოსური მოსახლეობის მოტყუების მცდელობა, ვინაიდან ზუსტად ორი-სამი დღის შემდეგ საქართველომ მიაყენა ჯარი ცხინვალს და ჩაძინებულ ქალაქზე „გრადებით" შეტევა დაიწყო. ყველას ახსოვს, ალბათ, ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებიც, რომ აი, თურმე დავიბრუნეთ ქალაქი, ფაქტობრივად, გამზადებული იყო ტრიბუნა, რათა ომის შემდეგ სააკაშვილი დამდგარიყო ტრიბუნასთან და საქართველოს ბედნიერი მოსახლეობისთვის ეცნობებინა, როგორ გაათავისუფლა და დაიბრუნა „სამხრეთ ოსეთი". მაგრამ მისი ზრახვები არ გამართლდა. რუსმა გადადგა მკვეთრი ნაბიჯი და სამაჩაბლოდან საერთოდ გამოდევნეს ქართველები.

**კონფლიქტის განახლების საფრთხე დღეს არ არსებობს, სააკაშვილი ვერ გაბედავს კონფლიქტის დაწყებას, ვინაიდან კარგად იცის, რომ ახლა იქ რუსი მშვიდობისმყოფელები კი არ დგანან, რომელიც დახოცა მაშინ (ცნობილი ფაქტია და ტალიავინის კომისიის დასკვნაშიცაა აღნიშნული), არამედ დღეს იქ არის რუსული სამხედრო ბაზა.** როცა ომი დასრულდა და სააკაშვილის ხელისუფლება მიხვდა, რომ ომი წააგო და საჭირო იყო როგორმე თავის გადარჩენა, დაიწყეს საუბარი, რომ აი, ოსები და რუსები ბომბავდნენ ქართულ სოფლებს, ემზადებოდნენ ომისთვის და წინასწარ გაიყვანეს ბავშვები და მოხუცებიო.

დღესაც იმავეს ამბობენ, რადგან არჩევნები ახლოვდება, თუმცა ეს არის ამ ხელისუფლების ისტერია, რომელსაც ძალიან ეშინია ბიძინა ივანიშვილის და მსგავსი ინფორმაციის გავრცელებით სურს დაარწმუნოს საქართველოს მოსახლეობა, თითქოს ივანიშვილი რუსეთის კაცია.

**— მართალია, ინფორმაცია ოფიციალური პირებს არ დაუდასტურებიათ, მაგრამ 27 ივლისს სოფელ დიცისა და ერედვის პირობით საზღვართან ქართველი და რუსი სამხედრო მაღალჩინოსნების ფარული შეხვედრის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია.**

— მე ასეთი შეხვედრის შესახებ არ მაქვს ინფორმაცია. შესაძლოა, ეს იყოს ჭორი, თითქოს რუსეთი რაღაცას აპირებს. რუსეთს რომ უფრო მეტი ყურადღება მიექცია საქართველოსთვის, დღეს ის არ აღმოჩნდებოდა ასე გასაყიდი საქონლის როლში, როცა ხან ვინ აპირებს ჩვენს ყიდვას და ხან ვინ...

**— ყურადღების მიქცევაში რას გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ იმას, რომ რუსეთს ცოტა სერიოზული დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა იმ განცხადებების მიმართ, რომლებსაც სააკაშვილი 2008 წლის ომამდე აკეთებდა. რუსეთი კი ამას ყურადღებას არ აქცევდა. არადა, ის უფრო სერიოზულად უნდა მოკიდებოდა საქართველოსა და ზოგადად კავკასიის საკითხს, რათა სხვას არ გასჩენოდა „აპეტიტი" ამ ტერიტორიებთან დაკავშირებით. დღეს ათასი ჯურის, ჩვენი მეზობელი თუ არამეზობელი უამრავი ავანტიურისტია შემოსეული, რომელთაგან ზოგი მიწას გვგლეჯს და ზოგიც კაპიკებში ყიდულობს რაღაცებს. ბოლოს ისე მოხდება, რომ საქართველოს ტერიტორია საქართველოს მოსახლეობისთვის არ დარჩება.

**მართალია, დასავლეთი ყასიდად მაინც აცხადებს, რომ საქართველო უნდა გამთლიანდეს და რუსეთმა უნდა დაგვიბრუნოს ოკუპირებული ტერიტორიები, მაგრამ თავადაც იცის, რომ ეს ცარიელი სიტყვებია და რუსეთი ამ ტერიტორიებს არ დააბრუნებს. ჯერ ერთი, ისინი უკვე დამოუკიდებელი ქვეყნებია, ისინი რუსეთის ქოლგის ქვეშ არიან გაერთიანებულები და თავსაც მშვენივრად გრძნობენ, ყოველ შემთხვევაში, მათი უსაფრთხოება გარანტირებულია.**

ამიტომ არ ვიცი, როგორ და რა სტატუსით უნდა მოხდეს მათი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება — ავტონომიის სახით, სპეციალური ტერიტორიის სახით თუ უნდა მოხდეს საქართველოს კონფერედაციულ ▶

**«ომის აცილება იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ საქართველოს ნორმალური ხელისუფალი ეყოლებოდა, ხელისუფალი, რომელიც არ აჰყვებოდა დასავლეთის გარკვეული წრეების სურვილებს»**

მსოფლიო

## ამერიკული ქალაქი-მოჩვენება იყიდება

**მიტოვებული ქალაქი ვუდსაიდი (იუტას შტატი), სადაც, სავარაუდოდ, ცნობილი ყაჩაღი ბუტჩ კესიდი იმალებოდა, აუქციონზე გასაყიდად გამოიტანეს.** მფლობელი აპირებს, 3,9 მილიონ დოლარად გაყიდოს დასახლებული პუნქტი, რომელშიც არის ძველი ოქროს საბადო გრეიზერი და საფოსტო განყოფილება.




## ევროზონაში უმუშევრობის მაჩვენებელმა მაქსიმუმს მიაღწია

**2012 წლის ივნისში ევროზონაში უმუშევრობის მაჩვენებელმა მაქსიმალურ ნიშნულს — 11,2 პროცენტს მიაღწია.** ეს 1995 წლიდან დღემდე მაქსიმალური მაჩვენებელია. 2011 წლის ივნისში კი ის 10 პროცენტს შეადგენდა. მიმდინარე წლის ივნისში ევროკავშირის ქვეყნებში 25 112 მილიონი უმუშევარი ირიცხებოდა. აქედან 17 801 მილიონი ევროზონაზე მოდის. მიმდინარე წლის მაისთან შედარებით, ივნისში ევროკავშირში დაუსაქმებელთა რაოდენობა 127 000-ით, ხოლო ევროზონაში 123 000-ით გაიზარდა.

**„ოპოზიციას, ალბათ, მასობრივი გამოსვლების იმედი აქვს, რადგან ივანიშვილმა მოახერხა ხალხის შეკრება თბილისსა თუ სხვა ქალაქებში. აქედან გამომდინარე, მას რჩება შთაბეჭდილება, რომ ხალხი მხარს უჭერს. ნორმალურ ქვეყანაში, გაყალბების გარეშე რომ ტარდებოდეს არჩევნები, ეს იქნებოდა კიდეც გარანტია იმისა, რომ ივანიშვილი 100%-ით მოიგებდა არჩევნებს. „ნაციონალური მოძრაობა“ კი, დარწმუნებული ვარ, 10%-საც ვერ მიიღებდა, მაგრამ საქართველოში სხვა ვითარებაა. ხალხი დაშინებულია და ამას არ ითვალისწინებს ივანიშვილი.“**

08.08.08

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ან ფედერაციულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. გარდა ამისა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ აფხაზებიც და ოსებიც დაჟინებით მოითხოვენ, საქართველოსთან იცხოვრონ ფედერალურ ან კონფედერალურ სახელმწიფოში. არადა, **იქაურ მოსახლეობაში უარყოფითი განწყობაა ქართველების მიმართ, ქართველი მათთვის მტერია. არ ვიცი რა დრო უნდა გავიდეს, ეს დამოკიდებულება რომ შეიცვალოს. 20 წელია, დავშორდით აფხაზებს და ოსებს და ეს მოხდა შევარდნაძის უტვინო პოლიტიკის შედეგად.** 1992 წელს ის რომ არ შევარდნილიყო აფხაზეთში, დღეს ყველაფერი კარგად იქნებოდა...

ახლა რომ ვიძახით, აფხაზები და ოსები ჩვენი ძმები არიანო, უფრო ადრე სჯობდა ამაზე გვეფიქრა. ცენტრსა და რეგიონს შორის მუდმივად იყო დაპირისპირება, რაც მე თავადაც განვიცადე თბილისსა და აჭარას შორის მძიმე ურთიერთობების პირობებში. მაგალითად, დამლაგებელს რომ ვერ დანიშნავს თავისი სურვილით, რანაირი ავტონომიის მეთაურია? როგორც აფხაზეთის, ისე „სამხრეთ ოსეთისთვის“ მეტი თავისუფლება უნდა მიგვეცა.

**— და თქვენ ფიქრობთ, რომ დღეს რუსეთი აძლევს მათ სრულ თავისუფლებას?**

— რა თქმა უნდა, რუსეთი მათ ფინანსურადაც ეხმარება. ისინი სრულ თავისუფლებას გრძნობენ, იმ დონეზეც კი, რომ სერიოზული უთანხმოებაც კი აქვთ მთელ რიგ საკითხებში, როგორიცაა მიწების ყიდვა-გაყიდვისა თუ საზღვრების საკითხი აფხაზებსა და რუსებს შორის. არ არის მთლად ისე, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, დაბეჩავებულად რომ მიაჩნიათ აფხაზები და ოსები. ასე რომ, დღეს ამ ტერიტორიების დაბრუნების შანსი ნულის ტოლია.

**— რუსეთის ხელისუფლება ხშირად აცხადებს, რომ საქართველოსადმი დამოკიდებულება სააკაშვილის ხელისუფლების წასვლასთან ერთად შეიცვლება. რამდენად რეალურია აღნიშნული განცხადება?**

— შეიძლება ხელისუფლება შეიცვალოს, მაგრამ საქართველოში ისეთ დონეზე არ შეიცვლება პოლიტიკური ვითარება, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის სერიოზული ლაპარაკი დაიწყოს. 20 წლის განმავლობაში საქართველოს არც ერთ ქვეყანასთან არც ერთი სერიოზული მოლაპარაკება არ უწარმოებია. სანამ ვიზიტი დაიგეგმება, წინასწარ უნდა მოხდეს მოსალაპარაკებელ საკითხთა შეთანხმება. **მიხეილ სააკაშვილი, მართალია, მატყუარა და გაიძვერაა, მაგრამ პრიმიტივი პოლიტიკოსია, რაც დამანგრეველია ქვეყნისთვის. ოპოზიციასაც იგივე პრობლემები აქვს.** გახსოვთ, ალბათ, კობა დავითაშვილი და ზვიად ძიძიგური ჟირინოვსკის რომ შეხვდნენ, ჟირინოვსკი ფეხზეც არ წამომდგარა და ხელიც არ ჩამოურთმევია მათთვის, ვინაიდან ასე არ ხდება შეხვედრების ორგანიზება. საერთაშორისო ურთიერთობებში თუნდაც პარტიის ლიდერთან წინასწარ უნდა დაიგეგმოს შეხვედრაც და განსახილველი საკითხებიც. დღეს ქართული დიპლომატია, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს.

ელემენტარულ მაგალითს გეტყვით: დიდი აჟიოტაჟი ატყდა საზოგადოებაში, როცა ირანმა საქართველოსთან უვიზო რეჟიმი დროებით შეაჩერა. არავინ დაინტერესებულა, რა მოხდა სინამდვილეში. ნებისმიერი სახელმწიფო, როცა ქვეყანაში ტარდება სერიოზული ღონისძიება, ცდილობს, შემომსვლელთა რაოდენობა შეზღუდოს. თეირანში ტარდება ისლამური ქვეყნების დიდი ღონისძიება, რომელსაც 50 ქვეყნის პრეზიდენტი უნდა დაესწროს. ტერორიზმით შეწუხებულ სამყაროში, უსაფრთხოების მიზნით, 5-დან 15 აგვისტომდეა ეს შეზღუდვები დაწესებული. საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელმაც ეს იცოდა ოფიციალურად, კეთილი უნდა ენება და ტელევიზიით განცხადება გაეკეთებინა. მათ კი მხოლოდ თავის ვებგვერდზე, რომელსაც არავინ კითხულობს, განათავსეს განცხადება. ამან ქართველებს სერიოზული დისკომფორტი შეუქმნა. იმდენად არასერიოზულია ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომ ასეთი პრიმიტიული ამბავიც კი ვერ გაითვალისწინა. ბევრი კი იჩემებს ჩვენთან დიპლომატობას, მაგრამ ჯერჯერობით არც პოლიტიკოსები გვყავს და არც დიპლომატები.



**«მიხეილ სააკაშვილი, მართალია, მატყუარა და გაიძვერაა, მაგრამ პრიმიტივი პოლიტიკოსია, რაც დამანგრეველია ქვეყნისთვის. ოპოზიციასაც იგივე პრობლემები აქვს»**



**«დარწმუნებული ვარ, აშშ მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩატარებულ არჩევნებს მხარს დაუჭერს. რაც იმას ნიშნავს, რომ მეორე ადგილზე გასული იძულებული იქნება, დათანხმდეს, რასაც მიიღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეამბოხე დასავლეთისთვის მიუღებელი აღმოჩნდება»**

**— ხიზრი ალდამოვმა საქართველო ტერორიზმის ხელშეწყობაში დაადანაშაულა. ვის ინტერესებს შეიძლება ახმოვანებდეს და რა პრობლემები შეიძლება შეუქმნას მისმა განცხადებებმა საქართველოს?**

— საქართველოს ეს არავითარ პრობლემებს არ შეუქმნის. მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება შეუქმნას პრობლემები ხელისუფლებას. **ხიზრი ალდამოვამდე ისეთმა სერიოზულმა ორგანიზაციამ, როგორიცაა რუსული ФСБ, არაერთხელ განაცხადა, რომ ტერორისტები საქართველოდან გადადიან ჩრდილოეთ კავკასიაში და საქართველოს ხელისუფლება ხელს უწყობს მათ საქმიანობასო, მაგრამ არავითარი რეაქცია ამ განცხადებასაც კი არ მოჰყოლია.**

შესაძლოა, ხიზრი ალდამოვს სურს, რუსეთის ხელისუფლების ყურადღება მიიქციოს. ვერ გეტყვით, ეს ამბავი სიმართლეა თუ არა, მაგრამ ის ფაქტი, რომ მან მაინც და მაინც ნუგზარ წიკლაური დაასახელა, საეჭვოა. როგორც ჩანს, მან დაასახელა ის პირები, რომლებიც ასე თუ ისე რაღაც პროცესებში მონაწილეობდნენ.

აღნიშნულ ინფორმაციას გამოძიება სჭირდება, მაგრამ როგორც ხელისუფლების, ისე „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმაც სასაცილოდ აიგდეს, ვინ არის ხიზრი ალდამოვიო. არადა, სერიოზული ბრალდებაა, რომელიც მთლად ტყუილზე აგებული ვერ იქნება, თუმცა რა მოტივები ამოძრავებს ხიზრი ალდამოვს, ჩემთვის რთული სათქმელია. ვერც იმას ვიტყვი, რომ რუსებმა წააქეზეს, მათ ეს, უბრალოდ, არ სჭირდებათ, ისედაც იციან, რა ხდება. ამ შემთხვევაში, **ისევ საზოგადოებას უნდა გამოეხატა გულისწყრომა და მოეთხოვა საქმის გამოძიება, მაგრამ საზოგადოებას არ აინტერესებს, რა ხდება. საზოგადოება დაშინებულია. ხელისუფლებამ მოახერხა ის, რომ ქართული საზოგადოება 8 წლის განმავლობაში აბსოლუტურად ზომბირებულია.** მას შია და მშიერ ადამიანს შეუძლია ხიზრი ალდამოვზე იფიქროს?



**— არჩევნებამდე ცოტა დრო რჩება. თუ ხელისუფლების წარმომადგენლების წინასაარჩევნო თამამ განცხადებებსა თუ NDI-სა და IRI-ის კვლევებს გავითვალისწინებთ, რომლებშიც „ნაციონალები“ ლიდერობენ, ეს ყველაფერი ნიშნავს თუ არა, რომ ხელისუფლება არსად წასვლას არ აპირებს და რა შანსი რჩება ოპოზიციას?**

— ალბათ, უყურეთ აჭარაში პრეზიდენტის სტუმრობას, სადაც მან საკუთარი გეგმების შესახებ ისაუბრა. აშკარად ჩანს, რომ ის არსად წასვლას არ აპირებს. **ოპოზიციას, ალბათ, მასობრივი გამოსვლების იმედი აქვს, რადგან ივანიშვილმა მოახერხა ხალხის შეკრება თბილისსა თუ სხვა ქალაქებში. აქედან გამომდინარე, მას რჩება შთაბეჭდილება, რომ ხალხი მხარს უჭერს. ნორმალურ ქვეყანაში, გაყალბების გარეშე რომ ტარდებოდეს არჩევნები, ეს იქნებოდა კიდეც გარანტია იმისა, რომ ივანიშვილი 100%-ით მოიგებდა არჩევნებს. „ნაციონალური მოძრაობა“ კი, დარწმუნებული ვარ, 10%-საც ვერ მიიღებდა, მაგრამ საქართველოში სხვა ვითარებაა — ხალხი დაშინებულია და ამას არ ითვალისწინებს ივანიშვილი.** დასაქმებულებს ეშინიათ, რომ სამუშაოს დაკარგავენ, ამიტომ, ხალხი გამოვა თუ არა ქუჩაში, ესეც საკითხავია და გასათვალისწინებელია ისიც, მიიღებს თუ არა ოპოზიციის პროტესტს დასავლეთი. დარწმუნებული ვარ, აშშ მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩატარებულ არჩევნებს მხარს დაუჭერს. რაც იმას ნიშნავს, რომ მეორე ადგილზე გასული იძულებული იქნება, დათანხმდეს, რასაც მიიღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეამბოხე დასავლეთისთვის მიუღებელი აღმოჩნდება.

**ხელისუფლება, როგორც მიჩვეულია, ძალისმიერ არჩევნებს ჩაატარებს და საკმარის ხმებსაც მიიღებს. ალბათ, „ქართული ოცნებაც“ შევა პარლამენტში, მაგრამ არა იმ რაოდენობით, რომ „ნაციონალების“ ხელისუფლებიდან განდევნა შეძლოს. მათ, უბრალოდ, მიეცემათ შანსი, იყვნენ პარლამენტში, ეს არის კიდეც ხიდაშელ-უსუფაშვილის და ყველა იმ ბედოვლათის ოცნება, რომლებიც ივანიშვილთან არიან შეყრილნი. ასე რომ, ეს არჩევნები დიდი გამოცდა იქნება ბიძინა ივანიშვილისთვის. რეალური ცვლილება იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნება“ მოიგებს არჩევნებს, რაც არ მოხდება. სააკაშვილი ასე იოლად არ შეეგუება დამარცხებას, ის ბოლომდე იბრძოლებს.**

**«რეალური ცვლილება იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ «ქართული ოცნება» მოიგებს არჩევნებს, რაც არ მოხდება. სააკაშვილი ასე იოლად არ შეეგუება დამარცხებას, ის ბოლომდე იბრძოლებს»**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

## ლონდონის მერი საბაგიროზე გაიჭედა

**ლონდონის მერი ბორის ჯონსონი პარკ ვიქტორიაში ოლიმპიადისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში საბაგირო გზის გამოცდის დროს ბაგირზე გაიჭედა. მერი ღონისძიებაზე სპეციალურად მიწვეული სტუმრის სტატუსით იმყოფებოდა.** 48 წლის ჯონსონი პარკში შეკრებილი ათასობით ინგლისელისა და ტურისტის წინაშე ეფექტურად უნდა გამოჩენილიყო და 320 მეტრის სიმაღლეზე გაჭიმული საბაგიროდან უნდა დაშვებულიყო, მაგრამ დაშვებისას ბაგირზე გადასაადგილებელი მექანიზმი გაიჭედა. შედეგად მერი ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა. შეკრებილმა ადამიანებმა მერს ფოტოები გადაუღეს და სოციალურ ქსელებში გაავრცელეს. მერმა ასეთ მდგომარეობაში ათი წუთი დაჰყო. მთელი ამ დროის განმავლობაში ის ხუმრობდა: „სადაა თოკი? მესროლეთ თოკი! რა არის, გენანებათ?“. რამდენიმე წუთის შემდეგ ტექნიკა ამუშავდა და მერი უსაფრთხოდ დაეშვა. მოგვიანებით ლონდონის მერის პრეს-სამსახურმა ოფიციალურ გვერდზე ასეთი განცხადება გაავრცელა: „საბედნიეროდ, მერი საბაგიროს ინციდენტის შემდეგ გადარჩა. სავარაუდოდ, ჟიურის წევრებმა არტისტიზმისთვის შეფასება შეუმცირეს, მაგრამ იგი „ოქროს“ არ ითხოვს“.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქართული ოცნება“ თითქოსდა ჩამოყალიბდა არსებული ხელისუფლების საპირწონედ, მან აიღო პასუხისმგებლობა, რომ ეს რეჟიმი გაუშვას მოუსავლეთში, თუმცა არის ერთი „მაგრამ“ — თავისი მოქმედებით „ქართული ოცნება“ ჩვენს რეგიონში ამზადებს სერიოზულ საფუძველს კრახისთვის. ღმერთო შეგცოდე, იმასაც ვფიქრობ, ხელისუფლებასთან ხომ არაა ფარულად გარიგებული და მეორე ადგილსაც ხომ არ დაყაბულდება-თქო.“**

# ზურაბ კვარაცხელია: სახალხო მოძრაობა «სამეგრელო» უპირობოდ და ბრმად მხარს არავის დაუჭერს

**საზოგადოების დიდმა ნაწილმა მშვენივრად უწყის, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს ცნობილი პოლიტოლოგის, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ინიციატივითა და ძალისხმევით დაფუძნდა სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“. ამ მოძრაობის მთავარ ამოცანად დღემდე რჩება ამ კუთხის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის განვითარება, მისი სახალხო მეურნეობის აღორძინება, ქვეყნის გამთლიანების პროცესში მისი პოტენციალის სრული გამოყენება. შევარდნაძისა და სააკაშვილის რეჟიმის პირობებში ამ პრობლემების მოგვარება შეუძლებელი გახდა, მაგრამ, ახალი ძალის მოსვლის შემთხვევაში, თუ როგორ იქნება ეს შესაძლებელი, თავის მოსაზრებას გვიზიარებს სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე ზურაბ კვარაცხელია.**



— კარგად მაქვს შეგნებული, რომ, თუ მომავალი ხელისუფლების 2/3 კვლავ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებითა და სატელიტი პარტიებით დაკომპლექტდა, ჩვენი საქმე წასულია. არ ვაჭარბებ, ასე თუ მოხდა, ჩვენს ქვეყანას ბედნიერი მომავალი არ უწერია. არადა, არსებული ხელისუფლების თითქოსდა საპირწონედ გამოჩენილი ძალა, ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნების“ სახით, რაღა დაგიმალოთ და დიდი ოპტიმიზმის საფუძველს აღარ მიტოვებს. არ ვიცი, რამდენად მოულოდნელი იყო სხვებისთვის ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა პოლიტიკაში, მაგრამ ჩემთვის ნამდვილად სიურპრიზი აღმოჩნდა. მოკლედ რომ გითხრათ, **ქვეყანაში ჩამოყალიბდა ორი პოლიტიკური პოლუსი და, რაც დრო გადის, სულ უფრო მიღრმავდება ეჭვი, რომ ამით ვიღაც არის დაინტერესებული და თანაც აქ კი არა, შორს — ოკეანის გაღმა.**

**— ბატონო ზურაბ, რა გაძლევთ ასეთი ეჭვის საფუძველს?**

— ამ სიტუაციაში, ბუნებრივია, პატრიოტი ადამიანი თუ ხარ, უნდა დაფიქრდე, ყველაფერი აწონ-დაწონო, იყო ობიექტური და სამართლიანი, ასეთ შემთხვევაში გაქვს უფლება, „მოყვარეს პირში უძრახე“ პრინციპით იმოქმედო და გულწრფელად გამოხატო საკუთარი პოზიცია. რაც შეეხება ჩემს ეჭვს, თუ ეს ასე არ არის, მაშინ **რატომ არის ბიძინა ივანიშვილის „ქართულ ოცნებაში“ ეროვნულ-პატრიოტული ძალების ძალიან დიდი დეფიციტი? სათოფეზე რატომ არ გაიკარა „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობამ ძალიან ბევრი პატრიოტი და ჭეშმარიტად ეროვნულ პოზიციაზე მდგომი ღირსეული მამულიშვილი? რატომ არის, რომ კოალიცია დაკომპლექტებულია ძირითადად დასავლურ-ლიბერალური ორიენტაციის მქონე პოლიტიკური ძალებით?** თუ ვინმე მეტყვის, რომ ეს დასავლეთისთვის, ამერიკისთვის სჭირდება, მაშინ მე მას ასე ვუპასუხებ: სწორედ ეს მაფიქრებინებს, რომ „ქართული ოცნებაც“, ჩვენდა სავალალოდ, ოკეანის გაღმიდან იქნება მართული. ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ამერიკიდან მართული პოლიტიკური სუბიექტის მიმართ მე ვერ ვიქნები ოპტიმისტურად და სიმპათიით განწყობილი. ცხადია, მაინტერესებს, თუ როგორ აპირებს ის ევროატლანტიკურ სრუქტურებში გაწევრიანებას და ამავე დროს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხის — რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის მოგვარებას.

**— ბატონ ბიძინა ივანიშვილისთვის თუ არის ცნობილი თქვენი მოძრაობის პოზიცია?**

— ვინაიდან მას ჰყავს პრესსამსახურიც და ანალიტიკური ჯგუფიც, წესით, უნდა იცოდეს. არაფერს ვამბობ ჩემ მიერ წინა თვეებში პრესისთვის მიცემულ ინტერვიუებზე, მაგრამ როგორ შეიძლება მან არ იცოდეს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრებები ეროვნულ-სახელმწიფოებრივ, საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ საკითხებზე. გამორიცხულია, ამის თაობაზე მას არაფერი სმენოდეს. ამას ვერ დავიჯერებ. გამორიცხულია, ამაზე კოალიციის სხვა ლიდერებმაც არ იცოდნენ არაფერი. საქმეც ისაა, რომ ყველაფერი იციან, მაგრამ ეს პოზიციაა მათთვის მიუღებელი. იმ დასავლეთს კი ჩვენი ბედკრული სამშობლოს ინტერესები, უკაცრავად და, სულ ცალ ფეხზე ჰკიდია. იმ დასავლეთის ინტერესშია, რომ ჩვენი სამშობლო რუსეთთან მუდმივად კონფლიქტისა და კონფრონტაციის რეჟიმში იყოს. ჰოდა, **უდიდესი ერისკაცის — ზვიად გამსახურდიას ძეგლის დამდგმელ ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრებებს „ქართული ოცნება“ როგორ გაიზიარებს, როცა თავის სახეებად, იდეოლოგებად ჰყავს ბერძენიშვილები და ზაქარეიშვილი?!** ის ზაქარეიშვილი, რომელიც ზვიად გამსახურდიას არადემოკრატს უწოდებს, გამსახურდიას, რომელსაც ტყვიას ესროდნენ, ის კი, ყვავილები ვესროლოთო, ამბობდა. ზაქარეიშილი ცინიკურად აცხადებს, რესპუბლიკური პარტია ჰყველაზე ერთგული იყო ზვიად გამსახურდიასიო. **მინდა შევახსენო ზაქარეიშვილს და მის თანამოაზრეებს: რაც თქვენ თავის დროზე გაუკეთეთ ზვიად გამსახურდიასა და საქართველოს, ერთგულება კი არა, ორგულობა და ღალატი ჰქვია.** არ მინდა „ქართული ოცნების“ კიდევ ერთი სახე **დავით ზურაბიშვილი** გამომრჩეს, რომელსაც, როგორ ჩანს, ასევე არ ეზარება ზვიად გამსახურდიას განქიქება. ზაქარეიშვილიც და ზურაბიშვილიც, ჩემდა სამწუხაროდ, ბერძენიშვილებზე წესიერი ხალხი მეგონა, მაგრამ ჩემს მიამიტობას რა ვუთხარი, თორემ წესიერიც იყო და საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წევრიც — ეს ხომ სრული ნონსესია.

**— ბატონო ზურაბ, თქვენ, როგორც სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ წარმომადგენელი, როგორ შეაფასებთ წინასაარჩევნო პროცესს სამეგრელოში და რას ურჩევთ კოალიცია „ქართულ ოცნებას“?**

— მე ახლა ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოვთქვი კოალიციის მისამართით, მაგრამ **შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მისი ხელისუფლებაში შესაძლო მოსვლის შემდეგ ის არსებულ ხელისუფლებაზე უარესი გამოდგება. გულწრფელად ვარ დაინტერესებული, რომ ეს რეჟიმი დამთავრდეს და ქვეყანას მიეცეს გადარჩენის შანსი. ამ თვალსაზრისით, კოალიციის ხელისუფლებაში ყოფნა ნამდვილად არ იქნება უფსკრულისკენ გადადგმული ნაბიჯი. „ქართული ოცნება“ თითქოსდა ჩამოყალიბდა არსებული ხელისუფლების საპირწონედ, მან აიღო პასუხისმგებლობა, რომ ეს რეჟიმი გაუშვას მოუსავლეთში, თუმცა არის ერთი „მაგრამ“ — თავისი მოქმედებით „ქართული ოცნება“ ჩვენს რეგიონში ამზადებს სერიოზულ საფუძველს კრახისთვის. ღმერთო შეგცოდე, იმასაც ვფიქრობ, ხელისუფლებასთან ხომ არაა ფარულად გარიგებული და მეორე ადგილსაც ხომ არ დაყაბულდება-თქო.** არ ვიცი. ეს ეჭვი ნამდვილად არ არის უსაფუძვლო და მერე, ალბათ, იტყვიან, აი მეგრელებმა არ მოგვცეს ხმა, თორემ ხომ გავიდოდით პირველ ადგილზეო. მითუმეტეს, რომ გია ბურჯანაძისნაირი ვაიერისკაცები საამისოდ უკვე ამზადებენ საფუძველს. აქვე უპრიანია, შევახსენო მათ, სანამ მეგრელებს პრეტენზიებს წაუყენებენ: ხომ არ აჯობებს, ჩემი მრავალტანჯული კუთხის მოსახლეობის ჭირ-ვარამიც გულწრფელად გაიზიარონ, მათთანაც იყვნენ ჭირშიც და ლხინშიც, დარშიც და ავდარშიც. მინდა შევახსენო მათ, რომ სტიქიური უბედურება სამეგრელოს მოსახლეობისთვისაც უბედურებაა...

**— ასეთ სიტუაციაში როგორ მოიქცევა სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“?**

— **არავის ეგონოს, რომ ჩვენს მოძრაობას გავლენა მარტო სამეგრელოში აქვს, ჩვენი პოზიციები ცნობილი, მისაღები და ანგარიშგასაწევია ეროვნულ-პატრიოტული ძალებისთვის მთელ ქვეყანაში. ჩვენ მხარს დავუჭერთ ყველა იმ ოპოზიციურ ძალას, რომლებსაც შეუძლიათ ამ რეჟიმისათვის რეალური კონკურენციის გაწევა და ძალუძთ ხალხს რეალურად შესთავაზონ ალტერნატიული, მისაღები პოლიტიკა.** აქვე, მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ორგანიზაცია არ არის პოლიტიკური და შესაბამისად ჩვენს წევრებს არ ვავალდებულებთ, ამა თუ იმ პოლიტიკური საკითხის მიმდევრები იყვნენ, ამდენად მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ **სამეგრელოს რეგიონში და სხვაგანაც, მხარს დავუჭერთ იმ მაჟორიტარ კანდიდატებს, რომლებიც ჩვენი ნდობით სარგებლობენ.** სამწუხაროდ, ისიც უნდა ვთქვა, რომ „ოცნების“ მიერ საქართველოს რაიონებში წამოყენებული მაჟორიტარი კანდიდატები ბევრ არასასიამოვნო კითხვას ბადებენ და, მსუბუქად რომ ვთქვათ, გაუგებარია, თუ რა ნიშნით შეარჩია კოალიციის ხელმძღვანელობამ ბევრი მათგანი. გამონაკლისი ამ მხრივ არც სამეგრელოა. მაგალითად, ამასწინათ წალენჯიხაში გახლდით და იქ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები ცდილობდნენ, ჩემგან გაეგოთ რამე „ქართული ოცნების“ მიერ მათ რაიონში დასახელებული დეპუტატობის კანდიდატის შესახებ. ასე რომ, ჩვენი მოძრაობა, როგორც უკვე აღვნიშნე, როგორც სამეგრელოში, ასევე სხვა რეგიონებში, მხარს დაუჭერს მხოლოდ იმ კანდიდატებს, რომლებიც ხალხის ნდობას იმსახურებენ. ყველას აქვს უფლება, არჩევანი თვითონვე გააკეთოს, მაგრამ არავის აქვს უპასუხისმგებლობის უფლება და ამიტომაც **ვფიქრობ, რომ ჩვენმა თანამემამულეებმა მხარი არავითარ შემთხვევაში არ დაუჭირონ: „ნაციონალურ მოძრაობას“, „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“, ეროვნულ- დემოკრატიულ პარტიას, „ახალ მემარჯვენეებს“, „ევროპელ დემოკრატებს“ და მათ მონათესავე პარტიებს. იყვნენ ფხიზლად და არ დაუშვან საბედისწერო შეცდომა, მომავალ არჩევნებში აირჩიონ ის პარტიები და ის კანდიდატები, რომლებიც იქნებიან მათი ინტერესების ჭეშმარიტი დამცველები, რომლებიც იქნებიან ჩვენი კუთხის და სრულიად საქართველოს ინტერესების გამომხატველნი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.**

ესაუბრა **ლადო ქირია**,
ზუგდიდი

**«ქვეყანაში ჩამოყალიბდა ორი პოლიტიკური პოლუსი და, რაც დრო გადის, სულ უფრო მიღრმავდება ეჭვი, რომ ამით ვიღაც არის დაინტერესებული და თანაც აქ კი არა, შორს — ოკეანის გაღმა»**

**უდიდესი ერისკაცის — ზვიად გამსახურდიას ძეგლის დამდგმელ ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრებებს «ქართული ოცნება» როგორ გაიზიარებს, როცა თავის სახეებად, იდეოლოგებად ჰყავს ბერძენიშვილები და ზაქარეიშვილი?!**

**P.S.** ზუგდიდში ჩასახლებული დევნილები, დიდი ხანია, ითხოვენ აქტიურად ჩაერთონ წინასაარჩევნო კამპანიაში „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. მათ მიმართეს ცნობილ ნეიროქირურგს, სოხუმის მკვიდრს, ამჟამად ზუგდიდში მცხოვრებ ნაპო მესხიას და ისიც მზადაა, უხელმძღვანელოს დევნილებს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ჯერჯერობით „ქართული ოცნებიდან“ არანაირი გამოხმაურება არ ჩანს.

„ყველგან ერთი და იგივე მდგომარეობაა — გაუსაძლისი პირობები, უჰაერობა, უხარისხო საკვები, რომლის შემოწმებაც საერთოდ არ ხდება, გადატვირთულობა, სამედიცინო მომსახურების არაეფექტიანობა და ა. შ. ამასთან, ციხის ადმინისტრაცია მსჯავრდებულებს ეპყრობა ისე, რომ პატიმართა აბსოლუტური უმრავლესობა განადგურებულია მორალურად და ფსიქოლოგიურად. ამ ხალხს უკვე დაკარგული აქვს ყველაფრის რწმენა, ბევრს აღარც კი უნდა იქიდან ცოცხლად გამოსვლა, ისეთი უბედურებები დამართეს...“

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ნანა კაკაბაძე: ციხე გადაიქცა ადგილად, სადაც მიმდინარეობს ქართველი ერის ფარული გენოციდი

**ციხეებში არსებულ მდგომარეობასა და ბოლო დროს განვითარებულ სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ცნობილი უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**

**— ქალბატონო ნანა, გასულ კვირას გლდანის №8 დაწესებულებაში პატიმარი გეგიკ ელიბეგოვი გარდაიცვალა. ადვოკატები და უფლებადამცველები სულ იმაზე საუბრობთ, რომ ციხეებში გაუსაძლისი პირობებია. ამჯერად რა გახდა მსჯავრდებულის გარდაცვალების მიზეზი?**

— არაფერი განსხვავებული და განსაკუთრებული ამ შემთხვევაში არ მომხდარა, სამწუხაროდ, ჩვენს სასჯელაღსრულების სისტემაში ასეთი შემთხვევები უკვე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა და, ფაქტობრივად, არავის უკვირს, როცა მსჯავრდებული კვდება, მისი სიკვდილის მიზეზი კი გაურკვეველია. მეტიც, ჩვენ ერთი პერიოდი დავინტერესდით, ძირითადად რა იყო პატიმართა გარდაცვალების მიზეზი. აღმოჩნდა, რომ **მარტო ერთი კვირის განმავლობაში ოთხი ადამიანი გამოასვენეს საქართველოს ციხეებიდან. ჩვენისთანა მცირერიცხოვანი მოსახლეობისთვის ეს არის იმდენად მაღალი, კატასტროფული მაჩვენებელი, რომ ხელისუფლება ახლა, წესით, 24-საათიან რეჟიმში უნდა მუშაობდეს მდგომარეობის გამოსასწორებლად.** ამის ნაცვლად სასჯელაღსრულების სამინისტრო თითოეულ ფაქტზე, თითოეულ შემთხვევაზე მაქსიმალურად ცდილობს, შექმნას ინფორმაციული ვაკუუმი, რათა სიმართლე არ მივიდეს ფართო საზოგადოებამდე; ხალხმა რეალურად არ იცის, რა ხდება დღეს საპყრობილეებში; ციხე, ფაქტობრივად, გადაქცეულია ადგილად, სადაც მიმდინარეობს ქართველი ერის ფარული გენოციდი...

**— სასჯელაღსრულების სამინისტრო არ მალავს, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში დღემდე უამრავი პრობლემაა გადაუჭრელი. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, კონკრეტულად რომელ საპყრობილეებშია ყველაზე ცუდი პირობები?**

— 18 მოქმედი ციხეა დღეს საქართველოში და სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ არც ერთ მათგანში საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული სტანდარტები დაცული არ არის. ამასწინათ ჩვენ მოვიარეთ რეგიონები, ვიყავით ქვიშხეთში, საგარეჯოში, რუსთავში, თავისთავად თბილისის საპყრობილეებშიც. **ყველგან ერთი და იგივე მდგომარეობაა — გაუსაძლისი პირობები, უჰაერობა, უხარისხო საკვები, რომელსაც საერთოდ არ ამოწმებენ, გადატვირთულობა, სამედიცინო მომსახურების არაეფექტიანობა და ა. შ. ამასთან, ციხის ადმინისტრაცია მსჯავრდებულებს ეპყრობა ისე, რომ პატიმართა აბსოლუტური უმრავლესობა განადგურებულია მორალურად და ფსიქოლოგიურად. ამ ხალხს უკვე დაკარგული აქვს ყველაფრის რწმენა, ბევრს აღარც კი უნდა იქიდან ცოცხლად გამოსვლა, ისეთი უბედურებები დამართეს...**

**— გეგიკ ელიბეგოვის სიკვდილის მიზეზად სასჯელაღსრულების სამინისტრომ ინფარქტი დაასახელა. რამდენად სარწმუნოდ მიგაჩნიათ ეს დიაგნოზი?**

— სასჯელაღსრულების სამინისტრო, როგორც სჩვევია ხოლმე ქალბატონი კალმახელიძის უწყებას, ალბათ, არც გაავრცელებდა ამ განცხადებას და საერთოდ გაასაიდუმლოებდა პატიმრის გარდაცვალებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს უბრალოდ არ გამოდიოდა, ვინაიდან მსჯავრდებულის ძმა არის „ქართული ოცნების“ წევრი, ანუ ფაქტი ადრე თუ გვიან მაინც გახდებოდა ცნობილი და ამათ დაასწრეს. რაც შეეხება გარდაცვალების მიზეზს, დარწმუნებული ვარ, არანაირი გულის შეტევა მას არ ჰქონია. ეს არის სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ შეთხზული ზღაპარი, მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, დამნაშავე მაინც არის ციხის ადმინისტრაცია; როცა მსჯავრდებულს აქვს ჯანმრთელობის ასეთი სერიოზული პრობლემა, ადმინისტრაცია ელემენტარულად ვალდებულია, იზრუნოს იმაზე, რომ ადამიანს მკურნალობა ჩაუტარდეს დროულად. **დღეს არა თუ მკურნალობის საშუალება არაა ციხეებში, ჯანმრთელი რომ შედის მსჯავრდებული საკანში, იქიდან გამოსულს უკვე ათასი დაავადება და ინფექცია აქვს, თუ საერთოდ გამოაღწია ცოცხალმა...**

**— ეს მდგომარეობა რამდენად ადეკვატურად აისახება ოფიციალურ სტატისტიკაში?**

— ოფიციალური მონაცემებით, 142 პატიმარია ერთი წლის განმავლობაში გარდაცვლილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველ 2-3 დღეში ერთი მსჯავრდებული იღუპება. სამწუხაროდ, სხვა მონაცემი ამ ეტაპზე ჩვენ არ გვაქვს, ვინაიდან, მოგეხსენებათ, დიდი ხანია, უფლებადამცველებს ციხეებში მონიტორინგის საშუალება არ გვეძლევა. თუმცა თვითონ მსჯავრდებულები ყვებიან, რომ თურმე დღე არ გავა, საკნიდან მიცვალებული არ გამოასვენონ. ანუ იმის თქმა მინდა, რომ რეალურად, ალბათ, გაცილებით უფრო ხშირია საპატიმროებში სიკვდილიანობა, ვიდრე ოფიციალურ სტატისტიკაშია ასახული, მაგრამ, ვიმეორებ, **სასჯელაღსრულების დაწესებულებები დღეს, ფაქტობრივად, არის დახურული** (ერთადერთი სახალხო დამცველი თუ შევა იქ) **და შესაბამისად ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მაქსიმალურად შეზღუდულია**. ის კი არა, ამ ბოლო დროს თვითონ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრებიც ვერ იგებენ, რა მდგომარეობაში არიან პატიმრები. არჩევნების მოახლოებასთან ერთად იმდენად გამკაცრებულია კონტროლი, რომ ციხიდან, ფაქტობრივად, შეუძლებელია რამე ინფორმაციის გამოტანა.

**— როცა მსჯავრდებულ ელიბეგოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ინფორმაცია გავრცელდა, ომბუდსმენის აპარატმა თავის ვებ-გვერდზე განცხადება განათავსა, გამოძიება ხვალიდან დაიწყებაო. როგორ ფიქრობთ, ასეთ ფაქტებზე უფრო სწრაფად და ოპერატიულად არ უნდა რეაგირებდეს სახალხო დამცველი?**

— რა თქმა უნდა. მეტსაც გეტყვით, **ეს ინსტიტუტი რომ ნორმალურად მუშაობდეს, იმის მეათედი არ იქნებოდა წამებისა და თუნდაც სიკვდილიანობის შემთხვევები ციხეებში, რაც დღესაა, მაგრამ, ფაქტობრივად, არაფერს არ აკეთებს ომბუდსმენი და ამის შედეგია ეს ყველაფერი.**

**— არაფრის კეთებაში კერძოდ რას გულისხმობთ, რა შეუძლია და რას არიდებს თავს სახალხო დამცველი?**

— არ გამოაქვს ციხიდან ინფორმაციები, არ აძლევს სწორ კვალიფიკაციას იქ არსებულ მდგომარეობას და ა. შ. ასე რომ არ იყოს, ამ ადამიანს ხელი მიუწვდება ყველაფერზე, რაც ჩვენთვის, დამოუკიდებელი ადვოკატებისთვის, უფლებადამცველებისთვის დახურულია. წესით, ის ყოველდღიურ რეჟიმში ზღვა მასალას უნდა აწვდიდეს საერთაშორისო ორგანიზაციებს. კი, იყო რამდენიმე ანგარიში, რომელიც მან გამოაქვეყნა და ამ ანგარიშებში მთელი რიგი საკითხებისა საკმაოდ მწვავედ იყო განხილული, მაგრამ ჯამში მის მიერ მომზადებული არც ერთი დოკუმენტი არ ასახავდა იმ რეალობას, რაც სინამდვილეშია. ამიტომაც ვამბობ ყველგან, სადაც კი ამის საშუალება მომეცემა, რომ **დღესდღეობით საქართველოს სახალხო დამცველი არ ჰყავს. ეს, რაც გვაქვს, არის ისეთივე მოჩვენებითი და ფასადური სტრუქტურა, როგორც ამ ხელისუფლების მიერ შექმნილი ყველა სხვა ინსტიტუტები.**

**— მოკლედ, მიგაჩნიათ, რომ სახალხო დამცველი ხელისუფლების მითითებებით მოქმედებს?**

— რა თქმა უნდა. თავიდანვე ცხადი იყო, რა მიზნით დაინიშნა ეს ადამიანი სახალხო დამცველად. გახსოვთ, ალბათ, რა მოწადინებულები იყვნენ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები, რომ ის გასულიყო ამ თანამდებობაზე; **ტუღუშის მოსვლით ხელისუფლებამ ფაქტობრივად დაისვენა, იმიტომ, რომ ახლა სააკაშვილის რეჟიმმა იცის, რაც უნდა მოხდეს საპყრობილეებში, თუნდაც ყოველდღიურად ათობით და ასობით პატიმარი აწამონ, არსად ეს ამბავი არ გაჟონავს. მაქსიმუმ, რაც შეიძლება ომბუდსმენმა გააკეთოს, არის ის, რომ დაწერს დასკვნას და წაიკითხავს პარლამენტში. იქნება კამათი, ვითომ დახოცავენ ერთმანეთს სიტყვიერად და მორჩა. საქმით ის ხელისუფლებას პრობლემებს არ შეუქმნის...**

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მეორე მხრივ, იმის ფონზე, როცა არსებობს უამრავი ბრალდება, რომელთაც საზოგადოება მმართველ გუნდს უყენებს, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ უნდა დადგეს თუ არა კონკრეტულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი?**

— როცა ლაპარაკია იმაზე, რომ უნდა შეიქმნას ობიექტური და მიუკერძოებელი სასამართლო, რომ უნდა დაფუძნდეს რაც შეიძლება მეტი დემოკრატიული ინსტიტუტი და სახელმწიფო უნდა გახდეს ჭეშმარიტად სამართლებრივი, არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ამ ყველაფრის მიღწევა შეუძლებელია, სანამ ქვეყანაში თუნდაც ერთი დამნაშავე იქნება დაუსჯელი. ყველამ, ვისაც ჩადენილი აქვს დანაშაული, ვინც რაიმე ფორმით ჩართული იყო ხელისუფლების უკანონო ქმედებებში, რასაკვირველია, პასუხი უნდა აგოს. ეს ეხება როგორც რიგით მოხელეს, ასევე მაღალი თანამდებობის პირს, იმიტომ, რომ კანონი ერთი უნდა იყოს ყველასთვის. ესაა დემოკრატიის უმთავრესი პრინციპი და აქსიომა, რაც დღესდღეობით არ არსებობს საქართველოში...

**— რიგითი მოხელეების დასჯა ახსენეთ და როგორ წარმოგიდგენიათ ეს პროცესი, ისინი ხომ უბრალოდ კანონს ემსახურებიან?**

— კანონი ყოველთვის არ არის კანონი და ყოველთვის არაა სწორი მისი შესრულება. მთავარია პრინციპი, რომ ის უნდა ეფუძნებოდეს თანასწორობას და სამართლიანობას. გახსოვთ, ალბათ, ისტორიიდან, ნიურნბერგის პროცესი რომ ჩატარდა, საბრალდებო სკამზე მჯდომი ნაცისტები, რომლებსაც, მოგეხსენებათ, უმძიმესი დანაშაულები ჰქონდათ ჩადენილი მთელი კაცობრიობის წინაშე, იძახდნენ, ჩვენ რა დავაშავეთ, კანონს ვემსახურებოდითო. საქმეც ისაა, რომ ის კანონი იყო უსამართლო და მისი მსახურება ნიშნავდა სწორედ დანაშაულს. **სააკაშვილის რეჟიმმა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში შექმნა ისეთი კანონმდებლობა, რომელიც რეალურად მორგებულია ერთი ადამიანის პოლიტიკურ ინტერესებს. ამიტომ ყველა — რიგითი სამართალდამცავი იქნება ეს თუ მაღალჩინოსანი, რომელიც განუხრელად იცავს ამ უსამართლო კანონებს, თავისთავად უკვე სჩადის დანაშაულს და, რა თქმა უნდა, დაუსჯელი არ უნდა დარჩეს.** სხვანაირად, რამდენი ხანიც უნდა გავიდეს, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაზე საუბარიც ზედმეტია.

**— რადგან უკვე არჩევნების თარიღი ცნობილია, დასასრულს ამაზეც გკითხავთ. ორ თვეზე ნაკლები დრო რჩება გადამწყვეტ მომენტამდე, რა მოლოდინი გაქვთ და მოცემული პოლიტიკური ვითარება გაძლევთ თუ არა იმის თქმის საფუძველს, რომ ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით შესაძლებელია?**

— საერთოდ ოპტიმისტი ვარ და იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება შეიცვლება. ყოველ შემთხვევაში, მინდა, რომ ასე მჯეროდეს...

**— არჩევნების გზით?**

— ამ ეტაპზე ეს უნდა ვცადოთ არჩევნებით და, თუ გაგვიყალბებენ, რისი ალბათობაც რეალურად ძალიან დიდია, შემდგომ ამას რა რეაქცია უნდა მოჰყვეს მოსახლეობისგან, ეს უკვე ხალხის გადასაწყვეტია. მე ერთი რამ მჯერა, თუ ხელისუფლება საზოგადოებას არ დაუტოვებს იმის საშუალებას, რომ ქვეყანაში ცვლილებები მოხდეს ცივილიზებულად, არჩევნების გზით, მაშინ უკვე ხალხი გამოიყენებს ასევე კანონით მინიჭებულ სხვა უფლებებს.

**— რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ, თუ ადამიანს არ ექნება საშუალება, რეალურად თვითონ აირჩიოს ხელისუფლება, მაშინ ის პროტესტის სხვა ფორმას მიმართავს. ეს შესაძლოა იყოს ამბოხი, აჯანყება, დაუმორჩილებლობა და ა. შ., ერთი სიტყვით, ის, რასაც ხალხი ჩათვლის საჭიროდ. მე არ მინდა დავიჯერო, რომ პროცესები ამ მიმართულებით შეიძლება განვითარდეს, მაგრამ დღესდღეობით რასაც ვხედავთ, სააკაშვილის რეჟიმის სახით, სამწუხაროდ, სწორედ ამაზე მიანიშნებს; თავის მხრივ, **გარკვეულწილად ხელისუფლებასაც ხელს აძლევს ასეთი სცენარი, იმიტომ, რომ, თუ საზოგადოება წავა ღია დაპირისპირებაზე, მას უკვე ძალის გამოყენების საფუძველი ექნება. დარწმუნებული ვარ, „ნაცმოძრაობაში“ ამ ვარიანტზე აქტიურად მუშაობენ და ემზადებიან, ამიტომ ოპოზიციის ის ნაწილიც, რომელიც მართლა აპირებს, ბოლომდე დაუპირისპირდეს ხელისუფლებას, ასევე უნდა მოემზადოს ამ ყველაფრისთვის.** სხვანაირად ოპოზიციის მოქმედების არეალი შეიზღუდება და ბრძოლა იქნება ერთიორად უფრო რთული, ვინაიდან, რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები და პოლიტიკური პროცესები შევა კულმინაციურ ფაზაში, დარწმუნებული ვარ, რეჟიმი ათჯერ-ოცჯერ უფრო გამკაცრდება.

> **«სახალხო დამცველი რომ თავის საქმეს აკეთებდეს, ამის მეათედი სიკვდილიანობა არ იქნებოდა საპყრობილეებში»**

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენი ინფორმაციით, ავღანეთიდან გამოიქცა და კავკასიაში შემოვიდა რამდენიმე ათეული მოჯაჰედი. ვიცით, რომ რამდენიმემ თავი პანკისის ხეობას შეაფარა და ურთიერთობა აქვთ არაბ ტერორისტ ხატაბთან. მას, თავის მხრივ, კავშირი აქვს უსამა ბინ ლადენთან. პანკისის ხეობა საქართველოსთვის ძალიან საშიში ადგილია, განსაკუთრებით კრიმინალური კუთხით, თუმცა პანკისის ხეობაში მყოფ კრიმინალებს საქართველოს პოლიტიკურ ძალებთანაც აქვთ კავშირი.“**

## იაპონიაში მანიაკი-მოძალადე სიკვდილით დასაჯეს

**იაპონიაში მანიაკი-მოძალადე და ქურდი-მკვლელი სიკვდილით დასაჯეს. ინფორმაციას ამის შესახებ იაპონიის იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს.** მათივე ინფორმაციით, სულ მიმდინარე წლის განმავლობაში ქვეყანაში სიკვდილით დასჯილია 5 ადამიანი, მანამდე 20 თვის განმავლობაში სიკვდილით დასჯის ფაქტები არ დაფიქსირებულა. ერთ-ერთი იმ ადამიანთაგან, რომელიც სიკვდილით დასაჯეს, 40 წლის მამაკაცია. 2002 წელს მან გაიტაცა და გააუპატიურა 19 წლის სტუდენტი გოგონა, რომელიც შემდეგ ცოცხლად დაწვა. მეორე ადამიანი, რომელიც ჩამოახრჩეს, 31 წლის მამაკაცია, რომელმაც 2007 წელს ფულის გულისათვის თავისი ორი ნათესავი მოკლა. იაპონია და აშშ მსოფლიოში ის განვითარებული სახელმწიფოები არიან, რომლებიც სიკვდილით დასჯას იყენებენ. იაპონიისათვის ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ სიკვდილით დასჯის მეთოდთან დაბრუნებას ქვეყნის იუსტიციის მინისტრი ტოსიო ოგავა საზოგადოებრივი აზრით ხსნის.

## ჰოლანდიის მკვიდრმა ნოეს კიდობნის ზუსტი ასლი ააგო

ჰოლანდიის მკვიდრმა იოჰან ჰუბერსმა ბიბლიური პერსონაჟის — ნოეს კიდობნის ზუსტი ანალოგი ააგო. გიგანტური ხომალდი ბიბლიაში აღწერილი კიდობნის მიხედვით აშენდა. ჰოლანდიელს კიდობნის მშენებლობა 1.6 მილიონი დოლარი დაუჯდა. ბიბლიის თანახმად, ნოეს კიდობანი სიგრძეში 133.5 მეტრი იყო, მისი სიგანე 22.25 მეტრს შეადგენდა, სიმაღლე კი — 13.35 მეტრს. წმინდა წიგნის მიხედვით, ნოემ კიდობანი, ღვთის ბრძანებით, წარღვნისგან ადამიანების, ცხოველებისა და ფრინველების ყველა სახეობის გადასარჩენად ააგო. ხომალდზე იოჰანმა სიმბოლურად სხვადასხვა ცხოველის ფიტულები განათავსა. ჰოლანდიელი ზაფხულის ოლიმპიადის დაწყებამდე ლონდონში საკუთარი კიდობნით ჩასვლას აპირებდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, ხომალდი უსაფრთხოების სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს და მგზავრობისთვის მისი გამოყენება სახიფათოა.

# «ბარაქალა», მიხეილ!

**ჩეჩენი სეპარატისტების ყოფილი წარმომადგენელი საქართველოში ხიზრი ალდამოვი პრაქტიკულად ყოველდღე მასმედიის სხვადასხვა საშუალებებთან საუბარში სააკაშვილის ხელისუფლებას რუსეთის ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების ორგანიზებაში ადანაშაულებს. ქართული მხარე ამ ბრალდებებს რუსეთის სპეცსამსახურების მიერ შეთითხნილს უწოდებს და დასძენს, რომ ისინი საქართველოში რუსული ჯარების შეჭრის გამართლებას ემსახურებიან. გაუგებრობას ამ სიტუაციას ის მატებს, რომ ალდამოვი არ აქვეყნებს არანაირ დოკუმენტურ მამხილებელ მასალას და მხოლოდ ზეპირი ბრალდებებით შემოიფარგლება.**



### განხეთქილების ხეობა

ჩეჩნური კრიზისის პირველ ეტაპზე ელცინის ხელისუფლებას საინფორმაციო ფრონტზე სერიოზული პრობლემები ჰქონდა. მას უჭირდა რუსული საზოგადოებისთვის და გარესამყაროსთვის იმის ახსნა, რას და რატომ აკეთებს ჩეჩნეთში; ომი ძალზე არაპოპულარული იყო, სიმპათია სეპარატისტების მიმართ დასავლეთში იზრდებოდა. 1995 წლის მაისში რუსეთის მთავრობის სპეციალურმა საინფორმაციო-ანალიტიკურმა კომისიამ მოამზადა დოკუმენტი **„ჩეჩნური კრიზისის მითოლოგია, როგორც რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების ინდიკატორი“.** მასში აღნიშნული იყო, რომ **საჭიროა „კრიზისის კონკურენტუნარიანი საინფორმაციო მოდელის შექმნა“, ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც დასავლეთის ლიდერებს უბიძგებდა, კონფლიქტის ორ მხარეს შორის ბუნებრივ მოკავშირედ მოსკოვი აღექვა.**

სასურველი მდგომარეობის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი საშუალება იყო მსოფლიოს დაენახა რომ მოწინააღმდეგე არის საერთაშორისო ტერორისტული შეთქმულების მონაწილე, რადიკალური კაცთმოძულე ისლამიზმის მატარებელიც, რომელიც დასავლური ცივილიზაციის დაუძინებელ მტერია. 1999 წლისთვის მოხდა პრინციპული გარდატეხა რუსეთის შიგნით; მოსკოვსა და სხვა ქალაქებში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების აფეთქების, დაღესტანში ბასაევისა და ხატაბის შეჭრის შემდეგ, რუსული საზოგადოება პრაქტიკულად სრული შემადგენლობით გვერდით დაუდგა ხელისუფლებას და მხარი დაუჭირა ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყებას, რომლის ოფიციალური სახელწოდება „კონტრტერორისტული ოპერაცია“ იყო.

**დამოკიდებულება ჩეჩნეთში განვითარებული მოვლენების მიმართ დასავლეთში შედარებით ნელა იცვლებოდა. გარდატეხა 11 სექტემბრის ტერაქტის და აშშ-ის მიერ გლობალური ანტიტერორისტული კამპანიის დაწყების შემდეგ მოხდა, მოსკოვისთვის თავისი არგუმენტების გამყარება გაცილებით იოლი გახდა.** საეტაპო მოვლენად ასევე უნდა ჩავთვალოთ 2007 წლის ოქტომბერში დოკუ უმაროვის მიერ „კავკასიის იმარათის“ შექმნა, რომელიც აშკარად ტერორისტულ მეთოდებს იყენებდა და მხოლოდ კრემლს როდი უპირისპირდებოდა. **„ჩვენი მტერია არა მხოლოდ რუსეთი, არამედ ამერიკა, ინგლისი, ისრაელი — ყველა, ვინც აწარმოებს ომს ისლამისა და მუსლიმების წინააღმდეგ“, — ნათქვამი იყო უმაროვის დეკლარაციაში.** ჩეჩენი სეპარატისტების ერთ-ერთმა ლიდერმა აჰმედ ზაკაევმა თქვა, რომ ამ დეკლარაციას **„ჩეჩენი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საერთაშორისო ტერორიზმის ჭრილში გადაჰყავს, რასაც ჩეჩენი ხალხის ინტერესებთან და ისლამურ ღირებულებებთან საერთო არაფერი აქვს“. ზაკაევმა, როგორც ჩანს, კარგად გაანალიზა ვითარება და მივიდა დასკვნამდე, რომ უმაროვმა თავისი მოქმედებით მნიშვნელოვნად გააადვილა კრემლს იმ საინფორმაციო და პოლიტიკური მიზნების მიღწევა, რომელიც 1995-ში დაისახა.**

მოსკოვი პანკისის ხეობას ჩრდილოკავკასიელ ტერორისტებსა და მათ უცხოელ სპონსორებს შორის დამაკავშირებელი რგოლის როლს ანიჭებდა, შევარდნაძის ხელისუფლება პანკისში ცალკეული პრობლემების არსებობას აღიარებდა, თუმცა ეწინააღმდეგებოდა ხეობის წარმოჩენას ჩეჩენი ბოევიკების საყრდენ ბაზად, მითუმეტეს — საერთაშორისო ტერორისტების ბუდედ და მტკიცე უარს ეუბნებოდა რუსეთის ხელისუფლებას იქ ერთობლივი ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებაზე. შექმნილი ვითარებით ვაშინგტონმა ისარგებლა, მან, ერთის მხრივ, პრაქტიკულად გაიზიარა მოსკოვის არგუმენტები პანკისში ტერირისტების ყოფნის თაობაზე; **2002 წლის თებერვალში საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეების შემსრულებელმა ფილიპ რამლერმა** შემდეგი განცხადება გააკეთა: **„ჩვენი ინფორმაციით, ავღანეთიდან გამოიქცა და კავკასიაში შემოვიდა რამდენიმე ათეული მოჯაჰედი. ვიცით, რომ რამდენიმემ თავი პანკისის ხეობას შეაფარა და ურთიერთობა აქვთ არაბ ტერორისტ ხატაბთან. მას, თავის მხრივ, კავშირი აქვს უსამა ბინ ლადენთან. პანკისის ხეობა საქართველოსთვის ძალიან საშიში ადგილია, განსაკუთრებით კრიმინალური კუთხით, თუმცა პანკისის ხეობაში მყოფ კრიმინალებს საქართველოს პოლიტიკურ ძალებთანაც აქვთ კავშირი. ეს კრიმინალები გასული წლის ოქტომბერში გადავიდნენ კოდორის ხეობაში, სადაც კავშირი ჰქონდათ პოლიტიკურ ძალებთან“.** თუმცა, მეორე მხრივ, ამერიკელებმა სიტუაციის დარეგულირება საკუთარ თავზე აიღეს და საქართველოში გავლენის გაფართოებისთვის გამოიყენეს. დაიწყო ქართული ძალების „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა“, რომელიც აშშ-საქართველოს სწრაფი დაახლოების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი გახდა. **ჯორჯ ბუშმა** იმ პერიოდში (2002 წლის სექტემბერი) შემდეგი განცხადება გააკეთა: „მე ვუთხარი ვლადიმერ პუტინს, რომ საქართველოს უნდა მიეცეს შანსი, მიაღწიოს იმას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მოსკოვისთვის, თბილისისთვის და აშშისთვის, იპოვოს მკვლელები „ალ ქაიდას“ ორგანიზაციიდან და დასაჯოს **ისინი“.**

ეს იყო პრინციპული არჩევანის მომენტი, რომელიც ედუარდ შევარდნაძემ არა რუსეთის, არამედ აშშ-ის სასარგებლოდ გააკეთა. **რაც უნდა ილაპარაკოს მიხეილ სააკაშვილმა თავის როლზე აშშ-საქართველოს დაახლოებაში, ფაქტია, რომ სტარტი პროცესს მისმა წინამორბედმა მისცა.**

პანკისის ხეობაში ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაცია ჩატარდა. საინტერესოა დაკვირვება იმ შეფასებებზე, რომელთაც მის შემდეგ აშშ-ის წარმომადგენლები აკეთებდნენ. ისინი საუბრობდნენ მნიშვნელოვან პროგრესზე, მაგრამ ამავე დროს მიუთითებდნენ, რომ პრობლემა საბოლოოდ მოგვარებული არ არის. 2003 წლის აგვისტოში სახელმწიფო დეპარტამენტის კოორდინატორმა ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში, კოფერ ბლეკმა, განაცხადა, რომ მოხდა იმ საფრთხის შემცირება, რომელიც შეიძლებოდა პანკისიდან წამოსულიყო, თუმცა არ ღირს იმ ძალისხმევის შეწყვეტა, რომელიც მიმართულია იმაზე, რომ პანკისის ხეობა ბოევიკების მიერ არ გამოიყენებოდეს. 2004 წლის 13 სექტემბერს **აშშ-ის ელჩმა საქართველოში, რიჩარდ მაილსმა,** კი განაცხადა, რომ **„პანკისის ხეობას რამდენიმე საერთაშორისო ტერორისტი აფარებს თავს“.** ამ დღეს მოხდა „ვარდოსანი ხელისუფლების“ პირველი სერიოზული წაკამათება ამერიკელ პარტნიორებთან. პარლამენტის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ, მაშინ განაცხადა: **„იგი ამას არ იტყოდა... საქართველოში ტერორისტები არ არიან. ეს აბსურდია“.** პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ელჩი სახელმწიფო კანცელარიაში დაიბარა. მოგვიანებით, ამავე დღეს სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ **„პანკისის ხეობა აღარ წარმოადგენს ტერორისტების თავშესაფარს“,** თუმცა აღინიშნა, რომ აშშ და საქართველო რეგიონში ტერორისტებთან ბრძოლას განაგრძობენ.

**რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მხარეები განაგრძობდნენ კონცენტრირებას პანკისის ხეობაზე?** ვინ იცის, იქნებ რამდენიმე წელიწადში სააკაშვილის ხელისუფლებას მიეღო საქართველოს ტერიტორიაზე ანტიტერორისტული ცენტრი, ამერიკული ძალების წარმომადგენლობით, და მისი სანუკვარი ოცნება — ქართულ მიწაზე ამერიკული ჩექმა იხილოს, ამ ფორმით მაინც ახდებოდა. თუმცა პანკისში ანტიტერორისტული კამპანიის გაგრძელება გარკვეულ წინააღმდეგობაში მოვიდოდა ახალგაზრდა, წარმატებული დემოკრატიის მითთან, რადგან სახელმწიფო, რომელსაც თავის ტერიტორიაზე ტერორისტების ბუდე აქვს, სრულფასოვნად ვერ აღიქმება; „დემოკრატიის შუქურას“ არ შეიძლება მსგავსი პრობლემები ჰქონდეს. **ამ ეპიზოდიდან მოყოლებული, რეგიონში ტერო-** ▶

## საფრანგეთში მეჩეთის კართან ღორის თავი დააგდეს

**საფრანგეთის ქალაქ მონტობანის მეჩეთში მისულ მრევლს სალოცავის შესასვლელში ღორის ორი უზარმაზარი თავი დახვდა დაგდებული. მეჩეთის იმამი ჰაჯი მუჰამედი ყვება, რომ ბოროტმოქმედებმა მეჩეთის ირგვლივ ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით ღორის სისხლი მიმოაქციეს.** მონტობანელი მუსლიმები ყურადღების ცენტრში 2012 წლის მარტში მოექცნენ. მაშინ ისლამისტმა მუჰამედ მერამ, რომელიც „ალ ქაიდას“ მომხრე იყო, ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე მიმავალი ორი სამხედრო მოსამსახურე დახვრიტა, რამდენიმე დღის შემდეგ კი სამი ებრაელი ბავშვი და ადგილობრივი რაბინი მოკლა. ტერორისტი პოლიციასთან შეტაკებისას დაიღუპა, როდესაც მისი სახლისთვის შემორტყმული ალყის გარღვევას ცდილობდა.

## ფოტოგამოფენა წყალქვეშ

**ამერიკელმა ფოტოგრაფმა ანდრეას ფრანკემ ფოტოგამოფენა მექსიკის ყურეში ჩაძირულ ხომალდზე მოაწყო. დამთვალიერებელი გამოფენის ნახვას აკვალანგების საშუალებით შეძლებს.** მათ წყლის ქვეშ 44 მეტრის სიღრმეზე ჩასვლა მოუწევთ. წყალქვეშ გამოფენილი ფოტოსურათების კოლექცია ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას ასახავს: ბალერინები სარეპეტიციო დარბაზში, ახალგაზრდა შეყვარებულები კინოში, პაციენტი, რომელიც ექიმს პალატიდან გამოჰყავს, ბავშვები ეზოში თამაშის დროს და სხვა. ჩვეულებრივი სცენები უჩვეულო გარემოს ერწყმის, მაგალითად: პატარა მხიარული გოგონა პეპლების საჭერით პეპლების ნაცვლად თევზებს იჭერს და ა.შ.

**სააკაშვილმა ფატალური შეცდომა დაუშვა, რუსეთი გადაიმტერა და ეს საქართველოს ეროვნული კატასტროფის ფასად დაუჯდა. ამ მტრობის გაგრძელება კიდევ უფრო მძიმე შედეგებს მოასწავებს და განხილული საკითხი მისი მხოლოდ ერთი ასპექტია, რომელსაც სულ უფრო მეტი ავისმომასწავებელი სიგნალი უკავშირდება. იმედია, ახალი ხელისუფლება ამ ვითარების გამოსწორებას შეძლებს, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ შენება ნგრევაზე გაცილებით დიდ ძალისხმევას მოითხოვს და გაფუჭებულის გამოსწორებას საკმაო დრო დასჭირდება.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ რისტებთან ბრძოლამ აშშ-საქართველოს ურთიერთობაში უკანა პლანზე გადაინაცვლა, „გლობალურ ანტიტერორისტულ კამპანიაში“ მონაწილეობა კი საქართველომ შორეულ ერაყსა და ავღანეთში განაგრძო.**

### ცუდად დავიწყებული ძველი

მთელი ამ პრეისტორიის გახსენება საჭირო არ გახდებოდა, რომ არა ერთი გარემოება: დღეს ჩვენ საქმე გარკვეულწილად ათი წლის წინანდელი პროცესების ერთგვარ რიმეიქთან გვაქვს, თუმცა **ამჯერად მოსკოვი ტერორისტულ საფრთხეს არა იმდენად კონკრეტულ სივრცეს უკავშირებს (პანკისის ხეობას), რამდენადაც სააკაშვილის ხელისუფლებას.** 10 მაისს რუსეთის ეროვნულმა ანტიტერორისტულმა კომიტეტმა დაადანაშაულა ის დოკუ უმაროვთან ერთად სოჭში ტერორისტული აქტების მომზადებაში, ახლახან ავანსცენაზე ხიზრი ალდამოვი გამოვიდა და სააკაშვილი რუსეთში მომხდარ ლამის ყველა ტერორისტული აქტის ორგანიზებაში დაადანაშაულა.

**თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ რუსულ მედიას, ვნახავთ, რომ თემა „სააკაშვილი — სამხედრო დამნაშავე“, რომელიც 2008 წლიდან მოყოლებული ასეთი აქტუალური იყო, ნელ-ნელა უთმობს პირველ ადგილს თემას „სააკაშვილი — ტერორისტების პარტნიორი“** და ამ ცვლილების მიზეზი, შესაძლოა, სწორედ „კრიზისის კონკურენტუნარიანი საინფორმაციო მოდელის“ ძიებას უნდა დავუკავშიროთ, რომელიც ზემოთ ჩეჩნეთის ომთან დაკავშირებით ვახსენეთ. სააკაშვილის სამხედრო დამნაშავედ წარმოჩენა რუსეთისთვის უკავშირდება 2008 წლის აგვისტოში საკუთარი უცოდველობის დამტკიცებას. ამ მიზნის მიღწევა კი დღეს დასავლეთის საინფორმაციო სივრცეში მისთვის არც ისე იოლია. ხოლო **თუ მოსკოვი მოახერხებს სააკაშვილის ტერორისტების პარტნიორად წარმოჩენას, ის პირდაპირ „დააჯდება“ იმ სააზროვნო შაბლონებს, რომელიც დასავლეთში ჩამოყალიბდა და 2001 წლიდან მოყოლებული საყოველთაოდ დამკვიდრდა; ნორმალური ლიდერისთვის ტერორისტებთან თანამშრომლობა გამორიცხულია, მათ სპონსორებს მსოფლიო თანამეგობრობა იზოლაციაში აქცევს და სასტიკად უსწორდება.** ამ საინფორმაციო ასპექტის ანალიზი სიტუაციაში გარკვევისთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

**ბუნებრივად იბადება კითხვა: სადაა კონკრეტიკა?** ხიზრი ალდამოვი 15 წლის განმავლობაში, ფაქტობრივად „იჯდა ინფორმაციაზე“, თუმცა მას არ წარმოუდგენია არანაირი ჩანაწერი ან დოკუმენტი, რომელიც 100%-იანი სამხილის შთაბეჭდილებას თუ არ დატოვებდა, ეჭვნარევ კითხვებს მაინც გააჩენდა. იგივე შეიძლება ითქვას რუსეთის ანტიტერორისტული კომიტეტის განცხადებაზე — არ ჩანდა, თუ რით ამყარებს რუსული მხარე ასეთ მძიმე ბრალდებებს სოჭის სავარაუდო ტერაქტების თაობაზე. მაგრამ, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მამხილებელი (ნამდვილი თუ ფალსიფიცირებული) მასალების თითქმის მომენტალური გასაჯაროება, რომელიც სასამართლო დარბაზში ბუნებრივი ჩანს, საერთაშორისო ურთიერთობებში ყოველთვის მიზანშეწონილი არ არის. **რუსებისთვის გაცილებით მომგებიანია ინფორმაცია, რომელიც აქვთ** (თუ აქვთ) **რუსულ-ამერიკული სამუშაო ჯგუფის ფარგლებში** (აშშ-ის მხრიდან მასში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და გამოძიებათა ფედერალური ბიურო შედიან, რუსეთის მხრიდან კი საგარეო დაზვერვისა და ფედერალური უშიშროების სამსახურები), **ჯერ ამერიკელ პარტნიორებს მიაწოდონ, რათა მათ თავად დაიწყონ მისი გადამოწმება საქართველოში, ხოლო მისი გასაჯაროება კრიტიკულ მომენტში, სათანადო ფონის შექმნის შემდეგ დაიწყონ.**

შეიძლება თუ არა, რუსეთის სპეცსამსახურებს რაიმე **ხელჩასაჭიდი ჰქონდეთ? სამწუხაროდ, სააკაშვილის ხელისუფლებამ ბოლო წლებში იმდენი სისულელე ჩაიდინა, რომ ვერ გამოვრიცხავთ, რომელიმე იდიოტს მისი რიგებიდან აზრად არ მოუვიდა, მაგალითად, „ახალი ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის“ ფარგლებში რომელიმე ჩეჩენ საველე მეთაურთან სატელეფონო საუბრის გამართვა** (ამ კონტექსტში, როგორც წინდაუხედაობის ნათელი მაგალითი, შეგვიძლია გავიხსენოთ გივი თარგამაძის სკანდალური საუბრები უკრაინასა და ბელორუსიაზე, რომელთა ჩანაწერები ინტერნეტში გავრცელდა). ამ გარემოების გათვალისწინებით, იმის ალბათობა, რომ რალაც ორაზროვან კონტაქტებს ან გადარიცხვებს ადგილი მართლაც ჰქონდა, ნულოვანი ნამდვილად არ არის. **თუმცა ვარაუდების გამოთქმას, ალბათ, აჯობებს, რუსული მხარის მიერ შესაბამისი მასალების გამოქვეყნებას დაველოდოთ, ამხელა მოსამზადებელი კამპანიის შემდეგ, ის ამას ადრე თუ გვიან გააკეთებს. საუბარი იმაზე, თუ რამდენად დამაჯერებელია მოსკოვის მტკიცებულებები, შესაძლებელი მხოლოდ ამის შემდეგ გახდება. ეს, სავარაუდოდ, მაშინ მოხდება, როდესაც კრემლი ჩათვლის, რომ ამერიკელი პარტნიორები საკმარისად შემზადებულები არიან და მისთვის სასურველი რეაქცია ექნებათ.**



**ამჯერად მოსკოვი ტერორისტულ საფრთხეს არა იმდენად კონკრეტულ სივრცეს (პანკისის ხეობას) უკავშირებს, რამდენადაც სააკაშვილის ხელისუფლებას**

### შემოვლითი მანევრის მოკრძალებული ხიბლი

სააკაშვილის „ახალი კავკასიური პოლიტიკის“ ათვლის წერტილად განიხილება მისი გამოსვლა გაეროში 2010 წლის სექტემბერში; მას აფრთხილებდნენ, რომ ეს რუსეთის ნეგატიურ რეაქციას და საპასუხო ნაბიჯებს გამოიწვევდა. **2010 წლის 22 ოქტომბერს „ამერიკის ხმასთან“ საუბარში ჩეჩნეთის ხელმძღვანელმა რამზან კადიროვმა თქვა: „პრაქტიკულად ერთადერთ წყაროდ, რომელიც მათ (ბოევიკებს) დახმარებას უწევს, საქართველო რჩება“; შეიძლება ითქვას, რომ ამ განცხადებიდან აიღო სტარტი კამპანიამ, რომელიც სააკაშვილის კავკასიურ პოლიტიკას ტერორისტების მხარდაჭერად წარმოაჩენდა.**

გამოცდილი ამერიკელი პარტნიორები ჯერ კიდევ 2003-2004 წლებში (ბლეკისა და მაილსის განცხადებები, რომელზეც ვისაუბრეთ) მიანიშნებდნენ საქართველოს ხელისუფლებას, რომ მან რეგიონში ტერორიზმთან აქტიური ბრძოლა და შესაბამისი იმიჯის შენარჩუნებაზე ზრუნვა წამითაც არ უნდა შეაჩეროს, თუმცა რად გინდა, „ვარდოსნებმა“ 2004 წლის 13 სექტემბერს ცნობილი ისტერიკა მოაწყეს და დაჟინებით ირწმუნებოდნენ, რომ ყველა პრობლემა მოგვარებული აქვთ. არადა, **თუ პროცესები ალტერნატიული სცენარით განვითარდებოდა, სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, დღეს მოსკოვიდან წამოსული ბრალდებების მოგერიება ოფიციალური თბილისისთვის გაცილებით იოლი იქნებოდა.**

2002-04 წლების პოლიტიკის განახლების აუცილებლობაზე აშშ-ის ხელისუფლებას ამა წლის მარტში ცნობილმა ამერიკელმა ექსპერტმა არიელ კოენმა მიანიშნა, რომელმაც ჩრდილოკავკასიურ ტერორიზმს საგანგებო მოხსენება მიუძღვნა. კოენმა თეთრ სახლს საქართველოსა და აზერბაიჯანის გაძლიერება ურჩია; **კაცმა რომ თქვას, ახალი ანტიტერორისტული პროგრამა ამერიკელებისთვის მშვენიერი საბაბი გახდებოდა, რომ ამ ორ ქვეყანაში საკუთარი გავლენა გაეფართოებინათ და ადგილობრივი ძალოვანი სტრუქტურები გაეძლიერებინათ ისე, რომ მოსკოვის მკვეთრი რეაქცია არ გამოეწვიათ და „გადატვირთვისთვის“ აშკარა საფრთხე არ შეექმნათ** (განსაკუთრებით ეს საქართველოს შემთხვევაშია აქტუალური). **ამასთანავე, ეს მისცემდა სააკაშვილს შესაძლებლობას, რეგიონში ტერორიზმთან მებრძოლის იმიჯი მოერგო.** თუმცა ასეთი პოლიტიკის გატარების აუცილებელი წინაპირობა საკუთარ ტერიტორიაზე (მაგალითად, პანკისის ხეობაში ან ზოგადად რუსეთ-საქართველოს საზღვარზე) ტერორიზმთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემების არსებობის აღიარებაა, რის გაკეთებაც სააკაშვილს ცოცხალი თავით არ სურს. ამასთანავე, **სააკაშვილი მუდამ ორიენტირებულია აშშ-რუსეთის დაპირისპირების გაღვივებაზე და ნაკლებად აინტერესებს რუსეთთან ბარიკადების ერთ მხარეს აღმოჩენა, თუნდაც ეს ტერორიზმთან ბრძოლას ეხებოდეს.** მისი ეს ვნებები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ხელისშემშლელი ფაქტორი ამერიკელებისთვის, რომელთაც სამხრეთ კავკასიაში არა მხოლოდ ტერორიზმთან ბრძოლა, არამედ საკუთარი გავლენის „ჩაბეტონება“ სურთ. სააკაშვილი კი, როგორც ჩანს, უბრალოდ ვერ ახერხებს 1-2 სვლაზე უფრო ხანგრძლივი კომბინაცია გათვალოს.

მეგობრების სწორი შერჩევა ვერაფერს გიშველის, თუ მტერს არასწორად შეარჩევ. **სააკაშვილმა ფატალური შეცდომა დაუშვა, რუსეთი გადაიმტერა და ეს საქართველოს ეროვნული კატასტროფის ფასად დაუჯდა. ამ მტრობის გაგრძელება კიდევ უფრო მძიმე შედეგებს მოასწავებს და განხილული საკითხი მისი მხოლოდ ერთი ასპექტია, რომელსაც სულ უფრო მეტი ავისმომასწავებელი სიგნალი უკავშირდება.**

იმედია, ახალი ხელისუფლება ამ ვითარების გამოსწორებას შეძლებს, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ შენება ნგრევაზე გაცილებით დიდ ძალისხმევას მოითხოვს და გაფუჭებულის გამოსწორებას საკმაო დრო დასჭირდება.

**დიმიტრი მონიავა**

## ქართველი ემიგრანტების მიმართვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს — ილია II-ს

**თქვენო უწმინდესობავ!**

მოგმართავთ იძულებით გადახვეწილი, ნოსტალგიის გაუსაძლისი ტკივილით დასნეულებული ათასობით ხიზანი ქართველის სახელით, რომელთაც ერთადერთ ნუგეშად და იმედად თქვენღა დაგვრჩით და თქვენს ლოცვას მინდობილნი უფალს ვევედრებით, რომ მრავალი ტანჯვისა და განსაცდელისგან გათანგულები მშობლიურ კერას მალე დავუბრუნდეთ. მაგრამ საქართველოში დღეს არსებული მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, ფაქტობრივად, ამას გვიკრძალავს. მეტიც, ხელისუფლება გამალებით ცდილობს, რომ ის ფესვები, რომლებიც მშობლიურ მიწას გვაკავშირებს, როგორმე ამოძირკვოს, არჩევნებში ხმის მიცემის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება და ღვთისგან მადლად და ტვირთად ბოძებული საქართველოს მოქალაქეობა წაგვართვას!

ხელისუფლებამ, კერძოდ, საგარეო საქმეთა მინისტრმა, დისკრიმინაციული ბრძანებებით, ემიგრანტებს ჩვენი წილი დიდგორის დასაცავად თანამედროვეობის უმთავრესი იარაღი — საარჩევნო ხმის უფლება აგვყარა და ათასობით ემიგრანტისთვის ოქტომბერში არჩევნებზე მისვლა შეუძლებელი გახადა, რომ აღარაფერი ვთქვათ მოქალაქეობის ჩამორთმევაზე.

**თქვენო უწმინდესობავ, აკი ბრძანებდით, „ეშმაკი ყოფს და ეკლესია გვაერთიანებსო“. გავკადნიერდებით და გაუწყებთ, რომ ხელისუფლება გვყოფს! მიზანმიმართულად გვყოფს და ჩვენს ღირსებას, ჩვენს ქართველობას საფრთხეს უქმნის!**

**თქვენო უწმინდესობავ, უმორჩილესად გთხოვთ, სცადოთ ხელისუფლებასა და ემიგრანტებს შორის მედიატორის როლის შესრულება და მას იმ კანონების გაუქმება მოსთხოვოთ, რომლითაც, ფაქტობრივად, მილიონ-ნახევარზე მეტი ემიგრანტი, ვინ იცის, მერამდენედ სამშობლოდან ძალადობრივად გააძევა.**

მოკლედ

## კოფი ანანმა თანამდებობა დატოვა

**სირიის კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში გაეროს სპეციალურმა წარმომადგენელმა კოფი ანანმა თანამდებობა დატოვა.** შესაბამისი განცხადება გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა გააკეთა. გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი სირიაში სპეცწარმომადგენლად მიმდინარე წლის თებერვალში დაინიშნა. მარტში მან მშვიდობიანი გეგმის განხორციელება დაიწყო, რომელსაც ანანის მშვიდობიანი გეგმა ეწოდა, მაგრამ მისი განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა, რამდენადაც კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარე მის იგნორირებას ახდენდა და საბრძოლო მოქმედებებს აგრძელებდა.



## აშშ სირიის ოპოზიციას 25 მილიონი დოლარით დაეხმარა

აშშ-მა სირიის ოპოზიციას 25 მილიონი დოლარის პირდაპირი დახმარება გაუწია. ფინანსური დახმარების შესახებ განცხადება სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა პატრიკ ვენტრელმა გააკეთა. მისი თქმით, სირიის ოპოზიციისათვის გაწეულმა არასამხედრო დახმარებამ 15 მილიონი და დამატებით კიდევ 10 მილიონი დოლარი შეადგინა. მასში არ შედის ის ჰუმანიტარული დახმარება, რომელსაც აშშ რეგიონში გზავნის.

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საკაშვილის ყველა უცხოელი თაყვანისცემელიც როდია მოსყიდული ან დაშინებული, უბრალოდ, მათ ცხოვრებაში იყო მომენტი, როდესაც მოიხიბლნენ „ნაცმოძრაობის“ ბელადით და მის ექსპერიმენტებში თავიანთი ოცნებების კონტურები დაინახეს. ამის შემდეგ ისინი ხედავენ პოლიციელებს, რომლებიც ქრთამს არ იღებენ, მაგრამ ვერ ხედავენ იმას, რომ იგივე პოლიციელები კლავენ და აწამებენ ადამიანებს, უყურებენ გადაღებილ, განათებულ ფასადებს, მაგრამ ვერ ამჩნევენ უკიდურესად გაჭირვებულ ქართველებს, რომლებიც იქვე, ასიოდე მეტრის მოშორებით ცხოვრობენ.**

# მამობილო, ფანდარასტ!

**„მე ბათუმი ვიშვილე“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა 2010 წლის ნოემბერში რუს ჟურნალისტებთან საუბარში, როდესაც თვითმფრინავის ბორტიდან სიამაყით უჩვენებდა იმას, რასაც „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ მითოლოგიაში „განახლებული ბათუმი“ ეწოდება. 2012 წლის 5 აგვისტოს ბათუმმა თვითგამოცხადებულ მამობილს ცხვირწინ კარი მიუჯახუნა, ხოლო იმისათვის, რომ უკეთ გადმოვცეთ იმ მესიჯის მოკლე შინაარსი, რომელიც აჭარელების დიდმა ნაწილმა სააკაშვილს გაუგზავნა, ალბათ, ფრიად ტევადი ოსური სიტყვის „ფანდარასტ“ (გზა მშვიდობისა) გამოყენება მოგვიწევს.**



როდესაც კომენტატორების უმრავლესობა საუბრობს იმაზე, რომ ბათუმში „ქართული ოცნების“ აქციაზე მოსალოდნელზე მეტი ადამიანი მივიდა, ალბათ, იმის დადგენა უნდა ვცადოთ, საიდან მოდიოდა ეს „მოსალოდნელი რაოდენობა“. სახელისუფლო პროპაგანდა წლების განმავლობაში ამკვიდრებდა აზრს, რომ აჭარის მოსახლეობა კმაყოფილია იმ ცვლილებებით, რომელთაც სააკაშვილი ახორციელებს. ეს რეგიონი ხელისუფლების ერთ-ერთ საყრდენად მოიაზრებოდა. „განახლებული ბათუმის“ ილუმინაცია თვალს უბრმავებდა საქართველოს და (მითუმეტეს) გარესამყაროს; **ჩვენ, პრაქტიკულად, ვერ ვხედავდით პრობლემებს, რომლებიც ბათუმელებსა და ზოგადად აჭარის მოსახლეობას ამ წლების განმავლობაში ექმნებოდა. აქ, ალბათ, მართებულია პარალელის გავლება ბატისტას კუბასთან. 50-იან წლებში იქ უამრავი ახალი სასტუმრო, კაზინო და ბორდელი აშენდა, განათებულ სანაპიროებზე მშვიდად სეირნობდნენ ტურისტები და ამერიკული პრესა „განახლებულ კუბას“ აღტაცებულ რეპორტაჟებს უძღვნიდა. რეალურ, გაღატაკებულ, გაუბედურებულ კუბას პრაქტიკულად ვერავინ ხედავდა, შემდეგ კი ძლიერ გაუკვირდათ, როდესაც კუბელების უმრავლესობა ფიდელ კასტროს მეამბოხეებს ყვავილებით შეეგება, ფულხენსიო ბატისტამ ხომ ქვეყანაში „ამდენი რამ გააკეთა“.**

მიუხედავად იმისა, რა დამოკიდებულება გვაქვს ბიძინა ივანიშვილთან, ალბათ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ძლიერ გაუმართლა — უკიდურესად მწვავე საპროტესტო განწყობის მობილიზება არა ავტომატიანმა კომანდანტემ, არამედ მშვიდობიანი მეთოდების მომხრე პოლიტიკოსმა მოახდინა. კრიზისი გარდაუვალი იყო, მას ობიექტური წინაპირობები ჰქონდა, თუმცა „თავისუფლების კუნძულისგან“ განსხვავებით, საქართველოს შანსი მიეცა სასურველ მიზნებს სისხლისღვრის გარეშე მიაღწიოს.

ორიოდე სიტყვით იმაზე, თუ საიდან მოდის სევდიანი რეპლიკა „მან ხომ ამდენი რამ გააკეთა“. საქმე ისაა, რომ ბათუმში „ქართული ოცნების“ აქციის ჩანაწერს ერთ უცხოელთან ერთად ვუყურებდი და მისი თხოვნით საკვანძო მონაკვეთებს ვუთარგმნიდი. მან საქართველოში მუშაობა არც ისე დიდი ხნის წინ დაიწყო, სააკაშვილის აპოლოგეტებთან ხშირი კონტაქტი უწევს და თავი ჯერ კიდევ ამოტენილი აქვს პროპაგანდისტული შტამპებით „დემოკრატიის შუქურაზე“; როდესაც რეალობა მათთან აშკარა წინააღმდეგობაში შედის, სავსებით გულწრფელი გაკვირვება და დაბნეულობა ეუფლება. ეს რეპლიკა სწორედ მას ეკუთვნის. როდესაც წინდაუხედავად ვკითხე: და მაინც, როგორ ფიქრობ, რა გაუკეთა სააკაშვილმა ამ ხალხს? პასუხად მივიღე 15-წუთიანი ლექცია „ნაცმოძრაობის“ ბელადის ტიტანურ წვლილზე ახალი საქართველოს შექმნასა და „მენტალურ რევოლუციაში“. ამ „რეჩს“ ვუსმენდი და თან სულ სხვა ქვეყანაში განვითარებულ ისტორიას ვიხსენებდი.

თითოეულ ჩვენგანს უნახავს თუნდაც ერთი მხატვრული ფილმი რუანდის გენოციდზე („ძაღლებისთვის სროლა“, „ოტელი რუანდა“, „ეშმაკისთვის ხელის ჩამორთმევა“ და ა. შ.) და ახსოვს სცენა, რომელიც თითოეულ მათგანში არის — **ხუტუს ტომის ბოევიკები რადიოს უსმენენ, დიქტორი მათ ტუტსის ტომის წარმომადგენელთა მოკვლისკენ მოუწოდებს და აცნობებს, რა მარშრუტით გადაადგილდებიან დევნილები, რათა გზა გადაუღობონ და ამოწყვიტონ. ყველამ როდი იცის, რომ რადიოწამყვანი, რომელსაც თამამად შეგვიძლია „გენოციდის ხმა“ ვუწოდოთ, ბელგიელი იყო, რომელსაც არც ხუტუსთან, არც ტუტსისთან, არც რუანდასთან ამ მოვლენებამდე ხუთიოდე წლით ადრე შეხება არ ჰქონია.**

ჟორჟ რუჯუ 1957-ში დაიბადა, მისი მამა ბელგიელი, დედა კი იტალიელი გახლდათ. მთელი ცხოვრება უკეთილშობილეს საქმიანობას ეწეოდა — მუშაობდა მასწავლებლად სკოლაში გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვებისთვის, მონაწილეობდა ახალგაზრდა ნარკომანების რეაბილიტაციის პროგრამებში; ერთხელ, შემთხვევით რუანდელი (ხუტუ) სტუდენტი გაიცნო, თანდათან დაუახლოვდა მას და მის თანამემამულეებს, რამდენიმეჯერ ჩავიდა რუანდაში, მოიხიბლა ამ ქვეყნით და იქ გარკვეული დროით დასახლება გადაწყვიტა. რადიოში მუშაობის დაწყება სცადა, მაგრამ ვინაიდან მხოლოდ ფრანგულს ფლობდა, ადგილობრივ ენას, კინიარუანდას, კი არა, უარი უთხრეს. ერთი თვის შემდეგ (ასევე სრულიად შემთხვევით) მან მოახერხა გასაუბრება რუანდის პრეზიდენტ ჟიუვენალ ხაბიარიმანასთან, რომელმაც ეს პრობლემა მოუგვარა. 1994 წლის 6 იანვარს ჟორჟ რუჯუმ პირველად წაიყვანა გადაცემა ავადსახსენებელ რადიოსადგურ „რტლმ“-ის ეთერში; 7 აპრილს კი რუანდაში გენოციდი დაიწყო. რუჯუ, ადგილობრივ წამყვანებთან ერთად, „გენოციდის ხმა“ გახდა და გამუდმებით მოუწოდებდა ხუტუს „ტარაკნების“ (ასე უწოდებდნენ „რტლმ“-ის დიქტორები ტუტსის) „პრობლემა მოეგვარებინათ“.

**როდესაც ყველაფერი დასრულდა, რუჯუ გაიქცა და მიმალვა სცადა, მაგრამ 1997-ში დააკავეს. ის საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე წარსდგა. მას 12-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, იმის გათვალისწინებით, რომ დანაშაული აღიარა და მოინანია. 2009-ში იტალიის ხელისუფლებამ** (ბოლოს სასჯელს იქ იხდიდა) **ის ვადაზე ადრე გაათავისუფლა.**

ეს XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე პარადოქსული და ამავე დროს წარმოუდგენლად ტრაგიკული ისტორიაა. ყველაზე საჭირო მომენტში რუჯუს არ შეხვდა ადამიანი, რომელიც შემოულაწუნებდა და ეტყოდა: „ჟორჟ, სად მიძვრები? რას დაეძებ? თუ გესმის, რას აკეთებ?“.

**ჩვენ შეგვიძლია ბევრი ვიმსჯელოთ იმაზე, რომ ადამიანი, რომელსაც ცხოვრების „პირველ ნაწილში“ სიკეთის გარდა არაფერი უკეთებია, სინამდვილეში პათოლოგიური მიზანთროპი იყო, რომელსაც ბნელი ინსტინქტების გამოვლენის შესაძლებლობა მიეცა, რომ ის მოისყიდეს, დააშინეს და ა. შ. თუმცა, შესაძლოა, სიმართლესთან გაცილებით ახლოს ის ვარაუდი დგას, რომ ჟორჟ რუჯუ იყო ადამიანი ოცნების გარეშე და ის შორეულ, რომანტიული ბურუსით მოსილ რუანდაში დაინახა, ჩაებღაუჭა მას და თავბრუდახვეულმა რეალობის ადეკვატური აღქმის უნარი დაკარგა.**

შემდეგ კი მას, სავარაუდოდ, უკარნახეს, რომ მასსა და მის ოცნებას, „იდეალურ რუანდას“, შორის „ტარაკნები“, ტუტსის ტომის წარმომადგენლები, დგანან და ის, აი ასე, თამაშ-თამაშ, მილიონამდე ადამიანის მკვლელობის თანამონაწილე გახდა.

**სააკაშვილის ყველა უცხოელი თაყვანისცემელიც როდია მოსყიდული ან დაშინებული, უბრალოდ, მათ ცხოვრებაში იყო მომენტი, როდესაც მოიხიბლნენ „ნაცმოძრაობის“ ბელადით და მის ექსპერიმენტებში თავიანთი ოცნებების კონტურები დაინახეს. ამის შემდეგ ისინი ხედავენ პოლიციელებს, რომლებიც ქრთამს არ იღებენ, მაგრამ ვერ ხედავენ იმას, რომ იგივე პოლიციელები კლავენ და აწამებენ ადამიანებს, უყურებენ გადაღებილ, განათებულ ფასადებს, მაგრამ ვერ ამჩნევენ უკიდურესად გაჭირვებულ ქართველებს, რომლებიც იქვე, ასიოდე მეტრის მოშორებით ცხოვრობენ. მათ, მარტივად რომ ვთქვათ, არ შეუძლიათ რეალობა მთლიანობაში აღიქვან, ისინი დანახულიდან მხოლოდ იმ დეტალებს იღებენ, რომელიც მათ რწმენა-წარმოდგენებს შეესაბამება.** სამყაროს სურათის ასეთი ფრაგმენტაცია შიზოფრენიის განვითარების აშკარა საფრთხეზე მიუთითებს. პოლიტიკა აქ არაფერ შუაშია, კრიტიკული აზროვნების უნარის დაკარგვა, ამა თუ იმ სიტუაციაში მხოლოდ კარგის ან ცუდის დანახვა პირველი სიგნალია იმისა, რომ ვიზიტი ფსიქიატრთან არ უნდა გადაიდოს.

დავტოვოთ ჩვენი უცხოელი მეგობარი მონიტორთან, ბათუმის აქციის გაკვირვებულ დაკვირვებაში (და ფიქრში!) ხელს ნუღარ შევუშლით და მომხდარის კიდევ ერთ, საინფორმაციო-პოლიტიკურ ასპექტს შევეხოთ. პრაქტიკულად არავინ დავობს იმაზე, რომ ბათუმში მიხეილ სააკაშვილმა მორიგი მარცხი იწვნია და ამ ქალაქთან მისი „განსაკუთრებული ურთიერთობის“ გათვალისწინებით, ეს მარცხი საკმაოდ დამამცირებელი იყო. ამასთანავე, **აშკარა გახდა, რომ ტაქტიკა, რომელსაც ხელისუფლება მიმართავს, მას სულ უფრო სერიოზულ დისკომფორტს უქმნის. ვერც ივანიშვილის მიტინგების ჩაშლის, ვერც მისი კამპანიის მიბაძვის მცდელობებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, მთელი ძალისხმევა მაინც ერთი და იმავე შედეგით და შეფასებით სრულდება: „ბიძინამ მაინც თავისი გაიტანა“.** სუფთა სპორტული ინტერესიდან გამომდინარე, შეიძლება დაიბადოს კითხვა: **წინასაარჩევნო ბრძოლის რა ლეგიტიმური ფორმა შეიძლება გამოიყენოს სააკაშვილმა, რათა მისთვის არასახარბიელო სიტუაციაში გარდატეხა შეიტანოს, ან, როგორც მინიმუმი, ოდნავ მაინც შეაფერხოს „ნაცმოძრაობის“ პოზიციების გაუარესება?**

შეიძლება პარადოქსულად გაიჟღეროს, მაგრამ, **შესაძლოა, სააკაშვილისთვის სასარგებლო იქნეს ივანიშვილთან დებატების გამართვაზე დაფიქრება.** ჯერ ერთი, ასეთი დებატების დაანონსების შემთხვევაში, ისინი იქცევიან კულმინაციის ერთგვარ წერტილად, რომლისკენაც მიმართული იქნება საზოგადოების ყურადღება, ამჯერად კი ასეთ წერტილებად „ქართული ოცნების“ მიტინგები გვევლინება და თითოეულ მათგანს ივანიშვილისთვის დადებითი შედეგი მოაქვს. **დებატების დანიშვნა მმართველ პარტიას შესაძლებლობას მისცემს, ეს ვითარება ნაწილობრივ მაინც შეცვალოს.**

ამასთანავე, სატელევიზიო ეთერი შესაძლებლობას აძლევს კანდიდატს, ქულები არა მხოლოდ გამოთქმული აზრების ხარჯზე დაიწეროს, არამედ იმის ხარჯზე, თუ როგორ წარმოაჩენს საკუთარ თავს, როგორც გამოიყურება, რა შემართებით საუბრობს და ა. შ. ჩვენ შეგვიძლია ქრესტომათიული მაგალითი — კენედისა და ნიქსონის 1960 წლის დებატები გავიხსენოთ. ნიქსონის არგუმენტაცია უფრო დამაჯერებელი იყო, მან რადიომსმენელების უმრავლესობის მოწონება დაიმსახურა, მაგრამ კენედი უკეთ გამოიყურებოდა, უფრო კარგად ეჭირა თავი და ტელემაყურებლების ხარჯზე დებატები მოიგო. **თუ სააკაშვილი მთელ თავის ენერგიასა და ორატორულ ნიჭს დებატებისკენ მიმართავს, მან შეიძლება კამპანია შემოატრიალოს თუ არა, ივანიშვილთან თანაბარი პოტენციალის მქონე ფიგურად მაინც წარმოჩინდეს, რასაც დღევანდელი მოუქნელი ნაბიჯების მეშვეობით ვერ ახერხებს.** სატელევიზიო მაგიას ძალიან ბევრი რამის შეცვლა და ილუზიების შექმნა შეუძლია.

**საინტერესოა, არის თუ არა სააკაშვილი ფსიქოლოგიურად მზად ასეთი დებატებისთვის? შეძლებს თუ არა, დაძლიოს შიში ოპონენტის წინაშე და მასთან თანაბარ პირობებში იკამათოს? ძნელი დასაჯარებელია, რომ მან ეს მოახერხოს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მუქარებითა და უკვდავი რეპლიკით „ბა-ბა-ბა-ბა“ პარლამენტის დარბაზიდან ჯონდი ბაღათურიას გაექცა. სააკაშვილი სადებატო მარათონს, ძალიან დიდი ალბათობით, ვერ გაუძლებს.**

არადა, ალტერნატივა მისთვის მეტად არასახარბიელოა. თუ ის დებატებზე, როგორც თავისებურ ვა-ბანკზე, წასვლას ვერ გარისკავს, ათიოდე დღის შემდეგ იმავე სათაურებსა და საზოგადოებრივ აზრს მიიღებს, რაც ბათუმის აქციის შემდეგ; დაახლოებით ასეთს: **„ხელისუფლების გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ივანიშვილმა რუსთავში მორიგი ტრიუმფალური აქცია ჩაატარა“; „სააკაშვილი ინიციატივას ვერ ეუფლება“; „ნაცმოძრაობის“ რეიტინგი ეცემა“.**

„სააკაშვილის აქოჩრილი ბანაკი უკანდახევას არ აპირებს, მონდომებით იბრძვის... მერაბიშვილის მეთაურობით მთავრობა საარჩევნო ბრძოლაში ებმება. შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრების შეცვლა აძლიერებს იმ შთაბეჭდილებას, რომ სააკაშვილის ბანაკი მისთვის ყველაზე რთული პოლიტიკური ბრძოლისთვის ემზადება...“

სხვისი თვალით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერთი მუჭა ლარებისთვის

## მერაბიშვილი, ივანიშვილი, სააკაშვილი: «პოლიტიკური ომი» საქართველოში

**„ათასი ლარი წვიმის სახით ჩამოიყრება ციდან, რაც ყოველი ქუჩიდან ათას ხმას მოიტანს. საქართველოს ახალი პრემიერი ვანო მერაბიშვილი თავისი ვაუჩერით სერიოზულად გეგმავს ყველა ოჯახის გაბედნიერებას და ახალ ძლევამოსილ მოწინაალმდეგესთან დაპირისპირებას“, — ასე იწყებს თავის წერილს Der Standart-ში მარკუს ბეი და საქართველოში „პოლიტიკური ომის“ ანალიზს ბიძინა ივანიშვილზე ლაპარაკით აგრძელებს:**





„ყოფილი „ვარდების რევოლუციონერებისთვის“ ივანიშვილი ყველაზე დიდ გამოწვევად იქცა. რაც ვერ მოახერხა სკანდალებმა, გაუხსნელმა მკვლელობებმა, კვირაობით გახანგრძლივებულმა მასობრივმა დემონსტრაციებმა და მათმა დარბევამ, ასევე, რუსეთთან ხუთდღიანმა ომმა და ტერიტორიების დაკარგვამ — ივანიშვილს შეუძლია — სააკაშვილისა და მისი გუნდის ხელისუფლებიდან განდევნა.

საქართველოს უმდიდრესი ადამიანი, რომელიც „ფორბსის“ სიაში 6,4 მილიარდი დოლარით 153-ე ადგილზეა, დღევანდელი მდგომარეობით, ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობას თავად არ მიიღებს. ამის მიზეზი იურიდიული მანევრებია, რომლებიც „ოლიგარქის პოლიტიკური ალმავლობის“ შესაფერხებლად საქართველოს მთავრობამ გამოიყენა, რასაც ივანიშვილმა პრეზიდენტისადმი ღია წერილში „აბსურდული“ უწოდა...

ბიძინა ივანიშვილმა 2010 წელს საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღო, რაც, როგორც ჩანს, ქართულ უწყებებს არ შეატყობინა. ხელისუფლებამ ეს ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის მიზეზად გამოიყენა...

**დაიწერა „ივანიშვილის კანონი“, რომელიც მიიღო პარლამენტმა და მოიწონა საკონსტიტუციო სასამართლომ. ახლა ნებისმიერს, ვისაც საქართველოში 5 წელი უცხოვრია, შეუძლია წამოაყენოს თავისი კანდიდატურა სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად, ასევე, ისეთ „ფრანგს“, როგორიც ივანიშვილია. ეს არც თუ ჭკვიანური ნაბიჯია. ივანიშვილმა პირობა დადო, რომ არ მიიღებდა ამ შემოთავაზებას არც ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნებისას და არც მომავალ წელს სააკაშვილის მემკვიდრის არჩევნებზე.“**

**„თბილისის ტიტანი“** — ასე ჰქვია იმ პატარა პორტრეტს, რომელიც **თომას დე ვაალმა ჟურნალ Foreign Policy**-ში ამ საიდუმლოებით მოცულ ადამიანზე გამოაქვეყნა: **უშუალომ, მაგრამ ძალიან თავდაჭერილმა, საკუთარ თავში დარწმუნებულმა და ნამდვილად ამოუხსნელი რკინის ნებით გამსჭვალულმა ადამიანმა კავკასიის ამ პატარა რესპუბლიკაში თავის თავზე აიღო ძალაუფლებისთვის ბრძოლის მთელი სიმძიმე. 56 წლის ივანიშვილს თავის გამარჯვებაში იოტისოდენა ეჭვი არ ეპარება...**

ივანიშვილის სასახლეში ბევრი პოლიტიკოსი ზის, რომლებმაც მიხეილ, სააკაშვილთან 2008 წლის აგვისტოს ომამდე ან ომის შემდეგ გაწყვიტეს ურთიერთობა: მათ შორისაა 38 წლის ირაკლი ალასანიაც, საქართველოს ყოფილი ელჩი გაეროში და აფხაზეთის დევნილი მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე. **ალასანია ითვლებოდა და დღემდე ითვლება დასავლეთისთვის სააკაშვილის სასურველ შემცვლელად. თუმცა ქვეყანაში მისი პოლიტიკური ბაზისი იმდენად მწირია, ხოლო 2003 წლის „ვარდების რევოლუციონერთა“ ადმინისტრაცია, რომელსაც იგი მიეკუთვნებოდა, იმდენად ძლევამოსილი, რომ ხელისუფლების შეცვლა უპერსპექტივოდ მოჩანდა.** ივანიშვილის გამოჩენა ბევრი თვალსაზრისით სააკაშვილის ბანაკისთვის უმწიკვლობის ტესტია. გასული წლების მკაცრი დასავლური კურსისა და მოდერნიზების პერიოდში საქართველომ ვერა და ვერ მოიპოვა შინაგანი წონასწორობა“.

**«ივანიშვილმა პირობა დადო, რომ არ მიიღებდა ამ შემოთავაზებას არც ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნებისას და არც მომავალ წელს სააკაშვილის მემკვიდრის არჩევნებზე»**

**ივანიშვილის საგარეო კურსზე საუბრისას ავტორი განსაკუთრებით გამოყოფს მის დამოკიდებულებას რუსეთის მიმართ:**

**„ივანიშვილის განცხადებით,** — აღნიშნავს ბეი, — **მას სურს გაალღოს გაყინული ურთიერთობა მოსკოვთან. ეს საქართველოში ბევრს, მათ შორის, საქმიან ადამიანებსაც საკმაოდ გონივრულად მიაჩნიათ“.**

ავტორი ფიქრობს, რომ ევროკავშირისა და აშშ-ის ხანგრძლივი ზემოქმედების შემდეგ საქართველოს მთავრობამ საარჩევნო კამპანიისათვის შეასუსტა თავისი სრული მონოპოლია მედიაზე. აღსანიშნავია, რომ პირველი აგვისტოდან საკაბელო ტელევიზიებს დაევალა ყველა საინფორმაციო არხის ტრანსლირება, მათ შორის, „მეცხრე არხის“ ტელევიზიისა, რომელიც ეკუთვნის ივანიშვილის მეუღლეს — ეკატერინე ხვედელიძეს.

მაგრამ **სააკაშვილის აქოჩრილი ბანაკი უკანდახევას არ აპირებს, მონდომებით იბრძვის.** ბეი წერს, რომ **ლობისტები და ლონდონელი, პარიზელი ან ვაშინგტონელი ჭკვიანი პიარტექნოლოგები სააკაშვილის ადმინისტრაციამ ივანიშვილზე ბევრად უფრო ადრე დაიქირავა.** „ქართუ ბანკი“, ივანიშვილის იმპერიის გასაღები საქართველოში, იძულებითი მმართველობის მეშვეობით გაიძარცვა. მდიდარი კაცის საარჩევნო კამპანიას თან ახლავს რეკორდული ჯარიმები: იგი 126 მილიონი ლარით (62,37 მილიონი ევრო) დააჯარიმეს მხოლოდ სატელიტური ანტენების უფასო დარიგებისთვის, 90 მილიონი ლარით (44,5 მილიონი ევრო) კი — პარტიების დაფინანსების შესახებ კანონის დარღვევის გამო (239 ავტომობილი გადასცა მოკავშირე პარტიას)“.

**„შემდეგ გამოჩნდა ვანო მერაბიშვილი — ივლისის დასაწყისიდან საქართველოს მთავრობის ახალი მეთაური. მან, სავარაუდოდ, მიხეილ სააკაშვილსა და პრეზიდენტობის ბნელ მხარეებზე ბევრად მეტი იცის, ვიდრე ნებისმიერმა სხვამ თბილისში. შვიდ წელიწადზე მეტხანს იყო ის შინაგან საქმეთა მინისტრი, დაძლია ყველა კრიზისი, მთავრობის ცვლილებები და წარმატებით გამოაძვრინა სააკაშვილი ყველა სკანდალიდან. მერაბიშვილმა გაწმინდა პოლიცია** („ვარდების რევოლუციის“ ყველაზე დიდი მიღწევა) **და, როგორც თავად ამბობს, პასუხისმგებელია ყველაფერზე, რაც მისი მუშაობის პერიოდში მოხდა: დემონსტრანტების დარბევა, 2006 წელს სანდრო გვირგვლიანის მკვლელობის ჯერ კიდევ გაუხსნელი საქმე** (თბილისის ერთ-ერთ ბარში უთანხმოების შემდეგ ის ქალაქის განაპირას მოკლული იპოვეს; სუფრასთან მერაბიშვილის მეუღლეც იჯდა).

44 წლის ახალი პრემიერი პრაქტიკულ კაცად ითვლება და, თავდაცვის ყოფილი მინისტრის — ირაკლი ოქრუაშვილის მსგავსად, უხეშად და მოკლედ გამოთქვამს სათქმელს. პოლიციის მინისტრი, როგორც მასზე წერენ, ძლევამოსილი და საშიშია.

**მერაბიშვილის მეთაურობით მთავრობა საარჩევნო ბრძოლაში ებმება. შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრების შეცვლა აძლიერებს იმ შთაბეჭდილებას, რომ სააკაშვილის ბანაკი მისთვის ყველაზე რთული პოლიტიკური ბრძოლისთვის ემზადება.** მერაბიშვილმა გაახმაურა ხალხისთვის პოპულისტური დაპირებების მთელი სია, რომელიც სააკაშვილის 8-წლიანი პრეზიდენტობის პერიოდისთვისაც კი უპრეცედენტოა: პენსიების მეოთხედით გაზრდა, 270 ათასი ახალი სამუშაო ადგილის შექმნა, რამდენიმე მილიარდი — გლეხებს, უნივერსიტეტებს, რამდენიმე მილიარდი ლარით მეტი — საავადმყოფოებსა და სოციალური საკითხების მოგვარებას. **არჩევნებამდე ორი თვით ადრე ეს არ გამოვა. სამაგიეროდ არსებობს 1000-ლარიანი (495 ევრო) ვაუჩერი ისეთი ხარჯებისთვის, როგორიცაა ელექტროენერგიის გადასახადი, ახალი სასწავლო წლის დასაწყისი, ასევე ქართულ ოჯახისთვის საჭირო სხვა ისეთი ხარჯები, რისი გადახდაც ოლიგარქ ივანიშვილს თავისი კუპიურებით არ შეუძლია“.**

**«მერაბიშვილმა გაახმაურა ხალხისთვის პოპულისტური დაპირებების მთელი სია, რომელიც სააკაშვილის 8-წლიანი პრეზიდენტობის პერიოდისთვისაც კი უპრეცედენტოა»**

### სათადარიგო ფეხსაცმლის სერვისი

**პეკინის მეტროპოლიტენის ადმინისტრაცია მგზავრებს, რომლებიც პიკის საათში ჭყლეტვის გამო ფეხსაცმელს ხშირად კარგავენ, ახალ მომსახურებას — უფასო სათადარიგო ფეხსაცმელს სთავაზობს.** მომსახურების დანერგვა მოქალაქეთა საჩივრების გახშირების შემდეგ გადაწყდა. ადამიანები სამსახურში ფეხშიშველი რომ არ მივიდნენ, პეკინის მეტროს სადგურებზე ფეხსაცმლის გაქირავების პუნქტები გაიხსნა. არჩევანი დიდი არაა — მოქალაქეებს მხოლოდ უნივერსალური ზომის ვარდისფერი, ყვითელი და ლურჯი რეზინის შლოპანცის არჩევა შეუძლიათ. საზაფხულო ფეხსაცმლით გაქირავების ყველა პუნქტია მომარაგებული, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სათადარიგო ფეხსაცმელი საკმარისი არ აღმოჩნდება, მას უახლოესი სადგურიდან მიიტანენ. შლოპანცები მეტროპოლიტენის საკუთრებაა და ისინი უკან უნდა დაუბრუნდეს. ვინაიდან ფეხსაცმელს პეკინის მეტროში ყოველგვარი გარანტიის გარეშე გასცემენ, გამქირავებლებს მხოლოდ მგზავრების კეთილსინდისიერების იმედი აქვთ. მას შემდეგ, რაც გაცემული წყვილი ფეხსაცმელი გაქირავების პუნქტს დაუბრუნდება, იგი აუცილებელ სტერილიზაციას გაივლის.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როგორ შეიცვალა ფასეულობები! ყველაფერი ყირაზე დადგა! თუ „პირსისხლიანი ტირანი“ სტალინის ხელში გაზრდილი „მონების“ თაობისათვის საპროტექციო „კარგი ადგილი“ ფრონტის ყველაზე სახიფათო მონაკვეთი იყო, დღეს, მშვიდობიან დროში, „დემოკრატიის შუქურის“ — მიშიკო სააკანტროპის „პატრიოტტროპების“ სანუკვარი ოცნებაა „თავისუფლების ინსტიტუტი“, „არასამთავრობო ორგანიზაცია“, სამინისტრო, პარლამენტი „ოპციებით“ — დოლარიანი „საკენკავით“, „ჯიპით“, რესტორნითა და „ბუჩქით“, ხოლო ომიანობისას — „წითელი ხიდის“ მისადგომები!..“**

ნიკოლოზ ჩარაშვილი:

# ვადანაშაულებ სააკაშვილს სიმხდალეში! ფრონტზე ასეთ ლაჩრებსა და პანიკიორებს ადგილზე ვხვრეტდით!

**ნეტავ, რომელია ჩვენში 90 წლის — მე თუ მოპირდაპირე მხარეს მჯდომი ხმელი აღნაგობის მამაკაცი, გამჭოლი მზერით?! ჩვენი საუბრის უკვე მესამე საათი იწურება: გამიშეშდა კისერი, დამიმძიმდა ზურგი, გაუჩერებლივ ვცქმუტავ სკამზე, ეს კი ზის ურყევად, ვითარცა ქვის კერპი ბომონში! თუმცა რატომ მიკვირს? სამამულო ომის მონაწილე, თადარიგის მაიორი ნიკოლოზ ჩარაშვილი იმ დიდი თაობის წარმომადგენელია, რომელიც გენიალურმა რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ უკვდავყო „ღიმილის ბიჭებში“!**



— მე ძირძველი თბილისელი ვარ, — **მიყვება ბატონი ნიკოლოზი.** — აქ დავიბადე, ნახალოვკაში, 1922 წლის 16 აგვისტოს. მამაჩემი — ილარიონი ზეინკლად მუშაობდა სტალინის სახელობის ორთქლმავალ ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, ხოლო დედა, ლუბა ბაგულაშვილი, ქსნის ხეობიდან იყო, სოფელ ქვემო ბოლიდან. აცხონოს ღმერთმა! როგორც ყველა ჭეშმარიტად ქართველი ქალი, ოჯახის ბურჯი გახლდათ. ხუთი შვილი გაგვზარდა — სამი ძმა და ორი და.

ჩემი მშობლები არათუ მორწმუნეები, არამედ ღრმად მორწმუნეები იყვნენ და ჩვენც ასევე გვზრდიდნენ!

**— მათ სარწმუნოებისათვის არ დევნიდნენ?**

— ოცდაათიანი წლების დასაწყისში, სტალინის ბრძანებით, გაუქმდა ლენინის მიერ შემუშავებული ანტირელიგიური კანონი და ხრუშჩოვის მმართველობის დაწყებამდე მკაცრად იკრძალებოდა სასულიერო პირებისა და მორწმუნეების დევნა-შევიწროება! მამაჩემი პარტიის წევრი არ იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სანამ მუშაობდა, ქარხნის „საპატიო დაფიდან“ მისი პორტრეტი არ ჩამოუხსნიათ!

**1929 წლის პირველ სექტემბერს პატარა კოლა მშობლებმა მიიყვანეს მათ სახლთან ახლოს, საბჭოს ქუჩაზე მდებარე თბილისის რკინიგზის პირველ საშუალო სკოლაში. ჩემი წინა ოთხი რესპონდენტისგან განსხვავებით, კოლას სწავლა არ უყვარდა.**

— როგორც აკადემიურად ჩამორჩენილი მოწაფე, ორჯერ ჩავრჩი — ერთხელ მეექვსე კლასში, მეორეჯერ კი — მერვეში, — **ღიმილით იხსენებს ბატონი ნიკოლოზი,** — ხოლო მოგვიანებით, როცა მეკითხებოდნენ: ასეთ გონებამახვილ ბიჭს ეს როგორ დაგემართაო, თავს „ვიმართლებდი“ — საგნების უფრო საფუძვლიანი შესწავლის გამო-მეთქი!

**1942 წლის 10 იანვარს 19 წლის მეათეკლასელი კოლა ჩარაშვილი გამოცხადდა ლენინის რაიონის სამხედრო კომისარიატში და იქ მდგარ მოხალისეთა გრძელ რიგში ჩადგა.**

— თავდაპირველად კომისარს არაფრის გაგება არ სურდა, — **მეუბნება ვეტერანი.** — ჯერ სკოლა დაამთავრეო; მაგრამ, ისე შევუჩნდი, რომ ბოლოს ხელი ჩაიქნია და თბილისის ფეხოსანთა სასწავლებელში გამამწესა.

ეს სამხედრო სასწავლებელი იყო ვერაზე, ახლანდელ 51-ე სკოლის შენობის ნაწილში. აქ უმცროს ოფიცრებს ამზადებდნენ.

სწავლა ექვს თვეზე იყო გათვლილი, მაგრამ ოთხი თვის შემდეგ გაგრაში გადაგვისროლეს, რადგან გაჩნდა საფრთხე ზღვიდან გერმანელების დესანტის შემოჭრისა.

გაგრაში, სადგურთან განლაგდა მეზღვაურთა ჰოსპიტალი, რომლის წინ დავიწყეთ სანგრების გათხრა. სანგრების კედლებს ლერწმით ვამაგრებდით, რადგან იქ მიწის მაგივრად ქვიშა იყო.

**ნიკოლოზ ჩარაშვილმა სასწავლებელი გაგრაშივე დაამთავრა და სამხედრო წოდების მინიჭებისთანავე, ბრიანსკის ფრონტის რეზერვში გაანაწილეს.**

— ამ რეზერვის მეთაური გახლდათ გენერალი პავლე გილაშვილი, — **აგრძელებს თხრობას ჩემი მოსაუბრე.** — ძალიან გამიხარდა მისი დანახვა, რადგან მან მიმიღო კომკავშირის რიგებში! მივედი და ვანახე ჩემი კომკავშირული ბილეთი, მისი ხელმოწერით. გადამეხვია, გადამკოცნა და მითხრა: კარგ ადგილას გაგიშვებო!

„კარგი ადგილი“ სტალინგრადის ფრონტზე 164-ე ცალკეული სატანკო ბრიგადის მოტომსროლელთა ბატალიონი აღმოჩნდა!

**როგორ შეიცვალა ფასეულობები! ყველაფერი ყირაზე დადგა! თუ „პირსისხლიანი ტირანი“ სტალინის ხელში გაზრდილი „მონების“ თაობისათვის საპროტექციო „კარგი ადგილი“ ფრონტის ყველაზე სახიფათო მონაკვეთი იყო, დღეს, მშვიდობიან დროში, „დემოკრატიის შუქურის“ — მიშიკო სააკანტროპის „პატრიოტტროპების“ სანუკვარი ოცნებაა „თავისუფლების ინსტიტუტი“, „არასამთავრობო ორგანიზაცია“, სამინისტრო, პარლამენტი „ოპციებით“ — დოლარიანი „საკენკავით“, „ჯიპით“, რესტორნითა და „ბუჩქით“, ხოლო ომიანობისას — „წითელი ხიდის“ მისადგომები!..**

— გავხდი თუ არა 20 წლის, მეორე დღიდანვე, 1942 წლის 17 აგვისტოდან, ბრძოლაში ჩავები. 156 დღე ვიცავდით სტალინგრადს. ეს ქალაქი, ფაქტობრივად, ორი ქარხნისგან შედგებოდა და მდინარე ვოლგის ნაპირზე დაახლოებით 60 კილომეტრზე იყო გადაჭიმული. იბომბებოდა ლამის ყოველი კვადრატული მეტრი! მე და ჩემი ოცეული ვიცავდით სატრაქტორო ქარხანას, რომელმაც ომის დაწყებისთანავე ტანკების გამოშვება დაიწყო.

მიუხედავად იმისა, რომ სტალინგრადი ჯოჯოხეთად იქცა, არც ერთ მის ქარხანას მუშაობა არ შეუწყვეტია!

ვერაფრით გავახარებ დღევანდელი „დემოკრატიის“ მშენებლებს, რადგან ეს სიმართლეა! მეჩვიდმეტე საამქროში დაზგები გაუჩერებლივ მუშაობდა. მუშა-მოლაშქრეებს იქვე ეწყოთ ტყვიამფრქვევები, შაშხანები, ყუთები ტყვიით და ხელყუმბარებით. გერმანელები შეტევაზე დღეში, სულ ცოტა, ათჯერ გადმოდიოდნენ. ამ დროს მუშები დაზგებს აჩერებდნენ, იღებდნენ იარაღს და ჩვენთან ერთად იგერიებდნენ მტერს! ჭეშმარიტებაა ისიც, როცა შეტევაზე გადასვლისას ჩვენი საბრძოლო ყიჟინი ისმოდა: „За Родину, за Сталина!“...

**«წარმოუდგენელია, რომ სტალინი ასე მოქცეულიყო! როცა გერმანელები 25 კილომეტრზე მიუახლოვდნენ მოსკოვს და ბინოკლით უმზერდნენ კრემლის კურანტებს, სტალინს არც თავისი კიტელი დაუღეჭია და არც ჩერჩილისა და რუზველტისთვის უთხოვია, ჩამოდით და ერთობლივი მიტინგი ჩავატაროთ ეგებ გერმანელებმა არ დამბომბონო»**

**უცებ ვეტერანი წყვეტს თხრობას და გაოცებული მეკითხება:** — რატომ იცინით, რაა აქ სასაცილო?!

**მხიარული განწყობის მიზეზს ვუხსნი: — ბოდიში, ბატონო ნიკოლოზ! ცეცხლში და შავ კვამლში გახვეული სტალინგრადის ქუჩებში რატომღაც მებრძოლი შაშკინი და ძმები ახალაიები წარმოვიდგინე; მთავარსარდალი სააკაშვილი კი, ფაშისტების განუწყვეტელი საარტილერიო ჭურვების დაშენის მიუხედავად, პაპიროსით ხელში მშვიდად მდგარი სანგრის თავზე — ჯარისკაცებისათვის სიკვდილის აბუჩად აგდების მაგალითის მიმცემად „დამეხატა“ გონებაში“.**

— აჰაჰაჰაჰაააა! — **ხარხარებს ბატონი ნიკოლოზი.** — შეადარე, არა, მიშა მარშალ როკოსოვსკის — „წითელ სუვოროვს“, როგორც მას სტალინმა უწოდა?! ოჰ, არ შემიძლია! ძაან მახალისე! არადა, დარწმუნებული ვარ, შენ მიერ ჩამოთვლილი ადამიანები სტალინის დროს რომ გაზრდილიყვნენ, დევგმირები იქნებოდნენ!

**— რატომ, ვითომ, ბატონო ნიკოლოზ?**

— რატომ და ადამიანს აყალიბებს ის გარემო, რომელშიც იმყოფება. დღეს, მაგალითად, მარქსი აბუჩად ჰყავთ აგდებული, არადა, ის არა მხოლოდ გენიალური ეკონომისტი, გენიალური ფილოსოფოსიც იყო. ჰოდა, მარქსმა თქვა: მმართველი პარტიის იდეოლოგია სახელმწიფოს იდეოლოგია ხდებაო, ანუ ჩვენებურად: რაც ერიო, ის ბერიო. სტალინის მტრებიც ვერ უარყოფენ, რომ მისი სიკვდილის შემდეგ, შვილებს დარჩათ მამისგან მხოლოდ ძველი შინელი, გაცვეთილი ჩექმები და სამი თვის ხელფასი — 9 ათასი მანეთი, რაც მერე, 1961 წლის კურსით, ცხრაას მანეთს შეადგენდა. სტალინი არამარტო სიტყვით ქადაგებდა პატიოსნებას, სამშობლოსადმი სიყვარულს, თავდადებას, მშრომელ ადამიანზე ზრუნვას, არამედ საქმით ადასტურებდა ამას. მისი ვაჟიშვილების ერთადერთი პრივილეგია ის იყო, რომ მამის „პროტექციით“ ორივენი ფრონტის წინა ხაზზე გაგზავნეს! ხალხმა ეს იცოდა. აბა, ამის შემდეგ ვინმეს გაებედა და საკუთარი შვილი „გადაემალა“! აი, ასეთი მაგალითები ხდიდა ჩემს თაობას სამშობლოსათვის თავდადებულ გმირად! **სტალინი ჩვენთვის უსულო კერპი კი არ იყო, არამედ სამშობლოს განასახიერებდა; და მხოლოდ ამიტომ ჩვენ, მებრძოლები, მისი სახელით სიკვდილზე მივდიოდით!.. აი, ახლა რა მაგალითს იძლევა სააკაშვილი?!** კი, იტყვი — როგორ შეიძლება სპილოს და ამების შედარებაო, მაგრამ ეს კაცი ხომ ჩვენი სამშობლოს ხელმძღვანელია?! არგაგონილი სიცრუე, საკუთარი პერსონის განდიდება, აღვირახსნილობა, ცუდად დაფარული ზიზღი ყველაფერი ქართულისადმი, საზოგადოების უპატივცემულობა... ამის შემდეგ, კიდევაც სწყინს, რომ ხალხს იგი არ უყვარს! როგორღა უნდა შეიყვარო პიროვნება, რომელიც ქვეყნის მომავალს, ახალგაზრდობას, ათახსირებს?! როგორ უნდა გიყვარდეს და პატივს სცემდე ადამიანს, რომელიც საქართველოს ქართველებისგან ცლის, სამაგიეროდ, თურქებით, ზანგებით, ჩინელებითა და კიდევ, ღმერთმა იცის, ვისით ანაცვლებს მათ?! ამის შემდეგ რომელი ჭკუათმყოფელი იყვირებს: „სამშობლოსათვის, სააკაშვილისთვის“?! ვისარგებლებ და სააკაშვილს ერთ რჩევას მივცემ: მიშა, შვილო, 1945 წლის 4 მაისს მდინარე ელბაზე ამერიკელებს შევხვდი. მერე ორი წელი, სანამ გერმანიაში ვმსახურობდი, დროდადრო, მიხდებოდა მათთან ურთიერთობა და აი რა აზრი ჩამომიყალიბდა მათზე: **ამერიკელები საკმაოდ თავისებური ხალხია. სანამ მოღალატეები სჭირდებათ, ისინი ოქროს მთებს ჰპირდებიან, მაგრამ, როცა მოღალატეები აღარ სჭირდებათ, თავხედურად „აგდებენ“. თუმცა ამაში ამერიკელებს ვერ გავამტყუნებ.** სანამ დროა, ჭკუას მოუხმე, რადგან დამღუპველია ერთდროულად ქვეყნის მართვა (რომლის მოსახლეობას ღიად თუ ფარულად ეზიზღები) და ბოზებში გრიალი!..

## ომის პატარა კურიოზები

### კურიოზი პირველი

**სტალინგრადის ოლქში, ქალაქ კალაჩთან, რამდენიმე გერმანულ დივიზიას ალყა შემოვარტყით. როგორც კი რკალი შეიკრა, მათ ავიაციის მეშვეობით სურსათით ამარაგებდნენ. ერთხელ „ენა“ ავიყვანეთ, რომელმაც გვითხრა: ალყაში მყოფნი „ფოკევულფებს“ შუქსიგნალს აწვდიან ჯიბის ფარნებითო. ამ მონაცემის გადამოწმება გადავწყვიტეთ. ღამით ჩემი ოცეულით ტიალ მინდორში გავედით და ნიშნის მიცემა დავიწყეთ. უცებ ჩემ ახლოს მიწაზე ყრუ დარტყმა მომესმა. ერთი მებრძოლი მომიცოცდა და მეუბნება: ამხანაგო მეთაურო, გერმანელები ციდან დაფებს ყრიანო. აღმოჩნდა, რომ ეს იყო შოკოლადით გატენილი ყუთები, თითოეულის წონა დაახლოებით 70 კილოგრამს აღწევდა. სამი დღე მთელი პოლკი ამ უგემრიელესი „დაფებით“ ვიკვებებოდით!**

▶

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„1945 წლის 4 მაისს მდინარე ელბაზე ამერიკელებს შევხვდი. მერე ორი წელი, სანამ გერმანიაში ვმსახურობდი, დროდადრო, მიხდებოდა მათთან ურთიერთობა და აი რა აზრი ჩამომიყალიბდა მათზე: ამერიკელები საკმაოდ თავისებური ხალხია. სანამ მოღალატეები სჭირდებათ, ისინი ოქროს მთებს ჰპირდებიან, მაგრამ, როცა მოღალატეები აღარ სჭირდებათ, თავხედურად „აგდებენ“.**

◀ **კურიოზი მეორე**

— „მოენეა“ ასაყვანი, — მიბრძანა პოლკის მეთაურმა. შევარჩიე სამი ჯარისკაცი, შევიმოსეთ თეთრი შესანიღბავი ხალათით და დავალების შესრულებას შევუდექით.

მოწინააღმდეგეს რომ მივუახლოვდით, შუბლსა და ქუდს შორის არსებული დოლბანდი ჩამოვიფარეთ სახეზე. ამ დროს შენ ხედავ, მტრისათვის კი საერთოდ უხილავი ხდები. ვუყურებ, ჩვენ წინ საველე სამზარეულოა. დგას უზარმაზარი რკინის კასრი, იქვეა მზარეული და ჩამჩით ურევს საჭმელს.

გავკეთდი შავი დედალივით-მეთქი, გავიფიქრე, რადგან ყველაზე ინფორმირებული „მოენეებია“ ან მეთაური, ან მზარეული. მზარეულმა იცის, ვისთვის ამზადებს კერძს და რამდენს. ასევე ინფორმირებულია, როდის და რომელი ნაწილი გადადის შეტევაზე. ის ხომ თავის სამზარეულოთი მას ფეხდაფეხ მისდევს. გადის დრო. მართალია, თბილად გვაცვია, მაგრამ როგორია, სამი საათი გაუნძრევლად თოვლზე იწვე ბრიანსკის ტყისპირა მინდორზე?! და, ღმერთო, როგორც იქნა, მზარეულმა ჩამჩა მიატოვა, წამოვიდა და, ბოდიში, მოსასაქმებლად ზუსტად სამ მეტრში ჩემს წინ ჩაიხადა შარვალი!..

ამ ოპერაციის ჩატარებისთვის, ჩემი სერჟანტი დააჯილდოეს მეორე ხარისხის „სამამულო ომის“ ორდენით, ორი ჯარისკაცი კი — მესამე ხარისხის „დიდების“ ორდენებით. მე, ოპერაციის მეთაური, „ჩალაგამოვლებული“ დამტოვეს. მეწყინა, მაგრამ ჩივილს ხომ არ დავიწყებდი? ხომ შემარქმევდნენ მაშინ თანამებრძოლები „ორდენის მათხოვარს“?!

## დედა ღვთისმშობელი

ერთხელ დავთვალე და აღმოჩნდა, რომ 977 დღე ვიომე. ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში, სულ ორჯერ და ისიც მსუბუქად დავიჭერი. სტალინგრადში ბრძოლების დროს ვიღაც უცნობი ფეხშიშველა ქალი, თეთრ სამოსელში ჩაცმული, დამყვებოდა და მკარნახობდა: ნიკოლოზ, სწრაფად დაწექი, სნაიპერი გიმიზნებსო. დავწვებოდი თუ არა, ტყვია ზუზუნით გადამიქროლებდა. შეტევაზე გადასვლა შეუძლებლად რომ მეჩვენებოდა, რადგან ძლიერად გვიშენდნენ ცეცხლს, მეუბნებოდა: აწიე შენი ოცეული და შეუტიე, ყველანი ცოცხლები დარჩებითო. და მართლაც, დავალება ბრწყინვალედ შევასრულეთ, ყველანი ცოცხლები გადავრჩით და „სამამულო ომის“ პირველი ხარისხით ორდენიც დავიმსახურე!

ორჯერ არ დავუჯერე. მტერი შორს მეგონა, ტყესთან ვიდექი. მითხრა: დაწექი, რადგან ჭურვი შენკენ მოდისო. რა უნდა ახლა აქ ჭურვს, — გავიფიქრე თუ არა, დაახლოებით ას მეტრში ჭურვი აფეთქდა, რომლის პატარა ნამსხვრევი სახის მარცხენა არეში მომხვდა და ღაწვის ძვალი დამიზიანა. მეორედ ბერლინის აღების დროს არ დავუჯერე და ტყვია ფეხში მომხვდა, მაგრამ ბრძოლის

977 დღე უკანაა! ბერლინი, 1945 წლის 15 მაისი



სამახსოვრო ფოტო მეგობრებთან ერთად ბრძოლის წინ. „კურსკის რკალი“, 1943 წლის ივლისი. მარცხნიდან პირველი — ნიკოლოზ ჩარაშვილი



ველიდან არ გამოვსულვარ.

**რამდენიმე წლის წინ დიდი ბედნიერება მქონდა პატრიარქთან შეხვედრისა. ავუწერე ეს უცნობი ქალი, თოვლში და ყინვაში ფეხშიშველა რომ დაიარებოდა. აღელდა მისი უწმინდესობა და მითხრა: ბატონო ნიკოლოზ, ეს ქალი თვით ღვთისმშობელი იყოო. მან შეისმინა თქვენი მშობლების ლოცვა და თავის კალთით დაგიფარაო!**

***

**სტალინგრადის შემდეგ, უფროსი ლეიტენანტი ნიკოლოზ ჩარაშვილი იბრძოდა კურსკის რკალზე. მერე იყო კიევი, რიგა, ვარშავა.**

— ჩვენი 23-ე გვარდიის დივიზია, მესამე დამრტყმელი არმიის შემადგენლობაში შედიოდა, რომელსაც კურსკის ბრძოლის შემდეგ „სტალინის მუშტი“ უწოდეს.

**— თქვენ ვარშავასაც ათავისუფლებდით?**

— მედალიც მაქვს — „ზთ რყვრქრდლენმე ჳთპშთვძ“!

**— როგორ ომობდნენ პოლონელები?**

— სამწუხაროდ, ისე იქცეოდნენ, ვითომ არა საკუთარ დედაქალაქს ათავისუფლებდნენ, არამედ სხვისას!.. როცა ჩამოყალიბდა ტადეუშ კოსტიუშკოს სახელობის პოლონური დივიზია, მასში მხოლოდ 30 პროცენტი იყო პოლონელი, დანარჩენები საბჭოელები იყვნენ. ექვსი წლის წინ ჩემი მეგობარი, გოგი მერაბიშვილი, გარდაიცვალა. აი, გოგის ეცვა პოლონური მუნდირი. დასანანია, რომ გოგი აღარაა, თორემ საინტერესო ამბებს მოგიყვებოდათ პოლონელ მეომრებზე...

## და იყო ბერლინი!

— როცა ქანთარია და ეგოროვი დროშით ხელში მიემართებოდნენ რაიხსტაგის გუმბათისკენ, მათ გზას უხსნიდა ჩვენი მოტომსროლელთა ბატალიონი. ორ მაისს ბერლინი ავიღეთ, მაგრამ ჩემთვის ომი 4 მაისს დამთავრდა, როცა ჩემი ასეულით მდინარე ელბაზე გავედი. ერთი უზბეკი რიგითი ჯარისკაცი მყავდა, რომელმაც მითხრა: — ამხანაგო კაპიტანო, მიწაც დამთავრდა და ომიცო!..

**1947 წლის მარტამდე კაპიტანი ჩარაშვილი გერმანიაში, საბჭოთა საოკუპაციო ჯარებში, მსახურობდა, ქალაქ ებერსვალდში. ოთხი საბრძოლო ორდენით („სამამულო ომის“ I და II ხარისხის, „წითელი დროშის“, „ალექსანდრე ნეველის“) და ხუთი მედლით, (მათ შორის, „За взятие Берлина“), მკერდდამშვენებული ნიკოლოზი აპრილში თბილისში დაბრუნდა.**

— სიმართლეს გეტყვი, ყველაზე მეტად იმით ვამაყობ, რომ მაქვს ათი მადლობის სიგელი უმაღლესი მთავარსარდლისგან — იოსებ სტალინისგან!

**იმავე 1947 წელს ახალგაზრდა ოფიცერმა იქორწინა თავის თანასკოლელზე — როზა ოქროპირიძეზე. გაუჩნდათ ორი ქალიშვილი — ივეტა და მარინა. უფროსმა დაამთავრა თბილისის უცხო ენების ინსტიტუტი, მუშაობდა სკოლაში. ცოლად გაჰყვა ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ორერას“ სოლისტ ვალერი ლომსაძეს. შეეძინათ ქალიშვილი თამარი, რომელიც 1987 წელს მამასთან ერთად საცხოვრებლად ამერიკაში გადავიდა. თავად ივეტამ სამშობლოდან წასვლა არ მოისურვა და მონაზვნად აღიკვეცა. ახლა დედა ირინე მოღვაწეობს ბოდბის წმინდა ნინოს მონასტერში. უმცროსი ქალიშვილი — მარინა, რომელიც ლენინგრადის კულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულია, მუშაობს თბილისში, წმინდა ანტონ მარტყოფელის ეკლესიაში რეგენტად.**

**1951 წელს თადარიგში მყოფი კაპიტანი ჩარაშვილი მოსკოვში გამოიძახეს საიდუმლო ობიექტის აშენებაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ, როცა მის პირად საქმეს გადახედეს, უთხრეს: თქვენ მაგრად გიომიათ! ხომ არ გინდათ, კრემლში იმსახუროთო?**

რა თქმა უნდა, დავთანხმდი! კრემლი, სტალინი! იყო ასეთი „Московская особая стрелковая дивизия“ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით, რომლის ერთ-ერთ პოლკს საპატიო ყარაულის ფუნქცია ეკისრა; ჰოდა, მაგ დივიზიაში მომიწია ყოფნა. როცა სტალინი მოსკოვიდან გამოდიოდა, საკომენდანტო დაცვა მას ჩვენ — სამხედრო დაცვას გვაბარებდა. ბელადს ბორჯომამდე მივყვებოდით. ის ყოველ ზაფხულს ლიკანში ისვენებდა.

**— გინახავთ ცოცხალი სტალინი?**

— აი, ისევე, როგორც ახლა შენ გხედავ! არ ველაპარაკე თუ რა?!

**— როგორი ადამიანი იყო ურთიერთობაში?**

— მიუხედავად იმისა, რომ უზარმაზარი, მსოფლიოში უძლიერესი ქვეყნის მმართველი გახლდათ და დედამიწაზე ყველაზე ავტორიტეტული და მშრომელთა უსაყვარლესი პიროვნება, უბრალოზე უბრალო კაცი იყო! ერთხელ, ასე მივმართე: „დიდო ბელადო, ამხანაგო სტალინ!“ მხიარულად გამომხედა, ხელის ქნევით შეწყვიტა ჩემი, ლამის, ბავშვური აღტაცება და მითხრა: ძია სოსო დამიძახე და შენობით მელაპარაკეო“. დასკვნა თავად გააკეთე.

**— ზუსტად ოთხი წლის წინ დაიწყო აგვისტოს ომი. თქვენი აზრი მაინტერესებს ამ მოვლენასთან დაკავშირებით.**

— ნურავის ეწყინება, მაგრამ ნამდვილი ომი ორი-სამი დღე არ გრძელდება. ეს იყო სამხედრო ავანტიურა, რომელიც ჩვენთვის სავალალოდ დასრულდა...

ჩემი აზრით, ეს იყო ძმათამკვლელი დაპირისპირება. ორივე მხრიდან ახალგაზრდა ბიჭები დაიღუპნენ — ქართველი და რუსი ხალხების მომავალი და, ამიტომაც ძალიან მტკივა გული.

თუ ღმერთმა ინება და სააკაშვილი ხელისუფლებას მოაშორა, აუცილებლად უნდა დაიწყოს ამ დანაშაულის გამოძიება, რომელსაც ათასობით მსხვერპლი და ათიათასობით დევნილი მოჰყვა! პირადად მე **ვადანაშაულებ სააკაშვილს სიმხდალეში, რადგან რუსული თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე კურდღელივით მოკურცხლა და შემდეგ შიშისგან პარალიზებული გორში მიწაზე დაემხო... ფრონტზე ასეთ ლაჩრებსა და პანიკიორებს ადგილზე ვხვრეტდით! მთავარსარდლის ამ უღირსმა საქციელმა ჯარი მორალურად გატეხა და ბრძოლისუნარიანობა დააკარგვინა! სააკაშვილთან შედარებით, იქ მყოფი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი — კუშნერი მითოლოგიურ გმირად მომეჩვენა!**

მე ვადანაშაულებ სააკაშვილს, რომ მან ქართული სოფლები დაუცველი დატოვა და, მადლობა ღმერთს, რუსებს ადამიანობა და ჭკუა ეყოთ, რომ არ გაანადგურეს მშვიდობიანი მოსახლეობა!

წარმოუდგენელია, რომ სტალინი ასე მოქცეულიყო! როცა გერმანელები 25 კილომეტრზე მიუახლოვდნენ მოსკოვს და ბინოკლით უმზერდნენ კრემლის კურანტებს, სტალინს არც თავისი კიტელი დაუღეჭია და არც ჩერჩილისა და რუზველტისთვის უთხოვია, ჩამოდით და ერთობლივი მიტინგი ჩავატაროთ ეგებ გერმანელებმა არ დამბომბონო. პირიქით, როცა სთხოვეს პირად დაცვასთან ერთად მოსკოვი დაეტოვებინა, სტალინმა ბრძანა: მოსკოვს არ დავტოვებ და, თუ გერმანელები დედაქალაქში შემოიჭრებიან, მე თავად წარვუძღვები ჩემს დაცვას შეტევაზეო! აი, ასეთი ლომი იყო! საქართველოს ჰყავდა დიდი მთავარსარდლებიც, ნიჭიერი მთავარსარდლებიც, უნიჭო მთავარსარდლებიც, მაგრამ მშიშარა მთავარსარდალი ჩვენს ისტორიას არ ახსოვს. აი, **ჭკუამხიარული მიშიკო საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც ერთადერთი და იმედი მაქვს, უკანასკნელი მხდალი მთავარსარდალი!..**

ვიმედოვნებ, რომ ახალი ხელისუფლება რუსეთთან აღადგენს ტრადიციულ, ძმურ ურთიერთობას!

**სახალხო ბელადის გარდაცვალების შემდეგ, ნიკოლოზ ჩარაშვილმა შინაგან საქმეთა ჯარებში კიდევ ორი წელი დაჰყო. 1955-ში სამშობლოში დაბრუნდა. მუშაობდა ვაჭრობის სფეროში. 1984 წლიდან გადავიდა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში. თემქის დასახლების „სავაჭრო ცენტრში“ ჰქონდა პატარა სახელოსნო, რომელიც საგალანტერეო ნაწარმს ქმნიდა და არემონტებდა: ღილებს, ქამრებს, ქოლგებს... მის აქტიურ შრომით მოღვაწეობას ბოლო მოეღო 1991 წელს, როცა დამოუკიდებელი საქართველოს „ეროვნულმა გვარდიამ“, სარდალ კიტოვანის ხელმძღვანელობით, მძლავრად შეუტია „სავაჭრო ცენტრს“, დაარბია იგი და პირწმინდად გაძარცვა...**

— ერთადერთი, რაც დამენანა, — **იხსენებს იმ დღეს ვეტერანი**, — იქ დარჩენილი ჩემი სამუშაო ინსტრუმენტები იყო. თუმცა, ვმადლობ ღმერთს, რომ ცემით არ მომკლეს!

**დღეს ნიკოლოზ ჩარაშვილი მოღვაწეობს გლდანი-ნაძალადევის ვეტერანთა საბჭოში.**

— წელს, 9 მაისს, „გამარჯვების პარკში“ ბიძინა ივანიშვილს შევხვდი და განვუცხადე: თუ გინდათ, რომ თქვენი ქომაგი გავხდე, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ომის ვეტერანებს შეღავათები აღგვიდგინეთ, რომელიც რატომღაც სააკაშვილმა გაგვიუქმა-მეთქი. სიტყვა მომცა. რა ვიცი, ჩემი ინტუიცია მიკარნახებს, რომ ივანიშვილი სიტყვის კაცია!

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

შვილ ივეტასთან. დღეს ივეტა დედა ირინეა



**«ყველაზე მეტად იმით ვამაყობ, რომ მაქვს ათი მადლობის სიგელი უმაღლესი მთავარსარდლისგან — იოსებ სტალინისგან!»**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დამისახელეთ მსოფლიოში ერთი კუთხე თუ მხარე, სადაც ფულადი ანაზღაურება აღებული ჰქონდეს მოსახლეობის მხოლოდ ორ პროცენტს, მთელი წლის განმავლობაში. თუნდაც ერთი ლარი. ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია არა მარტო ბოლო 12 წლის განმავლობაში, დაქირავებულთა ასეთი მცირე მაჩვენებელი ყველაზე დაბალია ბოლო 20 წლის განმავლობაში და გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება: 2,7-ჯერ ნაკლებია 1999 წლის მაჩვენებელზე.“**



შალვა მექვაბიშვილი:

# გურიაში საშუალო დღიური შემოსავალი ერთ სულზე მხოლოდ 24 თეთრია

# სააკაშვილმა გურიას სული ამოჰხადა

**„გურიაში მივალ, მარა სულმა წინ-წინ გეიპარა“.**
***(ხალხური)***

**თემურ ჭკუასელმა, რომელიც წინასაარჩევნო მარათონშია ჩართული, როგორც ჩოხატაურის რაიონიდან დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატი, „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში თქვა: „წახდა, ბებია, ყანა!“ — ბებიაჩემი იტყოდა ასე, ქარი მიწაზე რომ დააწვენდა ყანას და მოსავალი რომ დაიკარგებოდა. წამხდარ ყანას ჰგავს დღეს გურია“ („საქართველო და მსოფლიო“, №29).
ეს ფრთიანი გამონათქვამი „გაიშიფრა“ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორთან, ეკონომიკის საკითხების ექსპერტთან შალვა მექვაბიშვილთან საუბარში.
ყურადღებით წაიკითხეთ ეს ეკონომიკური ანალიზი და მიხვდებით, სიცრუის რა დოზითაა გაჟღენთილი სააკაშვილის პერმანენტური წატრაბახება მის მიერ „აშენებული“ ქვეყნის წინსვლისა და აყვავების შესახებ.
ცნობისთვის: ბატონი შალვა ოფიციალური მონაცემებით ოპერირებს.**

— გურია საქართველოს ყველა კუთხეზე უფრო დაიჩაგრა, ჩემდა სამწუხაროდ, შევარდნაძის დროსაც და, განსაკუთრებით, სააკაშვილის დროს. მე გურული ვარ, სკოლა ოზურგეთში დავამთავრე, ამიტომ გასაგები უნდა იყოს ჩემი ყურადღებიანი დამოკიდებულება ამ მხარის მიმართ.

ოზურგეთის რაიონი კომუნისტების პერიოდში თავისი ბიუჯეტით საქართველოში პირველ ადგილზე იყო, მეორეზე — მარნეულის, მესამეზე — ზუგდიდის.

დღეს ციფრებს რომ ვუყურებ, გული მიწუხს: **გურია არა მარტო საქართველოში, ალბათ, მსოფლიოში ყველაზე უფრო ჩამორჩენილი და მივარდნილი კუთხეა. თუ გურიაში ყოფილხართ, ვერ ნახავთ სახლს, რომელიც ბოლო 20 წლის პერიოდში აშენდა, გარემონტდა, ღობეები, რომლებიც წელიწადში ორჯერ ილებებოდა, დაჟანგული და გაოხრებულია.**

**— დავაზუსტოთ: „არც ერთი სახლი“ გადაჭარბებული ხომ არ არის?**

— თუ „ნაციონალებთან“ მიტმასნილ და კორუმპირებულ ადამიანს არ აქვს აშენებული, სხვა ვერავინ გადაიხდიდა ახალმოსახლეობას.



**«გურიაში ვერ ნახავთ სახლს, რომელიც ბოლო 20 წლის პერიოდში აშენდა, გარემონტდა, ღობეები, რომლებიც წელიწადში ორჯერ ილებებოდა, დაჟანგული და გაოხრებულია»**

**სააკაშვილმა გურიას სული ამოჰხადა!**

ახლა ციფრებს გეტყვით და ყველაფერი გამოაშკარავდება.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2011 წელს გურიაში ცხოვრობდა 140,3 ათასი კაცი; აქედან პენსიონერი (სახელმწიფო პენსიის მიმღები) — 30939, ანუ მთლიანი მოსახლეობის 22,1 პროცენტი.

მოსახლეობის ამ რაოდენობიდან ბიზნესსექტორში თვეში საშუალოდ 350 ლარი, ანუ წელიწადში 4200 ლარი (რაც მე გაბერილი მგონია) მიღებული ჰქონდა მხოლოდ 2891 კაცს, ანუ გურიის მთელი მოსახლეობის 2,1 პროცენტს. **დამისახელეთ მსოფლიოში ერთი კუთხე თუ მხარე, სადაც ფულადი ანაზღაურება აღებული ჰქონდეს მოსახლეობის მხოლოდ ორ პროცენტს მთელი წლის განმავლობაში. თუნდაც ერთი ლარი. ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია არა მარტო ბოლო 12 წლის განმავლობაში, დაქირავებულთა ასეთი მცირე მაჩვენებელი ყველაზე დაბალია ბოლო 20 წლის განმავლობაში და გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება: 2,7-ჯერ ნაკლებია 1999 წლის მაჩვენებელზე *(იხ. დიაგრამა №1)*.** ამ წელს გურიაში დასაქმებული იყო, ანუ ოფიციალურად რაღაც თანხას მაინც იღებდა 7917 კაცი, 2011 წელს კი დასაქმებული იყო მხოლოდ 2891 კაცი.

**«1999 წელს გურიაში დასაქმებული იყო, ანუ ოფიციალურად რაღაც თანხას მაინც იღებდა 7917 კაცი, 2011 წელს კი დასაქმებული იყო მხოლოდ 2891 კაცი»**

ხედავთ, რა დიდი სხვაობაა!

გურიაში, 2011 წლის 1 სექტემბრის მონაცემებით, რეგისტრირებული იყო 9399 ბიზნესსუბიექტი. ეს ისაა, რითაც ტრაბახობს სააკაშვილი, რომ ჩვენთან ბიზნესი ოფიციალურად ადვილად რეგისტრირდება. აი, ამდენ ბიზნესსუბიექტში დასაქმებული იყო 2891 კაცი, ანუ ერთ ბიზნესსუბიექტში — 0,31 კაცი.

**— რა ბიზნესსუბიექტებზეა ლაპარაკი?**

— ჩვეულებრივი ბიზნესია — ან ინდივიდუალური მეწარმეა, ან სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ან შპს, საჯარო სამსახური, კერძო სკოლა, კერძო საავადმყოფო და ა. შ. — ყველაფერი აბსოლუტურად. ამ მაჩვენებლით (ანუ ერთ ბიზნესსუბიექტში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობით) საქართველო მსოფლიოში ბოლოდან პირველ ადგილზე დგას, გურია, შესაბამისად, საქართველოში ლიდერობს.

**— ერთი კაციც კი არ გამოდის? ზღაპრის ნახევარქათამასავით არის.**

— მესამედიც — არა! მესამედი ნული და რამდენიმე სამიანი უნდა იყოს.

**შევარდნაძის კორუმპირებულ პერიოდში, ანუ „ვარდების რევოლუციამდე“, კერძოდ, 1999 წელს ერთ ბიზნესსუბიექტში დასაქმებული იყო საშუალოდ 4,12 კაცი, რაც 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 13,3-ჯერ აღემატებოდა *(იხ. დიაგრამა №3)*.**

**— ბატონო შალვა, ის „ნახევარქათამა“, ანუ 0,31 კაცი, ეგებ, დღეს ისე კარგადაა ანაზღაურებული, რომ 13 წლის წინანდელზე ბევრად უკეთესად ცხოვრობს?**

— არ ვიცი, რამდენად სწორი იქნება ჩემი პასუხი, მაგრამ მე ვეყრდნობი ოფიციალური სტატისტიკური სამსახურის მონაცემებს, რომლის მიხედვით, ამ მხარის ბიზნესსექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება 350,3 ლარია.

**— რომელ პერიოდში?**

— 2011 წელს. თუ ამ 350,3 ლარს გავამრავლებთ 2891-ზე, ანუ სტატისტიკური სამსახურის მიერ ნაჩვენებ დასაქმებულთა რაოდენობაზე, გამოვა, რომ **შარშან გურიის მოსახლეობამ ბიზნესსექტორიდან ჯამურად მიიღო 12,2 მილიონი ლარი.**

დავაზუსტოთ: **12,2 მილიონი ლარი მიიღო ერთობლივად ყველა დასაქმებულმა, მაგრამ გათითოებულ მუშაკებს ხომ ჰყავთ ოჯახები?**

**— უნდა ვივარაუდოთ, რომ ჰყავთ.**

— მაშასადამე, ამ საერთო რაოდენობის თან- ▶

ბიზნეს-სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)






**„მახსოვს, 120 ათასი ტონა ჩაი იკრიფებოდა გურიის მარტო ერთ რაიონში — ოზურგეთში. დღეს ეს დარგი გაქრობის პირასაა. სამაგიეროდ იზრდება იმპორტი. თუ 2003 წელს საქართველოში ჩაის იმპორტი 223,5 ათასი ტონა იყო, 2011 წელს 52,2-ჯერ გაიზარდა და 11733,4 ათას ტონას მიაღწია! ასე ვითარდება სააკაშვილის „ეპოქაში“ სოფლის მეურნეობა.“**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ხის იმედზეა გურიის მთელი მოსახლეობა. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მხარის მოსახლეობის რაოდენობა 140,3 ათასი კაცია. რამდენი უნდა ერგოს თითოეულ მათგანს?

გაანგარიშება უმარტივესია: **ეს 12,2 მილიონი უნდა გავყოთ მოსახლეობის საერთო მაჩვენებელზე, მიღებული რიცხვი — წელიწადის 365 დღეზე და გამოვა საშუალო დღიური შემოსავალი ერთ სულზე მხოლოდ 24 თეთრი.**

რას იყიდის ასეთი დღიური შემოსავლით ერთი ოჯახი? ნახევარ პურსაც ვერ იყიდის.

**— პენსიებიც ხომ არის კიდევ? თემურ ჭკუასელმა უკვე ნახსენებ ინტერვიუში თქვა, „როგორც მთელ საქართველოში, გურიაშიც დაბერებას ნატრობენ — საპენსიო ასაკის მიღწევას. ისეთი გაჭირვებაა, რომ ის კაპიკებიც სანატრელი გაუხდათ“.**

— ეს საკითხიც განვიხილოთ. გურიაში ყველა კატეგორიის პენსიონერებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიცა 37,1 მილიონი ლარი. ეს თანხა ბიზნესსექტორში მომუშავეთა მიერ აღებულ თანხაზე სამჯერ მეტია. **ანალოგიური მაჩვენებელი მსოფლიოში არსად იქნება — პენსიონერები უფრო მეტს იღებდნენ, ვიდრე ბიზნესსექტორში დაკავებული ადამიანები?! ნონსენსია!**

იმ მიზერულ 24 თეთრს პენსიებიდან მიღებული საშუალო რაოდენობა რომ დავუმატოთ, დღეში 96 თეთრი გამოვა.

**— ესე იგი, შეიძლება ვთქვათ, რომ მოსახლეობის საშუალო დღიური შემოსავალი ერთი ლარიც არ არის?**

— სამწუხაროდ, ასეა.

**— ჰოდა, შეუძლიათ იყიდონ ერთი პური, რომელიც 400 გრამია, ან ნაკლები.**

— მოდით, ახლა შევადაროთ: **პატიმრის მხოლოდ კვებაზე ციხეში, შიმშილით კაცი რომ არ გარდაეცვალოთ, სახელმწიფო ყოველდღიურად 2,6 ლარს ხარჯავს, ანუ დღეში პატიმრის კვებაზე სამჯერ უფრო მეტი იხარჯება, ვიდრე გურიის ერთი ოჯახის ყოველდღიური საშუალო შემოსავალია.** ამ შემოსავლით ადამიანმა სასუქიც უნდა იყიდოს, უნდა მოხნას, იკვებოს, ჩაიცვას და ა. შ.

ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ქვეყანაში მოსახლეობა საშუალოდ თავის ჯანმრთელობაზე დღეში 1,1 ლარს ხარჯავს, ესეც უფრო

## «გურიაში, 2011 წლის 1 სექტემბრის მონაცემებით, რეგისტრირებული იყო 9399 ბიზნესსუბიექტი. ეს ისაა, რითაც ტრაბახობს სააკაშვილი, რომ ჩვენთან ბიზნესი ოფიციალურად ადვილად რეგისტრირდება. აი, ამდენ ბიზნესსუბიექტში დასაქმებული იყო 2891 კაცი, ანუ ერთ ბიზნესსუბიექტში — 0,31 კაცი»

მეტია საშუალო შემოსავალზე.

გურიაში რომ განათლებული ხალხი ცხოვრობს, სწავლა-განათლებისკენ მისწრაფება რომ ძალიან დიდია, ეს, მგონი, უეჭველია. მაგრამ **უმაღლესი განათლების მიღებაზე ოცნებაც კი ზედმეტია, რადგან ყველაზე იაფი ყოველწლიური სასწავლო გადასახადი, რომელიც უმაღლესი სასწავლებლისთვისაა დაწესებული 2250 ლარია, რაც დღეში, საშუალოდ, 6,2 ლარს უდრის.**

**— მაშ, გადაიკეტა ყველა გზა განათლების მიღების?**

— არამარტო უმაღლესი განათლების. საგრძნობლად შემცირდა გურიაში საშუალო პროფესიული განათლების სასწავლებელთა რაოდენობა. კვლავ ოფიციალურ სტატისტიკაში ჩავიხედოთ: თუ 2005-2006 სასწავლო წელს გურიაში ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა 8 ასეთი დაწესებულება, 2008-2009 სასწავლო წლისთვის სამიღა დარჩა. ცხადია, შესაბამისად შემცირდა მოსწავლეთა რაოდენობაც 1120-დან 95-მდე.

**— დღეს რამდენია, ხომ არ იცით?**

— ვერაფერს გეტყვით, რადგან მომდევნო წლების მაჩვენებელს სტატისტიკის სამსახური აღარ აქვეყნებს, სხვათა შორის, ისევე, როგორც ბიბლიოთეკების რაოდენობის შესახებ მონაცემებს. **2003 წელს გურიაში 99 ბიბლიოთეკა მუშაობდა, 2008 წლისთვის მხოლოდ 14 დარჩა.** დღეს შეიძლება არც ამდენია, რადგან შემდგომი წლების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ადმინისტრაციული წყაროებიდან შეუძლებელია.

**— დიიიდი სახელმწიფო საიდუმლოებაა!**

— ყოველ შემთხვევაში იმის დამადასტურებელია, თუ რა ყურადღებას აქცევს სახელმწიფო მოსახლეობის განათლების დონის თუნდაც შენარჩუნებას.

**— დეგრადაციისკენ მივყავართ.**

— თანაც არა მარტო განათლების სფეროში. სოფლის მეურნეობა უარეს დღეშია. მარცვლეული კულტურებიდან გურიაში ყველაზე უფრო გავრცელებულია სიმინდი. ეს ცნობილია.

ოფიციალური სტატისტიკა ეკონომიკის სფეროს მონაცემებს მხოლოდ 2006 წლიდან აქვეყნებს. არც 2011 წლის ციფრები ჩანს სადმე, მაგრამ რაც არის, ისიც საგანგაშოა **(იხ. ცხრილი №1).**

სიმინდის მოსავალი კატასტროფულად კლებულობს: 2006 წელს იყო 23,9 ათასი ტონა, 2010-ში — მხოლოდ 18,8; კურკოვანი ხილის (შესაბამის წლებში): 31 და 1,3, ჩაი — 3,9 ათასი ტონა და 1,4 ათასი ტონა.

**მახსოვს, 120 ათასი ტონა ჩაი იკრიფებოდა გურიის მარტო ერთ რაიონში — ოზურგეთში. დღეს ეს დარგი გაქრობის პირასაა.**

**სამაგიეროდ იზრდება იმპორტი. თუ 2003 წელს საქართველოში ჩაის იმპორტი 223,5 ათასი ტონა იყო, 2011 წელს 52,2-ჯერ გაიზარდა და 11733,4 ათას ტონას მიაღწია!**

ასე ვითარდება სააკაშვილის „ეპოქაში“ სოფლის მეურნეობა.

**— და ასეთია დღეს სააკაშვილის წინასაარჩევნო დაპირების — „საქართველო — სიღარიბის გარეშე“ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის რეალური სურათი.**

— 2011 წლის 3 სექტემბერს სააკაშვილმა ყვარელში, თავის „მამულში“ გამართა თათბირი, მიწვეული ჰყავდა სოფლის მეურნეობის მაშინდელი მინისტრი კვეზერელი, გუბერნატორი, კახეთის რაიონების გამგებლები. სააკაშვილი იწყებს საუბარს და ეკითხება კვეზერელს:

— კახეთში წელს ბრწყინვალე მოსავალია, ხომ?

## «დღეში პატიმრის კვებაზე სამჯერ უფრო მეტი იხარჯება, ვიდრე გურიის ერთი ოჯახის ყოველდღიური საშუალო შემოსავალია»

მინისტრი უპასუხებს:

— დიახ, 150 ათასი ტონა ყურძენი მოვაო.

ამდენს იმ წელს მთელ საქართველოში ელოდნენ, იმან კი კახეთზე გადმოიტანა.

— შარშან რამდენი იყო?

— 100 ათასი (ე.ი. 50 პროცენტით მეტიო).

— შემოსავალი რამდენი ექნება კახეთში გლეხს?

მინისტრმა გადაამრავლა 40 თეთრზე (კილოგრამ ყურძნის ფასზე) 150 ათასი ტონა და უპასუხა:

— 60 მილიონი.

— კახეთში რამდენი ოჯახი ცხოვრობს?

— 110 ათასი ოჯახი, — უპასუხებს კვეზერელი.

მიშა დაფიქრდება ერთ წუთს და იტყვის:

— ვა, რა კარგია! თითო ოჯახს შემოსავალი მარტო ყურძნიდან 5 ათასი ლარი ექნება.

60 მილიონი 110 ათასზე რომ გაყო, 500-ია, 500 ლარი და არა 5000 ლარი.

**აი, ესაა მიხეილ სააკაშვილი.**

**ტყუილითა და სიცრუით აცხოვრებს საქართველოს თავისი „იმედით“, „რუსთავი 2“-ით, პირველი არხით. გურიაშიც ჰქონდათ იმედი, რომ ეს ტელესიკეთეები მათთანაც მივიდოდა. არ მივიდა, რადგან არ არსებობს.**

**არადა, საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანა უნდა იყოს, თავისი შესაძლებლობებით, თავისი რესურსებით.**

ყველა ქართველმა უნდა ისწავლოს თუნდაც ელემენტარული ანალიზის კეთება, ერთხელ და სამუდამოდ საქართველოში უნდა შედგეს სამოქალაქო საზოგადოება. ბიძინა ივანიშვილიც რომ მოვა, იმასაც ოპონირება სჭირდება. მე დარწმუნებული ვარ მის დიდ პიროვნულ თვისებებში, მაგრამ არ შეიძლება ადამიანის დატოვება საზოგადოების კონტროლის გარეშე.

**— ე.ი. კონტროლი ზემოდან — ქვემოთ და ქვემოდან — ზემოთ! ცნობილი ლოზუნგია.**

— უწინარეს ყოვლისა, ქვემოდან — ზემოთ!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ამ ინტერვიუს წამკითხავ ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველებს მინდა ვკითხო: — ხომ იცით, ბატონებო, რატომ ჩაატარა მიხეილ სააკაშვილმა ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე ქართული საზოგადოების კასტრაცია, გადედლება, ავადსახსენებელი „ჩარეცხვის“ მეთოდით რატომ მოიცილა პროფესიონალები, საქმის ღრმად მცოდნე ადამიანები?**

**თქვენ იცით, რა თქმა უნდა, რატომაც — თავისუფლად რომ ეთარეშა, ეყვლიფა, ფეხქვეშ რომ გაეთელა ხალხის ინტერესები საკუთარის სასარგებლოდ.**

**ვინ იყო ხმის ამომღები?! მის გარშემო შემოკრებილი აზროვნების საჭურისები?! როგორ გეკადრებათ!**

**ბატონ შალვა მექვაბიშვილის თუნდაც მხოლოდ ეს ინტერვიუ თავდაყირა აყენებს ნაცბოლების მთელ „ეკონომიკურ პოლიტიკას“ და მის „მიღწევებს“.**

**სწორედ ასეთი, რეალისტურად მოაზროვნე სპეციალისტები, მეცნიერები ჩამოიცილა დილეტანტმა პრეზიდენტმა.**

**„თუნდაც მხოლოდ ეს ინტერვიუ“ კი იმიტომ ვთქვი, რომ, არ დაგიმალავთ, უკვე ჩაწერილია და გამოსაქვეყნებლად მზადდება ბატონ შალვასთან საუბარი საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო ურთიერთობების შესახებ.**

**სენსაცია თუ გსურთ, აი ისაა!**

**სამუშაო სათაური კი ასეთია „მოტეხილი მილიარდი და უფრო მეტიც“.**

## «2003 წელს გურიაში 99 ბიბლიოთეკა მუშაობდა, 2008 წლისთვის მხოლოდ 14 დარჩა»

| ცხრილი №1 | სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, 1000 ტონა | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2002 | 2003 | 2004 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
| სიმინდი | ... | ... | ... | 23,9 | 34,3 | 37,7 | 29,8 | 18,8 |
| კურკოვანი ხილი | ... | ... | ... | 3,1 | 2,5 | 1,6 | 0,5 | 1,3 |
| ციტრუსები | ... | ... | ... | 11,3 | 13,1 | 16,7 | 12,5 | 24,2 |
| სუბტროპ. ხილი | ... | ... | ... | 1,1 | 1,2 | 0,7 | 0,7 | 0,9 |
| ჩაი | ... | ... | ... | 3,9 | 3,6 | 2,6 | 3,5 | 1,4 |

## ეგვიპტის პრეზიდენტი ებრაელ კოლეგასთან მიმოწერას უარყოფს

**ისრაელის პრეზიდენტმა წერილი მიიღო მუჰამედ მურსისგან, კაიროში კი აცხადებენ, რომ ეგვიპტის ლიდერს არაფერი მიუწერია. პერესის კანცელარიის წარმომადგენელთა თქმით, მურსის წერილი ისრაელში მდებარე ეგვიპტის საელჩოდან გადასცეს. ამ წერილის ასლი გამოაქვეყნა ბრიტანულმა ბიბისიმ.** გზავნილი დაბეჭდილია ინგლისურ ენაზე საბეჭდ მანქანაზე. წერილში გამოთქმულია მადლობა რამადანის მილოცვის გამო. ცოტა ადრე პერესმა მურსის მიულოცა წმინდა მუსლიმანური თვის დაწყება. წერილში მურსი ირწმუნება, რომ ყველა შესაძლო ძალისხმევას გამოიყენებს მშვიდობიანი პროცესების გასააქტიურებლად და მოუწოდებს ისრაელის ხელისუფლებას, ითანამშრომლოს მათთან რეგიონში სტაბილურობისა და კეთილდღეობის შენარჩუნებისათვის. გზავნილის ბოლოს წერია „მუჰამედ მურსი, ეგვიპტის არაბული რესპუბლიკის პრეზიდენტი“, თუმცა ხელმოწერა არ არის.




## მაკდონალდსიდან ჯანსაღ კვებამდე

**სწრაფი კვების ობიექტების ქსელის McDonalds-ის ყოფილი პრეზიდენტი მაიკ რობერტსი ახალი რესტორნების ქსელს ხსნის.** როგორც მაიკი აცხადებს, მისი ქსელი სერიოზულ კონკურენციას გაუწევს McDonalds-ს, ვინაიდან მათი პრიორიტეტი მომხმარებლისთვის ჯანსაღი საკვების შეთავაზება იქნება. რობერტსის რესტორნების ქსელის სახელწოდება LYFE Kitchen-ი იქნება და ქართულად ასე იშიფრება: „გიყვარდეს შენი საკვები ყოველ დღე“. ახალი რესტორნების მენიუში არ იქნება ჭარბი ცხიმით, რაფინირებული შაქრით და ორგანიზმისთვის საზიანო სხვა პროდუქტებით დამზადებული საკვები. კერძებში არ იქნება ქიმიური დანამატები. რობერტსის თქმით, რამდენიმე წელიწადში ამერიკის შეერთებული შტატების მასშტაბით ჯანსაღი კვების 1000-მდე ობიექტი გაიხსნება. LYFE Kitchen-ში ჰამბურგერის შეძენა მომხმარებელს 8,49 დოლარი დაუჯდება, თუმცა, რობერტსის თქმით, კლიენტი დარწმუნებული იქნება, რომ მასში ნამდვილად ცხოველის ხორცია მოთავსებული და რომ ის ორგანიზმს არაფერს ავნებს.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ამ გუნდის და მათი მინისტრების მაშინდელი ქცევები მე დღეს ვნახე, მანამდე მეც უმრავლესობაში ვიყავი. მე მშურს მათი, ვინც თავიდანვე გამოიცნო ისინი. გამოცდილება რომ მქონოდა და ანალიზი რომ ჩამეტარებინა მათი ქცევისთვის, თუ როგორ იქცეოდნენ დასაწყისშივე, როგორ შეიძლებოდა მათი დახმარება? მე შემეშალა ისევე, როგორც შეეშალა აბსოლუტურ უმრავლესობას. 7 ნოემბერი და „იმედის“ დარბევა კულმინაცია იყო.“

# ბიძინა ივანიშვილი: ქართველი ხალხი არ არის ისეთი ბეჩავი და ბრიყვი, როგორიც სააკაშვილს ჰგონია, ჩვენ სხვა ხალხი ვართ და დიქტატორს არ ავიტანთ

**მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელმა, ჟურნალისტმა ირმა ინაშვილმა „ქართული ოცნების“ ლიდერ ბიძინა ივანიშვილს ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ინტერვიუსადმი საზოგადოების ინტერესი ერთობ მაღალია, „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ მის მცირედ შემოკლებულ საგაზეთო ვარიანტს.**





**– ბატონო ბიძინა, თქვენდამი ძალიან დიდი მოლოდინია, საქართველოს საზოგადოება პირადად თქვენ გიჭერთ მხარს და ცხადია, რომ ეს არის დიდი პასუხისმგებლობაც. როდესაც თქვენ რეგიონებში მოგზაურობთ, ხვდებით ძალიან ბევრ გაჭირვებულ ადამიანს, რა დაინახეთ, რა არის მთავარი, რაც მათ აწუხებს?**

– პირველ რიგში, **ტოტალური უსამართლობის განცდას** დავასახელებდი. სვანეთის მაგალითზე ვიტყვი, რომ ხალხი საშინლად შეურაცხყოფილია ამით, და მეორე დიდ უსამართლობად **უმუშევრობას** მივიჩნევ. ასევე, უამრავი პოლიტიკური პატიმარი და დევნილია (დევნილი პირდაპირი მნიშვნელობით), რომელთაც აქ არ ეცხოვრებოდათ და ვერ მუშაობდნენ, ამიტომაა უამრავი ჩვენი თანამოქალაქე საზღვარგარეთ გადახვეწილი ლუკმაპურის საშოვნელად. მე დალხინებით ვცხოვრობდი საზღვარგარეთ და უდიდესი ნოსტალგია მქონდა; წარმომიდგენია, ისინი როგორ განიცდიან და როგორ უნდათ სამშობლოში დაბრუნება. როდესაც ჩემი ძმა გაიტაცეს და მე სამშობლოში არ ჩამომესვლებოდა საფრთხის გამო, მახსოვს, როგორ განვიცდიდი ამას, მაგრამ, როდესაც 3-6 თვე არ ვყოფილვარ, მაგრამ ვიცოდი, რომ მალე ჩამოვიდოდი, ასეთი განცდა არ მქონია. აი, ამ დღეში არიან ისინი, ვინც საქართველო იმიტომ დატოვა, რომ აქ ცხოვრება გაუსაძლისი იყო. **ჩემი მიზანია, მათ ჩემოდნების ჩალაგება დაიწყონ და სამშობლოში დაბრუნების დროს დაელოდონ.** რა თქმა უნდა, ყველა ერთად ვერ დაბრუნდება, რადგან **ჩვენს ეკონომიკას ერთ წელიწადში ვერ ავაშენებთ. უამრავი სამუშაო ადგილი ერთბაშად ვერ გაჩნდება და მინდა მოსახლეობა ამას გაგებით მოეკიდოს, მაგრამ ჩვენ დავიწყებთ შეუქცევად პროცესს. ქვეყნის შინ და გარეთ სხვანაირი სახეები, იმედი გაჩნდება. მე ძალიან მეშინია დაპირებების, რადგან არ მინდა ხალხს ილუზია შეექმნას, რომ პირველივე წელიწადს ყველას ყველაფერი ეშველება.**

სამართლიანობა აღდგება ძალიან სწრაფად და ყველას გაუჩნდება ეს განცდა, მაგრამ სამუშაო ადგილებს რაც შეეხება, ეს იქნება განუხრელი ცდა და ამას დასჭირდება რამდენიმე წელიწადი, რომ ყველამ მოახერხოს დასაქმება და საკუთარ სამშობლოში დაბრუნება.

**–ერთ-ერთი სატელევიზიო ინტერვიუსას განაცხადეთ, რომ სააკაშვილს ყველა საფუძველი აქვს იმისათვის, რომ დიქტატორი გახდეს. თქვენთვის სააკაშვილი ჯერ კიდევ არ არის დიქტატორი?**

– ფორმალურად არა და თავისი განწყობით და ხასიათით, რა თქმა უნდა, ტიპიური დიქტატორია, მაგრამ არ არის რესურსები, რაშიც ქართველ ხალხს ვგულისხმობ. ჩვენი პრობლემა ისაა, რომ არ გაგვაჩნია პოლიტიკური კულტურა, არ გვაქვს სახელმწიფო მართვის გამოცდილება, სწორად ვერ ვირჩევთ და ვერ ვაკონტროლებთ ხელისუფლებას. ამით ისარგებლა სააკაშვილმაც. ეს ხალხი სწორედ ქვების სროლით მოვიდა და ასევე აგრძელებს. ინტერნეტში არის ჩანაწერი, თუ როგორ ემუქრება ის პოლიციელს, რომ მივა პოლიციის შენობასთან ათასი კაცით და მიწასთან გაასწორებს. აი, ასეთი კაცი ავირჩიეთ ჩვენ. რატომღა გვიკვირს, რასაც აკეთებს და აპირებს? მაგრამ **ქართველი ხალხი არ არის ისეთი ბეჩავი და ბრიყვი, როგორიც მას ჰგონია, ჩვენ სხვა ხალხი ვართ და დიქტატორს არ ავიტანთ.**

**– თქვენ ახსენეთ, როგორ იქცეოდა სააკაშვილი, ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდოდა, მაგრამ ჩნდება ურთიერთგამომრიცხავი სიტუაცია — თქვენ აფინანსებდით „ვარდების რევოლუციას“...**

– მე არასდროს მითქვამს, რომ ვაფინანსებდი ამ რევოლუციას. მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შევხვდი მას და პირველი, რაც ვუთხარი, იყო ის, რომ არ ყოფილიყო კორუფცია. იმ შემთხვევაში, როდესაც მინისტრს ჰქონდა 10-დოლარი ხელფასი და მილიონობით ლარის ღირებულების დოკუმენტს აწერდა ხელს, ცდუნება მაინც იქნებოდა. ამიტომ პირველი ორი წელი ვაფინანსებდი სახელმწიფო სტრუქტურებს.

**– ამას გულისხმობდით, როდესაც თქვით, რომ თქვენ იყავით „სოროსი“?**

– სოროსის ფონდი საქართველოში უკვე არსებობდა. მოვძებნეთ ფორმა, თუ როგორ გადაგვეხადა და გამოვიყენეთ მისი სახელი, რადგან მე რუსეთში ვიყავი და მათ არ მოეწონებოდათ ჩემი ეს ქმედება. ეს დახმარება ხელფასებს ხმარდებოდა და ამავე დროს, დავაწესეთ მეორე ფონდი ძალოვანი სტრუქტურებისთვის და ყველაზე დიდი დახმარება მიდიოდა თავდაცვის სამინისტროზე. ესეც ჩემი ინიციატივა იყო, რადგან ჯარისკაცები დახეული ტანსაცმლით დადიოდნენ, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში ის თანხები იარაღის შეძენას არ უნდა მოხმარებოდა. ეს ჩემი პრინციპული პოზიცია იყო. ამ პროცესის მიმდინარეობაზე ანგარიშებს ოქრუაშვილისგან ვიღებდი, მაგრამ მისი წასვლის შემდეგ აღარ მიმიღია და ნელ-ნელა ამ პროცესებიდან გამოვედი.

**– სწორედ ამ ფონდებში, რომლებსაც ძალოვანები აკონტროლებდნენ, თავს იყრიდა ძალიან ბევრი ადამიანისთვის წართმეული თანხები. საზოგადოებამ წართმევის, ძალადობის ბევრი რთული ეტაპი გაიარა. შეილახა სიცოცხლის უფლება. ამიტომ, როდესაც იმაზე ვსაუბრობთ, რომ ხალხი განიცდის უსამართლობას, უპირველეს ყოვლისა, მათი ინტერესია გასათვალისწინებელი.**

– ამ ორ ფონდს მე ძალიან დაჟინებით ვაკონტროლებდი. ხოლო მათ ბიზნესმენების დაყაჩაღება რომ დაიწყეს, ვითომ რაღაც ფონდებს რომ ქმნიდნენ და სად მიჰქონდათ ის ფული, ღმერთმა იცის. აი, ეს რომ მოხდა, სწორედ ჩვენი პოლიტიკური კულტურის არქონის ბრალია. ჩვენ თავიდან უნდა ამოგველო ხმა, რადგან ვიცოდით, თუ ვინ იყვნენ ისინი.

**– თქვენ ნანობთ ამას?**

– მეც ხელებაწეული შევხვდი, მეც ბევრი რამ არ ვიცოდი და აღფრთოვანებული ვიყავი მათით. თუმცა **ამ გუნდის და მათი მინისტრების მაშინდელი ქცევები მე დღეს ვნახე, მანამდე მეც უმრავლესობაში ვიყავი.**

**მე მშურს მათი, ვინც თავიდანვე გამოიცნო ისინი. გამოცდილება რომ მქონოდა და ანალიზი რომ ჩამეტარებინა მათი ქცევისთვის, თუ როგორ იქცეოდნენ დასაწყისშივე, როგორ შეიძლებოდა მათი დახმარება? მე შემეშალა ისევე, როგორც შეეშალა აბსოლუტურ უმრავლესობას.** 7 ნოემბერი და „იმედის“ დარბევა კულმინაცია იყო. დღეს ამას ვიმკით და ამის გამოსწორებას ვცდილობთ.

**– ხალხის ნება და სურვილი გასათვალისწინებულია და თქვენც ამაზე ხართ მოტივირებული. მაგრამ მთელ რიგ რაიონებში, სამწუხაროდ, დასახელდა ისეთი მაჟორიტარობის კანდიდატები, რომლებსაც ხალხი მხარს არ უჭერს. ჩვენთან ხშირად რეკავენ და გვეუბნებიან, მოგაწვდინოთ ხმა, რომ მათ არ სურთ ესა თუ ის ადამიანი. საზოგადოებაში გაჩნდა აზრი, რომ ვიღაცამ ზემოთ ერთპიროვნულად გადაწყვიტა, ვინ უნდა ყოფილიყო მაჟორიტარობის კანდიდატი, და არა — ხალხმა. ეს პროცესი ვინ წარმართა — თქვენ თუ კოალიციამ?**

– თეორიულად მე გახლავარ კოალიციის ლიდერი; გვაქვს საბჭო, რომელშიც არიან ძალიან საინტერესო ადამიანები. საბჭო ყველა წინადადებას განიხილავს და არანაირი ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღება არ ხდება. თუმცა კამათის დროს ხშირად მახსენებდნენ, რომ მქონდა უფლება, გადაწყვეტილება მიმეღო. მე არასდროს გამომიყენებია ეს უფლება, რათა არაკორექტული არ ვყოფილიყავი და თან არც ხასიათში მაქვს ეს. ამასთან, შეცდომებისგან არავინაა დაზღვეული და **კანდიდატებს ხშირ შემთხვევაში არც კი ვიცნობდი. პარტიებს ჰქონდათ საშუალება, გამოცდილებიდან გამომდინარე, წამოეყენებინათ მათი კანდიდატურები, ვისაც იცნობდნენ. მე ვთვლი, რომ ჩვენ კარგი კანდიდატები წარვადგინეთ, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ კორექტირება მოგვიწევს.** მაგრამ ხალხის ზოგად დამოკიდებულებაზე გეტყვით, რომ ვერც ერთ რაიონში ვერ მოძებნით იდეალურ მაჟორიტარს, რომლის წინააღმდეგი 1-2 ადამიანი არ მოიძებნოს. ხშირად კარგ კანდიდატს ესხმიან თავს და პროცესში გვიშლიან ხელს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ შიგნიდანაც გადიოდეს ინფორმაცია, მაგრამ ეს ჩემთვის კატასტროფა არ არის იმდენად, რამდენადაც გასაიდუმლოებულ პროცესებს არ ვატარებთ. ვიცით, რომ ტელეფონებიდან, კომპიუტერიდან ისმენდნენ და როგორც კი ხმა გავიდოდა საინტერესო კანდიდატზე, მაშინვე შეტევა იწყებოდა. ჩვენი დაკვირვებით, ერთი და იგივე ადამიანები აგორებდნენ ამ ტალღას და ხელმოწერებით მოდიოდნენ. ისინი ამას ახერხებენ და თქვენც არ დაგაბნიონ, რადგან ახერხებენ, გავლენა მოახდინონ, რათა რეალური კანდიდატები ჩაგვენაცვლებინა.

«მაჟორიტარობის კანდიდატებს ხშირ შემთხვევაში არც კი ვიცნობდი. პარტიებს ჰქონდათ საშუალება, გამოცდილებიდან გამომდინარე, წამოეყენებინათ მათი კანდიდატურები, ვისაც იცნობდნენ. მე ვთვლი, რომ ჩვენ კარგი კანდიდატები წარვადგინეთ, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ კორექტირება მოგვიწევს»

**– მინდა განვმარტო, რომ ეს ადამიანები აქტიურად არიან ჩართული „ქართული ოცნების“ პროცესებში და გული შესტკივათ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ კანდიდატის დასახელებით ამა თუ იმ უბანში, შესაძლოა, წააგოს არჩევნები.**

– ზოგ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გულწრფელად ფიქრობენ, რომ ესა თუ ის კანდიდატი ვერ გაიმარჯვებს, მაგრამ ისინი არიან უმცირესობაში. ძალიან ხშირად ის „სეთურის სამსახური“, რომელიც კარგად აქვთ აწყობილი, ახერხებს, რომ ჩვენს მხარდამჭერებში შეიტანოს შფოთი. ასე რომ, არის ნაწილი, ვინც გულწრფელად განიცდის, არის ნაწილი, რომელიც ობიექტურია და ჩვენს შეცდომასაც არ გამოვრიცხავ, დიდი ნაწილი შეცდომას უშვებს სუბიექტურობის გამო და არიან ისეთებიც, ვისაც შეგნებულად განაწყობენ, რომ უარი გვათქმევინონ რეალურ კანდიდატზე.

**— მაჟორიტარების დასახელების პროცესში თუ იყო ჩართული ხალხი, მიმდინარეობდა თუ არა დემოკრატიული პროცესი? გამოკითხვას ვგულისხმობ.**

– ძალიან ბევრ რეგიონში ჩავატარეთ გამოკითხვა და ხალხის აზრი გავითვალისწინეთ. ზოგან 2-3-ჯერ ვახერხებდით შეხვედრას. მაგრამ ეს არ იყო ფართო გამოკითხვა.

**– მაყურებელი ხშირად ინტერესდება, არის თუ არა გადამწყვეტი სტატუსი –** ▶

„საააკაშვილს არავითარი რესურსი არ აქვს, რომ საქართველო გადაარჩინოს.
მას მხოლოდ შეუძლია საკუთარი თავი გადაარჩინოს ან პერსპექტივა
დაიტოვოს. ამიტომ მოვუწოდებ, რომ დაბრუნდნენ კანონიერების ფარგლებში
და დაემორჩილონ საკუთარ ხალხს, რადგან მათ მსგავსი იდეოლოგიითა
და მსგავსი ქმედებით აღარ აქვთ საშუალება, შეინარჩუნონ
ხელისუფლება და ქართველი ხალხი დაიმონონ. ეს წარმოუდგენელია და
ამიტომ მივმართავ, რომ კუდი არ მოიქნიონ და ქვეყანა არ დააზარალონ.“



ახალი საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «რაც უნდა მოხდეს, ჩვენი უარესი შედეგი არის 40%, რაც ამათთვის ამ ერთი წლის განმავლობაში დამანგრეველი იქნება»

**...ვიღაცის და, ძმა, შვილი და ა. შ., ადამიანი რომ კანდიდატად დასახელდეს?**

– ტოტალურად, რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ის, რომ მანანა ბერიკაშვილი გივი ბერიკაშვილის ქალიშვილია, იმოქმედა, მაგრამ არა იმ კუთხით, როგორც თქვენ დასვით კითხვა. ეს აბსოლუტურად დამღუპველი იქნებოდა და **მე ვცდილობდი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, კოალიციის ყველა პარტია მოტივირებული და მიმართული ყოფილიყო იქითკენ, რომ კანდიდატები ღირსეული ადამიანები ყოფილიყვნენ.** პარტიულობა ყველამ გვერდზე გადადო და წარმოადგინა საუკეთესოები, ის, ვინც ხალხს მოსწონდა. თუმცაღა კარგი დობა, ძმობა და მამის შვილობა კარგ ადამიანს ღირსებას კიდევ უფრო მატებს.

**– თქვენ ბრძანეთ, რომ ის რესურსი გყავთ, რა საზოგადოებაცაა და მასში ძალიან რთულია ახალი სახეების მოძიება. მართალია, რადგან ამ ახალ სახეს მარჯვნიდან ხელისუფლება ებრძვის, მარცხნიდან – ოპოზიცია. ამიტომაა, რომ ქართულ პოლიტიკაში ერთსა და იმავე სახეებს ვხედავთ. თქვენ როგორი პოლიტიკური სისტემის შექმნას აპირებთ? ფიქრობთ ახალი პოლიტიკური ინდუსტრიის შექმნაზე?**

– ეს ის საკითხია, რომელზეც მუდამ ვზრუნავ და მუდამ პრობლემები მაქვს პოლიტიკაში მოსვლის დღიდან. როდესაც დახმარებას ვცდილობდი, მაშინაც კი ვერ მოვნახე პოლიტიკური ძალა, რომელიც რეალურად გაიმარჯვებდა. **პოლიტიკა ისეთი რამაა, რომ ძალით კაცს ვერ მოიზიდავ და, ვინც უკვე აქ იყო, მხოლოდ მათგან შეიძლებოდა არჩევა. ამჯერად ჩემს პარტიაში ძალიან ბევრი ახალი სახეა და თავისი გულწრფელობით ბევრს იგებენ, მაგრამ პოლიტიკურ გამოცდილებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.** ამ ეტაპზე კი შემოვიყვანე ახალი სახეები, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია მეორე ეტაპი. **ერთია არჩევნებში გამარჯვება და მეორეა ხელისუფლების მართვა. მე უზარმაზარი ვალდებულება მაქვს, რომ რაიმე არ მოხდეს და ირიბად არ წავიდეს ის ხელისუფლება, რომელსაც ჩვენ მოვიყვანთ.** აქვე ვიტყვი მთავარს, რაც არსად მითქვამს – როდესაც ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს შევხვდი, ძალიან ბევრი საკითხი გავარჩიეთ და ჩემი ერთ-ერთი თხოვნა იყო ის, რომ ჩვენი ემიგრანტების კართოტეკას გააკეთებს და მაქსიმალურად შევეცდებით სახელმწიფო მართვის პროცესებში გარედან ჩავრთოთ მოქალაქეები, რომლებიც პოლიტიკაში არ ყოფილან. ეს მცდელობა თავიდანვე მქონდა, მაგრამ დროის სიმცირის გამო ვერ მოვახერხე პირველ ეტაპზე. ახლა მუშაობა უკვე დაწყებულია და ბევრ საზღვარგარეთ მყოფ ქართველ პოლიტიკოსს დავაბრუნებთ.

**– ხომ არ ნანობთ, რომ კოალიციამ კარი ბოლომდე არ გახსნა?**

– თქვენ თუ მხედველობაში გყავთ ჩემი თანაპარტიელები და კოალიციის წევრი პარტიები, **შეიძლება თავიდან იყო რაღაც, მაგრამ დღეს ყველანი ჩემნაირი განწყობით არიან – მთავარია გამარჯვება და საუკეთესო წევრების მოყვანა. კოალიციასა და პარტიაში ეს წინააღმდეგობები აღარაა. მე ბევრი ვიმუშავე ამ მიმართულებით და დღეს ყველაზე რთული პიროვნებები ყველაზე ლოიალურები არიან.** მე ყოველთვის ვახერხებდი მეგობრული გუნდის შეკვრას და ეს ჩემი მთავარი თვისებაა. რა თქმა უნდა, კარი ყველას გავუღეთ, შეცდომისგან დაზღვეული კი არავინაა.

**– კოალიციაში არიან პოლიტიკოსები, რომელთა მიმართაც ქართული საზოგადოება აცხადებს, რომ არ მისცემდა ორ ხმასაც კი, რომ არა ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც ასე დიდ პატივს ვცემთ. გრძნობთ თუ არა პასუხისმგებლობას იმ ადამიანების გამო, რომლებსაც თქვენი სახელი შეიყვანს პარლამენტში?**

– მე ძალიან ბევრი ვიმუშავე კოალიციის შიგნით და ძალიან ოპტიმალური არჩევანი გავაკეთეთ. ბევრმა შეიცვალა დამოკიდებულებები, ასევე გავარკვიეთ, თუ რატომ არ ჰქონდათ რეიტინგი და ა. შ. მაგრამ **ისინი კარგავდნენ რეიტინგს იმიტომ, რომ არ ღალატობდნენ საკუთარ პრინციპებს, მაგრამ ამით შეცდომები დაუშვეს და საზოგადოებას გული ატკინეს, რადგან მათ უკეთესის გაკეთება სურდათ და შეეშალათ. მე ამ პრინციპულობას პატივს ვცემ. ამას მე პროფესიონალიზმზე წინ ვაყენებ, თუმცა პირიქით უნდა იყოს.** რამდენადაც დღეს ჩვენი საზოგადოება ისეა არეული, ისე გაჭირდა თეთრისა და შავის გარჩევა, სააკაშვილმა ისეთი დონის სიცრუე დანერგა, რომ პროფესიონალი ანალიტიკოსიც კი ფეხს მოიტეხს.

**– მაგრამ თქვენი ავტორიტეტით პარლამენტში ხვდება ის ხალხი, ვისაც ქართველი ერი არ უჭერს მხარს, ანუ თქვენ შეგნებულად შეგყავთ?**

– **ძალიან ბევრი პრინციპების გამო სახელმწიფო მშენებლობას უჭერდა მხარს და არა სამშობლოს ცნებას. ასეთი ხალხი ბევრად სანდოა, ვიდრე ის, ვინც შეგნებულად ცრუობდა. მე არ მაქვს შიში და ვიცი, რომ ისინი რეალურად დაგვეხმარებიან სახელმწიფოს მშენებლობაში და არ იქნება ღალატი და სიცრუე.**

**– როდესაც რეჟიმის ბუნებრივი დემონტაჟი ხდება, ეს ნორმალური პროცესია, მაგრამ ზოგი, ვინც 8 წლის მანძილზე ტერორისტული ხელისუფლების ნაწილი იყო, უცებ გადავიდა ოპოზიციაში, როდესაც არენაზე გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი და ცვლილების იმედი. ხომ არ ეკარგება სტიმული იმ ადამიანებს, რომლებიც მთელი გულწრფელობით ებრძოდნენ ამ რეჟიმს?**

– მე მაქსიმალურად ვცდილობ, ის ხალხი, რომელიც ამ რეჟიმის წინააღმდეგ იბრძვის, ჩვენთან გადმოვიდეს. **ის, ვინც სწორ პოზიციაზე იდგა, მუდამ პრიორიტეტი იქნება. მაგრამ ამავე დროს უნდა გავაცნობიეროთ, რომ საჯარო მოხელეების უდიდესი ნაწილი სააკაშვილის მსხვერპლია.** მათაც ჩემსავით მოსწონდათ სააკაშვილი და ეს პროცესები ნელ-ნელა განვითარდა და მათ სხვადასხვა დროს გააცნობიერეს. დღესაც კი ამ სისტემიდან გადმოხტომა არც ისე იოლია. მხოლოდ ხელფასი არაა განმსაზღვრელი, რადგან შეიძლება მეუღლე დაუჭირონ და სხვ. ასეთი მოჯადოებული წრე შეიკრა მათ გარშემო, ვინც ოჯახის სარჩენად იძულებულნი არიან ამ სამსახურში იყვნენ. ამას გაგებით ვეკიდები და სხვადასხვა ეტაპზე მე გავაკეთებ მოწოდებებს მათი მისამართით, რომ დაიწყონ საკუთარ მომავალზე ზრუნვა. **შეიძლება ასეთი ადამიანები, ვინც გადაწყვეტს მათგან წამოსვლას, გაანადგურონ კიდეც.** ჩვენი მიზანია, ყველა მოქალაქე შევინარჩუნოთ. ის, ვისაც არ აქვს სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილი, ეს სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს და არა პოლიტიკოსებმა. **ჩვენ უნდა მოვახერხოთ ობიექტური სასამართლოს დანერგვა და ამაზე მე ვიზრუნებ.** მაგრამ ჩვენი იდეოლოგიაა, რომ ყველა ქართველი შევინარჩუნოთ. სულ ამას ვიმეორებ, რომ ჩვენ გვაქვს 30-საუკუნოვანი კულტურა და ჩვენს ძარღვებში სხვანაირი სისხლი ჩქეფს; ასეთი ხალხის გადაგვარება და მოდრეკა იოლი არ არის. **ამათ ქმედებას თუ შევხედავთ — როგორ ექცევიან ქართულ სოფელს ან როგორ მიზანმიმართულად თქვეს ჩემს ფულზე უარი, რომელსაც ისე ვაძლევდი, რომ თავად გამოჩენილიყვნენ და არა მე. ამის შემდეგ ბურები ჩამოასახლეს და სვანებს წყალი გადაუკეტეს.** აცხადებენ, 1,5 მილიონზე მეტი ადამიანის საარსებო რესურსი არ გააჩნია საქართველოს და ამ დროს სხვებს ასახლებ ქართულ მიწებზე (ამას მე ჭორს კი ვეძახი, მაგრამ ძალიან ჰგავს სიმართლეს) და მათ ქმედებებში ეს კარგად მჟღავნდება.

**– როგორ არ იყო მიზანმიმართული ქმედებები მაშინ, როდესაც ქუჩაში ამდენი ახალგაზრდა დახოცეს, როცა ჩვენი მიწების 20-22% მტერს გადაეცა, როცა მოისპო განათლების რეფორმა, მეცნიერება დანგრეულია და დღეს ქვეყანაში მეცნიერები აღარ იზრდებიან.**

– აქ მინდა შეგაჩეროთ და გითხრათ, რომ გუშინ ჩემმა ძმისშვილმა მონიტორინგის ამონაწერები მომიტანა, რომლებშიც ეწერა – „მერაბიშვილი და აკადემიკოსები ქართულ სოფელს გადაარჩენენ.“ ესაა 3-4-სიტყვიანი ანეკდოტი. **ამათ დაანგრიეს მეცნიერება და განათლება. მათი რეფორმების აბსოლუტური უმრავლესობა დამანგრეველი და ჩვენი საზოგადოებისთვის სტრესული იყო.** აღსანიშნავია, როგორ მოგვყვებიან და გემორჩილებიან, თუ სწორად განვახორციელებთ რეფორმას. **ათასობით პოლიციელმა უარი თქვა ქრთამის აღებაზე. ეს არც მერაბიშვილის დიდი მენეჯმენტის შედეგი იყო და არც სააკაშვილის იდეოლოგიაზე დამყარებული. როგორც კი სწორი გზა მოგვცეს, ნახეთ, როგორ აითვისეს ქართველებმა? მაგრამ ეს პოლიცია დღეს ბოლომდე პოლიტიზირებულია და საკუთარი ხალხის დასათრგუნად იყენებენ.** მაგრამ ისინი ვერაფერს უხერხებენ ამ ერთი კაცის იდეოლოგიას, მისი მსხვერპლნი არიან და თავადვე განიცდიან ძალადობას, ჩვენ გავათავისუფლებთ ამისგან.

**– გექნებათ მოწოდება პოლიციისადმი?**

– მე ბევრჯერ მიმიმართავს, მაგრამ მათ აშანტაჟებენ და ჩვენი მოვალეობაა, გავათავისუფლოთ ისინი. ამას როგორც კი ჩამოვაშორებთ, ნახავთ როგორი საზოგადოება იქნება. მუდამ იმის ძახილი, რომ ასეთი წარსული გვქონდა – არაა საკმარისი. ჩვენ ღირსეული ყოფა უნდა შევქმნათ.

**– მაგრამ მანამდე არჩევნები უნდა მოვიგოთ. თქვენ რამდენიმეჯერ ბრძანეთ, რომ არჩევნებს არ გააყალბებინებთ. თუმცა უკვე ყალბდება. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევები უკვე გაყალბებულია. თუ გაყალბდა, რა მეთოდს მიმართავს ბიძინა ივანიშვილი? იქნება ეს სამოქალაქო დაუმორჩილებლობის გზა?**

– პირველი, რის გარანტიასაც ვაძლევ მოსახლეობას, ისაა, რომ ეს მინიმუმამდე დავიყვანოთ, რადგან საერთოდ უარს ვერ ვათქმევინებთ. ამასთან, გაყალბება უკვე მიმდინარეობს და აქ საეჭვო ორგანიზაციების კვლევებს კი არ ვგულისხმობ, არამედ დაჯარიმებებს, ათასობით ორგანიზაციების დახურვას, ჩემს თანამოაზრეებზე ზეწოლას – ეს უკვე არის გაყალბების ნაწილი და ეს სულ იქნება, მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი და ჩვენ არჩევნებს მოვიგებთ, ხოლო **ტოტალურ გაყალბების და მონაცემების გადაწერის საშუალებას არ მივცემთ.** მათი მაქინაციების საწინააღმდეგოდ ჯგუფი უკვე გვყავს ჩამოყალიბებული, ხოლო ის, რასაც თქვენ ახსენებთ და გაყალბების 5% დიდ გავლენას ვერ მოახდენს შედეგებზე. ის, რომ გადაწერენ და ასე გააყალბებენ, ამის ილუზია მხოლოდ მათ აქვთ. ჩვენ ძალიან ბევრს ვმუშაობთ ევროპელებთან და აშშ-თან, მაგრამ ჩვენ გასაკეთებელს ისინი არ გააკეთებენ. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, ჩვენ უნდა გავაკეთოთ, ისინი არ გარისკავენ, რადგან კავშირები, ურთიერთობები აქვთ ხელისუფლებასთან. თუ ის მოხდა, რასაც თქვენ ამბობთ, ისინი არ გააფორმებენ ამ არჩევნებს და ახალი არჩევნები დაინიშნება. **თუ უხეში გაყალბება მოხდა, ქუჩის აქციებით დავანახებთ ყველას, რომ ეს არ გააფორმონ. მაგრამ მე ქართველ ხალხს დაპირისპირებისკენ არასდროს მოვუწოდებ. მე რწმუნებულება მაქვს იმის, რომ მშვიდად, ცივილურად ვაიძულებთ და გავისტუმრებთ. ქუჩაში გამოვიყვანთ ხალხს და დავათვლევინებთ ევროპელებს თუ ამერიკელებს.**

**– იცით, რას განიცდის ხალხი? ხომ არ მოხდება ისე, რომ კოალიცია 18-20 კაცით შევა პარლამენტში, დაიკავებს სავარძლებს და რეჟიმი დარჩება რეჟიმად?**

– ეს არარეალური მოსაზრებაა და, **რაც უნდა მოხდეს, ჩვენი უარესი შედეგი არის 40%, რაც ამათთვის ამ ერთი წლის განმავლობაში დამანგრეველი იქნება.** მათ არ აქვთ პერსპექტივა. ერთადერთი ამ კაცს საკუთარი ხასიათით არ შეუძლია ჯანსაღ ანალიზს დაექვემდებაროს და გუნდიც მსხვერპლად ჰყავს. მას აქვს ერთი იდეოლოგია, რომ ნაბიჯი უკან არ შეიძლება, რაც ბევრჯერ განუცხადებია. დღეს თქვენი ტელევიზიითაც ვაცხადებ, რომ **სააკაშვილს არავითარი რესურსი არ აქვს, რომ საქართველო გადაარჩინოს. მას მხოლოდ შეუძლია საკუთარი თავი გადაარჩინოს ან პერსპექტივა დაიტოვოს, ამიტომ მოვუწოდებ, რომ დაბრუნდნენ კანონიერების ფარგლებში და დაემორჩილონ საკუთარ ხალხს, რადგან მათ მსგავსი იდეოლოგიითა და მსგავსი ქმედებით აღარ აქვთ საშუალება, შეინარჩუნონ ხელისუფლება და ქართველი ხალხი დაიმონონ. ეს წარმოუდგენელია და ამიტომ მივმართავ, რომ კუდი არ მოიქნიონ და ქვეყანა არ დააზარალონ.**

**– ბატონო ბიძინა, იძაბება სიტუაცია ჩვენი რეგიონის გარშემო. სახელისუფლო არხები ამაზე არ საუბრობენ, მაგრამ არის დიდი დაძაბულობა. როგორია ძალთა ცენტრებთან თქვენი ურთიერთობა და მოსალოდნელი კატაკლიზმების ფონზე თქვენ, როგორც ლიდერი, შეძლებთ თუ არა მართოთ სიტუაცია საქართველოს ინტერესების დაცვით?**

– რა თქმა უნდა, საფრთხე არის, რაზეც ანალიზი კეთდება, და მე ძალიან ბევრს ვფიქრობ ამაზე. ჩვენ ჯერ ხელისუფლებაში არ ვართ, მაგრამ ახლავე ვცდილობთ, სწორი მენეჯმენტი გაკეთდეს, მოსვლის შემდეგ დავგეგმავთ პრევენციებს, რათა გლობალური თამაშების მსხვერპლი არ გავხდეთ. ეს იქნება ჩვენი რეალური პოლიტიკა. **კავშირებითა და რეალური დამოკიდებულებით ჩვენ უნდა ვნახოთ ადგილი, სწორი პოლიტიკის შედეგად მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ საფრთხეები, რაც გარედან გვემუქრება.**

**– როდესაც უმადურობას ხვდებით, მას შემდეგ, რაც ამდენი რამ გაგიკეთებიათ ქვეყნისთვის, რას განიცდით?**

– ვცდილობ, გავაანალიზო სიტუაცია. თუ გახსოვთ, საქველმოქმედო ფონდის ანგარიშები რომ მოითხოვა ცენტრალურმა ბანკმა, მართულმა პრესამ ლამის დანაშაულად ჩამითვალა, რომ ვიღაცას ვეხმარებოდი. ეს მუდამ განმეორდება და ეს არის არა ქართველების ბრალი, არამედ დანერგილი იდეოლოგიის და გაგებით უნდა მოვეკიდოთ. 1-2 ცუდი კაცი ყოველთვის იქნება, მაგრამ არ იქნება იდეოლოგია.

**– ადამიანური თვალაზრისით გული დაგწყდათ?**

– მე ძლიერი პიროვნება ვარ და ასე ადვილად ჩემი გულის ტკენა არ ხდება. როგორც თავად არიან მშიშრები და პატარა კაცები, ისეთი ვგონივარ მეც.

**– ადამიანები ძალიან განიცდიან და ნერვიულობენ თქვენს უსაფრთხოებაზე. თქვენ აუცილებლად გექნებათ ნაფიქრი ამაზე, რადგან ძალიან ბევრ რამეს აანალიზებთ და აცნობიერებთ. ბევრი რამისთვის ხართ მზად... რამდენადაა დაცული ბიძინა ივანიშვილი?**

– პოლიტიკაში შემოსვლაზე ვყოყმანობდი და დღეს ძალიან მერიდება ამის, თუმცა, მადლობა ღმერთს, სწორი არჩევანი გავაკეთე. თავიდან უსაფრთხოებაზე არ ვფიქრობდი, მაგრამ ვიცოდი, ვისთანაც მქონდა საქმე. მე სიფრთხილით გამოვირჩევი და კანონიც არასდროს დამირღვევია. **ბიზნესში მსგავს რისკებზე არ წავსულვარ, როგორზეც ახლა პოლიტიკაში მივდივარ. შვილებს გეფიცებით, ერთი გრამი შიში არ გამაჩნია, რადგან როცა შედიხარ, უკან არ უნდა იყურებოდე. რაც შეეხება რეალურ საფრთხეს, რა თქმა უნდა, ესენი ყველაფერზე წამსვლელები არიან, თუმცაღა დღეს ჩემი პირადი უსაფრთხოება დევალვირებულია და აზრი არ აქვს, რომ შემეხონ. მაგრამ ნურავის ექნება ილუზია, რომ შესაძლებელია თავი დაიცვა, როდესაც სახელმწიფო გებრძვის.** ნორმალურ სახელმწიფოშიც კი 100%-იანი დაცვა გამორიცხულია და იქ, სადაც თავად სახელმწიფო გებრძვის, ყოველგვარ დაცვას აზრი ეკარგება.

მაგრამ ჩემი მოშორებით ვერაფერს მიიღებენ, რადგან ასეთი შემთხვევისთვის ყველაფერი გათვლილია. მთავარია, რაც ხალხს შევპირდით, ის შევასრულოთ და ყველაფერი კარგად იქნება.

> **«ერთია არჩევნებში გამარჯვება და მეორეა ხელისუფლების მართვა. მე უზარმაზარი ვალდებულება მაქვს, რომ რაიმე არ მოხდეს და ირიბად არ წავიდეს ის ხელისუფლება, რომელსაც ჩვენ მოვიყვანთ»**

ამბები
GEWORLD.GE-ს მიხედვით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხელისუფლება თავად ურევს ერთმანეთში სპორტსა და პოლიტიკას. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ყველა სპორტული ფედერაციის ხელმძღვანელი ხელისუფლების მაღალჩინოსანია... ოლიმპიურ ნაკრებსა და სპორტულ სამყაროში სწორედ ისეთი სიტუაციაა, როგორიც მთელ საქართველოში. სპორტსმენები, ზეწოლისა და სპორტულ მოღვაწეობაში ხელის შეშლის შიშით, თავისი პოზიციის ხმამაღლა დაფიქსირებას ერიდებიან.“**

# ტერორი და ზეწოლა — «ტილიკას» და «ზარალას» მეგობრების საფირმო ნიშანი



**ნაციონალური ხელისუფლება, რომელსაც პოლიტიკური კონტროლის გარეშე არც ერთი სპორტული ფედერაცია არ დაუტოვებია, თავს უფლებას აძლევს, სპორტსმენები დამოძღვროს, ხოლო დაუმორჩილებლებს ჟანგბადი გადაუკეტოს. სპორტის „დეპოლიტიზაციაზე“ მოსაუბრე ყაჩაღების კაუჩუკის ლოგიკა ისევე მოქმედებს, როგორც ჩრდილში გასული გივი თარგამაძის დაყვედრება, მოჭიდავეების საქმის გასაპროტესტებლად გამოსულ საზოგადოებას რომ შესჩარა ცხვირში: „თქვენ ჯღანას დამცველები ხართო“!**

ეს იმ ხელისუფლების წარმომადგენელმა განაცხადა, რომელიც „ტილიკასა“ და „ზარალასთან“ ახლო მეგობრობაში არის შემჩნეული. იმ პიროვნებამ, რომელიც საქართველოში „ქურდულ სამყაროს“ ებრძვის, ხოლო მეზობელ ქვეყნებში საკუთარ ბიზნეს და პოლიტიკურ ინტერესებს სწორედ ქურდებთან თანამშრომლობით აგვარებს. ეს ის გივი თარგამაძეა, რომელმაც უკრაინაში არჩევნების გასაყალბებლად ნაციონალური დესანტი გადასხა, მისი თანაპარტიელები კი საქართველოს „სამართლიანი“ არჩევნების ჩატარებას ჰპირდებიან!

**ეს ის ხელისუფლებაა, რომელმაც სპორტსმენებს ერთადერთი როლი შესთავაზა — საკუთარი ხალხის დარბევა, დატერორება და მიშას რეჟიმის ქება.** ვინც ამას არ კადრულობს, მათ რბევისა და ტერორის გამოცდილებას საკუთარ ტყავზე აწნევინებენ ხოლმე. **ეს ის ხელისუფლებაა, რომელთან დაახლოებული პირებიც, უცხოეთის დელეგაციებში პოლიტიკური ნიშნით ჩასმულები, ვითომ შეჯიბრებებზე დასასწრებად მიემგზავრებიან, იქ კი მაღაზიებში ქურდობენ.** ვინმეს სჯერა ამის შემდეგ, რომ მალაზიაში ქამრისა და მაისურის მომპარავი ბიუჯეტის ფულს არ მოიპარავს? ვინმეს სჯერა კიდევ, რომ ამათ კორუფცია დაამარცხეს?

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ბოლო განცხადებამ ცინიკურობის ზღვარს გადააბიჯა. **მოწოდება — სპორტსმენებმა გამიჯნონ სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან, ამ სამინისტროსგან ისევე ჟღერს, როგორც მგლის მიერ წაკითხული ლექცია ვეგეტარიანელობის შესახებ!**

მრავლისმომთმენ ქართველ სპორტსმენებს, როგორც ჩანს, მოთმინება გადაეწურათ და მათმა ერთმა ნაწილმა – სამბოში 2012 წლის ევროპის ჩემპიონმა ნოდარ მეტრეველმა, სამბოში ევროპის 5-გზის და მსოფლიო ჩემპიონმა უშანგი კუზანაშვილმა, ძიუდოში საქართველოს ჩემპიონმა ამბაკო ავალიანმა და ეროვნული ოლიმპიური ნაკრების წევრმა ბეთქილ შუკვანმა განაცხადეს:

**„სამინისტრო მოუწოდებს სპორტსმენებს, სპორტი და აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა ერთმანეთისგან გამიჯნონ. ჩვენ ვართ სპორტსმენები და არა აქტიური პოლიტიკური მოღვაწეები, მაგრამ გვაქვს მოქალაქეობრივი პოზიცია. სამინისტრომ სწორედ ეს მიიჩნია ჩვენს დანაშაულად და ამიტომ განახორციელა ზეწოლა ჩვენზე — „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ სპორტსმენებზე.**

**ხელისუფლება თავად ურევს ერთმანეთში სპორტსა და პოლიტიკას. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ყველა სპორტული ფედერაციის ხელმძღვანელი ხელისუფლების მაღალჩინოსანია. ხელისუფლება სპორტსა და პოლიტიკას ურევდა ერთმანეთში მაშინაც, როდესაც ზურაბ ზვიადაურის სურათები ჩამოგლიჯეს სპორტდარბაზის კედლებიდან; მაშინ, როდესაც ახმეტაში ზურაბ ზვიადაურის სახელობის დარბაზს სახელი შეუცვალეს; როდესაც ძვლების დამტვრევით და დენზე შეერთებით ემუქრებოდნენ ჩვენს მეგობრებს.**

**სპორტსმენებზე ზეწოლის უამრავი ფაქტი დაგროვდა, მაგრამ ჩვენ ვერიდებოდით ამ თემაზე საუბარს ოლიმპიადის წინ, რათა ხელისუფლების მხრიდან სპორტსმენებს პრობლემები არ შექმნოდათ.**

**ოლიმპიურ ნაკრებსა და სპორტულ სამყაროში სწორედ ისეთი სიტუაციაა, როგორიც მთელ საქართველოში. სპორტსმენები, ზეწოლისა და სპორტულ მოღვაწეობაში ხელის შეშლის შიშით, თავისი პოზიციის ხმამაღლა დაფიქსირებას ერიდებიან.**

ოლიმპიური ნაკრების საქართველოში დაბრუნებისთანავე შევიკრიბებით და ღიად ვისაუბრებთ ყველა ფაქტზე, რომელთაც ხელისუფლება თავისი ზონდერებით ჩვენ წინააღმდეგ ახორციელებს“.

სპორტსმენებზე ზეწოლა არ არის შემთხვევითი. თუ ხელისუფლება ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონების დამორჩილებას ან თუნდაც მათ გაჩუმებას შეძლებს, დანარჩენი საზოგადოებისთვის ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ჩემპიონის დამჩაგრავი ყოველ მოქალაქეს გაუსწორდება.

**ბიჭებო, უკან არ დაიხიოთ! თქვენ უკან თქვენი დედები, დები, შვილები და მოხუცი მშობლები არიან! თუ თქვენ გადაგივლიან, ჩვენ ვიღა დაგვიცავს?!**

**თამარ დავითულიანი**

# ურეკი — ღატაკთა «თავის გატანის» ადგილი

**დაბა ურეკში დამსვენებელთა რაოდენობა დღითიდღე მატულობს, მათი უმრავლესობა მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები არიან. „გურია ნიუსის“ ინფორმაციით, ადგილობრივი მოსახლეობიდან ურეკს სეზონზე სოციალურად დაუცველები ეძალებიან, რომლებიც, როგორც თავად ამბობენ, არა დასასვენებლად, არამედ პლაჟზე ვაჭრობით ლუკმაპურის ფულის საშოვნელად ჩამოდიან.**



**„ქვეყანა დაქცეულია, ნაწილ-ნაწილაა გაყიდული, ჩვენნაირების ადგილი აქ აღარაა. სადაც ფეხს დავადგამთ, გვიყვირიან, კერძო მიწაა, ნაყიდი აქვთ და გაეცალეთო. 40-გრადუსიან სიცხეში პლაჟზე კილომეტრებს ფეხით გავდივართ კაპიკების შესაგროვებლად. ყოველდღე ჩამოვდივართ ლუკმაპურის საშოვნელად, თავი გაგვაქვს, გზაში 6 ლარამდე გვეხარჯება, სახლში კი შვილები გველოდებიან“,** — თავიანთი გულისტკივილი გამოხატეს „გურია ნიუსთან“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებმა.

**მარინა ყაჭეიშვილი:** „ლუკმაპურის საშოვნელად, თავის გასატანად ლანჩხუთიდან დავდივარ. სოფელ ნიგვზიანში ვცხოვრობ, 58 წლის ვარ. პენსია ჯერ არ მაქვს. ოჯახში ყველა უმუშევარი მყავს“.

**მისი თქმით, სახლში მისი არყოფნის დროს, „გლობალ ტვ“-ს ანტენა დაუდგამთ, რის გამოც მას სოციალური დახმარება აღარ დაენიშნა.**

— საიდან იცით, ქალბატონო, რომ ანტენის გამო არ მოგცეს სოციალური დახმარება?

— რამდენიმე ოჯახმა დავწერეთ ერთად განცხადება, მათ დაუნიშნეს და მე — არა.

**— სოფელში იყო სხვა მსგავსი შემთხვევა?**

— მაგის მეტი რაა, შვილო.

**ლამარა ფუტკარაძე:** „ლანჩხუთში ვცხოვრობ. სოფელ ნიგვზიანიდან ვარ. თუ დავიწყე ჩემი პრობლემების შესახებ საუბარი, ჩამწერი ვერ დაიტევს. მრავალშვილიანი დედა ვარ, ოთხი შვილი მყავს, ამათგან ორი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა, ერთი — 29 წლის და მეორე — 34 წლის. სოციალური დახმარება არ გვაქვს, მათ აქვთ მხოლოდ პენსია. მეუღლე გულზე ნაოპერაციევი მყავს, ყოველთვიურად სჭირდება წამლები. **გამოდის სააკაშვილი ტელევიზიით და აცხადებს, — გაჭირვებულებს ვეხმარებითო. იცის, საერთოდ სოფლებში რამდენი გაჭირვებულია? მთელი სოფელი აქაა. ნახეთ, როგორ წვალობენ დედები თავიანთი მცირეწლოვანი შვილებით. ამ სიცხეში ფეხით რამდენ კილომეტრს დადიან!** დილის 6 საათიდან საღამოს 10 საათამდე ვყიდით სიმინდს, მზესუმზირას, თუ გავყიდეთ ისიც. ეგაა ცხოვრება? ჯერ მგზავრობას უნდა სამი ლარი; მთელი დღე მშიერი ხომ არ იქნები? და რა გვრჩება? 5 ლარი ან სამი ლარი დღეში, ესაა ჩვენი ყოველდღიური შემოსავალი, თანაც სეზონზე, მხოლოდ ორი თვით, დანარჩენი ათი თვე კი მშივრები ვართ.

**ძალიან უჭირს ჩვენს სოფელს. რა აზრი აქვს, რომ მივიდე სოფლის რწმუნებულთან? რით დამეხმარება, მას რა აქვს ან არ იცის ჩემი ოჯახის ან სოფლის მცხოვრებლების გაჭირვების შესახებ?** ზამთარში ცოტა ციტრუსის იმედი გვაქვს, ისიც თუ გავყიდეთ, თუ არა — დავყრით ბოსტანში. **ხელისუფლება გამოდის და იძახის, უმუშევრობა მოისპო და ყველა დასაქმდებაო. სად? გლეხისთვის და გაჭირვებულისთვის არასდროს არაფერი იქნება.** ჩვენ არც ოპოზიციის იმედი გვაქვს. სააკაშვილის მოსვლაც მიხაროდა, გაჭირვებულებს დაეხმარება და სამუშაო იქნება-მეთქი, მაგრამ როგორც ვცხოვრობდი წლების წინ, ისე ვცხოვრობ ახლაც, არაფერი შეცვლილა და არც ველოდები“.

**15 წლის ლევან ხოზრევანიძე:** „დედა მყავს ავად — ფეხი აქვს მოტეხილი. აქ ვვაჭრობ და მე მიმაქვს სახლში მასთან წამლები და პური.“

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის რწმუნებული ირაკლი გუჯაბიძე** „გურია ნიუსთან“ საუბარში ამბობს, რომ „შრომა სირცხვილი არაა“.

**— ბატონო ირაკლი, სოფელ ნიგვზიანის მოსახლეობის უმეტესობა, როგორც თვითონ ამბობს, ძალიან მძიმე ეკონომიურ პირობებში ცხოვრობს, მათი ერთადერთი შემოსავლის წყარო ურეკში სეზონური ვაჭრობაა, რაც ძალიან მძიმე პირობებში უხდებათ.**

— არ ვიცი არაფერი, გადასამოწმებელი ინფორმაციაა. ასე ზეპირად ხომ არ ვიცი, ვის უჭირს და ვინ ვაჭრობს ურეკში?

**— ჩამოგითვლით რამდენიმე ადამიანის სახელს და გვარს.**

— კი, ბატონო, აბა, მითხარით.

**რამდენიმე მათგანის დასახელების შემდეგ ბატონი ირაკლი ამბობს:**

— ესენი ნამდვილად ჩემი სოფლის მკვიდრნი არიან, მაგრამ მაინც უნდა გადავამოწმო ინფორმაცია, უჭირთ თუ არა ნამდვილად.

**— ბატონო ირაკლი, ჩვენ თავად ვნახეთ, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვებიც, ფოტოებიც გვაქვს. ურეკში მოვაჭრეები ამბობენ, რომ ძალიან უჭირთ, თუმცა მათი ამბის მკითხავი არავინაა, არავინ ეხმარება.**

— მე შემიძლია, ასეთი კომენტარი გავაკეთო: შრომა და ვაჭრობა სირცხვილი არაა! ყველას დალხინებული ცხოვრება ვერ ექნება, ყველა მდიდარი ვერ იქნება, რა ვქნათ, ახლა ასეა(?!).

**— ბატონო ირაკლი, როგორც ისინი ამბობენ, სოფელში ატარებენ შეხვედრებს როგორც „ნაციონალები“, ისე ოპოზიციური პარტიები. მათი თქმით, დაპირებები უხვადაა, მაგრამ არაფრის იმედი არ აქვთ. ისიც გვითხრეს, რომ რამდენიმე მათგანს „გლობალ ტვ“-ის ანტენის დადგმის გამო სოციალურ დახმარებაზე უარი უთხრეს.**

— ნამდვილად არ ვიცი, მაგ მხრივ რა ხდება. ესეც უნდა გავარკვიო და ინფორმაცია გადავამოწმო, ზეპირად ვერ გეტყვით.

როდესაც პრეზიდენტის ოპონენტები ის იყო კამპანიას აგორებდნენ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ტელეკამერების წინ პიარ-ნაბიჯი გადადგა: მან როზა წყაბელიას სახლში მიაკითხა, დამხარებას დაჰპირდა და... სტუმრობა მორიგი ჩახუტებით დაასრულა. 25 ივლისს ქალბატონზე თავდამსხმელები დააპატიმრეს, ხოლო ადგილობრივი პოლიციის უფროსი საკუთარი მოვალეობებისადმი უდიერი დამოკიდებულების გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბრძოლა მაუწყებლობისთვის საქართველოში

bne businessneweurope

**საქართველოს საპარლამენტო არჩევნებამდე სულ რაღაც სამი თვე რჩება და მედიაგავლენისთვის ბრძოლა ძალას იკრებს. ისევე, როგორც მრავალ ქვეყანაში, საქართველოშიც, სადაც მოსახლეობის 88%-ისთვის „ახალი ამბების“ წყარო ტელევიზიაა, მედიაომები მაუწყებლობის გავრცელებისთვის ბრძოლას გულისხმობს.**

ახლახან მიღებული „მასთ ქერის“ პრინციპი იმას გულისხმობს, რომ ყველა საკაბელო და თანამგზავრულმა ოპერატორმა ყველა არხი ხელმისაწვდომი უნდა გახადოს მომხმარებლისთვის, მაგრამ ოპოზიციასთან ასოცირებული ტელეარხები აცხადებენ, რომ აღნიშნული რეგულაცია ბევრს ვერაფერს შეცვლის საქართველოს პოლარიზებული მედიასივრცის დივერსიფიკაციის სასარგებლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში.

**„მე-9 არხი“, რომელსაც ოპოზიციონერი მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი აფინანსებს, ბოლოდროინდელი ბრძოლის ეპიცენტრად იქცა. საქართველოს სამი ნაციონალური მაუწყებელი ჩვეულებრივ მტკიცედ პროსამთავრობო ბანაკშია. მაგრამ წინა არჩევნებისგან განსხვავებით, როდესაც ოპოზიცია მედიის ყურადღების მისაპყრობად სასოწარკვეთილი ცდილობდა საზოგადოებრივი ტელევიზიის შტურმით აღებას, წელს მან მოწინააღმდეგის მეთოდს მიმართა და საკუთარი სატელევიზიო სადგური შექმნა.**

აპრილში ივანიშვილმა აღადგინა „მე-9 არხი“, ტელეკომპანია, რომლის მფლობელიც „ვარდების რევოლუციამდე“ მისი მეუღლე ეკატერინე ხვედელიძე და მისი ბიზნესპარტნიორები იყვნენ. მათ 7 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელეს ახალი სტუდიის შექმნისთვის, დაიქირავეს უცხოელი კონსულტანტები, გახსნეს ბიუროები მთელი ქვეყნის მასშტაბით და ტელევიზიას წარმოაჩენენ, როგორც 24-საათიანი საინფორმაციო არხის ქართულ ვერსიას, ისეთი არხის, როგორიცაა, მაგალითად, CNN, ამბობს ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი კახა ბექაური.

## თბილისში ჩარჩენილი

თუმცა მათ მალევე გააცნობიერეს, რომ **ქართულ პოლიტიკაში საქმე ასე იოლად არ არის და, არხის ფლობის მიუხედავად, ოპოზიციას საკუთარი ხმის გავრცელებასთან დაკავშირებით კვლავ პრობლემები აქვს.** მას შემდეგ, რაც მე-9 არხმა (დღეს ის ცნობილია, როგორც TV9) განაცხადა, რომ მაუწყებლობას იწყებს, ის სისტემატიურად აწყდებოდა პრობლემებს იმ ოპერატორების ძიების გზაზე, რომლებიც მის სიგნალს თბილისის გარეთ გაავრცელებდნენ.

ხვედელიძემ ტელევიზიის სიგნალის გავრცელებისთვის თავისი მაზლის საკაბელო-თანამგზავრული ოპერატორი GlobalTV გამოიყენა, თუმცა მალევე **GlobalTV-სთან კონტრაქტები გაწყვიტეს პროსამთავრობო ტელეკომპანიებმა იმ იმედით, რომ კომპანიის მომსახურებაზე მასობრივად იტყოდნენ უარს მისი მომხმარებლები, რადგან ველარ შეძლებდნენ პოპულარული ქართულენოვანი შოუების ყურებას.** Global TV-მ მთავრობასთან მეორე ბრძოლაც წააგო, როდესაც კლიენტების ბაზის გაზრდას უფასო სატელიტური თეფშების დისტრიბუციის გზით შეეცადა – გეგმა, რომელიც მთავრობამ კამპანიის დაფინანსების შესახებ კანონის დარღვევად მიიჩნია.

TV9-მ შემდეგ დახმარებისთვის მეორე პრო-ოპოზიციურ არხს — „მაესტროს“ მიმართა, რომელსაც საკუთარი თანამგზავრული სიგნალი აქვს. მაგრამ ივლისში კამპანიის დაფინანსების შესახებ კანონის დარღვევაში „მაესტროც“ დაადანაშაულეს, როდესაც ამ უკანასკნელმა სატელიტური თეფშების უფასოდ დარიგებასთან დაკავშირებული გეგმების შესახებ განაცხადა. ახლა, როდესაც TV9 ვერ ვრცელდება მთავარი თანამგზავრული ოპერატორების საშუალებით, ტელევიზია ინტერნეტით მაუწყებლობს, მაგრამ ამ პირობებში ახალ ამბებს მაქსიმუმ 1500 მნახველი ჰყავს, იმ 11 ათას მაყურებელთან ერთად დედაქალაქში, რომლებსაც სიგნალის მიღება შეუძლიათ.

**შონ გრიფისმა, ამერიკელმა კონსულტანტმა კომუნიკაციების დარგში, რომელიც „მე-9 არხმა“ დაიქირავა საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის განსაზღვრისთვის, განაცხადა, რომ საკაბელო არხებით გავრცელების უზრუნველყოფა მხოლოდ ერთ-ერთია პრობლემათა იმ პაკეტში, რომელიც არხს გაფართოების პროცესში აქვს. მას პრობლემა შეექმნა ასევე რეგიონებში ოფისების დაქირავების საქმეშიც, ამბობს გრიფისი.**

იგი აცხადებს, რომ ტელეკომპანიაში მომუშავე ჟურნალისტები საპროტესტო აქციებზე სამიზნეებად იქცნენ, მათ სიტყვიერად ესხმიან თავს და ხელს უშლიან მუშაობაში ხელისუფლების მხარდამჭერები. **ივლისში AMNESTY INTERNATIONAL-მა გააფრთხილა მთავრობა, რომ ის „ვერ იცავს ოპოზიციის მხარდამჭერებსა და ჟურნალისტებს პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობისგან“.**

მთავრობამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა მედიის სათამაშო მოედნის გათანაბრებისთვის, მიიღო რა ქვეყანაში პირველი „მასთ ქერის“ რეგულაცია ივნისში. კანონი ავალდებულებს ყველა საკაბელო და თანამგზავრულ კომპანიას ყველა არხის სიგნალის გავრცელებას არჩევნებამდე ორი თვის განმავლობაში, თუმცა მოთხოვნა მხოლოდ არჩევნების დღემდეა ძალაში.

მართლია, „მასთ ქერი“ არჩევნების წინ მედია სივრცის დეპოლარიზების მხარდაჭერის მიზნით ამოქმედდა, თუმცა ბექაური ამბობს, რომ ის არ ქმნის რეალურ გარანტიებს ისეთი ტელეკომპანიებისთვის, როგორიც „მე-9 არხია“, რადგან რეგულაციის ვადა მხოლოდ ორ თვეს მოქმედებს და არ არსებობს არანაირი გარანტია იმისა, რომ ყველა არხის მაუწყებლობის ხარისხი თანაბარი იქნება. **„მთავრობის მთავარი მიზანი ქვეყნის მოსახლეობაში სიმართლისა და რეალობის გავრცელების დაბლოკვაა,** — ამტკიცებს იგი. — **მათ გააკეთეს და აკეთებენ ყველაფერს იმისთვის, რომ შეზღუდონ მე-9 არხის ფუნქციურობა და მისი მაუწყებლობის უნარი“.**

მმართველი პარტია არ ემორჩილება ზეწოლას და უარს ამბობს „მასთ ქერის“ მოქმედების გაგრძელებაზე არჩევნების შემდეგ, აცხადებს რა, რომ ეს კერძო ბიზნესში „ჩარევაა“. თუმცა **პარლამენტის სპიკერმა დავით ბაქრაძემ აღნიშნა, რომ პარლამენტი „ხელს შეუწყობს და წაახალისებს ყველა საკაბელო ოპერატორს და სატელევიზიო არხს, განაგრძონ თანამშრომლობა, რომელსაც ისინი წინასაარჩევნო პერიოდში ააწყობენ“.**







**«მთავრობის მთავარი მიზანი ქვეყნის მოსახლეობაში სიმართლისა და რეალობის გავრცელების დაბლოკვაა»**

**მოლი კორსო**
BNE



# საქართველო: «მიშას ჩახუტების კამპანია»

**პროსამთავრობო ნაციონალურ საინფორმაციო არხებზე არც ერთი „ახალი ამბები“ არ ჩაივლის ისე, რომ არ გავიდეს კადრები მიხეილ სააკაშვილის მონაწილეობით, რომელიც, როგორც წესი, ეხვევა ბედნიერებისგან გაბრწყინებულ მორიგ ბებიას.**

ერთგან სოფლის მცხოვრები ქალბატონები მადლობას ეუბნებიან პრეზიდენტს იმისთვის, რომ მათ წყალგაყვანილობა შეუკეთეს, მეორეგან მას პირადად გადაჰყავს საშუალო ასაკის ქალბატონი დატბორილი ტერიტორიიდან.

ფოტო ერთ-ერთი ასეთი გამოსახულებით Facebook-ში რუსულმა ჟურნალმა snob.ru-მ გამოაქვეყნა კოლაჟის სახით პუტინის ფოტოსთან ერთად, რომელიც თვითმფრინავში უსაფრთხოდ მოკალათებული სარკმლიდან ყურადღებით აკვირდება წყალდიდობით გამოწვეულ ნგრევას. ამ ფოტოს ირგვლივ ცხარე დისკუსია გაიმართა: ნაწილი ადიდებდა სააკაშვილს, რომელსაც არ ეშინია დასველების, ოღონდ კი საკუთარ ხალხს დაეხმაროს, სხვები კი პუტინის ქცევის სისწორეს იცავდნენ, ანიჭებდნენ რა უპირატესობას უფრო თავშეკავებულ ქმედებებს.

**მართლა ასე უხარიათ ბებიებს საკუთარი პრეზიდენტის ნახვა თუ ეს შეხვედრები საქართველოს ნაციონალური მაუწყებლებისთვის ერთგვარი სენტიმენტალური სტანდარტია?** არც ერთი მთავრობა არ ისურვებდა იმას, რომ საარჩევნო წელს აქ რაიმე პრობლემა შეიქმნას.

მაგრამ, როდესაც ასეთი რამ ხდება, მიანდეთ ეს პრეზიდენტს და ის უსიამოვნო ეპიზოდსაც კი თავის წარმატებად აქცევს და ამ ეპიზოდებში ბებიებთან ჩახუტებაც შევა.

მაგალითად: 24 ივლისს ერთ-ერთ ღონისძიებაზე საქართველოს დასავლეთში, სიღატაკეში მცხოვრები როზა წყაბელია სააკაშვილთან მიახლოებას შეეცადა, რათა მისთვის საკუთარი მძიმე ხვედრის შესახებ მოეთხრო. ოპოზიციურმა ტელეკამერებმა დააფიქსირეს, როგორ უხეშად გაათრია ტერიტორიიდან ქალბატონი ორმა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა მამაკაცმა. ეს კადრები ტელეკრანზე მოხვდა და ქსელში გავრცელდა. ინტერნეტის მომხმარებლები დამნაშავეების დასჯას ითხოვდნენ.

**როდესაც პრეზიდენტის ოპონენტები ის იყო კამპანიას აგორებდნენ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ტელეკამერების წინ პიარ-ნაბიჯი გადადგა: მან როზა წყაბელიას სახლში მიაკითხა, დამხარებას დაჰპირდა და... სტუმრობა მორიგი ჩახუტებით დაასრულა. 25 ივლისს ქალბატონზე თავდამსხმელები დააპატიმრეს, ხოლო ადგილობრივი პოლიციის უფროსი საკუთარი მოვალეობებისადმი უდიერი დამოკიდებულების გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს.**

**რა არის ეს: იმის ნიშანი, რომ მედიის მუშაობა კონტროლდება, როდესაც საქმე ხელისუფლების მხრიდან მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას ეხება, თუ პრეზიდენტის პოლიტიკური სიბრძნე, რომელიც პიარ შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებს?** რაც უნდა იყოს, **როზა წყაბელიას ინციდენტმა ხაზი გაუსვა საქართველოში საარჩევნო წელს საინფორმაციო ტელეარხების საჭიროების სიმწვავეს, რომლებიც პასიურად არ გადასცემენ კადრებს.**

მიხეილ სააკაშვილის მიმართ მანიით არიან შეპყრობილები ოპოზიციური არხებიც, რომლებიც მას ყველაფერში ადანაშაულებენ: ბუნებრივი კატასტროფებიდან დაწყებული უიღბლო ქორწინებებით დამთავრებული.

თუკი ქართული არხები მართლაც შეეცდებიან რეპორტაჟების მომზადებას და იმის ანალიზს, რასაც აჩვენებენ, ქვეყანა და მათ შორის ბებიებიც, მხოლოდ მოიგებენ ამით. მაშინ მართლაც იარსებებდა გემრიელად ჩახუტებისა და ერთმანეთისთვის ხელის ჩამორთმევის მიზეზი.

**გიორგი ლომსაძე**
EURASIANET.org

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სირიის კრიზისიც ქვეყნის შიდა პრობლემის ფარგლებს გასცდა. სირია მსოფლიო ძალების ბრძოლის სარბიელად იქცა: ვაშინგტონი დიდი ახლო აღმოსავლეთის გარდაქმნის თავისი გეგმის განხორციელებას განაგრძობს, მოსკოვი ცდილობს საერთაშორისო სამართლესა და მრავალპოლარულობაზე დამყარებული მსოფლიო წესრიგის დამყარებას. საქართველო იჭყლიტება.**

# გაეროს ჯარები შეერთებულ შტატებში?!

**ფილოსოფიური განათლების მქონე ერთი ჭკვიანი მწერლის ნათქვამია: უნდა იაზროვნო მხოლოდ შეკითხვებით. ვფიქრობ, ვაზროვნებ, კითხვებს ვსვამ, რა თქმა უნდა, რიტორიკულს: ამერიკელებს, რომლებიც სულ უფრო ხშირად მოწმენი ხდებიან, როგორ ხოცავენ მათი თანამემამულენი აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანებს სკოლებში, კინოთეატრებში, სალოცავებში და „საზოგადოებრივი თავშეყრის“ სხვა ადგილებში, როგორ უბრუნდებათ ენა იარაღის ტარების საყოველთაო ნებადართულობის სასარგებლოდ? არადა, პრობლემა დღეს და გუშინ არ წარმოქმნილა, ისე გავრცელდა და გამწვავდა, ისეთი მასშტაბური გახდა, რომ მის გადასაჭრელად არმიის ჩარევა ხდება აუცილებელი.**



**„დღეს ამერიკელები აღშფოთდებოდნენ, გაეროს ჯარები ლოს-ანჯელესში რომ შესულიყვნენ წესრიგის აღსადგენად... ხვალ ისინი მადლიერნი იქნებიან ამის გამო“,** — განაცხადა ჯერ კიდევ 1991 წელს **ჰენრი კისინჯერმა** ბილდერბერგის კლუბის სხდომაზე.

**ძნელი წარმოსადგენია ადგილობრივი თუ გაეროს იარაღის „კონფისკატორების“ ოპერაციის განხორციელება ამერიკაში?**

არც ისე ძნელია: **იარაღით ვაჭრობის შესახებ გაეროს ხელშეკრულების მე-15 მუხლი სწორედ ასეთ ქმედებას ითვალისწინებს** (ხელშეკრულების რატიფიკაციის შემთხვევაში, ცხადია).

იარაღით ვაჭრობის შესახებ გაეროს ხელშეკრულება იარაღის ფლობის აკრძალვას ნიშნავს.

ამერიკის კონსტიტუციაში კი იარაღის კონფისკაცია გათვალისწინებული არ არის. არავის გაჰკვირვებია, როცა ქარიშხალ კატრინას შემდეგ, მას შემდეგ, რაც აშშ შეიარაღებულმა ძალებმა მიიღეს ბრძანება იარაღის სრული კონფისკაციის ჩატარების შესახებ, ერთმა დანაყოფმა უარი თქვა ამ ბრძანების შესრულებაზე, თუმცა დანარჩენებმა უსიტყვოდ შეასრულეს ეს არაკონსტიტუციური განკარგულება.

გვინდა არ გვინდა, იარაღის ამოღება მაინც პრობლემურია შტატებში.

**იარაღი კლავს. ამერიკას ეს პრობლემა უდგას. მაშ, შეიყვანოს სხვა ქვეყნების ჯარები, ისინი, რომელთაც თავად ასწავლეს ტერორისტებთან ბრძოლის მეთოდები, მათ შორის, იარაღის ამოღების კუთხითაც და ერთობლივი სწავლებაც განუხორციელებიათ ჩიკაგოში მოწყობილ ოპერაცია Vigilant Guard-ის ჭრილში.**

იოლი სათქმელია — შეიყვანოს! აშშ ადმინისტრაცია ამაზე, რა თქმა უნდა, არ წავა, მიუხედავად კისინჯერის ოპტიმიზმისა, რომ ხვალ ამისთვის ამერიკელები მადლიერნი იქნებიან. **იმის მიუხედავად, რომ გაეროს ხსენებული ხელშეკრულება ითვალისწინებს უცხოეთის „დახმარებას ხელშეკრულების რეალიზაციისთვის“, მაგრამ ეს დახმარება გაწეული იქნება იმ ქვეყნების მიერ, ვისაც შეუძლია ამის გაკეთება, თანაც იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ხელშეკრულების მონაწილე ქვეყანა.** ეს კი ითვალისწინებს სამართლებრივ, საფინანსო, ტექნიკურ დახმარებას, აგრეთვე, დახმარებას „მასალებით“, რომლებიც ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისთვისაა საჭირო.

რთული „მათემატიკაა“.

რომელიც კიდევ უფრო რთულდება კონკრეტულ ადამიანთან მიმართებაში: მოქალაქეთა მიერ იარაღის კანონიერი ფლობის საფუძვლად აღიარებულია მხოლოდ „რეკრიაციული, კულტურული, ისტორიული და სპორტული საქმიანობა“, პლიუს სახელმწიფოს თავდაცვის „განუხრელი უფლება“.

ამერიკის პრესა (მაგალითად, **Ynfowazs**) შეკითხვას სვამს: **ივლიან თუ არა კარდაკარ უცხოელი ჯარისკაცები იარაღზე კონტროლის ახალი პოლიტიკის განსახორციელებლად, რომელიც ითვალისწინებს იარაღისა და ტყვია-წამლის გავრცელების შეზღუდვას, თუ პირდაპირ არსენალების კონფისკაციაზე გადავლენ?**

ეს აწუხებთ.

ექსპერტები მსჯელობენ:

გაერომ იძულებით განაიარაღა ბევრი აფრიკული ქვეყანა **უცხოეთის ჯარების მეშვეობით**, რიგ შემთხვევაში ამითაა გამოწვეული ძალაუფლების ვაკუუმი, რომელიც გენოციდის მიზეზი ხდება. **გენოციდი რუანდაში სწორედ იარაღის ძალადობრივი ჩამორთმევის გამო დაიწყო, სუდანის კრიზისი, ისევე, როგორც ხალხის გაჟლეტა მიანმაში (ბირმაში) ამ მიზეზით მოხდა.**

**განაიარაღეს დახოცვის მიზნით?!**

კითხულობ ასეთ არგუმენტებს და იბადება ავი აზრი: აფხაზეთის ომის დროს ადგილობრივი ქართველების ყელგამოწვდილ თხოვნას — მოგვეცით იარაღი, სოხუმში შესული ქართული ნახევარარმიის (ნახევარწიწილის ანალოგია) სარდალი კიტოვანი უარით უპასუხებდა.

**გენოციდის სასარგებლოდ?**

**თუ იარაღის უქონლობის გამო?**

ვსვამ შეკითხვებს, მაშასადამე, ვაზროვნებ.

პერიოდული გამოცემა **Democide (death by government)** ირწმუნება, რომ **მეოცე საუკუნის განმავლობაში განიარაღება და გენოციდი ხელიხელჩაკიდებული ვლიდნენ.** სახელმწიფოთა მთავრობების ბრალით ამავე პერიოდში 262 მილიონზე მეტი ადამიანი არაბუნებრივი სიკვდილით დაიღუპა: **იარაღის აკრძალვამ ძალთა ბალანსი სახელმწიფოების სასარგებლოდ შეცვალა და დაარღვია.**

**განიარაღებამ მსხვერპლშეწირვის ატმოსფერო შექმნა?**

ამერიკელები ასკვნიან: **„ცისფერ მუზარადებს ან უცხოელებს სამხედრო ფორმაში სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე არაფერი ესაქმებათ, გაეროს ხელშეკრულება იარაღით ვაჭრობის შესახებ კი ძალადობრივი კონტროლის სისტემას გვახვევს თავს, ჩვენთანაც კი, ამერიკაში“.**

**მაშ, „მშვიდობით იარაღო“ თუ „თვალი თვალისა წილ“?**

აგერ, ბატონო, ვიაზროვნეთ შეკითხვებით და დასკვნის ნაცვლად ტრადიციულ შეკითხვამდე მივედით: **რა ვაკეთოთ?**

## ტერაქტოკრატია

**სანამ ჩვენ აქ „შეკითხვების თეორიით“ გზის გაკვალვას ვცდილობთ, დასავლეთი ტერორისტად ყალიბდება. ასე ფიქრობენ შეშფოთებული ანალიტიკოსები.**

მივყვეთ მათ განსჯა-მსჯელობას, ამჯერად შეკითხვების გარეშე.

დამასკოში ახლახან განხორციელებული ტერაქტის შესახებ (რომელმაც სირიის ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები შეიწირა), მოხსენების განხილვის გაეროს უშიშროების საბჭოს, ტრადიციული ეტიკეტის მიხედვით, დაზარალებული ქვეყნისთვის თანაგრძნობა უნდა გამოეცხადებინა.

არ გამოუცხადებია!

ესე იგი, რა: **„სწორი და გამართლებული ტერაქტი იყო“?!**

ორიოდ დღის წინათ კოფი ანანმა გაეროს სამშვიდობო მისია დატოვა: **გაერომ მშვიდობიანი გზით სირიის კონფლიქტის მოგვარება ვერ შეძლო. ყოფილი გენერალური მდივნის განცხადებით, ამის უმთავრესი მიზეზი საერთაშორისო საზოგადოების მიერ მხარდაჭერის უქონლობაა.**

საზოგადოებრიობა ორადაა გაყოფილი, უშიშროების საბჭოც გახლეჩილია.

ორივე მხარე თანხმდება, რომ ამ კონფლიქტის შეწყვეტა მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებითაა შესაძლებელი. ასეა განცხადებული, მაგრამ **სრულიად გაუგებარია, როცა დასავლეთმა სირიის მიმართ არ გამოიყენა საერთაშორისო ურთიერთობის ერთ-ერთი ფუძემდებლური დებულება — არ დაგმო ტერორიზმი!**

როცა მშვიდობა დუმს, იარაღი ისვრის, მით უფრო, როცა იგი ტერორისტების ხელშია. ტერორისტებს „ვიღაც“ აიარაღებს, „ვიღაც“ ვაჭრობს, ფულს იხდის, მდიდრდება.

სრულიად ფანტასტიკური შეკითხვა: **ასეთი მხარდაჭერა თუ არა, იარსებებდა კი ტერორიზმი საერთოდ? ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფოებრივ დონეზე?**

ტერორისტებს, გნებავთ, რევოლუციონერები ერქვას, გნებავთ, ტირანიისგან გამათავისუფლებლები.

მეორე შეკითხვა: **რატომაა სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ნიკარაგუელი კონტრასების, ერთის მხრივ, და ამბოხებულების მიმართ სირიაში, მეორე მხრივ?**

ამ შეკითხვას ანალიტიკოსები უპასუხებენ ასე: **არავის ეპარება ეჭვი, რომ სირიის წინააღმდეგ ტერორიზმი ნატოსა და სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოების საბჭოს მიერაა მხარდაჭერილი.**

დღეს არ უკვირთ. გუშინ მალავდნენ.

გუშინ, ანუ ჯერ კიდევ 12 თებერვალს, როცა ეგვიპტის შეიხის — **აიმან მუჰამედ რაბიე აზ-ზაკაჰირის** საჯარო მოწოდებას სირიის წინააღმდეგ ჯიჰადის — საღვთო ომის — დაწყების შესახებ ბრიუსელმა კერძო პირის კერძო ინიციატივის ჩადრი ჩამოაფარა, და ამასთან დაკავშირებით ნატოს პოზიციის შემუშავება ზედმეტ ფუფუნებად მიიჩნია — უმნიშვნელოაო. ასეთი ახსნა დამაჯერებელი არ იყო. დამაჯერებელი სხვა რამაა — დემოკრატიისთვის თვითმარქვია მებრძოლებისა და ისლამისტების პოზიციების ერთგვაროვნება.

ეს ჩანდა ერთგვარი ტაქტიანი ჟესტის მიღმა. მაგრამ ეს იყო უწინ, დღეს პირიქითაა: **დასავლეთი არ მალავს ტერორისტებთან თავის ურთიერთობას.**

მშვენიერმა გულჩიტაიმ სახე გამოაჩინა.

უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებული მასალებით დასტურდება, რომ კურსის ასეთი შეცვლა გამოაშკარავდა ე. წ. **სირიის მეგობრების** მე-3 კონფერენციაზე, რომელსაც ივლისში პარიზის დედაქალაქმა უმასპინძლა. **პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა ამ ღონისძიებაზე საპატიო ადგილები მიუჩინა იმათ, ვისაც მანამდე საიდუმლოდ აფინანსებდნენ, მაგრამ მათთან ნაცნობობასაც კი უარყოფდნენ. ახლა კი ეს სამხედრო დამნაშავენი გმირების დონემდე აღამაღლეს.**

ტვინი გადაუბრუნდა მსოფლიოს, რაც მაინც და მაინც ცხელი სამხრეთული მზის მიზეზი არ უნდა იყოს. ჩრდილოეთში, კერძოდ, **ესტონეთში, დასახლებულ პუნქტ სინიმაეში, 28 ივლისს ფაშისტური სამხედრო-პოლიტიკური სტრუქტურის — SS-ის ვეტერანებმა და მათმა ესტონელმა თაყვანისმცემლებმა მორიგი შეკრება გამართეს.** ეს ის სინემაეა, რომლის მისადგომებთან 1944 წლის რამდენიმე თვის განმავლობაში ესესელები აფერხებდნენ საბჭოთა ჯარების წინსვლას. წითელი არმიის შემადგენლობაში მაშინ ესტონეთის მსროლელთა კორპუსის ჯარისკაცებიც იბრძოდნენ. სინემაესთან საბჭოთა ჯარების დაბრკოლებამ **ნაცისტებს საშუალება მისცა საკონცენტრაციო ბანაკ კლოოგაში (ტალინის მახლობლად) ამოეწყვიტათ რამდენიმე ათასი ტყვე და პატიმარი.**

შეძახილები „ზიგ-ჰაილ!“, ქებათაქება ესესელების, ჰიტლერის ნაცისტური სიმბოლიკის აღლუმი.

„პარად, ალე!“

**ესტონური აქცენტით გუნდრუკი უკმიეს ფაშიზმს „ცივსისხლიანმა“ ჩრდილოელებმა!**

**თქვენ ემოციური სამხრეთელების გიკვირთ?!**

მაგრამ **ადამიანური ემოციურობის, აღქმის თავისებურების** (თუნდაც დამახინჯებულის), **ზნეობრივი კრიტერიუმების მიღმა არის კონცეფტუალური პრობლემა: დასავლეთის ქვეყნები თავს „ტერორიზმთან ბრძოლის“ აპოლოგეტებად წარმოგვიდგენდნენ.**

თუმცა ბევრი პოლიტოლოგი „ტერორიზმთან ბრძოლას“ აბსურდულ კონცეფტად მიიჩნევდა და მიიჩნევს. მათი აზრით, ტერორიზმთან ბრძოლა კი შეიძლება, მაგრამ შეუძლებელია ბრძოლა თვით მეთოდიკასთან. მათი აზრით, მარკეტინგულ სლოგანს — „ტერორიზმთან ბრძოლა“ — ჰქონდა ფასდაუდებელი ღირსება — სიკეთისა და ბოროტების ღერძის გასწვრივ, მარჯვნივ და მარცხნივ გაგვენაწილებინა ბოროტება და სიკეთე და გაგვემართლებინა სიკეთის მთესველთა ბოროტების მქმნელთა წინააღმდეგ „დაუსრულებელი ომის“ აუცილებლობა.

ომი ომისთვის?!

ეს ერთი უბედურებაა. მეორე უარესია, რადგან ის ღერძი, ზემოთ რომ ვახსენე, ძალიან ჰგავს სტრიპტიზბარის ჭოკს, რომლის გარშემო როკავენ სამოსელშემოძარცული ჩვენი პოლიტიკოსები, იგივე — **ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა, და ეროტიულ ზრახვებს აღუძრავენ ავღანეთის მოთუხთუხე ქვაბში ქართველი ჯარისკაცების ჩაკარგვის იდეის ავტორებსა და შემსრულებლებს.**

პრობლემა, რომელიც საქართველოს ფარგლებს სცილდება.

სირიის კრიზისიც ქვეყნის შიდა პრობლემის ფარგლებს გასცდა. სირია მსოფლიო ძალების ბრძოლის სარბიელად იქცა: **ვაშინგტონი დიდი ახლო აღმოსავლეთის გარდაქმნის თავისი გეგმის განხორციელებას განაგრძობს, მოსკოვი ცდილობს საერთაშორისო სამართლესა და მრავალპოლარულობაზე დამყარებული მსოფლიო წესრიგის დამყარებას.**

**საქართველო იჭყლიტება.**

**არმაზ სანებლიძე,**
უცხოური პუბლიკაციების მიხედვით

რესტორანი, მუზეუმი და კიდევ სუპერმარკეტები, ბანკები, სპორტდარბაზები. ყოფილ ტაძრებში, რაც გსურთ, ყველაფერი შეგიძლიათ გახსნათ. მთავარია, დროზე გააფრთხილონ მრევლი, რომელიც, დილით წირვაზე მისული, კაფეში ან ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდეს ეკლესიის ნაცვლად.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ავტორიტარიზმის დემოკრატიული მაგალითები

**ყველაზე, ყველაზე, ყველაზე უფრო დემოკრატიული ამერიკა დემოკრატიზმის იდეალების გასამარჯვებლად ჯვაროსნულ ომს წარუძღვა აღმოსავლეთისკენ: მაღრიბისა და მაშრიყის ქვეყნებს გარდაქმნის პერსპექტივა „დაემუქრა“.**

## არჩეულია ნაკლები ხმით

ამის მთქმელი და მამტკიცებელი, ამერიკული დემოკრატიის ქვაფენილს თუ გაუყვება, პირველსავე ნაბიჯზე წამოჰკრავს ფეხს „უადგილოდ დაგდებულ“ პრობლემას, რომელიც დააფიქრებს სწორი გზის არჩევანში. საქმე ისაა, რომ **ეგვიპტის, სირიისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეებს აქვთ კონსტიტუციით გარანტირებული უფლება, აირჩიონ ქვეყნის პრეზიდენტი.**

ამერიკის მოქალაქეებს — **არ აქვთ. უფრო ზუსტად, აშშ-ის პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის უფლება არ გააჩნიათ. მათ ნაცვლად ამას აკეთებენ ე. წ. ელექტორების კოლეგიის წევრები, რომელთაც ხალხისგან დელეგირებული აქვთ ეს საპასუხისმგებლო უფლება.**

ასეთი არჩევნები, მიიჩნევენ კონსტიტუციონალისტები, ითვალისწინებს ხალხის განწყობილებას, მაგრამ მეტს არაფერს.

ამერიკელებს ასეთი შეზღუდული უფლება, ეტყობა, მაინც და მაინც არ ადარდებთ, მაგრამ **მოძრაობამ „ოკი უოლ სტრიტს“ საწინააღმდეგო განწყობილება დააფიქსირა. ეს ის ხალხიაო, გვიმტკიცებენ ანალიტიკოსები, რომლებიც დღეს თუ ხვალ აუცილებლად იკითხავენ: სად არის პრეზიდენტის არჩევის ჩვენი უფლება?**

ექსპერტები უფრო შორს მიდიან: უკმაყოფილოთა მოძრაობასთან ანგარიშის ძალისმიერი გასწორება, მათი აზრით, მხოლოდ გადასწევს ამ გარდაუვალ მომენტს, მაგრამ იგი აუცილებლად დადგება, თანაც „უფრო ბრუტალური ფორმით“. ბრუტალობა მხეცობას, უხეშობას, არაადამიანობას ნიშნავს, ზოგჯერ — ვაჟკაცობას, სიმტკიცეს. ექსპერტები, ეტყობა, ორივე მნიშვნელობის ნაზავის გაგებით ხმარობენ ამ ტერმინს.

თუ დღეს ამის გაკეთება ჯერ კიდევ შეიძლება უსისხლოდ, ასკვნიან ისინი, მომავალში სისხლისღვრა გარდაუვალიაო. უბედურების თავიდან ასაცილებლად აუცილებლად საჭიროდ მიიჩნევენ, რომ აშშ-ის კანონმდებლებმა დაიწყონ დიალოგი საზოგადოებრიობასთან. მაგრამ არც რესპუბლიკელი, არც დემოკრატი კანონმდებლები ამაზე არ წავლენ.

მაგრამ დიალოგის საჭიროების გაგება მაინც დადგება — დღეს თუ არა, ხვალ, რადგან შემთხვევითობათა სიმრავლე აუცილებლად გადავა კანონზომიერებაში. მაგალითები გროვდება და მათ შორის **ყოველთვის იხსენებენ შემთხვევას, როცა ჯორჯ ბუში ამერიკის პრეზიდენტი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ამომრჩეველთა ნაკლები ხმა მიიღო, მაგრამ მაინც აჯობა პრეზიდენტობის მეორე კანდიდატ ალ გორს სწორედ ელექტორთა ხმების ხარჯზე.**

1876 წელს ელექტორთა ერთადერთი ხმის უპირატესობით აშშ-ის მე-19 პრეზიდენტი გახდა რატერფორდ ჰეისი. 1888 წელს ბენჟამენ ჰარისონმა ამომრჩეველთა 47,86 პროცენტი მიიღო, მისმა მოწინააღმდეგე გროვერ კლივლენდმა — 48,78 პროცენტი, მაგრამ ელექტორთა ხმების უმრავლესობით აჯობა და აშშ-ის 23-ე პრეზიდენტი გახდა.

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატაში ჯერ კიდევ 1969 წელს მიიღეს აშშ-ის კონსტიტუციის შესწორება პრეზიდენტის პირდაპირ არჩევნებზე გადასვლის შესახებ. მაგრამ მცირერიცხოვანმა შტატებმა მხარი არ დაუჭირეს ამ შესწორებას, რადგან მაშინ შეილახებოდა მათი უფლებები. სწორედ მათი აქტიური პროტესტის შედეგად შესწორებამ ვერ მიიღო ხმების აუცილებელი ორი მესამედი.

ყველაფერი ძველებურად დარჩა. ბოლოს და ბოლოს, ეს მათი საქმეა. ისევე, სხვათა შორის, როგორც უტყუარი ფაქტი იმისა, რომ **აშშ-ის პოლიტიკური სისტემა ვეღარ შობს პიროვნებებს. ახალი კანდიდატები, გვარწმუნებენ ანალიტიკოსები, მასობრივ, ყოველდღიური მოხმარების ნაწარმს უფრო ჰგავს, ზოგჯერ — ნუვორიშებსაც, ვიდრე საქვეყნო მასშტაბის მოღვაწე პიროვნებებს.**

## განათლების სისტემის კრიზისი

ამერიკისას მიმსგავსებულ ჩვენს პოლიტსისტემას, ჩანს, იგივე დაჰყვა, როგორც ყველაფერს ეპიგონურს. ისევე, როგორც განათლების სისტემას, რომელიც უკრიტიკოდ გადმოვიღეთ და განათლების წარმატებულ რეფორმად გაგვისაღა ჩვენმა ხელისუფლებამ. შედეგმა კი კატასტროფული



ფაქტის წინაშე დაგვაყენა: ეროვნული სახელმწიფოს ისეთი ინსტიტუტის ეროზიის წინაშე, როგორიც მომავალი თაობის განათლების სისტემაა.

ამგვარ ინსტიტუტთა შორის უმნიშვნელოვანესი საშუალო სკოლა იყო, რომელიც ძირითადი ჰუმანიტარული პროგრამების რეალიზაციის სტრუქტურად იყო წარმოდგენილი განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის, ამერიკაში.

**დღეს ამერიკაში სერიოზული პრობლემა წამოიჭრა, რომელიც სახელმწიფო და კერძო სკოლების პრაქტიკაში დაგროვილმა ნაკლოვანებებმა წარმოშვა. ახალგაზრდა თაობის განათლებისკენ მიმავალი გზა ორად გაიყო: ერთი სკოლისკენ მიდის, მეორე — ოჯახური განათლებისკენ, რომელიც თანდათან პოპულარული ხდება.** მის მომხრეთა პოზიცია სერიოზული არგუმენტებითაა გამაგრებული: ასეთი სწავლება იაფია, იგი საშუალებას იძლევა, ყურადღება გამახვილდეს ისეთ საგნებზე, რომლებიც ცხოვრებაში უფრო გამოსადეგია და არა იმ საკითხებზე, რომლებიც ხელს აძლევს, მისაღებია და ჩვეულია „აკადემიური თანამეგობრობისთვის“; ინდივიდუალურია. შინ დარჩენილი ბავშვები ასცდებიან სკოლებში დაბუდებულ მანკიერებებს: ნარკოტიკებს, ალკოჰოლს, კრიმინალს, იქ არსებული არაჯანსაღ ატმოსფეროს.

ამ და სხვა მიზეზთა გამო დღეს ამერიკელი ბავშვი შინ სწავლობს.

პრობლემას დიდი ისტორია აქვს. მისი გადმოცემა ბევრს არაფერს შეჰმატებს ჩვენს მკითხველს, ცნობისთვის მხოლოდ იმას გეტყვით, რომ დისკუსია ბავშვების საშინაო განათლების შესახებ ჯერ კიდევ 1852 წელს აქტიურად მიმდინარეობდა, შემდეგ — მეტნაკლები ინტენსივობითა და სიმძაფრით.

**ერთ-ერთი სერიოზული არგუმენტი, რომელიც დღეს წინა პლანზეა წამოწეული, რწმენის პრობლემაა:** „საშინაო განათლება“ ახალ თაობას ჭეშმარიტ რელიგიურობას უნარჩუნებს, ბავშვებს უყალიბდებათ ისეთი მსოფლაღქმა, როგორიც მშობლებს სურთ. ეს არა მარტო ამერიკას ახასიათებს. გერმანიიდან შტატებში ქრისტიანი რემაიკების ოჯახის გადასვლის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ საჯარო სკოლებში სასწავლო პროგრამა ანტიქრისტიანულია, სახელმძღვანელოები იდეებითა და ტერმინებით ქრისტიანულ რწმენას არ ესადაგება (სექსუალური ჟარგონი, ვამპირებისა და ალქაჯების სახეები და ა. შ.), ამასთან, ის სკოლა, რომლიდანაც დასახელებულმა ოჯახმა 2006 წელს თავისი შვილები გამოიყვანა, დეკლარირებდა „ეთიკის გაკვეთილებს“ ისლამის, ბუდიზმისა და სხვა რელიგიების საფუძველზე.

ესე იგი, **ქრისტიანული რელიგიის პრობლემა,** რომელიც, როგორც ტელეარხ „ინტერის“ გერმანული ბიუროს პროგრამა „დეტალების“ ჟურნალისტი **ტატიანა ლოგუნოვა** ამბობს, **წარმოუდგენელ მკრეხელობად ვლინდება: გერმანიის დაცარიელებულ ეკლესიებში რესტორნებსა და სპორტდარბაზებს ხსნიან.**

ეტყობა, **გერმანია ურწმუნობის იმ ფაზაში შედის, რომელიც ჩვენ ოციან წლებში გავიარეთ, როცა ურწმუნო აქტივისტები ეკლესიებში საწყობებისა და კლუბების გახსნას სოციალიზმის მშენებლობის ეფექტიან მიმართულებად მიიჩნევდნენ.**

ჩვენი მკითხველისთვის უთუოდ საინტერესო იქნება ტატიანა ლოგუნოვას ტელესიუჟეტის საგაზეთო ვარიანტის გაცნობა ***(გთავაზობთ უმნიშვნელო შემოკლებით).***

# Vade retro Europe, ანუ ფუი ეშმაკს

**გერმანიის ტაძრების კარი ყოველთვის ღიაა, მაგრამ ბოლო დროს უფრო მეტი მორწმუნე გამოდის ამ კარიდან, ვიდრე შედის. გერმანიის ლუთერანული და კათოლიკური ეკლესიები 300 ათასზე მეტ მორწმუნეს კარგავს. ექსპერტები განგვიმარტავენ — გერმანელებს კვლავინდებურად სჯერათ ღმერთის, მაგრამ არ სჯერათ ეკლესიის ინსტიტუტის.**

**ჰარტმუტ ცინზური, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის ექსპერტი:**

— ამ ტენდენციის ახსნა ორი მიზეზით შეიძლება. მორწმუნეებმა გული აიცრუეს ბოლო დროს კათოლიკურ ეკლესიაში გახშირებული სკანდალების გამო; მაგალითად, ეკლესიის მიერ გაყრის მიუღებლობის გამო. არადა, ყოველი მესამე გერმანული ოჯახი ინგრევა.

მრევლი მიდის, ეკლესიები რჩება. მათი მოვლა-შენახვის სახსრები კი კატასტროფულად მცირეა.

**ტატიანა ლოგუნოვა, კორესპონდენტი:**

— თუ მრევლი არ დადის ეკლესიებში, ეკლესია უნდა დაიხუროს. უახლოეს წლებში, მიახლოებითი გაანგარიშებით, სულ ცოტა 700 ტაძარი უნდა დაიხუროს. აქვე ჩნდება შეკითხვა — რა დანიშნულება ექნება შენობებს? დანგრევა მკრეხელობაა და არარაციონალურია, ამიტომ ეკლესიებს გერმანიაში ყიდიან და აქირავებენ.

**მაგდებურგის ამ ეკლესიაში უწინ დადიოდნენ და ღმერთს შემწეობას სთხოვდნენ. დღეს აქ ტაძრის ნაცვლად მოდური რესტორანია.** რესტორნის პატრონი კატრინ რიფენბერგია, რომელმაც ჯერ კიდევ 90-იან წლებში ლუთერანული თემისგან გამოისყიდა დაცარიელებული შენობა.

**კატრინ რიფენბერგი**:

— ძალიან რელიგიურ ადამიანებს ჩვენი დაწესებულება, რასაკვირველია, შოკში აგდებს... მაგრამ უმრავლესობა მხარს გვიჭერს, ჩვენ ხომ შევინარჩუნეთ ძველი, ლამაზი შენობა და ვუვლით მას.

ბერლინის ამ ეკლესიაში მომსვლელებს სხვადასხვა ფერის დათვები ეგებებიან. **ტაძარში დღეს საბავშვო მუზეუმია, სადაც პატარებს ათ მცნებას კი არ ასწავლიან, არამედ ხატვას, ხელსაქმეს და სხვა მიწიერ ხელობას.** უზარმაზარი ორღანი, რომელიც აქ შეუნარჩუნებიათ, მოწმობს, რომ აქ ოდესღაც ეკლესია იყო.

**მარია ლობერი, საბავშვო მუზეუმის დირექტორი:**

— უწინ ჩვენ პატარა შენობაში ვიყავით. ეკლესია იხურებოდა და მორწმუნეთა თემი მყიდველს ეძებდა. ჩვენ 75 წლის ვადით იჯარით ავიღეთ, შენობის შიგნით ყველაფერი გადავაკეთეთ და გულმოდგინედ ვუვლით.

**რესტორანი, მუზეუმი და კიდევ, სუპერმარკეტები, ბანკები, სპორტდარბაზები. ყოფილ ტაძრებში, რაც გსურთ, ყველაფერი შეგიძლიათ გახსნათ. მთავარია, დროზე გააფრთხილონ მრევლი, რომელიც, დილით წირვაზე მისული, კაფეში ან ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდეს ეკლესიის ნაცვლად.**

**P.S.ხოლო თუ ისევ ოციანი წლების ჩვენს ქვეყანას მივუბრუნდებით, ურწმუნო ბოლშევიკები სოფლების ეკლესიებში კლუბებსა და საწყობებს, ეტყობა, მაინც სიღატაკის, ეკონომიური უძალობის, შენობების უქონლობის გამო ხსნიდნენ, გერმანელები — ყაირათიანობის გამო.**

**რომელი უფრო დიდი მკრეხელობაა?**

**ვერაფერს გეტყვით.**

უცხოური პრესის პუბლიკაციების მიხედვით მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




**ამერიკული სადაზვერვო სამსახურების მონაცემებით, ისრაელის მოქალაქეთაგან ნახევარ მილიონს ამერიკული პასპორტი აქვს. ისინი, ვისაც არ აქვთ ევროპული ან ამერიკული დოკუმენტები, როგორღაც ახერხებენ ქვეყნიდან გასვლას.**

# ტერმიტები საკუთარი კოლონიების დასაცავად თავს იფეთქებენ

**ბებერი მუშა ტერმიტები ქიმიური რეაქციის შედეგად ზრდიან თავიანთი ფეთქებადი ზურგჩანთების შემადგენლობის ტოქსიკურობას. ფრანგული გვიანას ჯუნგლებში მცხოვრები ტერმიტები ძალზე სერიოზულად არიან განწყობილნი ალტრუიზმის მიმართ. ამ სახეობის ბებერი მუშა ტერმიტები ატარებენ ტომრებს, რომლებიც სავსეა ცისფერი შხამიანი სითხით. ამ შხამიანი ტომრის აფეთქებით, ტერმიტები თვითმკვლელობის აქტს ახორციელებენ, რათა თავიანთი კოლონა მოახლოებული მტრისაგან გადაარჩინონ.**



**„ფეთქებადი ზურგჩანთები“ მუშა ტერმიტებს მთელი სიცოცხლის მანძილზე ეზრდებათ. ისინი მწერის ჯირკვლებიდან გამოყოფილი ცისფერი შხამიანი კრისტალებით ივსება. ყველაზე ბებერ ტერმიტებს ყველაზე დიდი და ყველაზე შხამიანი ზურგჩანთები აქვთ. კვლევის ხელმძღვანელი რობერტ განუსი ამბობს, რომ ბებერი მუშა ტერმიტები საკვების მოპოვებისა და ბუდის გამაგრების საქმეში არც ისე ეფექტურნი არიან ახალგაზრდა კოლეგებთან შედარებით. სამაგიეროდ, თუ კოლონას თავს ესხმიან, ისინი შეუცვლელნი არიან თავდაცვის საქმეში.**

თვითგანადგურების ფუნქცია ახასიათებთ ისეთ სტერილურ მუშა კასტებს, როგორებსაც განეკუთვნებიან ტერმიტები და ფუტკრები. მუშები გამრავლებაში არ მონაწილეობენ, ამიტომ მათ შეუძლიათ ალტერნატიული ფუნქციებით გამოადგნენ კოლონას. თუმცა ეს ქცევა ხშირად სასარგებლოა კოლონისათვის და არა ცალკეული ინდივიდისათვის. თავდაცვითი თვითმკვლელობა, ანუ კოლონისათვის საკუთარი სიცოცხლის გაწირვა სწორედ ამგვარი ფუნქციაა.

**ზოგიერთი ტერმიტი შორიდანვე ისვრის შხამს და ძალიან დიდი სიზუსტით. ზოგიერთები შეკუმშავენ მუცლის კუნთებს, ვიდრე განსაკუთრებით თხელი ადგილი არ გაიხევა და მტერს ექსკრემენტები არ შეეშხეფება.**

შემდგომი ნაბიჯი ამ გზაზე ისაა, რომ ტერმიტებმა სანერწყვე ჯირკვლების გვერდით მდებარე ტომრებში დაიწყეს ცისფერი კრისტალების დაგროვება. როდესაც მტერი თავს ესხმის ტერმიტებს, მისი ნაკბენები აზიანებს ამ გაბერილ ტომრებს, კრისტალები ნერწყვს ერევა და წარმოიქმნება შხამიანი სითხე.

ეს ადაპტაცია, რომელიც ვერ განხორციელდებოდა სოციალური კონტექსტის გარეშე, ხსნის, თუ რატომ არიან ტერმიტები ესოდენ წარმატებულნი გადარჩენისთვის ბრძოლაში. ეს მათი შეიარაღებისა და აღჭურვილობის დამსახურებაა.

**Nature**

# დემოკრატიის შემოდგომა

**ისლამისტების მმართველობა არ იქნება დემოკრატიული და ეს ნამდვილად ასეა. ჩვენ ახალი ერის დასაწყისის მოწმენი ვართ, მაგრამ არ ვიცით, რას შეიძლება ველოდოთ და ვერ ვხედავთ მოვლენათა განვითარების შესაძლო ვარიანტებს. ირანი, თურქეთი, ავღანეთი და სომალიც ისლამიზმის გზით მიდის, მაგრამ არაბული გამოცდილება განუმეორებელი და შემაშფოთებელია.**



ყველა არაბული ქვეყანა ერთსულოვნად გადაეშვა ისლამში, თუმცა დიქტატორების წინააღმდეგ მათი ამბოხებების დროს ირგვლივ დემოკრატიისა და თავისუფალი მსოფლიოს მხრიდან მხარდაჭერის მოწოდებები ისმოდა. ფაქტი ფაქტად რჩება: არაბული სამყარო ჩვენი წარმოდგენების საზღვრებს გასცდა.

**არავის ეეჭვება, რომ ისლამიზმი მნიშვნელოვან როლს თამაშობს: ის ითხოვს ადგილს, ის უკვე მართავს სახელმწიფოებს და აკონტროლებს 350-მილიონიან მოსახლეობას ეგვიპტეში მცხოვრები მიგრანტებისა და აფრიკელი მეზობლების გარდა, რომლებიც უდავოდ მოექცევიან მისი გავლენის ქვეშ. მას პლაცდარმები აქვს სხვა ადგილებშიც და ლეგიტიმურობას და საერთაშორისო აღიარებას კი არჩევნებში გამარჯვება აძლევს.**

ახლა კი ისლამისტებს საკუთარი წესრიგის დამყარება სურთ. თუ ზემოხსენებული სახელმწიფოები მომავალში სტაბილურ ისლამურ კავშირად ჩამოყალიბებას მოახერხებენ და ჩაანაცვლებენ სასაცილო არაბულ სახელმწიფოთა ლიგას, ისლამიზმის წინაშე უდიდესი შესაძლებლობები გადაიშლება. შეიძლება წარმოდგენა, რომ ის კვლავ მოინდომებს ისლამის იმ მითიური მიწის აღდგენას, რომელიც ოდესღაც მართავდა მთელ არაბულ სამყაროს.

**ალჟირი თავშეკავებულად, მაგრამ მაინც მონაწილეობს ამ მოძრაობაში. ხელისუფლება მოსყიდვითა და მოტყუებით, მოსახლეობის დათრგუნვითა და დატერორებით ხელს უწყობს ჩრდილოვან ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას.** საპარლამენტო არჩევნებზე მან მომდევნო შედევრი შექმნა — გაიმარჯვა პარტიამ (განთავისუფლების ნაციონალური ფრონტი), რომელსაც ყველაზე მეტად ვერ იტანენ ალჟირელები. ამ პარტიაში გაერთიანდნენ ერთ დროს მტრული დაჯგუფებები, რომლებმაც გაძარცვეს ქვეყანა და დაანგრიეს მისი ცხოვრება. ყოფილმა ფავორიტმა ისლამისტებმა ხმათა ყველაზე ნაკლები რაოდენობა მიიღეს. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ გამარჯვება მოპარეს ახლაც, როგორც 1991-ში. მომავალში სამოქალაქო ომის კონტურები მოჩანს.

**თუ ვინმეს ჰგონია, რომ ისლამისტები ხალხის იმედებს გაამართლებენ, ცდება: მუსლიმანისთვის ერთადერთი არჩევანი ისლამია. და თუ ამ მიმართულებით დემოკრატია გზაზე გადაეღობება, ამ უკანასკნელისთვის ეს ისლამის წინააღმდეგ დანაშაულია. პოლიტიკურ სცენაზე ისინი დაიცავენ ტრადიციებს, ჩაებღაუჭებიან ხელისუფლებას ყველა საშუალებით და ხელისუფლების შეცვლას მხოლოდ ისლამის წესების შესაბამისად დაუშვებენ. ეკონომიკურ ცხოვრებაში ისინი მხარს დაუჭერენ ჩრდილოვან სექტორს, რომელსაც ნაწილობრივ უკვე აკონტროლებენ, ქუჩებში ისინი დაამყარებენ წესრიგს ისლამური მორალის შესაბამისად.**

პირველი სამიზნეები ქალები იქნებიან. ქრისტიანებთან, ინტელიგენციასთან და უმცირესობებთან დაკავშირებით მდგომარეობა გაუარესდება ალჟირსა და ეგვიპტეში, სადაც მათ უკვე დევნიან. დასავლეთთან ურთიერთობები რთული იქნება. ისლამისტებისთვის მასთან შეურიგებლობა რწმენის ერთ-ერთი საყრდენია.

**არაბულ-ისლამური იდენტურობის სრული აღდგენის სიამაყე და დასავლეთის მიერ არაბების მიმართ უყურადღებობა ოფიციალური პროპაგანდის ცენტრი იქნება. ამგვარი დამოკიდებულება განაპირობებს საზოგადოებისა და რეჟიმისათვის ფაშისტური შტრიხების ჩამოყალიბებას და ეს პროცესი უკვე დაწყებულია.**

ყურადღებით დაკვირვების შემთხვევაში გამოჩნდება, რომ პრობლემის ცენტრში ხმელთაშუა ზღვისპირეთი დგას. ჩრდილოეთით ევროპა აშენებს კედლებს არალეგალური იმიგრანტებისა და მათი თანმდევი აგრესიული ისლამიზმისაგან თავდასაცავად, სამხრეთით კი არაბული სამყარო ისლამითაა შეიარაღებული და დასავლურ კულტურასა თუ დემოკრატიის ვირუსს ტრადიციებით უპირისპირდება.

**ტერორიზმი, სხვადასხვა ჯგუფს შორის დაძაბულობა, გამუდმებული დიპლომატიური კრიზისები — ეს არის ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების პრობლემები, რომელსაც აშშ და ჩინეთი ვერაფერს უშველის, მათ თავად უნდა ისწავლონ მეზობლური ცხოვრება.**

**Zeit online**

# GOODBYE ISRAEL



**აშშ-ის დაზვერვის სამსახურის ახლო აღმოსავლეთის დეპარტამენტის კვლევის მიხედვით, 2025 წელს ისრაელი აღარ იარსებებს. ისრაელელების მშობლიური სამშობლოდან წასვლა და წინა საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნება შეუქცევად პროცესად იქცა: ნახევარ მილიონზე მეტი აფრიკელი იუდეველი უახლოეს ათ წელიწადში შავ კონტინენტზე დაბრუნებას აპირებს. რეემიგრაციისათვის მზად არის მილიონობით რუსი და ათეულ ათასობით ევროპელი.**

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ისრაელის მეზობელ ქვეყნებში ნაციონალური ტალღის ზრდა, პირველ რიგში ეგვიპტეში ისლამიზმის მძლავრი აფეთქება, ისრაელელბს საკუთარი სიცოცხლის, მომავლი, შვილებისა და სამშობლოს მომავლის გამო ანერვიულებს. ისრაელელებმა მშობლიური ადგილებისკენ გაიწიეს, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ. წასვლა ჯერ კიდევ არაა შთამბეჭდავი სანახაობა და ევროპული სახელმწიფოს წინააღმდეგობა პოლიტიკური ისლამისაკენ ჯერ კიდევ მრავალი წლის მანძილზე გაგრძელდება.

ისრაელის საზოგადოებას აშფოთებს შობადობისა და მოსახლეობის ნამატის უმნიშვნელო მაჩვენებლები, რომლებიც ოდნავაც კი ვერ უახლოვდება პალესტინის დემოგრაფიულ აფეთქებას. **ამერიკული სადაზვერვო სამსახურების მონაცემებით, ისრაელის მოქალაქეთაგან ნახევარ მილიონს ამერიკული პასპორტი აქვს. ისინი, ვისაც არ აქვთ ევროპული ან ამერიკული დოკუმენტები, როგორღაც ახერხებენ ქვეყნიდან გასვლას.**

არსებობს მრავალი სწავლება, პოლიტიკური და რელიგიური ასპექტის უამრავი კვლევა, რომლებიც ისრაელის, როგორც სახელმწიფოს, აღსასრულის კონცეფციას აყენებენ. ეს კონცეფციები ახლა არ გაჩენილა, ზოგიერთ შრომას მრავალი წლის ისტორია აქვს.

ცნობილი ბრიტანელი ისტორიკოსი არნოლდ ტოინბი 1967 წელს არაბეთის ტრაგიკული დამარცხებისა და ისრაელის მიერ არაბული მიწების შთანთქმის შემდეგ წერდა, რომ, ამ გამარჯვების მიუხედავად, ისრაელი დიდხანს ვერ იარსებებდა, რადგან მისი საზოგადოება ანომალიური და გაუცხოებულია, რომ სხვათა მიწებზე ამ პატარა სახელმწიფოს ყველა ხელს ჰკრავს.

მიუხედავად იმისა, რომ არც არაბულ მიწას და არც ახლო აღმოსავლეთს ხელი არ უკრია ისრაელელებისთვის, მათ თავად ჰკრეს ხელი საკუთარ თავს, როდესაც არაბულ რეგიონსა და მსოფლიოს გაერთიანებისა და ევროპის განდევნის სურვილი აღუძრეს. და თუ ისრაელი აღიგვება პირისაგან მიწისა, დამნაშავე იქნება არა არაბული სამყარო, არამედ თავად სახელმწიფო ისრაელი.

**ახლა ისრაელის ყველა მოქალაქე, ისინიც, ვისაც ორმაგი მოქალაქეობა აქვს და ისინიც, ვინც სხვა ქვეყნებში ცხოვრობენ, ცხადია, ისინიც, ვინც მუდმივად ცხოვრობენ სახლმწიფოს ტერიტორიაზე, გახდება თუ არა 18 წლის, ვალდებული არიან იმსახურონ არმიაში. მუსლიმანების, არაბი-ქრისტიანებისა და ბედუინებისთვის არმიაში გაწვევა ნებაყოფლობითია.**

ისრაელის თავდაცვის არმიას სხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალებისაგან განასხვავებს ის, რომ მასში ქალებიც მსახურობენ — კანონის თანახმად, ისინი მამაკაცების მსგავსად სამხედროვალდებულები არიან.

**Watan**

აშშ ამ კრიზისს სათანადო პასუხს ვერ გასცემს. საპასუხო ზომებს ძალზე შეზღუდული ეფექტი ექნება და ვერ შეაჩერებს ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელებას. და თუ აშშ-ის ეკონომიკა 2013 წელს რეცესიაში აღმოჩნდება, მისი ვარდნა, შესაძლოა, მიწასთან გასწორებას ნიშნავდეს.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მსოფლიო ეკონომიკის მესაფლავე



**კრიზისების წინასწარმეტყველი ამერიკულ ეკონომიკას ახალ რეცესიას ჰპირდება და მსოფლიოს აფრთხილებს, რომ „ამერიკული სურდოს გამო მსოფლიო ეკონომიკა, შესაძლოა, პნევმონიით დაავადდეს“. რუბინიმ გადაწყვიტა, გაფანტოს მითი ამერიკული ეკონომიკის აღდგენის შესახებ და აცხადებს, რომ არავითარი აღდგენა არ მიმდინარეობს და, თუნდაც აშშ-მა როგორმე აიცილოს განმეორებითი რეცესია, სტაგნაციას ვერსად გაექცევა.**

2009 წლიდან მოყოლებული ეკონომისტები ირწმუნებოდნენ, რომ აშშ-ის ეკონომიკაში რეცესია დასრულდა და ახლა ქვეყანას სწრაფი აღდგენის კურსი ელის.

მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. აღდგენა შეაჩერა ვალების ჩამოწერის მტკივნეულმა პროცესმა. საუკეთესო შემთხვევაში ამერიკის ეკონომიკის ზრდის ტემპები პროგნოზირებულზე ბევრად ნაკლები იქნება.

**ეკონომისტების შეთანხმებული პროგნოზი წელს უკვე ჩაფლავდა: აშშ-ის საერთო შიდა პროდუქტის მოცულობა 3%-ზე უფრო ნაკლებად გაიზარდა, ვიდრე ვარაუდობდნენ. ამასთან, წლის პირველ ნახევარში ზრდა სულ რაღაც 1,5%-ს შეადგენდა, რაც შარშანდელ საშინელ მაჩვენებელზე — 1,7%-ზე — კიდევ უფრო ნაკლებია.**

მიხვდნენ რა, რომ პირველი ექვსი თვის პროგნოზირებაში შეცდნენ, ეკონომისტები მაინც იმავე ზღაპარს ამტკიცებენ: ნავთობზე დაბალი ფასების, ავტომობილების გაყიდვების ზრდის, უძრავ ქონებაზე ფასების აღდგენისა და ამერიკის გადამამუშავებელი მრეწველობის აღდგენის შერწყმით წლის მეორე ნახევარში ეკონომიკა დაჩქარებული ტემპით გაიზრდება და ეს ზრდა გაგრძელდება 2013 წელსაც.

ამ ზღაპრების საპირისპირო რეალობა კი შემდეგნაირია:

**2012 წლის მეორე ნახევარში ეკონომიკის ზრდის ისედაც მომაკვდინებელი ტემპები კიდევ უფრო შემცირდება, 2013 წელს კი ის თითქმის სრულიად შეჩერდება.**

**რუბინი ამის დამამტკიცებელ ხუთ მიზეზს ხედავს:**

**1. ზრდა უკვე შენელდა. მეორე კვარტალში ზრდა პირველი კვარტლის 1,8%-დან შემცირდება. სამუშაო ადგილების შექმნის ტემპი — თვეში 70 ათასი — უკვე საგრძნობლად შემცირდა;**

**2. ამერიკელებმა არ იციან, რას ელოდონ. საბიუჯეტო გარღვევის მოლოდინში იგულისხმება გადასახადების ავტომატური გაზრდა და ხარჯების შემცირება წლის ბოლოსთვის. ეს ყველაფერი ეკონომიკის ზრდას 2012 წლის ბოლოსთვის დაბალ ტემპებს შეუნარჩუნებს.**




**ანალოგიურ როლს შეასრულებს გაურკვევლობა: არავინ იცის, ვინ იქნება აშშ-ის პრეზიდენტი 2013 წელს, როგორი იქნება გადასახადები და ხარჯების დონე, მოახერხებს თუ ვერა ხელისუფლება მოლაპარაკებას სახელმწიფო ვალის ზედა ზღვართან დაკავშირებით და ხომ არ დააგდებს რომელიმე სააგენტო აშშ-ის რეიტინგს ან ხომ არ შევლენ პოლიტიკოსები მორიგ ჩიხში აშშ-ის ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების მცდელობაში.**

**ამგვარ პირობებში ფირმების უმეტესობა და მომხმარებელიც შეამცირებს დანახარჯებს, რაც კიდევ უფრო დაასუსტებს ეკონომიკას;**

**3. საბიუჯეტო მუხრუჭი. ბიუჯეტის გარღვევა შეამცირებს ეკონომიკის ზრდას საერთო შიდა პროდუქტის 4,5%-ით თუ პოლიტიკოსები ყველა საგადასახადო შეღავათების მოქმედების ვადებს ამოწურავენ და მოაწყობენ საბიუჯეტო ხარჯების მასშტაბურ შემცირებას.**

**საბიუჯეტო მუხრუჭი მხოლოდ 0,5%-იც რომ იყოს, ზრდის საერთი ტემპი წელიწადში 1,5%-ს ვერ ასცდება;**

**4. მეტი გადასახადები, ნაკლები მოხმარება. კერძო მოხმარების ზრდა ბოლო პერიოდში არ ირეკლავს იმ რეალური ხელფასების ზრდას, რომლებიც სინამდვილეში იკლებს. ევროზონისა და ბრიტანეთისაგან განსხვავებით, სადაც ბიუჯეტის სახსრების მკაცრად დაზოგვის გამო განმეორებითი რეცესია უკვე დაიწყო, აშშ-მა ეს თავიდან აიცილა იმის ხარჯზე, რომ საკუთარ თავზე აიღო საოჯახო მეურნეობების იპოთეკური ვალების ნაწილი. მაგრამ გამოვიდა, რომ ამერიკელებმა საკუთარ თავს მოპარეს მომავალში ეკონომიკური ზრდის ნაწილი.**

**2013 წელს ტრანსფერტული გადახდები გაუქმდება, საგადასახადო შეღავათების მოქმედების ვადა კი ამოიწურება. შემოსავლის ხარჯვითი ნაწილისა და მოხმარების ზრდა კიდევ უფრო შენელდება. აშშ შეეჯახება არა მხოლოდ ბიუჯეტის ხარჯების შემცირების პირდაპირ ეფექტებს, არამედ საბიუჯეტო პოლიტიკის კერძო მომხმარებელზე ირიბი მოქმედების შედეგებსაც;**

**5. ოთხი გარეშე ფაქტორი გაართულებს აშშ-ის ეკონომიკის ზრდას. ეს ფაქტორებია: ევროზონის კრიზისის გაღრმავება, ჩინეთის მზარდი შანსები უხეში დაშვებისათვის, განვითარებადი ბაზრების ზოგადი შენელება და 2013 წელს ნავთობზე ფასების ზრდის რისკი.**

აშშ ამ კრიზისს სათანადო პასუხს ვერ გასცემს. საპასუხო ზომებს ძალზე შეზღუდული ეფექტი ექნება და ვერ შეაჩერებს ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელებას. და თუ აშშ-ის ეკონომიკა 2013 წელს რეცესიაში აღმოჩნდება, მისი ვარდნა, შესაძლოა, მიწასთან გასწორებას ნიშნავდეს.

**finmarket.ru**

# ნავალნის ოფშორი

**ჰაკერი ჰელის მიერ ბლოგერ ალექსეი ნავალნის გამოაშკარავების მორიგი ულუფა ეხება იმას, თუ როგორ იღებს ოფიციალურ ინფორმაციას და სად ინახავს ფულს პოპულარული „კორუფციასთან მებრძოლი“.**



თავიანთ ფინანსურ მდგომარეობაზე რუსეთის არასისტემური ოპოზიციის ლიდერები საუბრობენ უკიდურესად ულიმლამოდ. თავიანთი პოლიტიკური ოპონენტების ჯიბეებში სიამოვნებით ჩახედვის შემდგ თავიანთ ქისებს არ ამზეურებენ და ამას იმით ხსნიან, რომ იქ საინტერესო არაფერია. გამონაკლისი არც ალექსეი ნავალნია. ის რამდენიმე წელი ირწმუნებოდა, რომ ანაზღაურებას საადვოკატო საქმიანობიდან იღებდა, მას შემდეგ კი, რაც ბლოგერებმა ამგვარი საქმიანობის რაიმე კვალსაც კი ვერსად მიაგნეს, საერთოდ შეწყვიტა ამ თემაზე კომენტარები.

**როგორც ჰაკერი ირწმუნება, დაახლოებით 2008 წელს ნავალნიმ კიპრის ოფშორულ ზონაში დაარეგისტრირა კომპანია „ALORTAG MANAGEMENT LIMITED“. „ეს თემა განიხილებოდა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, როდესაც პირველი წერილები გამოვაქვეყნე. მაგრამ მაშინ ნავალნი ირწმუნებოდა, რომ ამას ვერ ჩაიდენდა, რადგან ამგვარი საქციელით ჩრდილი მიადგებოდა მის კეთილ სახელს“, — იხსენებს ჰაკერი. მაგრამ ნავალნის საქმეებით დაკავებულია ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული „G.S.L. Law & Consulting (BVI) Limited“.**

ნავალნის ერთ-ერთ წერილში თავისი „მმართველი კომპანია“ ატყობინებს, რომ **„მოქმედი კორპორატიული და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კიპრის კომპანია ვალდებულია, ყოველ წლიურად ჩააბაროს საგადასახადო და საბუღალტრო ანგარიშები კიპრის სახელმწიფო ორგანოებში. შესაბამისი კომპლექტის მოსამზადებლად უნდა მოგვაწოდოთ საანგარიშო პერიოდში მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია“.**

**ამრიგად, პაციენტმა ნავალნიმ გაძარცვა კიროვის ოლქის ბიუჯეტი, მოიპარა სპირტის ქარხანა, ფული კი კიპრში გადამალა, რის დამტკიცებაც გვინდოდა“,** — ასკვნის ჰაკერი ჰელი.

ნავალნის მოპარული ფოსტის კომენტირება კვლავაც არ სურს, მაგრამ, როგორც წესი, ხშირად თავადაც ინფორმაციის მოპოვების არც თუ კეთილსინდისიერი მეთოდებით სარგებლობს.

ყველაფერი დაახლოებით ერთი და იმავე სცენარით ხდება. ნავალნის მის ინტერესების სფეროში შემავალ სტრუქტურებში მომუშავენი ჯაშუშურ მომსახურებას სთავაზობენ. ისიც ესალმება ახალ მხარდამჭერს მართალი საქმისთვის ბრძოლაში, რის შემდეგაც, თუ თანამშრომელი კონკრეტულ ინფორმაციაზე არ გადადის, თავად ავალებს ახალი ცნობების გაგებას ან მოპარვას.

**ბლოგერებმა ასევე გამოაქვეყნეს ნავალნის მიმოწერა პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომელ ნატალია ჟელეზინასთან და სატელევიზიო მიმომხილველ ვლადიმერ ნოვიკოვთან. პირველმა ნავალნის შესთავაზა ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, თუ რა ხდება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, თუმცა ჯერჯერობით შიშობს, საკუთარი მორალური კოდექსი არ დაარღვიოს და ამ სამუშაოს შესრულებას არ ჩქარობს.**

**infox.ru**



# ამერიკული ავიამზიდი სპარსეთის ყურეში შევიდა

**წყაროს ცნობით, სპარსეთის ყურის არაბეთის ზღვასთან დამაკავშირებელი ორმუზის სრუტის აღმოსავლეთით საავიაციო დამრტყმელი ჯგუფი მორიგეობს ატომურ ავიამზიდ „ენტერპრაიზის“ მეთაურობით.** მანამდე გავრცელებული ინფორმაციით, აშშ პასუხს მოსთხოვს ირანს სპარსეთის ყურეში ნავთობის ტრანსფერის ხელის შეშლის ნებისმიერი მცდელობისთვის და წინააღმდეგობას გაუწევს მის განზრახვას, გადაკეტოს ნავთობით ვაჭრობის მთავარი საზღვაო არტერია. 21 ივლისს ირანის პარლამენტის (მეჯლისის) წევრების ნახევარზე მეტმა მხარი დაუჭირა კანონპროექტს ორმუზის სრუტის გადაკეტვაზე, რომლის მეშვეობითაც ნავთობის მსოფლიო გადაზიდვის დაახლოებით 35 პროცენტი ხორციელდება.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ახლა ამერიკაში 1 400 000 ადამიანი განგსტერული ბანდის წევრია. მხოლოდ 2009 წელს ეს მაჩვენებელი 40%-ით გაიზარდა. ახლა ჩიკაგოში 100 ათას ბანდიტზე სამართალდამცავი ორგანოების მხოლოდ 200 ოფიცერი მოდის. ასე რომ, მდგომარეობა შეიძლება ნებისმიერ წუთს აღარ დაექვემდებაროს კონტროლს.**

# რატომ ხდება ამერიკაში ამდენი უბედურება?

**ოდესმე დაფიქრებულხართ, რატომ ხდება ამდენი ცუდი რამ ამერიკაში? ჩვენი ეკონომიკა ინგრევა, ხან გვალვაა, ხან უჩვეულო სიცხე, ჩვენი ქალაქების ინფრასტრუქტურა ინგრევა, ჩვენ სულ უფრო მეტ ომსა და კონფლიქტში ვმონაწილეობთ, ამერიკელთა ცხოვრებაში დღითიდღე იმატებს შიში და შფოთვა, ჭარბწონიანი ამერიკელების რაოდენობა კი ახლა უფრო მეტია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ნუთუ დაწყევლილები ვართ? ეს „იდეალურ შტორმს" ჰგავს, რომელიც მხოლოდ ახლა იკრებს ძალას. ამერიკელები კრიზისისაგან დაიღალნენ, რადგან უკვე გაჩნდა შეგრძნება, რომ ჩვენი პრობლემები აღარასდროს დასრულდება.**

## გვალვა

**მხოლოდ ამ ზაფხულს ამერიკაში მაღალი ტემპერატურის ყველა რეკორდი მოიხსნა, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ამინდი ჩვეულებრივზე ბევრად უფრო მშრალია. აშშ-ის ათასზე მეტი რაიონი უკვე ოფიციალურად გამოცხადდა სტიქიური უბედურებების ზონად. ეს ყველაზე დიდი გვალვაა უკანასკნელი 50 წლის მანძილზე და მას ჯერ დასასრული არ უჩანს.**

გვალვის გამო მთელ ამერიკაში ნადგურდება მარცვლეულის ნათესები და, როგორც ჩიკაგოს სავაჭრო პალატა იტყობინება, მარცვლეულის ფასმა უკვე 54%-ით მოიმატა და მიაღწია აშშ-ისთვის რეკორდულ ფასებს. აგროსპეციალისტები შეშფოთებულნი არიან იმით, რომ დაბალი და ძალიან დაბალი ხარისხის მარცვლეულის ფასი 38%-ით გაიზარდა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს ფასები ზრდას განაგრძობს და მალე ყველა რეკორდს მნიშვნელოვნად ჩამოიტოვებს უკან.

## ხანძარი

**აშშ-ის დასავლეთ რაიონებში უჩვეულოდ დიდი რაოდენობით ხანძარი გაჩნდა ტყეებში, რაც ასევე სიცხის ბრალია.** საქმე ისაა, რომ ამერიკის ისტორიაში ხარისხობრივად ყველაზე საშინელი ხანძრები ტყეებში 2000 წლის შემდგომ პერიოდზე მოდის.

## ტორნადო

**აშშ-ში ისედაც უფრო მეტი ტორნადო ხდება, ვიდრე მსოფლიოს სხვა ნებისმიერ წერტილში, მაგრამ ამდენი არასროს ყოფილა.** მხოლოდ 2009 წელს 1146 ტორნადო იყო, 2010 წელს — 1282, 2011 წელს კი — 1601. ეს კიდევ ერთი რეკორდია ამერიკის ისტორიაში.

## ფუკუსიმა

ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი კატასტროფის შედეგად გარემოში მოხვედრილი რადიაცია ამერიკელებზე კიდევ მრავალი წლის მანძილზე მოახდენს გავლენას. ფუკუსიმადან ამ დრომდეც გამოედინება უდიდესი რაოდენობის რადიაცია და ვრცელდება აღმოსავლეთით, ანუ ამერიკისკენ. ორიოდე თვის წინ ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ლოს-ანჯელესს ნორმალურზე ხუთჯერ მეტი რადიაციის წვიმა აწვიმდა. მთავრობა და მედია ამის შესახებ დუმს, მაგრამ ახლახან ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ფუკუსიმას პრეფექტურაში მცხოვრები ბავშვების 36%-ს ფარისებრ ჯირკვალზე ანომალური წარმონაქმნები აღენიშნება. ეს მაჩვენებელი ჩერნობილის ტრაგედიის შემდეგ 2%-ს არ აღემატებოდა.

## ეკონომიკური კრახი

**უკანასკნელი ვარდნა უარესი იყო დიდი დეპრესიის შემდგომ ყველა მოვლენას შორის და ამერიკის ეკონომიკა აღდგენასთან ახლოსაც კი არ მისულა, ახლა ახალი კრიზისის ზღვართან ვდგავართ და, როგორც ჩანს, ის წინაზე უარესი იქნება.**

## სიღატაკე

**ახლანდელი ეკონომიკური აღდგენის პერიოდშიც კი ამერიკაში სიღატაკე განუხრელად იზრდება.** ობამას პრეზიდენტობის პერიოდში იმ ამერიკელთა რაოდენობა, რომლებიც სასურსათე ტალონებს იღებენ, 32-დან 46 მილიონამდე გაიზარდა. დღეს ამერიკაში მოსახლეობის 49% ცხოვრობს ოჯახებში, სადაც ერთი წევრი მაინც იღებს ფედერალურ დახმარებას. ეს რეკორდია.

## კრიმინალური ნარკობუნაგები

**თავის დროზე აშშ-ში იყო რამდენიმე ათეული სამრეწველო ქალაქი, რომელთა გამოც მთელ მსოფლიოს შურდა, მაგრამ ახლა მრავალი მათგანი კრიმინალურ ნარკობუნაგს დაემსგავსა.** სიტუაცია იმდენად საშინელია, რომ დეტროიტში ათასი სახლი მიწასთან გაასწორეს, ქალაქისათვის უსაფრთხოების დაბრუნების მიზნით. კიდევ ათას მიტოვებულ სახლს იგივე ელის.



ტორნადო მაიამიში

## დამნაშავეობა

**დანაშაულის ზრდა ყველანაირ ზღვარს სცილდება. წელს ჩიკაგოში მკვლელობათა რაოდენობამ 38%-ით მოიმატა, თავდაცვის მიზნით მკვლელობების რაოდენობა დეტროიტში 79%-ით გაიზარდა.** დამნაშავეები ისეთ რამეებს აკეთებენ, როგორიც ამერიკაში მანამდე არც უნახავთ და არც სმენიათ. მაგალითად, ფლორიდაში „Wal-Mart"-ში 300-მდე მოზარდი შევარდა, ყველაფერი დალეწა და გაანადგურა ისე, რომ დაცვისთვის ყურადღებაც კი არ მიუქცევია.

რაც შეეხება ციხეებს, რაოდენობრივადაც და მოსახლეობის რაოდენობასთან თანაფარდობის მხრივაც, აშშ-ს მთელ მსოფლიოში ყველაზე მეტი პატიმარი ჰყავს. მაგრამ ეს არაფერია, ამერიკაში კიდევ მეტი იმსახურებს პატიმრობას: ახლახან ვიდეოკამერებმა დააფიქსირა უამრავი ადამიანი, რომლებმაც არლინგტონში მომხდარი ავარიის შედეგად ასფალტზე პირქვე დაცემულ სისხლის გუბეში მცურავ ადამიანს საერთოდ არ მიაქცია ყურადღება.

## ბანდიტიზმი

მთელ ამერიკაში ადგილობრივ თემებს ბანდები აკონტროლებენ. გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემების მიხედვით, **ახლა ამერიკაში 1 400 000 ადამიანი განგსტერული ბანდის წევრია. მხოლოდ 2009 წელს ეს მაჩვენებელი 40%-ით გაიზარდა. ახლა ჩიკაგოში 100 ათას ბანდიტზე სამართალდამცავი ორგანოების მხოლოდ 200 ოფიცერი მოდის. ასე რომ, მდგომარეობა შეიძლება ნებისმიერ წუთს აღარ დაექვემდებაროს კონტროლს.**

## ომი

ახლა აშშ სულ უფრო მეტ ომებსა და კონფლიქტებში ეფლობა, რომლებიც, როგორც ჩანს, არასდროს დასრულდება. ავღანეთში ომი უკვე მეორე მსოფლიო ომზე ბევრად ხანგრძლივი დროის მანძილზე გაიჭიმა და მას დასასრული არც უჩანს. ამასთან, ობამა ამერიკელ სამხედროებს კონფლიქტებში მონაწილეობის მისაღებად აგზავნის სომალიში, იემენში, პაკისტანსა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში. **იემენში მხოლოდ წლეულს 23 დარტყმის შედეგად 155 ადამიანი დაიღუპა, მაგრამ ამ მონაცემებს ვერ ნახავთ აშშ-ის სამხედრო მოქმედებების შესახებ თეთრი სახლის ანგარიშში კონგრესისადმი. ამ მოხსენებებში მხოლოდ ის წერია, რომ აშშ პირდაპირ მოქმედებს იემენში „ალ ქაიდას" ლიდერების წინააღმდეგ.**

ახლახან გამოქვეყნებულ ანგარიშში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პირველად აღიარა, რომ იემენსა და მეზობელ სომალიში ოპერაციებს ახორციელებს, არადა, ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც ინტერნეტთან წვდომა აქვს, ამის შესახებ რამდენიმე წლის წინაც გიამბობდათ. თუმცა ანგარიშში არავინ ამბობს, რომ ამერიკა ჩრდილოვან ომს აწარმოებს ამ რეგიონში. ომის შესახებ 1973 წლის რეზოლუცია პრეზიდენტისგან მოითხოვს, აცნობოს კონგრესს ნებისმიერი შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ, რომელშიც ამერიკა მონაწილეობს. ზემოხსენებულ ანგარიშში კი არა მხოლოდ იემენი, პაკისტანიც კი არაა მოხსენიებული შეიარაღებული კონფლიქტების კატეგორიაში. არადა, თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ იქ ამერიკა „ომობს". სირიასა და ირანზე საუბარიც აღარ ღირს.



## განგაშის ეპიდემია

**ამერიკელები ახლა გაცილებით უფრო უბედურები და შეშფოთებულები არიან, ვიდრე ოდესმე.** ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლოდროინდელი კვლევის შედეგების თანახმად, ამერიკელების 31% რაღაცაზე ნერვიულობს და ეს მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, მიუხედავად იმისა, რომ განვითარებადი და პრობლემური ქვეყნების მოსახლეობებს გაცილებით მეტი პრობლემები და სადარდებელი უნდა ჰქონდეთ. ამერიკელებს კი სიცოცხლისათვის საბაზო მოთხოვნილებების პრობლემები არ აქვთ და შესაბამისად ნაკლებად უნდა ნერვიულობდნენ. უფრო მეტიც, განვითარებადი მსოფლიოს ნაკლებად მონერვიულე ადამიანები ხვდებიან თუ არა აშშ-ში, მათი მღელვარების დონეც ამერიკელების დონემდე იზრდება.

## ჭარბწონიანობის ეპიდემია

ამ მხრივაც ამერიკა მსოფლიოში პირველ ადგილზეა. თუ 1962 წელს მოსახლეობის 13% ითვლებოდა ჭარბწონიანად, ახლა ეს მაჩვენებელი 36%-ს უტოლდება. ამერიკელებს ახლა უფრო მეტად აწუხებთ სიმსუქნის პრობლემა, ვიდრე ოდესმე, მიუხედავად ამისა, ამერიკა განუხრელად სუქდება.

## ნარკომანიის ეპიდემია

**ამერიკაში უფრო მეტი ნარკომანია პროცენტულად, ვიდრე სხვა რომელიმე განვითარებულ სამრეწველო ქვეყანაში.** ამერიკელები ცხოვრებისეულ ტკივილს ამ გზით გაურბიან. ახლა ამერიკაში ნარკოტიკების უკანონოდ გამოყენების მსოფლიოში ყველაზე მაღალი დონეა. ასევე ამერიკაში ყველაზე მეტი ადამიანია რეცეპტებით გამოწერილ წამლებზე დამოკიდებული.

## ბავშვებისადმი სისასტიკის ეპიდემია

**ამერიკელები ბავშვებს ძალიან ცუდად ექცევიან. ყოველწლიურად ამგვარი ქცევის მაჩვენებელი დაახლოებით 3 მილიონ შემთხვევას ითვლის.** და ამერიკის შეერთებულ შტატებში მსოფლიოში ყველაზე მეტი ბავშვი კვდება მათდამი სასტიკი დამოკიდებულების შედეგად. ▶

„ძმები მუსლიმანები“ არის ორგანიზაცია, რომელიც მხარს უჭერს პოლიტიკურ ისლამს და არ აღიარებს სახელმწიფოებრიობის დასავლურ იდეალებს. „ძმები მუსლიმანების“ წევრები აყალიბებენ პოლიტიკურ პარტიებს ხელისუფლებისთვის ბრძოლის მიზნით მაშინ, როდესაც არაბული გაზაფხული ხანგრძლივად უცვლელ მმართველებს ანაცვლებენ და სხვებს აიძულებენ, დემოკრატიისათვის უფრო გახსნილები გახდნენ.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

### მოზარდთა ორსულობის ეპიდემია

ამერიკელ ბავშვებს ახასიათებთ ტენდენცია, სექსუალურად ძალზე აქტიურნი იყვნენ მოზარდობის პერიოდში. გამაოგნებელია, მაგრამ ამერიკაში მსოფლიოში ყველაზე მაღალია მოზარდთა ორსულობის მაჩვენებელი. სექსუალური აქტივობა ხელს უწყობს მოზარდებს შორის დაავადებათა გავრცელებას. ერთ-ერთი კვლევის შედეგების თანახმად, ამერიკაში ყოველი 14 გოგოდან ერთი დაავადებულია სულ მცირე ერთი ვენერიული დაავადებით.

### განქორწინების ეპიდემია

ჩვენ მოგვწონს ფილმებისა და სერიალების გადაღება ოჯახებზე, მაგრამ ამერიკაში რეალურად ოჯახის სტრუქტურა ძალიან ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ნადგურდებოდა. ახლა ამერიკა განქორწინებების მხრივ მსოფლიოში ლიდერია.

### 16-ტრილიონიანი ვალი

**ახლა აშშ-ის სახელმწიფო ვალი შეადგენს 15,884,155, 929,632.05 დოლარს. მალე 16-ტრილიონიან ნიშნულს გადავაბიჯებთ.** ეს ყველაზე დიდი ვალია მსოფლიო ისტორიაში და ის, რომ ჩვენ ამ ვალის მომავალი თაობებისთვის გადაცემას ვაპირებთ, თავად მცნება „დანაშაულის“ საზღვრებსაც კი სცდება. ჩვენმა სიხარბემ დაუნგრია ცხოვრება ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს და ჩვენ კვლავაც განვაგრძობთ მილიონების სესხებას, რადგან საკუთარი თავის შველა არ შეგვიძლია.

### პოლიტიკური კოშმარი

ყველა ამ საშინელების სათავეში დგას ამერიკაში ლიდერების არარსებობა. ჩვენი უკანასკნელი ოთხი პრეზიდენტი იყო ოთხი ყველაზე უარესი პრეზიდენტი ამერიკის ისტორიაში, 2012 წელს კი საარჩევნო ურნებთან წარმოუდგენლად მძიმე არჩევანის წინაშე დავდგებით. ნუთუ ბარაკ ობამა საუკეთესოა, რისი შემოთავაზებაც დემოკრატებს შეუძლიათ? ამერიკელმა ხალხმა აირჩია არაკომპეტენტური თაღლითი უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობაზე. მისი ყველა გადაწყვეტილება მცდარია და ყველაფერი, რისი გაკეთებაც სცადა, წარუმატებლობით დასრულდა.

მიტ რომნი საუკეთესოა, რისი შემოთავაზებაც რესპუბლიკელებს შეუძლიათ? ახლა რესპუბლიკელების ყველაზე გაყიდვადი ლოზუნგია „კიდევ ოთხი წლის მანძილზე ობამას ისევ ეს ჯობია“. ამ არჩევნებში ამერიკელები ხმას მისცემენ ან ამერიკის ისტორიაში ყველაზე ცუდ პრეზიდენტს, ან სხვას, ვინც აუცილებლად გახდება ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი პრეზიდენტი.

ასე რომ, ამერიკა განაგრძობს ნგრევას. მას ახლა გარანტირებულად ჰყავს ყველაზე საშინელი ლიდერი თეთრ სახლში. შესაძლოა, ჩვენ მართლაც დაწყევლილები ვართ...

**Infowars**

# ამერიკული არჩევანი

**ახლო აღმოსავლეთის საკითხთა ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ეგვიპტესა და სხვა ქვეყნებში ისლამური პარტიების გამარჯვებებმა აიძულა აშშ, დაიწყოს იმ ჯგუფებთან ურთიერთობის შეუმოწმებელი სტრატეგია, რომლებიც ისტორიულად ამერიკული ინტერესებისადმი მტრულად განწყობილად ითვლებოდნენ.**




ეგვიპტის ახალი პრეზიდენტი მუჰამედ მურსიმ სამხედრო ცერემონიაზე სამხედრო ხელმძღვანელებს გამოწვევა ესროლა, როდესაც ისლამისტების მიერ კონტროლირებადი პარლამენტის მეორედ მოწვევის მოწოდება გააკეთა.

**„აშშ-ის თვალსაზრისით ჩვენ არ გვაქვს სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ საქმე დავიჭიროთ „ძმებ მუსლიმანებთან“,** — განაცხადა ბრუკლინის ცენტრის ახლო აღმოსავლეთის საკითხების ანალიტიკოსმა **შადი ჰამიდმა.**

ცოტა ხნის წინ ისლამური დაჯგუფებების ტრიუმფის შემდეგ მუჰამედ მურსი, „ძმები მუსლიმანების“ წარმომადგენელი, ეგვიპტის პრეზიდენტად აირჩიეს.

**ისლამურმა ჯგუფებმა ძლიერი პოზიციები დაიკავეს ლიბიასა და ტუნისში, სადაც ხელისუფლება ისლამური აღორძინების პარტიის ხელშია.**

**მართალია, აშშ-ს ჰქონია ურთიერთობა ქვეყნებთან, სადაც პრევალირებდა პოლიტიკური ისლამი, მაგრამ ახლა მას უწევს პოლიტიკის ჩამოყალიბება იმ ისლამურ დაჯგუფებებთან მიმართებაში, რომლებმაც დაამარცხეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მმართველი რეჟიმები.**

ფონდ „Heritage Foundation“-ის ანალიტიკური ცენტრის ანალიტიკოსი ჯეიმს ფილიპსი ამბობს, რომ „ძმებ მუსლიმანებთან“ მიმართებაში პოლიტიკაში ამერიკამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა.

ანალიტიკოსებს სხვადასხვა აზრი აქვთ იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა ობამას პოლიტიკა სარისკო ნაბიჯი, რომელმაც, შესაძლოა, გაუთვალისწინებელი შედეგები განაპირობოს. ეგვიპტელი ანალიტიკოსები თვლიან, რომ **ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, თუ რად თვლიან „ძმებ მუსლიმანებს“: ეს ან პრაგმატული ორგანიზაციაა, რომლის ლიდერებიც წავლენ კომპრომისებზე ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ან ეს არის ექსტრემისტების ჯგუფი, რომლებიც ცვლიან თავიანთ რიტორიკას, რათა დაფარონ ჭეშმარიტი განზრახვები.**

ბუშის ადმინისტრაცია „ძმებ მუსლიმანებს“ განიხილავდა „მტრულ იდეოლოგიურ ძალად“, — ამბობს ფილიპსი, რომელმაც მოიწონა, რომ ობამას ადმინისტრაციამ მასთან, როგორც პოლიტიკურ ძალასთან მუშაობა შესაძლებლად მიიჩნია.

**„ობამას ადმინისტრაცია ნამდვილად გაცილებით ლოიალურია „ძმები მუსლიმანების“ მიმართ“,** — ამბობს საერთაშორისო ღრმა ისლამმცოდნეობის — ჯონ ჰოპკინსის სახელობის ინსტიტუტის პროფესორმა, ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტის თანამშრომელმა დენიელ სერვერმა.

**„ძმები მუსლიმანები“ არის ორგანიზაცია, რომელიც მხარს უჭერს პოლიტიკურ ისლამს და არ აღიარებს სახელმწიფოებრიობის დასავლურ იდეალებს. „ძმები მუსლიმანების“ წევრები აყალიბებენ პოლიტიკურ პარტიებს ხელისუფლებისთვის ბრძოლის მიზნით მაშინ, როდესაც არაბული გაზაფხული ხანგრძლივად უცვლელ მმართველებს ანაცვლებენ და სხვებს აიძულებენ, დემოკრატიისათვის უფრო გახსნილები გახდნენ.**

ეგვიპტელი ანალიტიკოსები თვლიან, რომ ობამას ადმინისტრაციას, შესაძლოა, შექმნოდა შთაბეჭდილება, რომ მას არ აქვს სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ ითანამშრომლონ ეგვიპტეში არჩეულ „ძმები მუსლიმანების“ არჩეულ ლიდერებთან.

თეთრი სახლის სპიკერი ჯეი კარნი ამბობს, რომ ობამას ადმინისტრაციამ გააფართოა ამერიკის ურთიერთობა ახალ პარტიებთან ეგვიპტეში. ადმინისტრაციის ოფიციალური ლიდერები შეხვდნენ „ძმები მუსლიმანების“ ლიდერებს და კარნიმ განაცხადა, რომ თეთრი სახლი ამ ლიდერებზე იმსჯელებს მათი ქმედებების მიხედვით და არა ამა თუ იმ რელიგიისადმი მათი კუთვნილების შესაბამისად.

**«ჰამასი» რომელსაც აშშ და ევროპა ტერორისტულად მიიჩნევენ, ფაქტობრივად, «ძმები მუსლიმანების» განშტოებაა და განაგრძობს რაკეტების გაშვებას ისრაელის მიმართულებით**

ზოგიერთები ამგვარ თანამშრომლობის შედეგებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ, განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიცაა ტერორიზმი და ისრაელის უსაფრთხოება.

„ძმები მუსლიმანების“ ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ისინი მხარს უჭერენ ეგვიპტის საერთაშორისო შეთანხმებებს და ერთ-ერთი მათგანი ისრაელთან მშვიდობის დაცვასაც ეხება, მაგრამ „ძმების“ ზოგიერთმა ლიდერმა ამ შეთანხმების გადახედვის წინადადება წამოაყენა.

**„ხანგრძლივ პერსპექტივაში ისინი მტრულად არიან განწყობილნი ისრაელთან მშვიდობიანი თანაცხოვრების მიმართ“,** — ამბობს ფილიპსი.

გაურკვეველია, ითანამშრომლებს თუ არა ეგვიპტის ხელისუფლება აშშ-თან ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში. ორგანიზაცია **„ჰამასი“, რომელსაც აშშ და ევროპა ტერორისტულად მიიჩნევენ, ფაქტობრივად, „ძმები მუსლიმანების“ განშტოებაა და განაგრძობს რაკეტების გაშვებას ისრაელის მიმართულებით.**

„ძმები მუსლიმანების“ პოლიტიკური დღის წესრიგი გარკვეული არ ყოფილა. ზოგიერთი ანალიტიკოსი ამბობს, რომ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიისას მათი პლატფორმა მოიცავდა ისლამის ტრადიციების მნიშვნელობის გაზრდას, კორუფციისა და რეპრესიების აღმოფხვრას და მილიონობით ეგვიპტელი ღატაკის მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესებას. მთელი რიგი ანალიტიკოსების აზრით, ეს რიტორიკა იმდენად მიმზიდველი იყო მუშათა კლასისა და ღატაკებისთვის, რომ არარელიგიურმა პარტიებმა და ლიბერალურმა პოლიტიკოსებმა მათ წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს.

**„ძმები მუსლიმანები“, სავარაუდოდ, შეზღუდავენ ალკოჰოლის მოხმარებას და ცალ-ცალკე ასწავლიან სკოლებში გოგონებსა და ბიჭებს.** ასე ვარაუდობენ ანალიტიკოსები. არის იმის რისკიც, რომ ნებისმიერი ზომები, რომლებიც უფრო მკაცრ შეზღუდვებს ითვალისწინებს, განაპირობებს მასობრივ უკმაყოფილებას და ამიტომ, ანალიტიკოსების აზრით, ისინი ძალიან ღრმად არ შეტოპავენ.

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ **„ძმები მუსლიმანები“ სოციალურ-კონსერვატული ჯგუფია, მაგრამ ისინი არ არიან დაინტერესებულნი ისლამის კანონების ძალოვანი ინტერპრეტაციის თავსმოხვევით.** სავარაუდოდ, ისინი არ დააწესებენ ქურდებისათვის ხელის მოკვეთის, მოღალატეებისთვის კი ჩაქოლვის სასჯელს.

ზოგიერთები კი მიიჩნევენ, რომ „ძმები მუსლიმანები“ დემოკრატიისადმი მიდრეკილებას მხოლოდ ხელისუფლების ხელში ჩაგდებამდე ამჟღავნებდნენ, ახლა ქვეყანაში შარიათის კანონებს შემოიღებენ, საერთაშორისო პოლიტიკაში კი ისრაელთან დაპირისპირებას განაახლებენ.

**„ხელისუფლების მოსაპოვებლად დემოკრატიული სისტემების გამოყენება მათი ტაქტიკური გადაწყვეტილება იყო, მათი გრძელვადიანი მიზნები კი კვლავინდებურად უკიდურესად რადიკალური ხასიათისაა“,** — ამბობს ფილიპსი.

**USA TODAY**



**ისლამურმა ჯგუფებმა ძლიერი პოზიციები დაიკავეს ლიბიასა და ტუნისში, სადაც ხელისუფლება ისლამური აღორძინების პარტიის ხელშია**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მთავარი პრინციპი ლიბიის სახელმწიფოებრივი მოწყობისა იყო „ძალაუფლება, სიმდიდრე და იარაღი — ხალხის ხელში“! აი, რას ამბობდა კადაფი ჯერ კიდევ 1973 წელს: „მაშინ, როდესაც ყველა რეჟიმს ჩვეულებრივ ეშინია თავისი ხალხის და თავის დასაცავად პოლიციასა და არმიას ქმნის, მათგან განსხვავებით, მე ვაიარაღებ ლიბიელ ხალხს, რომელსაც სწამს რევოლუციის“! ვინმემ იცის მეორე, ხალხის შემაიარაღებელი დიქტატორი?! სწორედ ამიტომ მოახერხა პატარა, ექვსმილიონიანმა ლიბიამ ამხელა მონსტრთან — ნატოსთან გამკლავება მთელი რვა თვე.

# გვატყუებენ!

## ზოგიერთი ლაპიდარული გამოთქმის მართებულობის თაობაზე

დასასრული. დასაწყისი იხ. №29 (167)

**3. ახლა მე-19 საუკუნის პოლიტიკოსისა და მწერლის — ლორდ აქტონის არანაკლებ პოპულარულ და აღიარებულ, ანუ უკრიტიკოდ მიღებულ გამოთქმაზე შევჩერდეთ — „ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად“.**

ესეც, თითქოს წყალი რომ არ გაუვა, ისეთი სიტყვებია, თანაც მისი დამადასტურებელი ფაქტის ცოცხალი მოწმეები ხომ თავად ვართ! კი, ნამდვილად ასე ჩანს, მაგრამ მოდით, **შევეცადოთ, დავადგინოთ, უპირობოდ მისაღებ ჭეშმარიტებასთან გვაქვს საქმე თუ, უბრალოდ, ხშირ მოვლენასთან.** გამოთქმიდან ერთადერთი დასკვნის გამოტანა ხერხდება, კერძოდ იმის, რომ **ძალაუფლების ხელში ჩამგდები (პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფი) ირყვნება და, აბსოლუტური ძალაუფლების შემთხვევაში, ის განწირულია აბსოლუტური გარყვნისთვის**. სწორი დებულებაა, არაფერია მასში საეჭვო? სანამ ამაზე დაწვრილებით შევჩერდები, მანამდე თვალსაჩინოებისთვის სხვა ანალოგიურ გამოთქმას მოვიშველიებ, რომელიც ტყუპისცალივით ჩამოჰგავს ლორდ აქტონისას — **„ფული აფუჭებს ადამიანს“.**

**თუ ფული აფუჭებს ადამიანს, მაშინ, ცხადია, დიდი ფული კიდევ უფრო მეტად გააფუჭებს მას. ეს გამოთქმა არათუ არასწორია, არამედ აბსურდულიც!** მართალია, დიდ ფულს, როგორც წესი, არაწესიერი (გნებავთ, ნაკლებადწესიერი) ხალხი შოულობს არაკეთილსინდისიერი გზით და ძალიან ცოტა — საკუთარი ნიჭითა და პატიოსანი შრომით, მაგრამ ფული აფუჭებს და უარესად აქცევს ისედაც ცუდს, ხოლო კეთილშობილ ადამიანს კიდევ უფრო უკეთესს ხდის. ამ თეზის თითქმის აბსოლუტურ სისწორეს, განსხვავებით ზოგადად თქმულისგან — „ფული აფუჭებს ადამიანს“, ადასტურებს მრავალი მხატვრული ნაწარმოების ავტორი (დღევანდელ ჩვენს სინამდვილეში არსებულ მაგალითებზე აღარ მივუთითებ). **ყველა მწერალი თავის დადებით გმირს მარტო ბაჟაღლო გულს კი არ უდებს საგულეში, არამედ ადრე თუ გვიან** (უმეტესად გვიან, გაჭირვების გამოვლა-გამოცდის შემდეგ!) **აუცილებლად ბაჟაღლო ოქროსაც — ხელში** (მემკვიდრეობით მიღებულს, ნაპოვნს ან საკუთარი ნიჭით მოპოვებულს). ნებისმიერმა ადამიანმა და, რასაკვირველია, მწერალმაც კარგად იცის, რომ **მარტოდენ დიდი გულითა და ცარიელი ჯიბით ვერავის დაეხმარები, რომ მხოლოდ მორალური მხარდაჭერა, როცა კაცს შიმშილისგან კუჭი უხმება, ვერაფერი შვილი დახმარებაა.**

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე...“, „რასაცა გასცემ შენია...“ — შესანიშნავადაა ნათქვამი, მაგრამ, თუ ეს „გასაცემი“ და „საჭურჭლე“ არ გაგაჩნია, რას გასცემ?! ცხადია, ყველაფერს აჯობებს, გასაცემი და საჭურჭლე რაც შეიძლება ბევრს გააჩნდეს, მაგრამ თუკი, გამოთქმის(!) მიხედვით, საჭურჭლე, ანუ ოქრო-ვერცხლი, ფული აფუჭებს კაცს, გამოდის, დავღუპულვართ და ესაა! როცა უმეტესობა წელში გაიმართება და მეტი ან ბევრი ფული ექნება, სწორედ მაშინ გაირყვნება და გაფუჭდება ხალხი, მთელი საზოგადოება! ე. ი. შეძლებისთვის კი არ უნდა ვიღვაწ-ვიშრომოთ მთელი სიცოცხლე, და ამ შეძლების მეშვეობით — ცხოვრებისეული კეთილდღეობისთვის, განათლებისთვის, არამედ თურმე ჩვენთვისვე აჯობებს (ალბათ, სულიერებისთვის მხოლოდ!), თუ გაჭირვებას თავს არ დავაღწევთ და მუდამ სხვის ხელებში შემყურენი ფულიანის მორჩილებაში დავრჩებით.

აბსურდია ეს, აბა, რა არის! ვფიქრობ, **თვით გამოთქმაც ფულიანი ხალხის მოგონილია უფულოებისთვის მათი სინდისის დასაწყნარებლად, ანუ გაჭირვებასთან ადვილად შესაგუებლად!** ამ გამოთქმის აბსურდულობა სულ მარტივი კითხვითაც ვლინდება: **თუკი ფული აფუჭებს ადამიანს, უფულობა უკეთესს ხდის მას? უკეთეს გზას ადგება უფულო კაცი, ვიდრე ფულიანი?**

ძალაუფლებაც ზუსტად ასეა და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი, ვიდრე ფული. ძალაუფლების გარეშე, ხშირ შემთხვევაში, ვერაფერს გახდები, თუნდაც თავზესაყრელად გქონდეს ფული (უქონელ-გაღლეტილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია). სწორედ ამიტომ ყიდულობდა ძველთაგან (და დღესაც) ფულიანი ხალხი წოდებებთან ერთად თანამდებობებს, ანუ ძალაუფლებას.

**ძალაუფლება, ისევე როგორც ფული, კი არ რყვნის, კი არ აფუჭებს, ის, უბრალოდ, როგორც ლაკმუსის ქაღალდი, ააშკარავებს, ამჟღავნებს**



### «ფული აფუჭებს ადამიანს»?

**ყოველ ჩვენგანში არსებულ ცუდ ან(!) კარგ თვისებებს და აძლიერებს მათ!**

ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ის ხალხი, რომელიც დღეს უკანონობას სჩადის, ხელისუფლებაში მოსვლამდე ანგელოზი იყო და მერე გაირყვნა?!

ძალაუფლება თუ რყვნის, ის ერთ კაცსაც გარყვნის (პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს) და ფართო უფლებებით აღჭურვილ ადამიანთა მრავალრიცხოვან ჯგუფსაც (პარლამენტარებს). ამიტომ **2013 წლიდან დაგეგმილ ძალაუფლების გადანაწილებას პრეზიდენტიდან პარლამენტზე და პრემიერ-მინისტრზე, შესაკრებთა გადანაცვლებას კი არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, არამედ იმას, თუ ვინ მოვა ხელისუფლებაში.** კომუნისტებისდროინდელი „კადრები წყვეტენ ყველაფერს“ არის სწორედ თავი და თავი ყოველივესი — სასიკეთოსიც და საზიანოსიც. კადრების პროფესიონალიზმი და პატიოსნება (ცხადია, უპირველესად, პრეზიდენტ-დეპუტატების) განაპირობებს სახელმწიფოს განვითარებას, მის ეკონომიკურ თუ სამართლებრივ აღმასვლას. ესაა მთავარი, და არა ყურისთვის სასიამოვნო „საპარლამენტო“, ვითომდაც ჭეშმარიტად „ხალხის“ მმართველობა, განხორციელებული ჭკუა-გონება-პატიოსნების კრიტერიუმებით „შერჩეული“ პარლამენტარების ხელით (არ ვჩერდები ძალაუფლების დაქსაქსვისა და პასუხისმგებლობის ასობით(!) ადამიანზე გადანაწილების მკვეთრად უარყოფით მხარეზე. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ **პასუხისმგებლობის თავიდან აცილების და საკუთარი „მუხლჩაუხრელი შრომის“ ანაზღაურების მექანიზმები შესანიშნავად აქვთ დამუშავებული ხალხზე ზრუნვით ფორმადაკარგულ, ლაყუჩებად ქცეულ დეპუტატებს.** დახედეთ მათ სურათებს დეპუტატობამდე და პარლამენტში მოკალათების შემდეგ — თითქმის ყველას 15-20 კგ აქვს მომატებული!).

ასეა თუ ისე, დემოკრატიულმა დასავლეთმა პარლამენტზე უკეთესი, რომელშიც, ჩანაფიქრით(!) საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლები ხალხის სახელით უნდა იღებდნენ კანონებს, ვერაფერი მოიფიქრა. ჩანაფიქრი კარგია, მაგრამ მწარე რეალობაში, იმ გზებით თუ ამ გზებით, სულ სხვა კატეგორიის ხალხი ახერხებს ამ ორგანოში მოხვედრას (არა მარტო ჩვენთან) და **ისინი ხალხის პრობლემების გადაჭრაზე მეტად პირად კეთილდღეობაზე ფიქრობენ.**

პარლამენტის ავკარგიანობაზე ბევრს არ გავაგრძელებ, მაგრამ **არ შეიძლება არ ვახსენო პრინციპულად განსხვავებული მოდელი სახელმწიფოს მართვისა, როდესაც, მართლაც ხალხი იღებდა უშუალო მონაწილეობას მასში. ასეთი მმართველობა იყო 2011 წლის ოქტომბრამდე აფრიკაში(!), „დიქტატორ“ კადაფის ლიბიაში,** რის თაობაზეც ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობამ, დარწმუნებული ვარ, არაფერი იცის.

ორი სიტყვით, **ლიბია წარმოადგენდა კომუნების ფედერაციას. კომუნას კი, რომელსაც პირველადი სახალხო კონგრესი მართავდა, მინიჭებული ჰქონდა სრული უფლებამოსილება, თავის რეგიონში საბიუჯეტო სახსრების განაწილების ჩათვლით.** ბევრი ახსნა-განმარტება არ სჭირდება იმას, რომ, თუ არა სახელმწიფოს გონივრული და სამართლიანი მართვა (პირველადი კონგრესების წარმომადგენლებისგან შემდგარი უმაღლესი სახალხო კონგრესის მხრიდან), ანუ ძალაუფლებისა და შემოსავლების ხალხისთვის გადაცემა-განაწილება(!), ლიბიელი ხალხი ვერ იცხოვრებდა ისე უზრუნველად, როგორადაც ცხოვრობდა კადაფის ხელში. ლიბია ჭეშმარიტად ამართლებდა თავის სახელს — ჯამახირია, რაც ხალხის მასების სახელმწიფოს ნიშნავს. **მთავარი პრინციპი ლიბიის სახელმწიფოებრივი მოწყობისა იყო: „ძალაუფლება, სიმდიდრე და იარაღი – ხალხის ხელში“! აი რას ამბობდა კადაფი ჯერ კიდევ 1973 წელს: „მაშინ, როდესაც ყველა რეჟიმს ჩვეულებრივ ეშინია თავისი ხალხის და თავის დასაცავად პოლიციასა და არმიას ქმნის, მათგან განსხვავებით, მე ვაიარაღებ ლიბიელ ხალხს, რომელსაც სწამს რევოლუციის“! ვინმემ იცის მეორე, ხალხის შემაიარაღებელი დიქტატორი?! სწორედ ამიტომ მოახერხა პატარა, ექვსმილიონიანმა ლიბიამ ამხელა მონსტრთან — ნატოსთან გამკლავება მთელი რვა თვე** (ხალხს ჩვენთანაც სწამდა „ვარდების რევოლუციის“ 2003-ში, მაგრამ გამარჯვებულმა „დემოკრატმა“ ხელისუფლებამ, პირიქით, მოსვლისთანავე განაიარაღა(!) მთელი მოსახლეობა, კოდორის(!) ხეობაშიც კი, და სადამსჯელო(!) საშუალებებით შეაიარაღა პოლიცია! ამიტომაც და ამერიკის აშკარა ფინანსურ-პოლიტიკური მხარდაჭერით უმკლავდება იგი ასე წარმატებით საკუთარ შიშველხელებიან ხალხს უკვე მეცხრე წელია!).

**ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ეკონომიკაში, განათლებასა და ადამიანის უფლებების დაცვაში მიღწეული წარმატებებისთვის, გაეროს კომისიის ერთსულოვანი დასკვნის საფუძველზე, ლიბიისთვის 2011 წლის მარტის ბოლო კვირაში უნდა გადაეცათ გაეროს ჯილდო! ვინმეს სმენია ანალოგიური პრეცედენტი დიქტატორის დაჯილდოებისა მსოფლიოში?!** ისიც უნდა ითქვას, რომ ამ „დიქტატორს“ ექცენტრიულ მმართველს კი უწოდებდნენ, მაგრამ მას ყველგან (დასავლეთის დედაქალაქების ჩათვლით) დიდი პატივით იღებდნენ ოფიციალურ ვიზიტად მყოფს, პრესტიჟულ ადგილებში კარვის გაშლის უფლებასაც აძლევდნენ და მისგან მილიონობით დოლარის თუ საჩუქრების მიღებასაც არ თაკილობდნენ (გავიხსენოთ გახმაურებული ფაქტი: საფრანგეთის პრეზიდენტ სარკოზის მიერ აღებული 50 მილიონი ევრო წინასაარჩევნო პერიოდში). ყველაფერი ეს იყო 2011 წლამდე. დაჯილდოებამდე ერთი(!) კვირით ადრე კი ლიბიას თავს დაესხნენ, თანაც თავიანთივე დასკვნის საპირისპირო საბაბით(!) ის სახელმწიფოებიც, რომლებიც რამდენიმე თვის წინ გაკვირვებას ვერ მალავდნენ ლიბიაში ნანახით, სადაც ლამის კომუნიზმში ცხოვრობდა ლიბიელი ხალხი. არ ვაჭარბებ, მხოლოდ მთავარზე შევჩერდები და დავრწმუნდებით, რომ მსგავსი რამ არც ერთ სახელმწიფოში არ ყოფილა, არ არის და, ალბათ, არც არასოდეს იქნება. მაგრამ, სანამ ამაზე მოგახსენებდეთ, ერთ მარტივ კითხვაზე ვუპასუხებ: **რა არის ყველა ზრდასრული ადამიანის უპირველესი სანატრელ-საფიქრალი? ცხადია, სამუშაო-სამსახური ნორმალური ანაზღაურებით; ოჯახის გამოკვება, ჩაცმა-დახურვა, თავზე ჭერი; შვილები — მათი ჯანმრთელობა-განათლება და კიდევ ბევრი სხვაც, მაგრამ ესაა ძირითადი** (თითქოს, არც ისე ძნელად მისაღწევი, თუმცა მაინც მიუღწეველი ასეულობით მილიონისთვის მსოფლიოში). ახლა ვნახოთ, თუ რა გააჩნდათ ლიბიაში, რომლის მოსახლეობა 6-ჯერ(!) გაიზარდა კადაფის მმართველობის 40 წელიწადში, და მკითხველი თავად დაასკვნის — კაპიტალიზმი იყო იქ, სოციალიზმი თუ ნამდვილი კომუნიზმი:

**უფასო ჯანდაცვა**, მათ შორის, უცხოეთის კლინიკებში მკურნალობაც (ავადმყოფის თანმხლები პირის ხარჯებსაც სახელმწიფო ფარავდა!);

**უფასო განათლება** (საშუალო და უმაღლესიც!), მათ შორის, უმაღლესი განათლება და სტაჟირება უცხოეთში;

**უფასო წყალი, გაზი, ელექტროენერგია და, ერთი პერიოდი, ბენზინიც!** (ნატოს ინტერვენციამდე 10-ჯერ იაფი, ვიდრე საქართველოში);

**უფასო ბინები სახელმწიფო სამსახურში მყოფთათვის** (თანაც უმოკლეს ვადებში, შეიძლება ითქვას, მომენტალურად, და არა 20-40 წლის მუშაობის შემდეგ, როგორც ეს საბჭოთა კავშირში იყო);

**ბინის ქირა არ არსებობდა;**

**სოფლის მეურნეობაში დასაქმებულნი გათავისუფლებულნი იყვნენ გადასახადებისგან;**

**უპროცენტო კრედიტები ბინისა და ავტომანქანის შესაძენად;** ▶

**სამწუხაროდ, თითქმის არავის უნახავს (არ გვაჩვენეს, ისევე, როგორც ძალიან ბევრი სხვა რამ!) კადაფის მხარდასაჭერად ტრიპოლის ქუჩებში გამოსული მილიონი ადამიანი — მართლა ხალხი! და ამ ზღვა ხალხში ღია(!) მანქანით ნელა მოძრავი, თითქოს პარადს იბარებსო, დაცვის გარეშე(!) მყოფი, მძღოლის გვერდით ფეხზე მდგარი კადაფი. მანქანა ისე ნელა მოძრაობდა ამ ზღვა ხალხში, რომ მას ზედაც კი ახტებოდნენ ლიბიელი ახალგაზრდები თავისუფლად! აი, ასეთი უშუალო და უშიშარი იყო „გაწამებული" ლიბიელი ხალხის და „დიქტატორის" ურთიერთობა!**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **მრავალშვილიანი ოჯახებისთვის სპეციალური ქსელი მაღაზიებისა სიმბოლური ფასებით პროდუქტებზე;** პური — 10-ჯერ იაფი, ვიდრე ჩვენთან;

**წამლები უფასოდაც კი ზოგიერთ აფთიაქში და სიკვდილით დასჯა წამლების ფალსიფიცირებისთვის!** („დიქტატორმა" კადაფიმ გაეროს ტრიბუნიდან ყველას — მსოფლიოს 200 სახელმწიფოს წარმომადგენლებს მოუწოდა, უფასო გაეხადათ წამლები მოსახლეობისთვის, რომ სირცხვილია(!) ფულის კეთება წამლებზე, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, მას მხარი არ დაუჭირეს იმ განვითარებულმა და „სანიმუშო დემოკრატიის" მქონე ქვეყნებმა, რომლებშიც ფარმაცევტული ბიზნესი — წამლები და ვაქცინები წარმოუდგენელ შემოსავალს იძლევა, ბევრად მეტს, ვიდრე ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობა ან პორნოინდუსტრია!);

**ყოველ ახალშობილზე — 7 000 დოლარი;**

**ახალდაქორწინებულზე — 50 000 დოლარი;**

**ბიზნესის წამომწყებთათვის — 20 000 დოლარი უპროცენტო სესხი** (ფაქტობრივად, ნაჩუქარი, რადგანაც, გადაუხდელობის შემთხვევაში, არც ბიზნესს ართმევდა სახელმწიფო არავის, და არც სახლს!);

**უმუშევარს — 730 დოლარი ყოველთვიურად;**

**ოჯახის ყოველ წევრზე დაახლოებით 1000 დოლარი დოტაცია წელიწადში — ნავთობ-გაზის ექსპორტით მიღებული შემოსავლები** (ხარჯების შემდეგ დარჩენილი თანხა) თანაბრად(!) ნაწილდებოდა აბსოლუტურად ყველაზე;

**ე. წ. ადამიანის განვითარების ინდექსით** (გაანგარიშებული სიცოცხლის ხანგრძლივობის, განათლების დონისა და ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის მიხედვით) **ლიბია პირველ ადგილზე იყო აფრიკაში, ხოლო ამ ინდექსის ზრდის ტემპებით — პირველ ადგილზე მსოფლიოში!**

თვალსაჩინოებისთვის, დამატებით ორიოდ სიტყვა უნდა ვთქვა განათლებაზე და იგი, ერთ დროს ყველაზე განათლებული საქართველოს დღევანდელ დონეს შევადარო. 1.5-ჯერ მეტი მოსახლეობის ლიბიაში სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა 2,5-ჯერ(!) მეტი იყო, ვიდრე ჩვენთან; სტუდენტთა რაოდენობა (ბაკალავრიატ-მაგისტრატურა-დოქტურანტურის ჩათვლით) — 3,5-ჯერ(!) მეტი; **აფრიკის ამ, „დიქტატორის" ქვეშ „მგმინავ" ქვეყანაში სავალდებულო იყო სრული საშუალო განათლება, „ევროპულ" და „დემოკრატიულ" საქართველოში კი სავალდებულოა მხოლოდ ცხრა კლასი!**

არაფრით არ შეიძლება არ ვახსენო ლიბიაში საკუთარი ძალებით (დასავლეთმა უარი უთხრა დაფინანსებაზე!) განხორციელებული გრანდიოზული პროექტი, ე. წ. **ადამიანის ხელით შექმნილი დიდი მდინარე** — საჰარის უდაბნოში 1953(!) წელს 500 მეტრის სიღრმეზე აღმოჩენილი ოთხი უზარმაზარი მიწისქვეშა მტკნარი წყლის რეზერვუარიდან (ნილოსის 200-წლოვანი განუწყვეტელი დინების ექვივალენტური მოცულობის!) **1300 ჭაბურღილის მეშვეობით ათასობით კილომეტრის მანძილზე მიწაში ღრმად ჩადებული მილებით** (4,5-მეტრიანი დიამეტრის!) **სასმელი წყლის მიწოდება ლიბიელი ხალხისთვის** (5 ტონა სულზე დღეში!), **რასაც ათი ათასობით ჰექტარი მიწის ათვისება მოჰყვა უდაბნოში! ამ მიწისქვეშა აქვედუკებს ბადალი არ მოეძებნება მსოფლიოში და იგი მსოფლიოს მერვე საოცრებად მოინათლა!** 1953 წლის აღმოჩენა ხალხის სამსახურში მხოლოდ „დიქტატორის" ხელში ჩადგა! ბევრმა იცის ჩვენთან ან თუნდაც მსოფლიოში ამ საოცრების შესახებ?! **(მიწისქვეშა წყლის მარაგი ეგვიპტეშიც აღმოაჩინეს, მაგრამ ეგვიპტემ, სადაც სახნავ-სათესი მიწების მწვავე უკმარისობაა, ამერიკისგან ყოველწლიურად მიღებული მილიარდებისა და არადიქტატორული მმართველობის მიუხედავად, დღემდე ვერ შეძლო ის, რაც დიქტატორმა მოახერხა დამოუკიდებლად!).**

**და ეს დონე, ეს აღმშენებლობა მიღწეულ იქნა სახელმწიფოში, რომლის შემოსავალი ერთ სულზე გაანგარიშებით ნაკლები იყო, ვიდრე გაღატაკებულ რუსეთში და რამდენიმეჯერ(!) ნაკლები, ვიდრე განვითარებულ, მდიდარ ქვეყნებში!** ეს ხომ წარმოუდგენელია, კი მაგრამ, როგორ?! გაოცებული იკითხავს ყველა. მართლაც წარმოუდგენელია, მაგრამ თურმე შესაძლებელია, როცა შემოსავლები სამართლიანად და თანასწორად ნაწილდება რეალურად და არა — ქაღალდზე! ამჟამად მიღებული შემოსავლების საშუალო არითმეტიკულის გამოყვანა ერთ სულ მოსახლეზე, როდესაც უმეტეს ქვეყნებში სახელმწიფო ქონება-შემოსავლების 80-90%-ს მოსახლეობის 5-6%(!) ფლობს, თვალში ნაცრის შეყრაა დანარჩენი 94-95%-ისთვის და რამდენი ათასი დოლარიც არ უნდა მოდიოდეს საშუალოდ(!) სულზე ნებისმიერ სახელმწიფოში, ჩვენ მაინც ვერ მივიღებთ ობიექტურ სურათს, ვერ ვიმსჯელებთ იქ რეალურად არსებულ ცხოვრების დონეზე და ვერც სამართლიანი დაერქმევა ასეთ სოციალურ გარემოს!**

სწორედ ლიბიაში დამკვიდრებული სამართლიანობითა და თანასწორობით აიხსნება ის წარმატებები და ის სოციალური გარემო, რომელშიც ცხოვრობდა ლიბიელი ხალხი კადაფის „დიქტატურის" პირობებში (დემოკრატიული მმართველობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი ხომ თანასწორუფლებიანობა, ანუ სამართლიანობაა). **ლიბია ერთადერთი სახელმწიფო იყო საგარეო ვალის გარეშე აღმოსავლეთ ნახევარსფეროში** (ამერიკის კონტინენტზე კი — პინოჩეტის ჩილე მხოლოდ, დიქტატორ(!) პინოჩეტის, რომელმაც ეკონომიკის აყვავებას ბიზნესისთვის ყოველმხრივი ხელშეწყობის გზით მიაღწია. ყველა დანარჩენს, განვითარებული და დემოკრატიული სახელმწიფოების ჩათვლით, ათეულობით მილიარდიდან ტრილიონობით მილიარდამდე ვალი აწევთ კისერზე, ოღონდ ვისი, ვინ არის მთელი



**უნახავს ვინმეს სხვა დიქტატორი ან დემოკრატი მმართველი სანაქებო დასავლეთის ქვეყნებში ასე, დაცვის გარეშე ხალხში გასული გახურებული შიდა ომის დროს ან თუნდაც მშვიდობიან პერიოდში?!**

მსოფლიოს მევახშე, მისი სახელი დანამდვილებით არავინ ვიცით, იგი გასაიდუმლოებულია!).

რაც შეეხება კადაფის „სისასტიკეს", **მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ ლიბიაში, სადაც სამართალი ყურანის საკმაოდ მკაცრი კანონებით ხორციელდებოდა, რევოლუციის გამარჯვებიდან** (მეფის ჩამოგდებიდან) **პირველი შვიდი(!) წლის განმავლობაში, ანუ იმ პერიოდში, როდესაც რევოლუციის გზით მოსული ხელისუფლება** (ყველა სახელმწიფოში!) **სასტიკად უსწორდება თავის მოწინააღმდეგეებს და როდესაც კადაფი იყო ოფიციალურად(!) პირველი პირი სახელმწიფოში** (რევოლუციიდან ზუსტად 7,5 წლის შემდეგ, 1977 წლის 2 მარტს, კადაფი გადადგა, მას აღარ ეკავა არავითარი პოსტი, თუმცა, რა თქმა უნდა, იგი რჩებოდა ქვეყნის ყველაზე გავლენიან და საპატივცემულო ადამიანად, „რევოლუციის ძმა-ლიდერად", რომელსაც დიდი დამსახურებისთვის საკუთარი და აფრიკის ხალხების წინაშე აფრიკის სახელმწიფოთა ლიდერებმა „მეფეთა-მეფის" ტიტული უბოძეს), **არ ყოფილა გამოტანილი არც ერთი სიკვდილით დასჯის განაჩენი!** იმედია, არ გამოჩნდება ვინმე ჭკუათმყოფელი და 40 წლის მანძილზე მიღწეულ გაუგონარ წარმატებებს ეკონომიკაში, განათლება-ჯანდაცვასა და სამართალწარმოებაში კადაფის დიქტატორულ განუკითხაობას დააბრალებს.

**კი მაგრამ,** — ისევ გაოცებული იკითხავს კაცი, — **ასეთ სამოთხეში მცხოვრები ხალხი რატომღა აუჯანყდა კადაფის, სადაა აქ ლოგიკა?!** ჩვენთან რომ ამის მეათედი ცხოვრება გვქონდეს, მაშინ ვინ მაღალი გაიხედავდა ქუჩისკენ, ვის მოუბრუნდებოდა ენა ხელისუფლებაზე აუგის სათქმელად და მესამე თუ მეოთხე ვადითაც, სამუდამოდაც ხომ სიხარულით ავირჩევდით! ორი აზრი არ არის, ასე იტყვის ყველა ნორმალური, მაგრამ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში, მის მიზეზებში(!) ნაკლებად ჩახედული ადამიანი. მე კი, ჩემის მხრიდან, პასუხის ნაცვლად კითხვას დავსვამ: **ნამდვილად ხალხი აუჯანყდა კადაფის?!** და ხალხმა და ნატომ ერთობლივად რვა(!) თვე ვერ დაამარცხეს კადაფი და მისი „ხროვა"?! გაცილებით უკეთ შეიარაღებული არმიის მქონე იუგოსლავიამ ხომ არც ისე ცოტა, მაგრამ, შედარებით ლიბიასთან, მაინც მხოლოდ 77 დღე გაუძლო ნატოს დაბომბვებს 1999 წელს. ეს კითხვა არ გვებადება?! ამ კითხვას სულ ადვილად გაეცემა პასუხი, თუ შევადარებთ „არაბული გაზაფხულის" დასაწყისს ეგვიპტესა და ლიბიაში. გავიხსენოთ, **ლიბიის ამბებამდე ცოტა ხნით ადრე ყველა ჩვენთაგანმა ვიხილეთ კაიროში, ტახრირის მოედანზე, მუბარაქის გადადგომის მოთხოვნით შეკრებილი მილიონი(!) პროტესტანტი, ანუ მართლა ხალხი! ლიბიაში, ლიბიური „გაზაფხულის" დროს რა ვიხილეთ? იქ სულ სხვა, საპირისპირო(!) რამ ვნახეთ: არა ქუჩაში გამოსული მშვიდობიანი მოსახლეობა, არამედ „ტოიოტას" ჯიპებზე ამხედრებული, „ზენიტკებით"(!) და ამერიკული(!) ავტომატებით შეიარაღებული მეამბოხეები** (არადა, ლიბიის არმია რუსული „კალაშნიკოვებით" იყო აღჭურვილი და იარაღის საწყობებშიც რუსეთისგან 90-იან წლებში შეძენილი ეს ავტომატები ინახებოდა მხოლოდ!); **სამწუხაროდ, თითქმის არავის უნახავს** (არ გვაჩვენეს, ისევე, როგორც ძალიან ბევრი სხვა რამ!) **კადაფის მხარდასაჭერად ტრიპოლის ქუჩებში გამოსული მილიონი ადამიანი — მართლა ხალხი! და ამ ზღვა ხალხში ღია(!) მანქანით ნელა მოძრავი, თითქოს პარადს იბარებსო, დაცვის გარეშე(!) მყოფი, მძღოლის გვერდით ფეხზე მდგარი კადაფი. მანქანა ისე ნელა მოძრაობდა ამ ზღვა ხალხში, რომ მას ზედაც კი ახტებოდნენ ლიბიელი ახალგაზრდები თავისუფლად!**

აი, ასეთი უშუალო და უშიშარი იყო „გაწამებული" ლიბიელი ხალხის და „დიქტატორის" ურთიერთობა! უნახავს ვინმეს სხვა დიქტატორი ან დემოკრატი მმართველი სანაქებო დასავლეთის ქვეყნებში ასე, დაცვის გარეშე ხალხში გასული გახურებული შიდა ომის დროს ან თუნდაც მშვიდობიან პერიოდში?! ერთადერთი ასეთი ადამიანი იყო კომუნისტი ვასილ მჟავანაძე, რომელიც მარტოდმარტო დადიოდა ფეხით მშობლიური თბილისის თუ ოკუპანტი მოსკოვის ქუჩებში! ვინაიდან ამ საკითხზე მსჯელობა და სხვა ფაქტების მოშველიება ძალიან შორს წაგვიყვანს, ისედაც ცოტა გადავუხვიე, ამიტომ მთავარ სათქმელს მივუბრუნდები.

ლიბიაზე, მისი სახელმწიფოებრივი მოწყობის და, აქედან(!) გამომდინარე, ძალზე შთამბეჭდავი წარმატებების გამო შევაჩერე ყურადღება. **ყველა სახელმწიფოსგან განსხვავებულმა სახალხო მმართველობის მოდელმა** (თურმე შესაძლებელი ყოფილა საპარლამენტოზე ოდნავ უკეთესის მოფიქრებაც!) **და ქვეყანაში დამყარებულმა სამართლიანობამ(!) განაპირობა მართლაც დაუჯერებელი მიღწევები ყველა სფეროში.** ამიტომაც ნებისმიერი სახელმწიფოს მმართველი, სახელის მიუხედავად, უნდა ფასდებოდეს ხალხისთვის(!), სახელმწიფოსთვის გაკეთებული საქმეებით, ესაა უმთავრესი და განმსაზღვრელი, და არასოდეს არ უნდა მოვექცეთ დასავლეთის მიერ კონკრეტული ადამიანებისთვის შერჩევით(!) მიკერებული იარლიყების გავლენის ქვეშ — „დიქტატორი" იქნება ეს, „დემოკრატი" თუ, სულაც, „დემოკრატიის შუქურა"!

**თუ დიქტატორად წოდებული ადამიანი თავის განუსაზღვრელ ძალაუფლებას პირადი გამდიდრებისთვის არ იყენებს, მისი პრიორიტეტი არის ხალხის კეთილდღეობა და სახელმწიფო და არა საკუთარი თავი და ოჯახი. იგი ერთპიროვნულ მმართველად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში, — დიქტატორად.** და პირიქით, ხალხზე მეტად საკუთარ კეთილდღეობაზე მაფიქრალი ვერაფრით ვერ ჩაითვლება დემოკრატად. ამას ხაზს ვუსვამ, რადგან არცთუ იშვიათად დიქტატორულ რეჟიმს და ერთპიროვნულ მმართველობას ერთმანეთისგან არ (ან ვერ) ასხვავებენ, მათ შორის კი მხოლოდ ერთი რამ — ძალაუფლება არის საერთო. მოკლედ და ორი სიტყვით, **დიქტატორული რეჟიმი არის „ძალაუფლება პლუს უსამართლობა", ერთპიროვნული მმართველობა კი — „ძალაუფლება პლუს სამართალი"** (ერთპიროვნული მმართველის ნიმუშად გამოდგება ბელარუსის პრეზიდენტი ლუკაშენკო, რომელმაც, ენერგეტიკული რესურსების არქონის მიუხედავად, ბევრად უკეთესი საცხოვრებელი პირობები შეუქმნა თავის ხალხს, ვიდრე რომელიმე მმართველმა გაზ-ნავთობით მდიდარ თუ მილიარდობით უცხოური დახმარება-კრედიტ-გრანტების მიმღებ ნებისმიერ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოში, და რომელსაც სრულიად დაუმსახურებლად „ევროპის უკანასკნელ დიქტატორს" უწოდებს დასავლეთი; ჭეშმარიტი მიზეზი ამისა არის არა ვითომდაც ბელორუსში გამეფებული უსამართლობა, არამედ ის, რომ ლუკაშენკო არ დადის დასავლეთის ჭკუაზე და უარს ეუბნება ყველას — შინაურსაც და გარეულსაც, სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტების პრივატიზებაზე!). **სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით, ლიბიის სახელმწიფო იყო ყველა დროის ყველაზე დემოკრატიული, ანუ ჭეშმარიტი სახალხო(!) მმართველობის მქონე სახელმწიფო და ლიბიელი ხალხი, მთლიანობაში(!), — ყველაზე უკეთ მცხოვრები ხალხი მსოფლიოში.**

ვფიქრობ, ზემოთ განხილულ ლაპიდარულ გამოთქმებთან დაკავშირებით მოყვანილი მაგალითებისა და ფაქტების საფუძველზე, სრული უფლება მაქვს, დავასკვნა შემდეგი:

**1. დიახაც, შესაძლებელია არა მხოლოდ ერთის ყოველთვის, არამედ ყველას ყოველთვის მოტყუებაც;**

**2. ხალხი ყოველთვის(!) ღირსეულ ხელისუფლებას იმსახურებს და ხალხის ბრალი არ არის, როცა (უხშირესად!) უღირსი ადამიანები აჯდებიან მას კისერზე;**

**3. ძალაუფლება (და ფულიც) არ რყვნის (არ აფუჭებს) წესიერ კაცს, ერთიც და მეორეც ხელს უწყობს ადამიანის უარყოფითი და დადებითი თვისებების გამოვლენას და აძლიერებს მათ.**

**იაკობ ლეჟავა**

ეკომენტარი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველა სხვა სახელმწიფო მოღვაწისგან მას განასხვავებდა ის, რომ იგი არამარტო ხელმძღვანელი იყო, არამედ ფაქტობრივი შემქმნელი თავისი საზოგადოებრივი სისტემის. ეს მთელი მისი სიცოცხლის აზრი და მიზანი იყო. იდეისთვის შეწირული ადამიანისთვის ძალაუფლება მხოლოდ საშუალებაა, იარაღია უზენაესი მიზნის მისაღწევად. მათ, ვისთვისაც უცხოა ზეიდეური იდეალები, არ ძალუძთ გაუგონ ისეთ ადამიანებს, როგორიც იყო სტალინი. ადამიანი — მოვლენა.**



*რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი*

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-29 (139-167)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

აშშ-ის პრეზიდენტ რუზველტის ერთ-ერთი თანამებრძოლი, ადმირალი ლეგი სტალინის შესახებ წერდა: **„ჩვენ უცებ ვიგრძენით, რომ საქმე გვქონდა განსაკუთრებით ჭკვიან ადამიანთან, რომელიც ლაპარაკობდა დარწმუნებით და გაბედულად მიისწრაფვოდა იმის მოსაპოვებლად, რაც მას რუსეთისთვის სურდა. მარშალის მიდგომა ჩვენს საერთო პრობლემებთან იყო პირდაპირი, კეთილსასურველი და ორი მისი კოლეგის თვალსაზრისის გამზიარებელი მანამდე, სანამ რომელიმე მათგანი არ წამოაყენებდა ისეთ იდეას, რომელსაც სტალინი საბჭოთა ინტერესებისთვის მიუღებლად მიიჩნევდა. ასეთ შემთხვევებში იგი სიმართლეს პირში ეტყოდა და არც მწვავე შეფასებებს მოერიდებოდა“.**

ამერიკელმა ადმირალმა შეამჩნია ის, რისი დანახვაც დასავლეთის უდიდესმა პოლიტიკოსებმა ვერ შეძლეს: **სტალინის უმაღლესი ინტელექტუალური დონე.** ამასთან ერთად, სტალინის პოზიცია, როგორც წესი, მაღალზნეობრივ ნორმებს უპასუხებდა.

სტალინთან ურთიერთობით მიღებულ შთაბეჭდილებებს რუზველტს განუმტკიცებდა ძალთა რეალური და ობიექტური შეფარდება, რომელიც საბჭოთა კავშირის მზარდი გავლენიდან მომდინარეობდა. 1944 წლის მაისში „მხოლოდ ხელმძღვანელობისთვის“ მომზადდა მორიგი დოკუმენტი, რომელშიც ლაპარაკი იყო „რუსეთის სამხედრო და ეკონომიკური ძლიერების დღემდე დაფარული ფენომენალური ძლიერების“ შესახებ.

ეს ფაქტი შეფასებული იყო, როგორც „ეპოქალურ“ საერთაშორისო ურთიერთობებზე მისი გავლენის თვალსაზრისი. იგი აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული აშშ-ის საგარეოპოლიტიკურ ღონისძიებათა დაგეგმვისას. 1944 წელს, როცა წითელი არმია ფაშისტური რეჟიმებისგან ევროპის გათავისუფლებას შეუდგა, ვაშინგტონში სერიოზულად შეშფოთდნენ ამ ქვეყნების ბურჟუაზიული წესწყობილების ბედით. იმ პერიოდის სახელმწიფო დეპარტამენტის დოკუმენტში მიუკიბავ-მოუკიბავად ეწერა: „თუ არსებული ნიშნებით ვიმსჯელებთ, ევროპის ხალხთა საერთო განწყობილება იხრება მარცხნივ — შორს მიმავალი ეკონომიკური და სოციალური რეფორმების სასარგებლოდ“.

**რუზველტს სრულ სიგიჟედ მიაჩნდა აშშ-ის ჩათრევა საბჭოთა კავშირთან ომისშემდგომ კონფლიქტში.**

როცა შეიტყო პოლონელი ემიგრანტების შეშფოთების შესახებ, რაც გამოწვეული იყო წითელი არმიის მათი ქვეყნის საზღვრებთან მოახლოებით, რუზველტმა თქვა: **„პოლონეთის ელჩი ამ საკითხზე ახლახან იყო ჩემთან... ხომ არ სურს მას, რომ ჩვენ და დიდმა ბრიტანეთმა ომი გამოვუცხადოთ იოსებ სტალინს? ეს რომ მოგვესურვებია კიდეც, რუსეთი შეძლებდა ჩვენს საერთო ოდენობაზე ორჯერ მეტი არმიის გამოყვანას, და ჩვენ ამ საქმეში ხმის ამოღებასაც ვერ შევძლებდით.**

უფრო მეტიც... დარწმუნებული არ ვარ, რომ სამართლიანი პლებისციტი, თუ ასეთი საერთოდ არსებობს ბუნებაში, არ გვაჩვენებდა, რომ ეს აღმოსავლეთის პროვინციები (დასავლეთი უკრაინა და დასავლეთი ბელორუსია... რედ.), არ ამჯობინებენ რუსეთში დაბრუნებას“.

ძნელია, არ დაეთანხმო პრეზიდენტს. **რუზველტმა შესანიშნავად იცოდა, რომ წარმოუდგენელი იყო სტალინის იძულება, შეეცვალა პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. პოლონეთის ემიგრანტული მთავრობა, რომელიც უძალო იყო, მაგრამ ქვეყნის სათავეში მოსვლა კი სურდა, განმსჭვალული იყო საბჭოთა კავშირის მიმართ კონფრონტაციული მისწრაფებით, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ საბჭოთა შეიარაღებული ძალები ათავისუფლებდა პოლონელ ხალხს დამღუპველი ფაშისტური რეჟიმისგან. სტალინი ასეთ ავადგანწყობილი მეზობლების წამოჩიტებას ვერ შეურიგდებოდა. რუზველტს ეს შესანიშნავად ესმოდა. აქვე უნდა ვთქვათ, რომ სტალინის პოლიტიკის წარმატებას აღმოსავლეთ ევროპის მიმართ ხელი შეუწყო სწორედ რუზველტის თანადგომამ. ამის მთავარი მიზეზი, როგორც ნათქვამი გვაქვს, აშშ-ის დაუინტერესებლობა იყო ამ რეგიონით: ამერიკას თვალი ეჭირა „ბრიტანეთის მემკვიდრეობაზე“.**

მეორე მსოფლიო ომი, ისევე როგორც პირველი, ამ ზესახელმწიფოს ეკონომიკის კარგი კატალიზატორი აღმოჩნდა.

ამერიკას სჭირდებოდა, რაც შეიძლება სწრაფად გასწორებოდა იაპონიას. ამისთვის კი, ცხადია, მას უნდა შეენარჩუნებინა მტკიცე მეგობრული ურთიერთობა სტალინთან, ჩერჩილი კი მეორე პლანზე გადადიოდა. გამორიცხული არ არის, რომ რუზველტი სიამოვნებით დათანხმდა სტალინთან სტუმრობას. ორივე მათგანი სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ასეთი ახლო მეზობლობა ორივესთვის მომგებიანი იქნებოდა. ეს მარჯვე დიპლომატიური ნაბიჯი ობიექტური რეალობით იყო ნაკარნახევი.

როგორც ჩანს, სტალინი და რუზველტი ურთიერთსიმპათიით განეწყვნენ. რუზველტის ცოლი იალტის კონფერენციის წინ წერდა: „ფრანკლინს დიდი იმედი ჰქონდა, რომ იგი მიაღწევდა ნამდვილ პროგრესს მარშალ სტალინთან პირადი ურთიერთობის განმტკიცებაში. მან იცოდა, რომ მოლაპარაკება აუცილებლად ითვალისწინებდა დათმობებს, მაგრამ მან იცოდა კარგად ვაჭრობა, შესანიშნავად თამაშობდა პოკერს და მას მოსწონდა მოლაპარაკებათა თამაში“.

პრეზიდენტი უარს არ ამბობდა, რათა მესამე, გადამწყვეტი მხარე ყოფილიყო, ერთგვარი არბიტრი სტალინისა და ჩერჩილის კამათში. ეს იმდენად მისი ინიციატივა კი არ იყო, რამდენადაც მოვლენათა განვითარების შედეგი. ამერიკელი ავტორი რ. რაბინი აღნიშნავს: **„უწინდებურად არსებობდა მოსაზრება, რომ ნებისმიერი უთანხმოება აშშ-ს, დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის შეიძლებოდა გადაჭრილიყო ამერიკის მიერ, რომელიც რეფერის როლში წარმოდგებოდა“.**

რუზველტს შესანიშნავად ესმოდა, რომ თეირანისგან განსხვავებით, იალტაში მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობის პრობლემები. **სახელმწიფო დეპარტამენტის მემორანდუმში მითითებული იყო, „რომ აშშ-ს სჭირდება სსრ კავშირის დახმარება, რათა გაანადგუროს გერმანია. საბჭოთა კავშირი ჩვენთვის აუცილებელია იაპონიის წინააღმდეგ ომშიც. ამაზეა დამოკიდებული ამერიკელი ჯარისკაცების სიცოცხლე. საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობა გვჭირდება ომისშემდგომი მსოფლიოს ორგანიზებაშიც“.**

რა თქმა უნდა, შევაჭრებას აქვს აზრი აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში საბჭოთა კავშირის გავლენის შესამცირებლად. მაგრამ ეს მაინც მეორეხარისხოვანი ამოცანაა, რადგან მთავარი მაინც საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში წარმატების მოპოვება იყო. აქ კი, როგორც ვიცით, სტალინი მისთვის ხელის შეშლას არ აპირებდა. საბჭოთა ხელმძღვანელობას მაშინ ხელს აძლევდა, რომ რუზველტი არბიტრის როლში გამოდიოდა: საბოლოო ჯამში, თავისი სტრატეგიული ინტერესების დასაცავად, იგი იძულებული იქნებოდა, მხარი დაეჭირა იმისთვის, ვისითაც განსაკუთრებით იყო დაინტერესებული, ანუ სტალინისთვის.

რუზველტის ბიოგრაფს — ხატჩს მიაჩნდა, რომ პრეზიდენტს იალტის კონფერენციაზე თავის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად „რუსების კეთილგანწყობის“ მოპოვება მიაჩნდა.

პრეზიდენტს განსაკუთრებით თავისი საკუთარი, „პირადი“ დიპლომატიის იმედი ჰქონდა. ჯერ კიდევ 1943 წელს იგი ჩერჩილს წერდა: „მე შევძლებ უკეთ შევეთვისო სტალინს, ვიდრე თქვენი ფორინ ოფისი *(ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო. — რედ.)* ან ჩემი სახელმწიფო დეპარტამენტი“. მართალს წერდა პრეზიდენტი. ერთ რამეში ცდებოდა მხოლოდ: მორალური ძალა, საეჭვოა, მის მხარეს ყოფილიყო. სტალინი მხოლოდ მაღალიდეური სახელმწიფო მოღვაწე არ ყოფილა. მას მტკიცედ სწამდა იმ კურსის სისწორე, რომლითაც საბჭოთა კავშირი მიჰყავდა. ასეთი რწმენის საფუძველს, მიიჩნევენ მკვლევარები, მას სამი ისტორიული მოვლენა უქმნიდა: სამოქალაქო ომში გამარჯვება, სოციალისტური მშენებლობის წარმატებები და ინდუსტრიული სახელმწიფოს შექმნა, და სამამულო ომში გამარჯვება.

**ყველა სხვა სახელმწიფო მოღვაწისგან მას განასხვავებდა ის, რომ იგი არამარტო ხელმძღვანელი იყო, არამედ ფაქტობრივი შემქმნელი თავისი საზოგადოებრივი სისტემის. ეს მთელი მისი სიცოცხლის აზრი და მიზანი იყო. იდეისთვის შეწირული ადამიანისთვის ძალაუფლება მხოლოდ საშუალებაა, იარაღია უზენაესი მიზნის მისაღწევად. მათ, ვისთვისაც უცხოა იდეალები, არ ძალუძთ გაუგონ ისეთ ადამიანებს, როგორიც იყო სტალინი. ადამიანი — მოვლენა.**

წიგნის (რომელსაც ჩვენს მკითხველებს ქართულად ვაწვდით) ავტორები დარწმუნებულნი არიან, რომ რუზველტსა და ჩერჩილსაც კი შეგნებული ჰქონდათ და გრძნობდნენ მის განსაკუთრებულობას, ამიტომ პატივს სცემდნენ საბჭოთა ბელადს, მიუხედავად იმისა, რომ არ იზიარებდნენ, უფრო მეტიც, კატეგორიულად უარყოფდნენ მისეულ მრწამსს.

**ისე ჩანდა, რომ მიღწეული იყო სამი ზესახელმწიფოს მეთაურთა ურთიერთგაგება. განსაკუთრებული ურთიერთნდობის განწყობილება დამყარდა რუზველტსა და სტალინს შორის. ისინი დაინტერესებულნი იყვნენ ომისშემდგომი თანამშრომლობის განვითარებითაც. შეერთებული შტატებისთვის საბჭოთა კავშირი საინტერესო იყო, უწინარეს ყოვლისა, როგორც გასაღების ბაზარი და ნედლეულის მიმწოდებელი, ჩვენს ქვეყანას კი ეძლეოდა შესაძლებლობა, შეესყიდა უახლესი დანადგარები და მოწყობილობა, აშშ-თან ერთად განეხორციელებინა სამეცნიერო-ტექნიკური პროექტები.**

ეკომენტარიოდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## იალტის კონფერენცია

რუზველტმა წამოაყენა „დიდი სამეულის“ ახალი შეხვედრის საკითხი 1944 წლის 10-დან 15 სექტემბრამდე. სტალინი დათანხმდა, მაგრამ აცნობა, რომ გარკვეული მიზეზების გამო, რომლებიც ომთანაა დაკავშირებული, იგი ქვეყნის საზღვრებს გარეთ გასვლას ვერ შეძლებდა. ასეთ პასუხს ხანგრძლივი მიმოწერა მოჰყვა.

ა. ბორისოვი წერდა: „მეფის კარის გამოცდილი მსახურები პრეზიდენტს ურჩევდნენ, არ გამგზავრებულიყო „ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით“ — რუსეთში, ფაქტობრივად კი ცდილობდნენ კონფერენციის ჩაშლას. საბჭოთა მეთაურმა „ნერვების ამ ომში“ შესაშური მოთმინება გამოამჟღავნა, რათა დაეცვა „ადრე მიღწეული შეთანხმება“. საქმე ის იყო, რომ სტალინის პოზიციები მუდმივად მყარდებოდა წითელი არმიის წარმატებულ შეტევათა შედეგად.

1944 წლის 23 ნოემბერს სტალინმა რუზველტს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მიანიშნებდა კონფერენციის ჩატარების ვადის შესაძლო გადატანაზე. მაშინ პრეზიდენტმა უკუაგდო ყველა ეჭვი და აცნობა ჩერჩილს: „ვგრძნობ, რომ ვერ შევძლებთ ძია ჯოს დარწმუნებას, გაემგზავროს შავი ზღვის საზღვრებს იქით, თუ იმ დროისთვის გერმანელები კაპიტულაციას არ მოახდენენ“. ერთი თვის შემდეგ რუზველტმა აცნობა სტალინს, რომ თანახმაა, ჩავიდეს ყირიმში თებერვლის დასაწყისისთვის.

ჩერჩილისთვის გაგზავნილ წერილში (1945 წლის 3 იანვარი) სტალინი წერს: **„ჩემთვის ცნობილია, რომ პრეზიდენტს აქვს თქვენი თანხმობა სამთა შეხვედრაზე ამ თვის დამლევს ან თებერვლის დამდეგს. მოხარული ვიქნები, გიხილოთ თქვენ და პრეზიდენტი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე და იმედი მაქვს ჩვენი ერთობლივი მუშაობის წარმატების.**

**ვსარგებლობ შემთხვევით, რათა მოგილოცოთ ახალი წელი და გისურვოთ საუკეთესო ჯანმრთელობა და წარმატებები“.**

**რუზველტს ორი მნიშვნელოვანი საკითხი ჰქონდა გადასაწყვეტი მომავალ კონფერენციაზე: პირველი, მიეღო საბჭოთა კავშირისგან თანხმობა შორეული აღმოსავლეთის ომში მონაწილეობის თაობაზე; მეორე, მიეღო საბჭოთა კავშირისგან საბოლოო თანხმობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის შესახებ.**

იალტის კონფერენციის ოფიციალურ გახსნამდე სტალინისა და რუზველტის შეხვედრა გაიმართა. ერთ საათზე ნაკლებ ხანს ილაპარაკეს ლიდერებმა, მაგრამ ამ მცირე დროში სტალინმა მიიღო პრეზიდენტის თანხმობა, რომ ფრანგებსაც რგებოდათ გერმანიაში საოკუპაციო ზონა. ამით იმან კიდევ უფრო განამტკიცა საფრანგეთის მთავრობასთან კარგი ურთიერთობა. საბჭოთა ხელმძღვანელი დაინტერესებული იყო, რომ შარლ დე გოლის სახით ჰყოლოდა, შესაძლოა, სუსტი, მაგრამ მაინც საპირწონე ძალა ევროპაში ინგლისისა და შეერთებული შტატების ჰეგემონიის საწინააღმდეგოდ (ამავე მიზეზით იგი წინააღმდეგი იყო გერმანიის დანაწევრების პროექტის და ამჯობინებდა, რომ ეს ქვეყანა ერთიანი, მშვიდობიანი სახელმწიფოს სახით ყოფილიყო წარმოდგენილი).

**პირველი სხდომა,** სტალინის წინადადებით, 4 თებერვალს რუზველტმა გახსნა. ამ სხდომაზე შეთანხმდნენ ყველა სამხედრო საკითხზე, მაგრამ რუზველტმა სტალინს არაფერი უთხრა ატომური ბომბის შესახებ, რომელიც იმ დროისთვის 99 პროცენტით უკვე მზად იყო.

**მეორე სხდომა** გერმანიის პრობლემის განხილვით დაიწყო. სტალინი დარწმუნდა, რომ ჩერჩილს დაეკარგა ინტერესი გერმანიის დანაწევრების მიმართ, თუმცა ფორმალურად დღის წესრიგიდან არ ხსნიდნენ. გერმანიის დასავლეთის ნაწილს ისინი საბჭოთა კავშირის საპირწონედ განიხილავდნენ ომისშემდგომ ევროპაში.

რა თქმა უნდა, ამაზე აშკარად არ საუბრობდნენ.

შედარებით იოლად მოგვარდა სსრკ-პოლონეთის საზღვრის საკითხი. რუზველტს ესმოდა, რომ სტალინის წინადადებებისთვის წინააღმდეგობის გაწევა სერიოზულად გაართულებდა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ურთიერთობას.

**ხელი მოაწერეს შეთანხმებას იაპონიის წინააღმდეგ ომში საბჭოთა კავშირის ჩაბმის შესახებ, რომელსაც რამდენიმე წინაპირობა ჰქონდა დართული. მათ შორის იყო სსრ კავშირის უფლებების აღდგენა კურილიის კუნძულებზე, რომლებიც 1904 წელს რუსეთზე ვერაგული თავდასხმის შედეგად მიიტაცა იაპონიამ და ამით ჩარაზა წყნარ ოკეანეში რუსეთის ფლოტის გასასვლელი. რუზველტმა ასეთი დათმობა მცირე ფასად მიიჩნია ომში საბჭოთა კავშირის ჩართვასთან შედარებით (გავიხსენოთ, რომ სსრკ-ს იაპონიასთან დადებული ჰქონდა სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის დარღვევაც მოუწევდა).**

სტალინი მნიშვნელოვან დათმობებზე წავიდა იმ საკითხებში, რომლებიც გაეროს შექმნასთან იყო დაკავშირებული. უწინარეს ყოვლისა, დათანხმდა წინადადებას, უმნიშვნელოვანეს საკითხებში უშიშროების საბჭოს წევრების უეჭველი ერთსულოვნების შესახებ და ერთსულოვნების პრინციპის ერთგვარი დარღვევის თაობაზე საკამათო პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგების დროს. სტალინმა მოხსნა თავისი წინადადება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის გაეროში მონაწილეობის შესახებ და დათანხმდა მათგან მხოლოდ ორის — ბელორუსიისა და უკრაინის მონაწილეობას. მაგრამ უწინდებურად მტკიცედ იცავდა თავის პოზიციას პოლონეთის საკითხში.

ისტორიკოსების ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ ამ საკითხში პრეზიდენტმა დაუთმო საბჭოთა ლიდერს, მაგრამ ასე არ იყო. რუზველტი ჩერჩილთან ერთად ყოველნაირად ცდილობდა, დაეყოლიებინა საბჭოთა დელეგაცია, დათანხმებოდა პოლონეთის დროებითი მთავრობის ისეთ „რეორგანიზაციას“, რომლის შედეგად ხელისუფლებაში პროდასავლური, ანტისაბჭოთა ძალები მოვიდოდნენ. **სტალინი დაჟინებით ხაზს უსვამდა, რომ პოლონეთთან დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის სტრატეგიული ინტერესები და მისი უსაფრთხოების საკითხი.** „პოლონეთის საკითხი, — განაცხადა მან, — საბჭოთა კავშირისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია“. მისმა მოსაზრებებმა რუზველტზე სერიოზული ზეგავლენა იქონია, რასაც ჩერჩილზე ვერ ვიტყვით. ვითარება დაიძაბა. პერსპექტივის ჩიხში შესვლა პრეზიდენტს ხელს არ აძლევდა. მას ესმოდა, რომ აუცილებელი იყო კომპრომისის მიღწევა და, ბოლოს და ბოლოს, მიაღწიეს კიდეც.

საინტერესოა კინოოპერატორ ა. კრიჩევსკის მოგონებები, რომელმაც კინოფირზე აღბეჭდა ყირიმის კონფერენციის პერიპეტიები:

„ჰოლში რომ შემოვიდოდა სტალინი, ოქროსსამხრეულებიანი მისი მუნდირი ძლივს ჩანდა ხოლმე მის გარშემო მყოფი გენერლების მუნდირების ფონზე. პროჟექტორების სინათლის სიკაშკაშეში იგი დინჯად გაივლიდა ჰოლს, ზოგჯერ ხელს აიქნევდა მისალმების პასუხად. ბოლოს იღებოდა აშშ-ის პრეზიდენტის აპარტამენტების კარი და ლაქია ზანგი გამოაგორებდა ინვალიდის სავარძელს. მომღიმარი რუზველტი ხელს ჩამოართმევდა სტალინსა და ჩერჩილს და ისინი სხდომათა დარბაზში შედიოდნენ“.

ამერიკელები და ინგლისელები სხდომების მსვლელობისას ყოველთვის ერთსულოვანნი არ იყვნენ. ზოგჯერ ისე ჩანდა, რომ ჩერჩილს „უმცროსი ძმის“ როლი ჰქონდა მიკუთვნებული. ერთ-ერთ ეპიზოდს კრიჩევსკი ასე აღწერს:

**„ერთხელ ოქმით გაუთვალისწინებელი ეპიზოდი მოხდა. როგორც ყოველთვის, ზუსტად ოთხ საათზე ჰოლში შემოვიდნენ სტალინი და ჩერჩილი. სტალინმა შეცვალა მარშრუტი და სხდომათა დარბაზის ნაცვლად რუზველტის კაბინეტისკენ წავიდა. ამერიკელი მცველი, რომელიც თითქოს თვლემდა ღრმა სავარძელში, წამოდგა, გაუღო კარი სტალინს და, ის რომ შევიდა, მიახურა. ჩერჩილი სტალინს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა და, ეტყობა, ისიც რუზველტთან შესვლას აპირებდა. მაგრამ კარი ცხვირწინ მიუხურეს, მცველმა გზა გადაუღობა, აშკარად მიანიშნა, რომ პრეზიდენტთან სხვას არავის შეუშვებდა.**

**ათობით წყვილი თვალი უყურებდა ამ სცენას. ბირნსი, მომავალი სახელმწიფო მდივანი ტრუმენის მთავრობაში, გამალებით რაღაცას იწერდა ქაღალდის ფურცელზე, ჰარიმანისა და ჩერჩილის ქალიშვილებმა ნახევარ სიტყვაზე შეწყვიტეს საუბარი და გაშეშდნენ. ინგლისელმა ავიაციის მარშალმა პორტალმა, რომელსაც სამ ადგილზე ჰქონდა თავი გამელოტებული, ამოიღო სავარცხელი და შერჩენილი ომის ვარცხნა დაიწყო. ყველა ხედავდა, რომ ჩერჩილს უჭირდა თავდაჯერებულობის შენარჩუნება. მაგრამ მან ასაკთან შეუფერებელი სისხარტით შემოხაზა რკალი დაკეტილი კარის წინ, ვიღაცას მკლავი გამოსდო და, თითქოს არაფერი მომხდარაო, თანამოსაუბრე ფანჯრისკენ წაიყვანა, ჩამოჯდა რაფაზე და გაცხოველებული ლაპარაკი გააბა.**

**მყისიერად ჩამოვარდა სიჩუმე. სტალინი კვლავ რუზველტთან იმყოფებოდა. ეტყობა, მათ წინასწარ მოილაპარაკეს სხდომის დაწყების წინ ამ წუთიერი შეხვედრის თაობაზე. ხმაური და მოძრაობა ჰოლში სრულად შეწყდა. რუზველტის კაბინეტის კარი კვლავ დაკეტილია.**

**და მხოლოდ ოცდასამი წუთის შემდეგ იღება ეს კარი. სავარძლით გამოჰყავთ რუზველტი, სტალინი გვერდით მოჰყვება. ესალმებიან ჩერჩილს და ისიც, თითქოს არც ყოფილაო ეს უსიამოვნო წუთები, გახარებული ართმევს მათ ხელს. იქ მყოფნი გამოცოცხლდებიან. კვლავ ახმაურდებიან და პროცესია სხდომათა დარბაზისკენ დაიძრება“.**

ჩერჩილის მდგომარეობა კონფერენციაზე სახარბიელო არ იყო. რუზველტს უპირატესობა ჰქონდა, როგორც თავმჯდომარეს და როგორც მსოფლიოში ინდუსტრიულად ყველაზე უფრო განვითარებული სახელმწიფოს ხელმძღვანელს (სტალინი ამ გარემოებას განსაკუთრებით ხაზს უსვამდა). საბჭოთა ლიდერი სტუმართმოყვარე მასპინძლის როლში იყო. ეს როლი მან თავისი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენა.

საკმაოდ გავრცელებულია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იალტაში ორგანიზებული იყო სტუმრების საიდუმლო მოსმენა. სხვათა შორის, ამ ფაქტის თაობაზე დიდი ხმაური არასოდეს ატეხილა. ეს მეთოდი ყველა დროში მიღებულ და პროფესიულ მეთოდიად არის აღიარებული და ყველა დროში ყველა სპეცსამსახური მას მეტ-ნაკლები წარმატებით იყენებდა და იყენებს.

ფარული მოსმენები სტალინს სჭირდებოდა იმისთვის, რომ საქმის კურსში ყოფილიყო, თუ რაზე თანხმდებოდნენ მისი პარტნიორები მის ზურგს უკან. გულახდილობის იმედად ყოფნა მინიმუმ გულუბრყვილობას ნიშნავდა, რაც ჩვენს მკითხველებს შესანიშნავად მოეხსენება, სულაც არ არის მწვავე დებატებში გამარჯვების მოპოვების პირობა, უფრო პირიქითაა. არადა, წყდებოდა მსოფლიო მოწყობის საკითხები — არც მეტი, არც ნაკლები.

სტალინი თარჯიმანებს ხშირად აზუსტებინებდა, თუ როგორი ინტონაციით იყო წარმოთქმული ესა თუ ის ფრაზა. როგორც ჩანს, მას უფრო მეტად აინტერესებდა დასავლელ მოკავშირეთა ერთსულოვნების საკითხი, მათ შორის არსებული წინააღმდეგობები, აგრეთვე, მათი ურთიერთობის გულწრფელობის ხარისხი საბჭოთა კავშირის მიმართ.

ისტორიკოსი ვ. ნ. ვისოცკი წერს: „სტალინი პირველად მასპინძლობდა მსოფლიოს ორი უდიდესი სახელმწიფოს მეთაურებს და, ფაქტობრივად, არცთუ უსაფუძვლოდ, მდგომარეობის ბატონ-პატრონად გრძნობდა თავს. სხდომების დროს ი. ბ. სტალინი ხშირად რაღაც ფიგურებს ხაზავდა ქაღალდზე და ისე ჩანდა, რომ თავის ფიქრებში იყო წასული. მაგრამ სინამდვილეში ყურადღებით ადევნებდა თვალს ყველაფერს, რაც ხდებოდა, და, როგორც უშუალო დამკვირვებლები აღნიშნავენ, მათ შორის დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებიც კი, სხდომებისთვის გაცილებით უკეთ იყო მომზადებული, ვიდრე მისი პარტნიორები, რადგან განსახილველი საკითხების თითქმის ყველა დეტალს ფლობდა.

**ღამეული დაძაბული მუშაობის მიუხედავად, სტალინი ყოველთვის მხნედ იყო. შეეძლო თავშეკავება, მაგრამ, როცა საქმის ინტერესები მოითხოვდა, ენერგიულად ებმებოდა განხილვის პროცესში. სტალინის გამონათქვამებში ხშირად გაკრთებოდა დახვეწილი ირონია და იუმორი, მის ქცევაში კი იგრძნობოდა შინაგანი კმაყოფილება. სტალინმა კონფერენციის შედეგები რომ შეაჯამა, იგი წარმატებულ მოვლენად მიიჩნია.**

ასეთივე გრძნობით ბრუნდებოდა ფრანკლინ რუზველტიც. მან გამოავლინა მისთვის დამახასიათებელი თავშეკავება და წარმატებით გაართვა თავი სხდომების თავმჯდომარეობას... მაგრამ კონფერენციის დასრულების ჟამს დამკვირვებლებმა შეამჩნიეს, რომ იგი თავს შეუძლოდ გრძნობდა. ყოველდღიური მასაჟი და ძილის წინ დეტექტიური რომანების კითხვა ნაკლებად შველოდა“.

**ისე ჩანდა, რომ მიღწეული იყო სამი ზესახელმწიფოს მეთაურთა ურთიერთგაგება. განსაკუთრებული ურთიერთნდობის განწყობილება დამყარდა რუზველტსა და სტალინს შორის. ისინი დაინტერესებულნი იყვნენ ომისშემდგომი თანამშრომლობის განვითარებითაც. შეერთებული შტატებისთვის საბჭოთა კავშირი საინტერესო იყო, უწინარეს ყოვლისა, როგორც გასაღების ბაზარი და ნედლეულის მიმწოდებელი, ჩვენს ქვეყანას კი ეძლეოდა შესაძლებლობა, შეესყიდა უახლესი დანადგარები და მოწყობილობა, აშშ-თან ერთად განეხორციელებინა სამეცნიერო-ტექნიკური პროექტები.**

ამ ყველაფერთან ერთად, სტალინს შესანიშნავად ესმოდა, ომით დაუძლურებულ მის ქვეყანას ესაჭიროებოდა მშვიდობიანი თანაარსებობა ყველა ქვეყანასთან და გამალებული შეიარაღებიდან ფართო მოხმარების საგნების წარმოებაზე გადართვა. აღსადგენი იყო ოკუპანტების მიერ იავარქმნილი ქალაქები და სოფლები. ხალხს შესასრულებელი ჰქონდა კოლოსალური სამშვიდობო სამუშაო ომისშემდგომ უმძიმეს პირობებში.

სტალინი თავისი სახელმწიფოს მომავალზე ფიქრობდა. მას სიკვდილის არ ეშინოდა. ერთ-ერთ სხდომაზე თქვა:

**— დიახ, რა თქმა უნდა, სანამ ჩვენ ყველანი ცოცხლები ვართ, არაფრის არ უნდა გვეშინოდეს. ჩვენ არ დავუშვებთ საშიშ დაპირისპირებას ჩვენ შორის. არ დავუშვებთ, რომ აგრესია განხორციელდეს რომელიმე ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. მაგრამ გაივლის 10 წელიწადი, შეიძლება ნაკლებიც და ჩვენ გავქრებით...**

ეს არ იყო მოლაპარაკების დიპლომატიური ენა, ეს იყო აზრის გამოხატვა სიცოცხლესა და სიკვდილზე, საკუთარი მსოფლმხედველობისა, რომელშიც პირადი სარგებლობა და ამბიციები თითქმის სრულად იყო იგნორირებული და ყველაფერი ემორჩილებოდა ხალხის ინტერესებს, საზოგადოების განვითარებასა და კეთილდღეობას, მის წინსვლას ღირსეული და სამართლიანი მომავლისკენ. მას ამის სჯეროდა და დარწმუნებული იყო, რომ აქეთკენ მიმავალი გზა მშვიდობით არის მოკირწყლული.

**გაგრძელება იქნება**



რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## 90 წლის იუბილე «ამერიკულ მთებზე»

**ოჰაიოს მკვიდრი პენსიონერი ტელმა გრაჩი მხიარული და ექსტრემალური ცხოვრების მოყვარულია. 1979 წლიდან იგი რეგულარულად სტუმრობს ატრაქციონების პარკს. ის სეზონურ ბილეთსაც კი ყიდულობს, რათა იქ მოხვედრის უფრო ხშირი შესაძლებლობა მიეცეს.** რა გასაკვირია, რომ ტელმამ საკუთარი 90-წლიანი იუბილე „ამერიკულ მთებზე“‘აღნიშნა. სხვათა შორის,’„მთები“‘მისი საყვარელი ატრაქციონია. 2009 წლიდან (ატრაქციონმა ფუნქციონირება სწორედ ამ წლიდან დაიწყო) ტელმამ მასზე 100-ჯერ მოასწრო დაჯდომა. პარკის თანამშრომლები დარწმუნებულნი არიან და სიამაყით აცხადებენ, რომ ტელმა მსოფლიოს ყველაზე მოხუცი ადამიანია, რომელიც გასართობ პარკს სტუმრობს.

# ყველაზე «ალკოჰოლური» ქალაქები

**დღეს, ალბათ, ჩვენი პლანეტის ნებისმიერ კუთხეში შეიძლება ალკოჰოლის შეძენა, მაგრამ ზოგ ადგილას „ალკოჰოლური ტრადიციები“ შედარებულია ხელოვნების ნაწარმოებებთან.**



## მიუნხენი

მიუნხენის ლუდის სახეობები იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ ვერ აღწერ. ამ ქალაქში ლუდს სვამენ მთელი წლის განმავლობაში, ხოლო სექტემბრის ბოლოს იწყება ლუდის ცნობილი, ყველაზე დიდი ფესტივალი, რომელიც 18 დღეს გრძელდება.



## პრაღა

პრაღაში არის მხოლოდ 2 სახის ლუდი: კარგი და ძალიან კარგი. ამიტომ არ ღირს წასვლა იქ, სადაც ფასები გაცილებით აღემატება ნორმალურს. იაფიან დაწესებულებაში შეგიძლიათ იგივე სიამოვნება მიიღოთ, რაც ძვირადღირებულში. ბარის მენიუ წერია შესასვლელ კარზე, რაც სწრაფი ორიენტირების საშუალებას იძლევა. ყველაზე პოპულარულ ადგილად ითვლება კლუბი Lavka Bar da Club.




## სიდნეი

აქ ტურისტებისთვის ღიაა ძველი ბარები. მაგალითად, ბარი „ვატერლოოს გმირი“ მუშაობს ჯერ კიდევ 1845 წლიდან, ხოლო „a Lord Nelson Hotel“ გაიხსნა უფრო ადრე — 1841 წელს. თუმცა ამ ბარებში ალკოჰოლური სასმელები უფრო ძვირია, ვიდრე ნებისმიერ სხვა ადგილას. აქ ლიტრა-ნახევარი ლუდი 8 დოლარი ღირს.



## სტამბოლი

ტურისტებს აქ შეუძლიათ დააგემოვნონ საუკეთესო ლუდი დაახლოებით 2 დოლარად კათხა. მაგრამ მათი შემოდინების სეზონში ფასი შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს. სტამბოლის ევროპულ ნაწილში, beioglu-ს რაიონში, განსაკუთრებით ბევრი კაფე-ბარია. ყველაზე ცნობილია: Dulcinea, Madrid და Kaktus-ის ბარები.



## სან პაულო

აქ მდებარეობს დაახლოებით 15000 ბარი და ღამის კლუბი, რომლებშიც ნებისმიერ მსურველს შეუძლია მხიარულად გაატაროს დრო. ღამის კლუბში შესვლა მინიმუმ 20 დოლარია, ხოლო სასმელზე ფასები 1-დან 10-დოლარამდე მერყეობს. ზოგან ალკოჰოლის ღირებულება ბილეთის ფასში შედის. ქალაქში ალკოჰოლის შეძენა შესაძლებელია ქუჩაში, მაგრამ იმწუთშივე გაგაფრთხილებენ, რომ ქუჩაში მთვრალ მდგომარეობაში სეირნობა იწვევს ფატალურ შედეგებს.



## ამსტერდამი

ამსტერდამში გასართობი დაწესებულებები მუშაობს კვირაში 7 დღის განმავლობაში, დასვენების გარეშე. ყველაზე ხშირად ალკოჰოლური სასმელების მოყვარულები სტუმრობენ წითელი ფარნების რაიონს და რემბრანდტის მოედანს. აქ, მრავალრიცხოვანი ბარების გარდა, არის ყველაზე დიდი თხევადკრისტალური ეკრანი ევროპაში.






## კანკუნი

საპატიო მე-3 ადგილზეა მექსიკის საკურორტო ქალაქი კანკუნი. დიდი ლუდის ბარები სთავაზობენ ტურისტებს ყველა სახის ალკოჰოლურ სასმელს. ხოლო თუ ესტუმრებით ცნობილ ღამის კლუბ Coco Bongo-ს, გაოცდებით წარმოდგენებით, რომლებიც არ ჩამორჩება ლას-ვეგასის ცნობილ სანახაობებს.



## მადრიდი

ესპანეთის დედაქალაქში მრავლადაა დაწესებულებები, რომლებშიც ალკოჰოლზე ფასები ზომიერი და მისაღებია. ისინი მზად არიან, მოემსახურონ მომხმარებელს დილიდან დილამდე. აქ, მაგალითად, შეგიძლიათ მიირთვათ ლუდი მხოლოდ 3-4 დოლარად. მადრიდის ცენტრში შეგიძლიათ ესტუმროთ ცნობილ ისტორიულ ბარს „Taberna Las Gabrieles“, სადაც ერთ დროს პოლიტიკური დებატები იმართებოდა.




## ტოკიო

იაპონიის დედაქალაქში არის მრავალი, ეროვნულ სტილში გაფორმებული დაწესებულება: ინგლისური ლუდხანები, გერმანული ბარები, ადგილები სპორტის მოყვარულთათვის, კარაოკე ბარი და სხვ. თვით იაპონელები უპირატესობას ანიჭებენ ლუდის შემდეგ სახეობებს: Kirin, Sapporo და Asahi. ქვეყანაში ვისკის ყველაზე მსხვილი მწარმოებელია კომპანია Santory. დედაქალაქში ყველაზე პოპულარულ, თანამედროვე ბარად ითვლება Sohos Omotesandro. ალკოჰოლური სასმელების შერჩევის გარდა, სტუმრებს შეუძლიათ ასევე დატკბნენ შენობის შესანიშნავი ინტერიერით.

## დუბლინი

ირლანდიელების ალკოჰოლური სასმელების სიყვარულზე მთელი წიგნის დაწერა შეიძლება. იქ ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით დაწესებულებებს, რომლებშიც შეიძლება დალევა. ირლანდიაში მდებარეობს სახელგანთქმული ლუდის — Guinnes-ის მუზეუმი. შესაძლოა, ვინმემ არც იცის, რომ სწორედ ამ ლუდსახარშმა კომპანიამ 1955 წელს გამოუშვა „გინესის რეკორდების წიგნი“.

## 27-სიმიანი გიტარა

**კიტ მედლეი მთელი ცხოვრება გიტარებს აწარმოებს. წლების განმავლობაში ის ქმნიდა ინსტრუმენტებს ცნობილი ადამიანებისათვის, მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი ნიმუში ოსტატმა შექმნა თავისთვის – 27-სიმიანი გიტარა. კიტის თქმით, ეს იგივეა, თითქოს სამ ინსტრუმენტზე ერთდროულად უკრავ.** როგორც გაირკვა, კიტის ინსტრუმენტმა რეკორდი ვერ დაამყარა. 1984 წელს ლინდა მაზერმა და პატ მედლეიმ შექმნეს გიტარა 42 სიმით და უწოდეს „პიკასო“. კიტ მედლეი მიწვეული იყო მრავალ ფესტივალზე და ერთ-ერთმა გიტარისტმა, რომელიც უკრავდა მის შექმნილ ინსტრუმენტზე გრემიც კი მოიპოვა.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე ცნობილი გადახრილი კოშკები

**ყველას გაუგია იტალიის გადახრილი პიზის კოშკის შესახებ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასეთი გადახრილი კოშკები საკმაოდ ბევრია მსოფლიოში.**



## ბოლონიის ორი კოშკი, იტალია

ქალაქის ოფიციალური პირები უშედეგოდ ცდილობენ, თავიდან აიცილონ ორი კოშკის „Asineli“-სა და „Garisenda“-ს დაცემა. მიუხედავად იმისა, რომ Asineli ზომებით უფრო პატარაა, ვიდრე Garisenda, მისი გადახრა გაცილებით მეტია — 3.22 მეტრი.



## ნევიანსკის კოშკი, რუსეთი

კოშკის მშენებლობა ნევიანსკის ცენტრში დაფინანსებული იყო თვით პეტრე დიდის მიერ. აშენებულია მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, მისი დამფუძნებელი იყო ანკიფი დემიდოვი. კოშკი სიმაღლეში აღწევს 57,5 მეტრს. უკანასკნელმა აზომვებმა აჩვენეს, რომ კოშკის დახრილობა შეადგენს 2,20 მეტრს.

## ეკლესია Frankenhausen-ის კოშკი, გერმანია

კოშკი მდებარეობს ქალაქის გარეუბანში, დაუცველია მუდმივი ქარების ზემოქმედებისგან. ინჟინერებმა აღნიშნეს, რომ ყოველ წელს კოშკი იხრება 6 სმ-ით. შესაბამისად, დაცემის მომენტი შეიძლება დადგეს მომდევნო ათწლეულში. ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, გამოყოს 1,5 მილიონი დოლარი კოშკის გადასარჩენად.



## ბიგ-ბენი, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი

Clock Tower — საათის კოშკი, რომელიც ბიგ-ბენი-ს სახელითაა ცნობილი, გადახრილია ჩრდილო დასავლეთით 0,26 გრადუსით, რაც, საბოლოო ჯამში, 43,5-სანტიმეტრიან გადახრას ნიშნავს. უნდა აღინიშნოს, რომ 2003 წლიდან დახრილობა გაიზარდა 0,9 მილიმეტრამდე. მიზეზი კი გახდა ლონდონის მეტროს მიწისქვეშა სამუშაოები.



## ეკლესია Oude Kerk, ნიდერლანდები

Oude Kerk, ანუ თარგმანში „ძველი ეკლესია“, არის ნიდერლანდების პროტესტანტული ეკლესია ქალაქ დელფტის ცენტრში. სიმაღლე შეადგენს 75 მეტრს, ხოლო დახრილობა — 1,98 სმ.



## კოშკი Bedum, ნიდერლადები

ეს კოშკი აგრეთვე არ ჩამოუვარდება პიზის კოშკს. თუ პიზის კოშკის სიმაღლეა 55,8 მეტრი და გადახრილობა შეადგენს დაახლოებით 4 მეტრს, კოშკი Bedium კი სიმაღლით 35,7 მეტრია და 2,61 მეტრით გადაიხარა.





## პიზის კოშკი, იტალია

პიზის კოშკის გადახრა დაიწყო მშენებლობის დაწყებიდან რამდენიმე წლის მერე. ამის მიზეზი იყო კოშკის მშენებლობა რბილ თიხაზე. 1350 წელს მშენებლობა დასრულდა და უკვე ამ დროისათვის კოშკის დახრილობა შეადგენდა დაახლოებით 4,5 ფუტს (30,5 სმ). 1990 წლისათვის დახრილობა კიდევ გაიზარდა. ადრე სჯეროდათ, რომ ეს გადახრა არქიტექტურული ჩანაფიქრი იყო, მაგრამ მერე ცხადი გახდა, რომ კოშკი მშენებლობის პროცესში გადაიხარა.



## კოშკი ბურანა, იტალია

ვენეციურ ბურანის კუნძულზე, მდებარეობს კოშკი ბურანა, ან კიდევ, როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ, წმინდა მარტინოს ეკლესიას. ობიექტი აშენდა მე-15 საუკუნეში და აქამდე არ დაცემულა ხოლოდ იმიტომ, რომ მეზობელ მიშენებას ეყრდნობა.

## კოშკი Tiger Hill, ჩინეთი

მდებარეობს პროვიცია სზიანსუს ქალაქი სუჩჟოიში. კოშკი აშენდა ჩვენი წელთაღრიცხვით 970-960 წლებში. კოშკის სიმაღლე შეადგენს 47 მეტრს. ლურჯი აგურით ნაგები შენობა 7 სართულიანია. კოშკის დახრილობაზე იმოქმედა ბუნების ძალებმა. დღეისათვის დახრილობა შეადგენს 2,32 მეტრს. და მთელი შენობა იწონის დაახლოებით 7 მილიონ კილოგრამს.





## ეკლესია Suurhusen, გერმანია

ჩრდილო-დასავლეთ გერმანიის აღმოსავლეთ ფრისლანდიის რეგიონში მდებარეობს შუა საუკუნეების ნაგებობა — ეკლესია Suurhusen. 2010 წლამდე, გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნის მონაცემებით, ეს ტაძარი ითვლებოდა ყველაზე დახრილ კოშკად მსოფლიოში. მოგვიანებით ეს რეკორდი გადაწონა კოშკმა Capital Gate აბუ-დაბიში. Suurhesen-ის მწვერვალის დაქანება ცნობილ პიზის კოშკზე 1,22 გრადუსით მეტია.

# ნიანგის ცრემლები



**სააკაშვილი რის სააკაშვილი იქნებოდა, რომ 2008 წლის ომის მეოთხე წლისთავი ისევ თავისი პიარისთვის არ გამოეყენებინა. იგი კასპის რაიონის სოფელ კოდისწყაროში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული უფროსი სერჟანტის, გელა თიგიშვილის, დაკრძალვას დაესწრო. ჯარისკაცის ცხედრის იდენტიფიცირება, რომელიც 2008 წლის ომის შემდეგ დაკარგულად ითვლებოდა, დნმ-ის ანალიზით მხოლოდ 4 წლის შემდეგ მოხერხდა. დაკრძალვას თავდაცვის მინისტრი დიმიტრი შაშკინიც ესწრებოდა.**

**„არავის არ შევარჩენ მის სიცოცხლეს“,** — განუცხადა სააკაშვილმა დაღუპულის დედას. ვინ არის ეს „არავინ“, მას არ დაუზუსტებია. ხნიერი ქალბატონი ამაოდ ცდილობდა პრეზიდენტის ყურადღების მიქცევას დაღუპული თიგიშვილის ობლებზე. მათი ბედით დაინტერესების ნაცვლად სააკაშვილი კახეთიდან ჩამოსულ სხვა ჭირისუფლებს, ტურაშვილებს, მიუბრუნდა და მწუხარე სახით თქვა: **„ერთად იბრძოდნენ, ერთად დაიღუპნენ და, ალბათ, ზემოდან დაგვყურებენ. პატივით დავასაფლავებთ“.**

ნიანგის ცრემლები წინასაარჩევნოდ სააკაშვილს კარგად აქვს დაცდილი, ოღონდ დღეს უკვე მისი ცრემლების აღარავის სჯერა. **მთავარსარდალი, რომელმაც თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე მიწაზე იფორთხა, გმირულად დაღუპული ჯარისკაცების პატივით დასაფლავებაზე ლაპარაკს ვერ უნდა ბედავდეს.**

# 81 წლის ქალბატონი დახმარების მოლოდინში გარდაიცვალა

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარში 81 წლის ტუფა კეშელავა ცხოვრობდა. მოხუცი 2012 წლის იანვრამდე სოციალურად დაუცველთა ბაზაში იყო რეგისტრირებული და, შესაბამისად, პენსიასთან ერთად სახელმწიფოსგან ფულად დახმარებასაც იღებდა. დანგრევის პირას მისულ გურულ ოდას გასულმა გაუსაძლისმა ზამთარმა სახურავიც დაუზიანა და იატაკიც.**



სულ რამდენიმე დღის წინ ტუფა კეშელავამ „გურია ნიუსთან“ საუბარში განაცხადა: **„ეს ზამთარი ისე გავიდა, არც გათბობა მქონდა და არც სასმელ-საჭმელი. მეზობლებმა გამაძლებინეს. ახლაც სამადლოდ მარჩენენ. ეს ქოხიც თავზე მენგრევა და სუნთქვაც ძალიან მიჭირს. 35 წელზე მეტი კოლმეურნეობას შევალიე, თავდაუზოგავად ვშრომობდი. დღეს კი აღარც შეძლება მაქვს და აღარც არაფრის საშუალება. გასულმა ზამთარმა ჩემს საწოლთან დათოვა. ხის კედლები დაიხსნა და ჩემს სახლში ისე თოვდა, როგორც გარეთ. გავცივდი, ექიმისა და წამლის ფულისთვის პენსია წინასწარ ავანსად გამოვიტანე და სექტემბრამდე ვერც ჩემს კუთვნილ პენსიას ვიღებ. მანამდე კი თავი რით უნდა გავიტანო, არ ვიცი. ერთი შვილი მყავს, არც მას აქვს შემოსავალი და, ძირითადად, თავი მეზობლების მოკითხული საკვებითა და ხილით გაგვაქვს. მითხრეს, რომ თქვენ შეგიძლიათ ჩემი დახმარება. იქნებ, როგორმე დამეხმაროთ. დაწერეთ, ბებო, ჩემი გაჭირვების შესახებ. ამაზე მეტი რაღა უნდა დაემართოს ჩემი ხნის ადამიანს, მე რომ ახლა მჭირს? ოჯახებს ძროხის გამო არ აძლევენ დახმარებას, მე კი არც კატა მყავს და არც ძაღლი. მიწაც ვერ დავამუშავე წელს და არ ვიცი, თავი რით უნდა გავიტანო. დახმარების შეწყვეტის შემდეგ მივმართე სოციალურ სააგენტოს. წერილობით მიპასუხეს, რომ 2013 წლის მაისამდე დახმარების თხოვნით არ შემიძლია მივმართო. მანამდე რა უნდა ვქნა?!“**

„თუ ვინმეს უნდა მიეცეს დახმარება, ეს ქალბატონია. თითოეულ ჩვენგანს არაერთხელ გადმოგვიტანია სადილი, მაგრამ ყოველთვის ჩვენც ვერ ვახერხებთ გადმოსვლას. იქნებ შესაბამისმა სამსახურებმა ეს სტატია წაიკითხონ და ამ ქალბატონის მდგომარეობით დაინტერესდნენ“, – აღნიშნა ქალბატონ ტუფას ერთ-ერთმა მეზობელმა.

ეს წერილი გამოცემამ „პოსტ-ალიონის“ ვებგვერდზე გამოაქვეყნა და პარალელურად ცდილობდა, გაერკვია, რატომ არ ეძლეოდა დახმარება ულუკმაპუროდ დარჩენილ მოხუცს. სამწუხაროდ, გამოცემის ჟურნალისტების სტუმრობიდან რამდენიმე დღეში მოხუცი გარდაიცვალა.

**„გურია ნიუსი“ სოციალური მომსახურების სააგენტოს უმორჩილესად სთხოვს, განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ მხცოვანი ადამიანებისთვის სოციალური დახმარების დანიშვნისა და მოხსნის საკითხს, რადგან ტუფა კეშელავა უკვე მეორე ადამიანია, რომელიც მათ თვალწინ, სოციალური დახმარების მოლოდინში გარდაიცვალა.**

# ავღანეთში მყოფი ქართველი ჯარისკაცებისთვის არჩევნები 1 კვირით ადრე ჩატარდება



**ავღანეთში სამშვიდობო მისიით მყოფი ქართველი ჯარისკაცებისთვის ორი საარჩევნო უბანი გაიხსნება. ეს გადაწყვეტილება გუშინ ცესკომ მიიღო და ქაბულში წამსვლელ დამკვირვებლებზე ვაკანსიაც გამოაცხადა.**

„გურია ნიუსის“ ინფორმაციით, საარჩევნო უბან „შუკვანსა“ და „ასეულის ბაზაზე“ არჩევნები დაგეგმილზე ერთი კვირით ადრე ჩატარდება, ცესკო ამას ბუნებრივი პირობებითა და საომარი მდგომარეობით ხსნის. დალუქული ყუთები საქართველოში ჩამოვა და 1 ოქტომბერს, არჩევნების დამთავრების შემდეგ, ცენტრალური საარჩვენო კომისია შედეგებს საზღვარგარეთის უბნებიდან მიღებულ ხმებთან ერთად დაითვლის. ამ დროისათვის ავღანეთში 900-მდე ქართველი ჯარისკაცი მსახურობს. საქართველოს საარჩევნო კოდექსი ცალსახად კრძალავს სამხედრო ბაზებზე წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებას, შესაბამისად, „გურია ნიუსმა“ კითხვით მიმართა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, თუ როგორ მოხდება ავღანეთში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების ინფორმირება საარჩევნო სუბიექტების შესახებ.

ცესკოს სპიკერი ეკა აზარაშვილი გვეთანხმება, რომ ჩვენ მიერ წამოჭრილი საკითხი შესწავლას საჭიროებს, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით ცესკო ჯერჯერობით მსჯელობის რეჟიმშია.

**„ცენტრალური საარჩევნო კომისია მაგ თემაზე იმსჯელებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ჯერჯერობით არ მიუღია გადაწყვეტილება და ამიტომ ვერ გავაკეთებ ვერანაირ კომენტარს. გეთანხმებით, რომ სამხედრო ნაწილებში აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაცია, აქ მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ, პატიმრებისგან განსხვავებით, რომლებსაც ექნებათ საშუალება, გაეცნონ პოლიტიკურ პარტიებს, მათ საარჩევნო პროგრამებს და მაჟორიტარებს, სამხედრო მოსამსახურეებს ამას კანონი უკრძალავს. სამაგიეროდ, ჯარისკაცებს ინტერნეტისა და სხვა საშუალებების წვდომა აქვთ და შეუძლიათ ინფორმაცია ამ წყაროებიდან მიიღონ. საკითხი, რომელიც თქვენ დასვით, მართლაც დგას დღის წესრიგში, ცესკო ამაზე იმსჯელებს და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს“,** — აცხადებს ცესკოს სპიკერი ეკა აზარაშვილი „გურია ნიუსთან“ საუბარში.

ავღანეთში პროპორციული წესით ჩასატარებელი არჩევნების უზრუნველყოფისთვის ცესკო საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრზე ვაკანსიას აცხადებს. საბუთების მიღება დღეს დაიწო და 9 აგვისტომდე გასტანს. აღნიშნული ვაკანსიის დასაკავებლად საჭიროა კანდიდატის თანხმობა, 2 ფოტოსურათი და პირადობის მოწმობის ქსეროასლი.

# ბონდო შალიკიანი მინსკში მოკლეს



**რუსული მედიის ცნობით, ბელარუსის დედაქალაქ მინსკში ყოფილი დეპუტატი ბონდო შალიკიანი მის მხლებელ „კავკასიური გარეგნობის“ მამაკაცთან ერთად მოკლეს. შალიკიანი იმერეთში ნავთობპროდუქტების ბიზნესს აკონტროლებდა და ტელეკომპანია „ქუთაისის“ მფლობელი იყო.**

2004 წლის მარტში რევოლუციურმა ხელისუფლებამ ტყიბულის მაჟორიტარი საჩვენებლად დააპატიმრა. სპეცოპერაციას იმჟამინდელი გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი ხელმძღვანელობდა. შუაღამისას შალიკიანი და მისი მეუღლე საცვლების ამარა აიყვანეს მათი საძინებლიდან.


# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი. ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას: ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3, ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (599)936563, e-mail: eparqia-f@mail.ru




საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894